

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დეპარტამენტი

ვაჟა ფარტენაძე

**„აჭარისწყლის ხეობა (ისტორიულ-არქეოლოგიური
გამოკვლევა ქედის მუნიციპალიტეტის მიხედვით)“**

არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ა. კახიძე

ბათუმი
2020

შინაარსი

შესავალი -----	5
თავი I. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო -----	7
თავი II. შესწავლის წყაროები და ისტორიოგრაფია	
& 1. წერილობითი ცნობები, არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი -----	13
& 2. სიახლე და მნიშვნელობა -----	22
& 3. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა-----	26
თავი III. ბრინჯაოს ეპოქა	
&1. ქედის მუნიციპალიტეტის, ფერადი მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი კერები	46
&2. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები ქედის მუნიციპალიტეტიდან -----	58
& 3. ქედის მუნიციპალიტეტი, ჭოროხის აუზის, ტომობრივი კოლხური კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა (გვიანბრინჯაო ადრე რკინის ხანაში) -----	63
თავი IV. ქედის მუნიციპალიტეტის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ძვ.წ. VI-I სს)	
& 1. კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები -----	99
& 2. საკულტო კერამიკის ერთი სახეობის გავრცელებისათვის აჭარისწყლის ხეობაში (კვაშტა) -----	101
თავი V. ქედის მუნიციპალიტეტი ფეოდალურ ხანაში	
& 1. საკულტო დანიშნულების ძეგლები -----	121
& 2. საფორტიფიკაციო ნაგებობები -----	146
& 3. საგზაო ნაგებობები -----	152

თავი VI. მევენახეობა და მეღვინეობა ქედის ქვეყანაში

& 1. მევენახეობა მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები

(საწნახელები) -----163

თავი VII. გვიან შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობები -----171

დასკვნები -----192

გამოყენებული ლიტერატურა -----196

ტაბულების აღწერილობა ----- 204

ტაბულები -----206



შესავალი

თემის აქტუალობა. აჭარისწყლის ხეობა, მდიდარ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მემკვიდრეა. თანმიმდევრული სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დასტურდება, რომ აქ უძველეს ადამიანთა დასახლება ჯერ კიდევ ხალკოლიდის ეპოქაში დაიწყო. მომდევნო პერიოდებისათვის საქართველოს ეს კუთხე იქცა დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ერთ-ერთ წამყვან კერად. ამასთანავე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლისა და შიგა რაიონების დამაკავშირებელი გზების საშუალებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებაში.

წლების განმავლობაში დაგროვილი მასალები საფუძველს გვაძლევს რეგიონის ძირეული შესწავლის აუცილებლობის საკითხი დაისვას. სწორედ გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხელს შეუწყობს აჭარისწყლის ხეობის (ქედის მუნიციპალიტეტის) ისტორიის ცალკეული საკითხების სათანადო სისრულით შესწავლას, წერილობით წყაროებში ასახული ფაქტების დადასტურებას.

თემის მიზანი. საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია წერილობითი წყაროები, ისტორიოგრაფიული მონაცემები, სხვადასხვა ეპოქის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ნივთიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლები შევიყვანოთ სამეცნიერო მიმოქცევაში. ბუნებრივია, ახალი აღმოჩენები შეუწყობს ხელს, ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულის პოპულარიზაციას. არა მარტო სამუზეუმო სივრციდან, არამედ თვით ღია ცის ქვეშ შემორჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების ჩვენებითაც. ასევე დაისმება საკითხი გადაუწვეტელი პრობლემების მოსაგვარებლად და გეგმაზომიერი სავლე ექსპედიციები უფრო მეტ სიახლეს შეიტანს რეგიონის არქეოლოგიურ შესწავლაში.

სიახლე და მნიშვნელობა. ნაშრომი არსებითად წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქის მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლების შესახებ შექმნილი ახლებური

კონცეფცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მერისის საბადოსთან დაკავშირებულ მეტალურგიის უძველესი კერების ძიებას. ქედის მაგალითზე გამოიყო ანტიკური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ახალი სახეობა საქართველოს არქეოლოგიაში. საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ქვის საწნახელები, რომელთა რიცხვი საგრძნობია.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 7 თავის, 12 პარაგრაფის და დასკვნებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, გრაფიკული და ფოტო ილუსტრაციები. სადისერტაციო ნაშრომი კომპიუტერულად ნაბეჭდი, გრაფიკულ და ფოტო ილუსტრაციებთან ერთად 255 გვერდია.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი. მოცემულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი მნიშვნელობა.

I თავი. ბუნებრივ გეოგრაფიული გარემო:

შედგება ერთი პარაგრაფისაგან, სადაც მიმოხილულია ქედის ლანდშაფტი, ფლორა და ფაუნა, მისი საზღვრები, ასევე აღწერილია საკვლევი რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო.

II თავი. შესწავლის წყაროები და ისტორიოგრაფია:

მოიცავს 3 პარაგრაფს და მასში განხილულია ქედის შესახებ მოპოვებული შრომები, რომელიც დაგვიტოვებს უცხოელმა და ადგილობრივმა მკვლევარებმა.

III თავი. ბრინჯაოს ეპოქა:

მოიცავს 3 პარაგრაფს და ეხება ქედის ტერიტორიაზე არსებულ მეტალურგიის ახალი კერების შესწავლას ასევე ადრე შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოჩენებს. განხილული და შესწავლილი ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელმაც ხელი შეუწყო კოლხური ცივილიზაციის ჩამოყალიბების ფორმირების პროცესს.

თავი IV. ანტიკური პერიოდი, ეპოქა, რომელმაც საბოლოოდ დაასრულა კლასობრივი საზოგადოების ფორმირება, შესწავლილია ორი ძეგლი (კვაშტა და კოლოტაური). ასევე დახასიათებულია შემთხვევით აღმოჩენილი ორი ნივთი (საკულტო ფიალა და თიხის სასმისი).

თავი V. ფეოდალური ხანა, ადრე ფეოდალური პერიოდის ნივთი ბრინჯაოს საცეცხლური და კულტურული ძეგლი ზენდიდის ნაეკლესიარი.

თავი VI. მევენახეობა და მეღვინეობა, სულ ქედის ტერიტორიაზე 8 ერთეული ქვაში ამოკვეთილი საწნახელია მიკვლეული ამათგან ოთხი ერთეული გვაქვს განხილული. უნდა აღინიშნოს, რომ საწნახელები გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევის ობიექტი არ გამხდარა და მხოლოდ მათი აღწერილობებია წარმოდგენილი.

თავი VII. გვიან შუასაუკუნის ძეგლი ქედიდან, ზენდიდის ციხე, რომელიც თავისი დანიშნულებით ერთ-ერთი გამორჩეულია იმ დროის საქართველოში.

დასკვნით ნაწილში მოკლედ არის წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.

თავი I. ბუნებრივ გეოგრაფიული გარემო

აჭარას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უკავია. მისი ფართობია 2,9 ათასი კვ. კილომეტრი, რაც საქართველოს ტერიტორიის 4,3% შეადგენს. ეს რეგიონი მდებარეობს მცირე კავკასიონის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - ჩრდილო განედის 41⁰ 53 და სამხრეთ განედის 41⁰ 21 დასავლეთ გრძედის 41⁰ 33 და აღმოსავლეთ გრძედის 42⁰35. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის რაიონი და მესხეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მწვერვალი საყორნიათი (სიმაღლე (2755 მ), აღმოსავლეთიდან საზღვრავს არსიანის ქედი, სამხრეთიდან - შავშეთის, დასავლეთიდან - შავი ზღვა. აჭარის ორთოგრაფია დიდი დანაწილებით ხასიათდება. წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი მორფოლოგიური ერთეული: აჭარა-გურიის, შავშეთისა და არსიანის ქედები, აჭარისაკენ მიმართული მათი მრავალრიცხოვანი განშტოებებით. აჭარა-გურიის მთებს განედური მიმართულება აქვთ. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იტოტება ზღვისკენ, ქობულეთისა და ჩაქვის ქედების სახით. აქ, მდინარეთა ხეობები საკმაოდ ღრმადაა ჩაჭრილი. შავშეთის ქედსაც განედური მიმართულება აქვს. ის გადაჭიმულია მწვერვალ კანლიდალიდან („სისხლიანი მთა“) დაახლოებით 65 კმ მანძილზე. აჭარისაკენ მიმართული ციცაბო ფერდობები

მიწათმოქმედებისათვის ნაკლებ გამოსაყენებელია. სუბალპური და ალპური მდელოები საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს. აჭარის აღმოსავლეთით მდებარე არსიანის ქედს მერიდიანული მიმართულება აქვს; ზოგან დაბლდება და ქმნის უღელტეხილებს. მაგ., გოდერძის უღელტეხილი (სიმაღლე 2025 მ) [მამულაძე, 1993:15; პაპუნძიძე, 2007:10].

აჭარა მდებარეობს ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ზონაში, რომელსაც რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო ახასიათებს კლიმატის, მცენარეული საფარისა და ნიადაგების ვერტიკალური ზონალობა. დიდია სინოტივე, დაახ. 75%, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა + 13-14⁰

რელიეფის მრავალფეროვნებამ განაპირობა მდინარეების, გზებისა და ჭაობების სიხშირე, მდინარეთა შორის გამოირჩევა ჭოროხი (სიგრძე 500 კმ., აქედან საქართველოზე მოდის 21 კმ.). გასულ საუკუნეებში იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი არტერია ყოფილა, რომლითაც ბათუმის ოლქის მოსახლეობა უკავშირდებოდა ართვინსა და სხვა ცენტრებს. აჭარას თითქმის მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კვეთს მდინარე ჭოროხის მარჯვენა შენაკადი მდინარე აჭარისწყალი, რომელიც სათავეს არსიანის მთების დასავლეთ კალთებზე, 2379 მ სიმაღლიდან იღებს. მისი სიგრძე 90 კმ. თავის მხრივ აჭარისწყლის ხეობა რამდენიმე წვრილ ხეობადაა დანაწევრებული. მათი დიდი ნაწილი ღრმა და კანიონისებრია. მთიანი აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი საშუალო სიმაღლის მთებს უჭირავს, რომლებიც მდინარე აჭარისწყლის ხეობიდან ამფითეატრისებურად მალდება. ამ მთების ზემო ნაწილი კი მაღალმთიან ზონაშია მოქცეული. მთის ფერდობები და მდინარეთა ხეობები მკაფიოდ გამოსახული ტერასიანობით ხასიათდება. მთები აგებულია დანალექი და ვულკანური ქანებით [მამულაძე, 1993:16-17; პაპუნძიძე, 2007:10].

აჭარისწყლის ხეობის შუა წელზე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტი. სოფლები შეფენილია მდინარის სანაპირო ფერდობებზე. ქედის რაიონს ჩრდილოეთიდან ქობულეთი ესაზღვრება (38 კმ. სიგრძეზე), აღმოსავლეთით შუახევი (24 კმ. სიგრძეზე). დასავლეთით ხელვაჩაური (24 კმ. სიგრძეზე), სამხრეთით კი თურქეთის 17 კილომეტრიანი საზღვარი აკრავს [ქედის რაიონი ციფრებში 1999:1].

სამხრეთით მიუყვება შავშეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით-მესხეთის ქედი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ქობულეთის ქედი.

ქედის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კვ. კმ. მოსახლეობა 20,5 ათასი კაცი.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი წარმოადგენს ვიწრო ხევის, რომელსაც შუაზე მდინარე აჭარისწყალი ყოფს. მდინარე აჭარისწყლის საერთო სიგრძე 92 კილომეტრია, აქედან ქედის ტერიტორიაზე მხოლოდ 42 კმ. მოდის.

ქედის მუნიციპალიტეტში შედის 9 საკრებულო და 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ქედა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრია. ყველაზე მაღალი მწვერვალია ყანლი (2987 მეტრი) [ქედის რაიონი ციფრებში, 1999:2].

ქედის რაიონს აქვს საზაფხულო იალაღები კოსლითავი (მერისი), ნაკონახვარი (მეძიბნა), დიდვაკე (ოქტომბერი), ტბათი (პირველიმასისი), ასევე მრავლადაა მცირე იალაღები: თეთრობი (ბზუბზუ და ცხმორისი), მარქინა (მახუნცეთი), ღარათი (ხოხნა, კორომხეთი, მენწმანი, შევაბური) და ა.შ. ასევე მოსახლეობის ნაწილი საზაფხულო იალაღებად იყენებს მეზობელი რაიონების ტერიტორიებს (ხულოს, შუახევის, ადიგენისა და ოზურგეთის).

როგორც ზემოთ ვთქვით, რაიონის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, მდინარე აჭარისწყლის ფერდობებზეა შეფენილი. ამრიგად აქაური ჰიდროქსელი მიითვლის მდინარე აჭარისწყალს და მის შენაკადებს. მისი ერთ-ერთი მთავარი შენაკადია მდინარე აკავრეთა, რომლის სიგრძე 19 კილომეტრია. სათავეს მერისის მთებში იღებს. უნდა ითქვას, რომ აკავრეთას ხეობა კოლხური კულტურის ერთ-ერთი რეგიონი იყო. თავის მხრივ მდინარე აკავრეთასაც გააჩნია საკმაოდ წყალუხვი შენაკადი, მდინარე „გოდერძის ღელე“, რომელიც სოფელ მეძიბნის მთებში იღებს სათავეს და მდინარე აკავრეთას სოფელ ოქტომბრის ტერიტორიაზე ერთვის. თავის მხრივ კი მდინარე აკავრეთა აჭარისწყალს დაბა ქედის ცენტრთან უერთდება. ასევე მდინარე აჭარისწყლის მარცხენა შენაკადია მდინარე „ხოხნიხევა“, რომელიც სათავეს თურქეთ-საქართველოს საზღვრიდან - შავშეთის მთებიდან ღებულობს, გაივლის ღარათის ტერიტორიას და დაბა პირველ მაისთან უერთდება აჭარისწყალს. როგორც აკავრეთას ხეობა, ასევე

მდინარე ხოხნიხევას ხეობაც ამ კუთხის ცენტრალური მაგისტრალი იყო თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მისასვლელად.

აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადია წყალუხვი მდინარე „აგარის ღელე“, თვით აგარის ღელის მარჯვენა შენაკადია მდინარე „ჭანჭახადი“. მასზე აგებულია ქვის თაღოვანი ხიდი, რომელსაც მოსახლეობა „მიწის ხიდს“ ეძახის. მდინარე აგარისწყლის ხეობით ჩაქვის ტერიტორიაზე შეიძლება გადასვლა.

ქედის რაიონის ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიას ავსებს მესხეთის ქედის განტოტებანი - მათ შორისაა ჩაქვის ქედი, რომელიც ქმნის წყალგამყოფს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადსა და ქობულეთ-ხელვაჩაურში ჩამდინარე მდინარეებს შორის.

როგორც ცნობილია რისის გამყინვარების მომდევნო რის-ვიურმის დროს უკვე ტიპური გამყინვარებათმორეული თბილი ეპოქაა (120-70 ათასი წლის წინათ); თბილი ჰავის გავლენით ლანდშაფტის ვერტიკალური სარტყლები კავკასიონზე და აჭარა-თრიალეთის ქედზე 400-600 მეტრით მაღლა იყო აწეული, ვიდრე ამჟამად. უეჭველია ასეთი სახეცვლილება ჩვენს რეგიონზეც მოახდენდა გავლენას.

ქედის რაიონი ჩამოყალიბებულია შუა ეოცენური (59-60 მილიონი წლის წინ) ასაკის ანდეზიტებით და პიროკლასტოლითებით ვულკანოგენური ფაციესის შრეებრივი ტუფ-ბრექჩიებითა და არგილიტებით. შუა ეოცენის ზედა სერიის უხეშშრეებრივი მასიური ანდეზიტური ტუფ-ბრექჩიებით [ქ.ს.ე. ტ.10:497].

შესასწავლად აღებული ტერიტორიის ბუნებრივი გარემო, ცხადია იცვლებოდა დროთა განმავლობაში, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო პალეოკლიმატურ ცვლილებებთან. ჰოლოცენის პერიოდს უკავშირდება ამ რეგიონის ერთი შესწავლილი ძეგლი, რომელიც მდინარე აჭარისწყლისა და მის მარცხენა შენაკად მდინარე „ხოხნიხევას“ შესართავთან, სოფელ კოლოტაურში ჯვარქედის გამოქვაბულის სახელითაა ცნობილი. მართალია ჰოლოცენი არ იცნობს ძლიერი გამყინვარების ფაზებს, მაგრამ ფიქსირებულია მცირე კლიმატური რყევების სერია, რომელთა უმრავლესობა ვულკანიზმის მოვლენებთანაა დაკავშირებული [ხახუტაიშვილი, 1995:8-9].

კლიმატური პირობების მკვეთრმა შეცვლამ (დათბობამ) ძლიერი ზემოქმედება იქონია ადამიანთა საცხოვრის გარემოზე, შეიცვალა ფლორა და ფაუნა, გაქრა

ზოგიერთი სახეობა ან სახე იცვალა, გამოჩნდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი სახეობანი [Бендукидзе О. Г. 1982:166-178].

მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ ხმელთაშუაზღვის ტიპის მსგავსი სუპტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ნოტიო ხდება, სადაც ზამთარი ზომიერად თბილია და ზაფხული თბილი [ქ.ს.ე:497]. მთების ზედა სარტყელისათვის დამახასიათებელია ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი ზამთარი, უხვი თოვლი და გრილი ზაფხული. აქედან გამომდინარე მდინარეების უხვწყლიანობა გაზაფხულზეა, თოვლის დნობისას, ხოლო წყალმცირობა ზამთარში.

ძირითადად გავრცელებულია ქვედა და შუა სარტყლის ტყის ყომრალი ნიადაგები. მაღალმთიან ზონაში ტყის ზედა სარტყლის უხეშჭუმუსიანი ყომრალი ნიადაგებია. ზემოთ მათ ცვლის მთა-მდელოს ნიადაგები [ქ.ს.ე., 497].

კლიმატური რყევები, რაც ჰოლოცენში გვაქვს ფიქსირებული, იწვევდა არამარტო გეომორფოლოგიურ ცვლილებებს და ახალი რელიეფის ფორმირებას, არამედ რამდენადმე იცვლებოდა ფაუნისა და ფლორის ელემენტებიც [ხახუტაიშვილი, 1995:16]. ზოგიერთი სახეობა ცხოველებისა და მცენარეებისა ისპობოდა ან მიგრირდებოდა, ზოგიც კიდევ ახალ გარემოს ეგუებოდა და თავი დღემდე მოიტანა. სამწუხაროდ, დღეისათვის რელიქტიურ ცხოველთა და მცენარეთა ზოგიერთი სახეობა „წითელ წიგნშია“ მოხვედრილი, ზოგიც საერთოდ გადაშენდა. ზემოთ აღნიშნულის ილუსტრაციაა არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური და პალინოლოგიური ნიმუშები, როგორც შავიზღვისპირეთის, ისე ცენტრალური ამიერკავკასიის რეგიონებიდან.

გარეული ცხოველებიდან, მსგავსად მეზობელი რეგიონებისა, ადრე ჰოლოცენიდან გვხვდება: მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, ტურა, მელა, შველი. დღეს კი... მაჩვი, ზღარბი, კვერნა, ციყვი, ტრია; ქვეწარმავლებიდან: ანკარა, კავკასიური გველგესლა, გიურზა, გველხოკერა, მცირე ზომის ხვლიკი. უკვე გაჩნდა გარეული ღორი და ერთი შემთხვევა ქედის ტერიტორიაზე ვეფხვის გამოჩენისა, რომელიც სოფელ მილისში მოკლეს მონადირეებმა, მისი ტყავი ცხრამტკაველნახევარი იყო, თოთხმეტ თუმნად გაყიდეს [აბდულ მიქელაძე, 1991].

ფრინველებიდან: ძერა, ყვავი, ყორანი, ტყის ქათამი, მიმინო, ჩხიკვი, ბოლოშავი, შაშვი, სირინა, ჩხართვი, ჩიჩხინაკი, ქედანი, იხვი, იშვიათად - მწყერი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქედის ერთ-ერთ სოფელში მოკლეს ჩიჩხინაკი, რომელსაც დარგოლვა გაკეთებული ქონდა ჰოლანდიაში. თევზებიდან: მდინარე აჭარისწყალში გვხვდება: ძირითადად მურწა და ნაფოტა. მთის მდინარეებში კი კალმახი. თევზის ადგილი ადამიანის რაციონში, ჩვენ მითითება გვაქვს ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანის ნივთიერ კულტურაშივე (ძვლის ანკესები, ჰარპუნები და ა. შ.). ახალი ქვის ხანაში ჩნდება დამატებითი ახალი სათევზაო აღჭურვილობა [გოგიტიძე, 1977:3-18].

მცენარეული საფარიდან გავრცელებულია კოლხური სახეობანი. სუბტროპიკულ მცენარეებს უჭირთ არსებობა, მხოლოდ ნახევარ სუბტროპიკები ხარობს: ხურმა, წყავი, დაფნა, ლეღვი და სხვ. ასევე - თხილი, კაკალი, ვაზის მრავალი სახეობა, მსხალი, ვაშლი, კომში, ლეღვი, ატამი, თუთა და სხვა. ტყის საფარიდან ქედის ტერიტორიაზე ფოთლოვანი ჭარბობს. მასობრივია წიფელი, წაბლი. ასევე ხარობს ცაცხვი, თელა, ნეკერჩხალი, რცხილა, ნაძვი, ფიჭვი, ძელქვა. ქვეტყედან - შქერი, წყავი, ბამგარი, იელი, მოცვი და სხვა. ასევე არის ბარდი, მაყვალი და ეკალი.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მევენახეობა (აღესა, ნოვე, მეკრენჩხი, საწური, ბუტკო, კაჭიჭი, ჭეიშვილი, ჩხავერი, ლივანური, ცოლიკაური და სხვა), ხარობს ჩაი, თამბაქო, ძირითადად სიმინდი მოჰყავთ. მეხილეობა ოდითგანვე მაღალ საფეხურზე ყოფილა აყვანილი, რასაც მიწაში დამარხული ჭურების სიმრავლე მოწმობს, რომელსაც იყენებდნენ როგორც ღვინის შესანახად, ასევე ხილის წვენის (ბეთმეზი) შესანახადაც. ასევე ქედის ტერიტორიაზე მიკვლეულია რვა ქვაში ნაკვეთი საწნახელი, არის ადგილები: მარანი, ნამარნევი, ნამანევი (იგივე ნამარნევი) და სხვა.

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული რეგიონი დიდ როლს ასრულებდა აბრეშუმის გზის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებაში, რასაც ადასტურებს ქვის თაღიანი ხიდების აგება მახუნცეთსა და დანდალოში, მდინარე აჭარისწყალზე, ასევე ჭანჭახადის ლელეზე (სოფ. პირველი მაისში) და წონიარისის წყალზე (სოფ. წონიარისში). ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო ჟამთასვლას და 2007 წლის ზამთარში ჩავარდა, თუმცა იმავე წელს აღდგენილი იქნა ძველი სახის შენარჩუნებით.

დღემდე შემორჩენილია ძველი სამარშრუტო გზები, რომელიც ზოგ ადგილას ქვაფენილითაა დაფარული (საღორეთი, ჯინისი).

ქედის რაიონის ტერიტორია მდიდარია სპილენძისა და ოქროს საბადოებით, კერძოდ, მდინარე აკავრეთას ხეობის სათავეები, სოფელი ვაიოს ტერიტორიები და სოფელი მეძიბნა (მდინარე „გოდერძის ღელის“ სათავეები). აქვე მრავლადაა მინერალური წყლები, მათგანა აღსანიშნავია კოკოტაურის წყალი, რომელსაც საერთაშორისო სერთიფიკატი აქვს მინიჭებული.

ასეთია ჩვენი საკვლევი რეგიონის მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა

რაც შეეხება ქედის ეტიმოლოგიას, სახელწოდება ქედ-ა, წარმოებულია სიტყვისაგან ქედ-ი „ა“ სუფიქსით - ქედ-ა. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია ეკუთვნის პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძეს [ჭუმბურიძე, 1987:51], „ქედა აჭარის ერთ-ერთი რაიონული ცენტრია, სახელწოდება წარმოდგება ქედ სიტყვისაგან ა სუფიქსით. გეოგრაფიულად გვხვდება იგივე ფუძე უფიქსოდ, მარტივი სახითაც: ქედი სოფელი კასპის რაიონში, ცნობილია აგრეთვე სოფლები: ქედიგირა, ქედისუბანი (ამბროლაურის რაიონი), ქედქედი (ხელვაჩაურის რაიონი), ბათუმის მახლობლად, აჭარისწყლის სასოფლო საკრებულოში, ერთ უბანს ქეციქეთი ქვია. ესაა იგივე ქედს იქეთი [ჭუმბურიძე, 1987: 514].

თავი II. წყაროები და ისტორიოგრაფია

§ 1. წერილობითი ცნობები, არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი

თვალში საცემია ის ფაქტი, რომ XVI საუკუნის 60-იანი წლისათვის აჭარისწყლის ქვედა ნაწილის ანუ ქვემო აჭარის ნაპირში შემავალი სოფლები, ისე როგორც მთლიანად აჭარა გაპარტახებულია თურქების მიერ. სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი ან ძალიან შემცირებულია ან მთლიანად

განადგურებულია. მაგალითად მერისში იმ ხანად დარჩენილი იყო 26 კომლი, დანდალოში-13, ახოში-8, რადამუდში-4, კანტაურში-4, კვაშტაში-8, ვაიოში-6, აქუცაში-5, წონიარისში-7, ანდაგორში-ვარჯანისში-4, ზვარეში-11, ზესოფელში-11, ზენდიდში-5, მახუნცეთში-10, გალიეთში (თუ კალიეთში) -4, აბუქეთაში-4, ნასეირიანში-4, ორცვაში-26, ხოხნაში-7, ბზუბზუში-8, ზუნდაგაში-3, დოლოგანში-5, საწნახენაში-4, საღორეთის ციხის რაბათში-24, მეძიბნაში-9 [შაშიკაძე, 2011:91-101].

თურქების შემოსვლისაა, ქედის მუნიციპალიტეტი ზოგი სოფელი დაცლილა მოსახლეობისაგან: სამნაური, თამარი, ცხემლვანა, ტიბეთა, კაპნისთავი, ხერთვისი, კიბე, ინაშარიძეები, ქენწმანი, კლდეეთი, დაბასუბანი კაპნისთავთან.

თუ რა გადასახადებს იხდიდა აქაური მოსახლეობა თურქთა სასარგებლოდ, მოვიტანოთ მაგალითი მერისის მაგალითზე. მერისის მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა 30000 ისფენჯი 26 კაცზე-650, ხორბალი 1000 ქილა, ქერი 1000, ფეტვი 50, კაკალი 50, შირა მანი 1400, გამოსადები ხილზე-850, იონჯაზე და თივაზე-100, ბოსტანზე-50, გამოსადები კანაფზე-40, გამოსადები თაფუსა და დეშთიბანზე 110, ღორზე 50, ფუტკარზე 40, მურახხასიე-52, გამოსადები იალაღზე-58, ცხვარზე-100, წისკვილი ორი თვალი 6 თვით-60, ბადჰავა და საქორწინო გამოსადები-1400 [შაშიკაძე, 2011:81-101].

მოკლე დავთარში ვრცელი დავთრისგან განსხვავებით, შეტანილია სოფელი ჯალაბისთავი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქები ცეცხლითა და მახვილით ამუსლიმანებდნენ აჭარის მოსახლეობას, მათ უსპობდნენ ქრისტიანული სარწმუნოების ყოველგვარ ნაშთს, აჭარლები მაინც საიდუმლო სამლოცველოებში დამალული ხატებით და ჯვრებით ჩუმად ღოცულობდნენ. საიდუმლო სამლოცველოების ნაშთები ბლომად მოიპოვება აჭარასა და სხვა მხარეებში.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახალციხის საფაშო გაუქმდა (მისი დიდი ნაწილი ახალციხითურთ გადაეცა რუსეთს). ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი შიდამთიანი აჭარა ტრაპიზონის ვილაეთს (შედგებოდა ლაზისტანის, ტრაპიზონის, ჯანიკის, გიუმიშ-ხანეს სანჯაყებისაგან) შეუერთეს. 1870-იანი წლებისათვის, ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, თანამედროვე ქედის ტერიტორია შედიოდა ლაზისტანის საკაიმაკამოს ქვემო აჭარის (სუფლიააჭარა) კაზას ცენტრით ქედაში.

ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქედელებს არასდროს შეუწყვეტიათ. ისინი, სხვა თანამომხებთან ერთად, აქტიურად იღებდნენ

მონაწილეობას მრავალრიცხოვან ანტიოსმალურ აჯანყებებში. თავგანწირულად იცავდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებასაც. თუმცა, ოსმალურმა წესწყობილებამ თანდათან მაინც იწყო დამკვიდრება [ლიტ. აჭარა, 1961, N2].

1844 წელს მარტსა და მაისში აჭარლებმა ოსმალთა წინააღმდეგ საკმაოდ მასობრივი აჯანყება წამოიწყეს. შეშინებულმა სულთანმა ბრძოლა ვერ გაბედა, გონივრებას მიეცა და არათუ აჭარლების ჯარში გაწვევაზე უარი თქვა, არამედ გადასახადებსაც არ მოუმატა. აჯანყებულთა ერთ-ერთი გაბედული ხელმძღვანელი ჯინქოროღლი იყო. ის მერისიდან გვარად ჭინკაძე ყოფილა. ი. ბეჭირიშვილის შენიშვნით, ოსმალები არაბულის გავლენით ჯინს ეძახდნენ ჭინკას, ავსულს, ჯადოქარს [ბეჭირიშვილი, 2001:319].

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქედაში 1770 წლიდან არსებობდა მუფთის სკოლა, რომელიც ხოჯებს და მოლებს ამზადებდა. სულ ბათუმის ოლქში მოქმედებდა 207 მედრესე. ამიტომ, ძველ საქართველოს კუთხეებში სწავლა-განათლების მხრივ არცერთი კუთხე არ იყო ისე ჩამორჩენილი, როგორც აჭარა [ქურნალი განათლება, 1991, N3, 2].

ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1872 წ. მოხსენებაში მითითებულია, რომ ქვემო აჭარის მოსახლეობა მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარია და რომ აქ საერთოდ არ არის სკოლა, ხოლო მოსახლეობა ხასიათდება მშფოთვარე ბუნებით. დ. ბაქრაძის დაკვირვებითაც (1874წ.) აქაურები, გამოირჩევიან მებრძოლი ხასიათით და ყველგან შეიარაღებული დადიან. გადმოცემით, დიდი მხეცობა ჩაუდენიათ თურქებს ქედის რაიონის სოფლებში.

პალგრევისავე აღნიშვნით, ამ კუთხეში ბევრგან ფუნქციონირებდა იარაღის სახელოსნოები, სადაც აკეთებდნენ კარგი ხარისხისა და გემოვნებით მოჭედილ თოფებს, პისტოლეტებსა და ხანჯლებს. მისივე თქმით, აქაური მიწა ზემო აჭარულთან შედარებით უფრო ნაყოფიერია, მოდის ყურძენი და კომში, ხოლო ტყეში იზრდება დიდი ზომის სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომელთაგანაც გარკვეული კომერციული მნიშვნელობა მხოლოდ კაკალს გააჩნია.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებითაც ცხადად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის დამზადების ორი მთავარი ცენტრი არსებობდა-მაჭახლის ხეობა და ქვემო აჭარა. აქ დამზადებულ საბრძოლო იარაღს საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა და რეგიონის გარეთაც სარგებლობდა მოწონებით. ქედაში არსებული იარაღის წარმოების ლოკალური ცენტრებიდან (ცხმორისი, კოლოტაური, საღორეთი, ახო და სხვა) XIX ს-ის II ნახ-

ში განსაკუთრებით ცხმორისი გამოიჩნეოდა, სადაც ამ დროისათვის 25 სამჭედლო არსებობდა.

ოსმალთა მფლობელობის დროს ქედაში, ისევე, როგორც მთლიანად აჭარაში, დაეცა სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის დონე, მთლიანად განადგურდა მევენახეობა და მეღორეობა, რომლებიც მანამდე კარგად განვითარებულ დარგებად ითვლებოდა.

1877-78-ის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა, ე. წ. „ოსმალთა საქართველოს“ დიდ ნაწილთან ერთად, რუსეთს გადაეცა. ამ მოვლენის უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ერთბაშად ვერ შეეგუა რუსულ მმართველობას და ბევრი მათგანი სამშობლოდან ოსმალეთში გადაიხვეწა, მუჰაჯირად წავიდა (ამ მოვლენაში ბრალი მიუძღვის როგორც ოსმალურ, ისე რუსულ მხარეს). მუჰაჯირობა შეეხო ქედის მხარესაც.

1878 წლის (20 დეკემბრის განკარგულება) რუსული ადმინისტრაციული დაყოფით თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შევიდა ბათუმის ოლქში და ქვემო აჭარის უბნის სტატუსით (ცენტრით ქედაში) გაერთიანდა აჭარის ოკრუგის შემადგენლობაში. შემდგომშიც, მიუხედავად ბათუმის ოლქთან დაკავშირებით მიმდინარე მსხვილი ადმინისტრაციული ცვლილებებისა, ქედის ტერიტორია ყოველთვის ფიგურირებდა როგორც ქვემო აჭარის უბანი, რომელსაც ხშირად ქედის მაზრასაც უწოდებდნენ.

მიუხედავად გარკვეული უარყოფითი მხარეებისა, უნდა ითქვას, რომ ოსმალურთან შედარებით, რუსული მმართველობის პერიოდში ბევრად უკეთესი პირობები შეიქმნა აჭარის და მათ შორის ქედის უბნის, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ქვემო აჭარის ცხოვრება, ძირითადად, ქედის გარშემო ტრიალებდა.

„ქედა ქვედა აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთან შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი ადებ-მიცემა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უეჭველად ქედას უნდა მოატანოს“- მიუთითებდა 1897 წელს თ. სახოკია.

1903 წელს დაბა ქედაში, მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ქედის მაზრის მაშინდელი უფროსის, შტაბსკაპიტან ნიკოლოზ ვოიცეხის ძე ვოიჩეკის დიდი ზრუნვითა და ძალისხმევით, აგრეთვე ადგილობრივთა მონდომებით, დასრულდა სკოლის შენობა, რომელშიც იმავე წლის 7 ოქტომბერს საერო განათლების

სამინისტრომ გახსნა ქედის მაზრაში პირველი „საერობო ნორმალური ორკლასიანი რუსული სასწავლებელი“. შემდგომში ქედელებმა ღირსეულად დააფასეს ნ. ვოინიკის ღვაწლი.

1915-16 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით შიდამთიან აჭარაში გაიხსნა 6 დაწყებითი ქართული სკოლა. მათ შორის იყო სოფ. აგარაში გახსნილი ერთკომპლექტიანი სკოლაც, პირველი ქართული სკოლა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მასწავლებლად დაინიშნა ნიკიფორე გეგელია.

აღსანიშნავია, რომ ქედელი იყო აბდულ ეფენდი მიქელაძე, პირველი ქართველი მუსლიმი აჭარიდან, რომელიც გაზეთში დასაბეჭდად წერილებს წერდა. იგი 1853 წ-ს დაიბადა. ქართული წერა-კითხვა ზ. ჭიჭინაძისაგან ისწავლა. მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“, აგრეთვე სხვა პერიოდულ გამოცემებში. ა. მიქელაძე აქტიურად იბრძოდა ქართველი წერა-კითხვის გავრცელებისათვის, რისთვისაც სამოცი წლის მოხუცი ციხეშიც კი ჩასვეს.

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აჭარაში ერთი პერიოდი ჯერ თურქები, შემდეგ კი ინგლისელები ბატონობდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აქ მხოლოდ 1920 წლის 7 ივლისს დაამყარა თავისი იურისდიქცია. უნდა ითქვას, რომ ქართული ხელისუფლების აღდგენაში თავისი წვლილი შეიტანა ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქედელების, აბსოლუტური უმრავლესობის პატრიოტულმა განწყობამ. თუმცა, დამოუკიდებლობის პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა - საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა შეიერთა 1921 წელს

აჭარისწყლის ხეობის ისტორიის შესწავლა სხვადასხვა მონაცემს ემყარება. ჩვენი რეგიონისათვის ზოგადს, მაგრამ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რომაელი მოხელე ფლავიუს არიანე, რომელმაც რომის იმპერატორის აღრიანეს დავალებით ახ.წ. 131 წელს საინსპექციო საზღვაო მოგზაურობა განახორციელა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გასწვრივ [ფლავიუს არიანე, 1961:30-61].

ფლავიუს არიანე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მონაკვეთზე იხსენებს მდინარეებს აფსაროსს, აკამფსისს, ბათისს და აკინასს, აგრეთვე ციხე-ქალაქს აფსაროსს, არიანესვე ცნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობა (მიდრიტების სახელით) ფარსმან II ქართლის მეფეს

ემორჩილებოდა, ხოლო ზღვისპირა აჭარა - ლაზთა სამთავროს ნაწილს შეადგენდა, რომლის გამგებელს, მალასას, სამეფო ნიშანი რომის იმპერატორისაგან მიუღია [ფლავიუს არიანე, 1961:42]. ყველა ნიშნით, ეს ის ლაზთა სამთავროა, რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი თავისი ჰეგემონობით გააერთიანა და ახ.წ. IV საუკუნეში ლაზეთის სამეფო შეიქმნა. ამგვარად ჩანს რომ ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში აჭარა კერძოდ მისი ზღვისპირეთი, ჯერ ლაზთა სამთავროს, ხოლო შემდეგ კი ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. რაც შეეხება აჭარის მთიანეთს, იგი ქართლის (იბერიის) სამეფოს გამგებლობაში ყოფილა [არიანე, ანონიმი].

ყველაზე ადრეულ ქართულ წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“, იგი მრავალმხრივ ცნობებს შეიცავს საკვლევი რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველის თხზულების („ამაზავი მეფეთა, პირველთა მამათა და ნათესავთა“) მიხედვით ირკვევა, რომ ქართლის მეფის, ფარნავაზის დროს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული დაყოფით აჭარა შედიოდა ოძრხის საერისთავოში [ქც, 1955:253].

აჭარა მოიხსენიება დავითის ისტორიკოსის ცნობაშიც და იგი უკავშირდება გიორგი II დროს თურქ-სელჩუკთა ამაოხრებელ შემოსევებს. მემატიანის ცნობით, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აჭარა და სხვა მეზობელი კუთხეები „ადიგსო თურქიტა, მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქვეყანათა მკვიდრი ყოველი“. „წაიბილწა წმინდა ადგილები“ და დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი“ [ქც, 1955:319].

ჟამთააღმწერლის ცნობით, XIII საუკუნეში აჭარა მონღოლთა ყაენს დაქვემდებარებულ სამცხის ხასინჯუმში შედიოდა სარგის ჯაყელის დროს. სამთავროს საზღვრები მაშინაც და მისი მემკვიდრის - ბექას დროსაც ტაშისკარიდან შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

„ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი თხზულებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი იწვევს. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართველ მეცნიერთაგან ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც მაშინდელი საქართველოს ცალკეული ხევებისა თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების პარალელურად, აჭარის აღწერილობაც მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მას არ უმოგზაურია ამ კუთხეში ოსმალთა ბატონობის გამო, და მხოლოდ

მანამდე არსებული მონაცემები შეკრიბა და გაანალიზა მისი ნაშრომი მაინც ფასეულია იმდროინდელი აჭარის ისტორიის შესასწავლად [ქც, 1973].

მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის დოკუმენტი - სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა და სამწყსოთა აღწერილობა, რომელიც აჭარის საეკლესიო დაყოფა-დაქვემდებარებაზე მიუთითებს. ძეგლის მიხედვით, ზემო აჭარა, ანუ „აჭარა დანდალოს ზეითი“ შავშეთთან და მასში შემავალ მიჭიხიანთან (მაჭახელთან) ერთად მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო ქვემო ანუ „დანდალოს ქვეითი“ ქუთათლის სამწყსოს ეკუთვნოდა [ბაქრაძე, 1987:77; კახიძე, სიხარულიძე, 2009:21].

ქართული წერილობითი წყაროების გარდა ყურადღებას იქცევს უცხოურიც. უკანასკნელ წლებში სტამბოლისა და ანკარის არქივებში დამუხჯებული დღემდე უცნობი დოკუმენტებიდან ისეთებიც გამოვლინდა, რომლებიც აჭარას შეეხება. ესენია XVI-XVIII საუკუნეებით დათარიღებული შემდეგი დავთრები: „ზემო და ქვემო აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ შედგენილი სულთან სელიმ I დროს (1566-1574), დავთრები პირველხარისხოვანი წყაროა XVI-XVIII საუკუნეების აჭარის სოციალურ პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. მათში დაცულია ცნობები იმდროინდელი აჭარის მოსახლეობაზე, სოფლების რაოდენობაზე, გამუსლიმანების პროცესებზე, ქრისტიანი და გამუსლიმანებული მოსახლეობის საგადასახადო ვალდებულებებზე და ასე შემდეგ [კახიძე, სიხარულიძე, 2009:24].

აჭარის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი“, რომელიც შედგენილია 1694-1732 წლებში. დავთრის ცნობები შეეხება ქვემო და ზემო აჭარის ლივების ცალკეული სოფლების შემოსავალს, რომელიც ახჩებში იანგარიშებოდა. აქვე დასახელებულნი არიან ოჯაქლიკის, ზეამეთის, საერთო სარგებლობისა თუ სხვა წესით გაცემული მამულების მფლობელები სახელისა და გვარის ჩვენებით; ჩამოთვლილია ქვემო და ზემო აჭარაში შემავალი სოფლები: კვაშტა, აქუცა, მერისი, წონიარისი, ზვარე, მელიქწმინდა, რაბათი, უჩამბა, სამულეთი, ჭვანა, ღურტა, ნიგოზეული, კვატია, ჯვარისახევი, ახალდაბა, ხულო. დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, აგრეთვე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში [კახიძე, სიხარულიძე, 2009:25].

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელებას და ა.შ. წარმატებით იკვლევს თურქოლოგი ზ.შაშიკაძე. მისი სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა გამოყენებული საარქივო მასალის სიუხვით, რომელიც მანამდე ქართველი მეცნიერებისთვის უცნობი იყო. ყურადღებას იქცევს ოსმალურიდან მის მიერ თარგმნილი XVI ს-ის 70-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტი - „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, სხვა ინფორმაციასთან ერთად გვაწვდის საინტერესო ცნობას განვითარებული შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ციხის რაბათების არსებობის შესახებ. წყაროში მოცემულია აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობისა და ქონების აღწერა, სოფლების, მათში მცხოვრები კომლების, შემოსავლებისა და გადასახადების სახეებისა და ოდენობის ჩვენებით. აღწერის მასალებში შეტანილია მოსახლეობისაგან დაცლილი პუნქტებიც კი. დოკუმენტის მიხედვით ზემო აჭარის ლივა (სანჯაყი, სადროშო) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა და მოიცავდა მთელ აჭარისწყლის ხეობას ჭოროხთან შესართავამდე. ზემო აჭარის ნაჰიეში გაერთიანებული იყო თანამედროვე ხულოსა და შუახევის რაიონების დასახლებული პუნქტები, ხოლო აჭარის ნაჰიეში თანამედროვე ქედის რაიონის დასახლებული პუნქტები მდ. აჭარისწყლის ჭოროხის შესართავამდე [შაშიკაძე, 2011:91-101].

ყურადღება გვინდა გავამახვილო ერთ საინტერესო ხელნაწერზე, რომელიც რიგი საკითხების კვლევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ქედაში ორი უძველესი სამკურნალო წიგნი „კარაბადინია“ აღმოჩენილი, პირველი ე.წ. „აჭარული კარაბადინის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც 1893 წელს, ქედის რაიონ სოფელ აგარაში აღმოაჩინა გაზეთ „ივერიის“ კორესპოდენტმა და სახალხო მკურნალმა აბდულ მიქელაძემ [სურმანიძე, 1990:14]. კარაბადინის ავტორის ვინაობა დაუდგენელია, რადგან წიგნში მხოლოდ სამედიცინო ცნობებია გადმოცემული [სურმანიძე, 1990:20], ერთად-ერთი ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ [№223,1993 წ.], საშუალებას გვაძლევს მიახლოებით ვივარაუდოთ ვინ არის ხელნაწერის მფლობელი და როდის არის იგი დაწერილი. „სოფელ აგარაში, – ვკითხულობთ გაზეთში, – ბ-ნ აბდულ მიქელაძეს ერთ ქართველ მაჰმადიანის ოჯახში, პატარა ძველი ქართული ხელნაწერი,

შემოკლებული კარაბადინი უპოვნია, რომელიც ერთ ქართველ მაჰმადიანს ჰქონია და ამბობენ, ეს ორასი სწლისა არისო. ამ მოხუცს ეს ხელნაწერი ძლიერ ფაქიზად შეუნახავს და კითხვაც კარგად იცის თურმე“ [სურმანიძე, 1990:20].

თანამედროვეთა გადმოცემით აგარაში სამკურნალო საქმეში დახელოვნებულნი იყვნენ ფარტენაძეებისა და დევაძეების ოჯახის წევრები. საყურადღებოა რომ მათი შთამომავალნი ამჟამადაც აგრძელებენ მკურნალობას [სურმანიძე, 1990:20].

მანდილოსანი, რომელმაც კარაბადინი აბდულ მიქელაძეს გადასცა ხანდაზმულთა გადმოცემით, უნდა იყოს ხუმაიშე ფარტენაძე-ბერიძისა. ხელნაწერი ამ ოჯახის კუთვნილება იყო, ვფიქრობთ, რომ გადამწერიც იმავე ოჯახიდან უნდა ყოფილიყო [სურმანიძე, 1990:20].

ამგვარად, ჩვენ არ გაგვაჩნია სარწმუნო საბუთი ხელნაწერის ავტორის ზუსტი ვინაობის შესახებ, ამიტომ პირობით ავტორს „აგარელი“ ვუწოდეთ, ხოლო თვით ხელნაწერს – „მცირე კარაბადინი“ (აჭარული ვარიანტი) [სურმანიძე, 1990:20].

1893 წლის ივერიის ერთ-ერთი კორესპოდენცია ამ ხელნაწერს 200 წლის წინანდელად თვლის. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში იგი XVIII საუკუნის მიწურულითაა დათარიღებული, მკვლევარის დაკვირვებითაც ეს თარიღი სწორი უნდა იყოს.

აგარელს კარაბადინი ძალზედ თავისებურად შეუმოკლება. მას გამოუტოვებია ნაწილაკები, კავშირი – „და“, მაქვემდებარებელი კავშირი – „რომ“, ცალკეული სიტყვები და ა.შ., მაგრამ ეს ისე ოსტატურად არის გაკეთებული, რომ ზოგიერთი სტილისტურ-ორთოგრაფიული შეცდომის მიუხედავად, შინაარსი სავსებით გასაგებია და ადვილად იკითხება [სურმანიძე, 1990:23].

ჩვენი კარაბადინის ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მასში თითქმის არ არის ნახმარი უცხო სიტყვები, რითაც დიამეტრულად განსხვავდება დღეისათვის ცნობილი და გამოკვლეული ქართული სამკურნალო წიგნებისაგან [სურმანიძე, 1990:23].

საყურადღებოა, რომ სხვა კარაბადინებისაგან განსხვავებით აგარელის კარაბადინში მხოლოდ ორჯერ არის მოხსენებული „ღვთით შველა“, თანაც ნაკლები მნიშვნელობით [სურმანიძე, 1990:24].

აშკარად ჩანს, რომ მისმა ავტორმა საბოლოოდ აქცია ზურგი უარყოფილ სარწმუნოებას (ქრისტიანობას), ამასთან იგი უარს ამბობს ახლად დამკვიდრებულ

სარწმუნოებაზეც (ისლამზე). ასეთი პოზიცია კარაბადინს სუფთა ხალხურად, ემპირულ წიგნად ხდის, რაც მისდამი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის [სურმანიძე, 1990:24].

ასევე ქედის რაიონიდანაა მეორე მცირე კარაბადინი, რომელიც „ფემბეს კარაბადინის“ სახელითაა ცნობილი. რაც ამ რეგიონში საოჯახო მედიცინაზე გვაწვდის საინტერესო მასალას.

გ 2. სიახლე და მნიშვნელობა

აჭარისწყლის ხეობის ისტორიის შესწავლისათვის წერილობით წყაროებთან ერთად მნიშვნელოვანია ნივთიერი წყაროები. სწორედ არქეოლოგიურმა მასალამ გახადა შესაძლებელი შესწავლილიყო აჭარის ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა თუ მიწისქვეშა კულტურის ძეგლები. ჯერ კიდევ 1885 წელს დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა: „უქველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი ზღვისპირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთეულობა, რომელიც ნათელს მოჰფენს ჩვენს წარსულს საუკუნეებსა“ [ბაქრაძე, 1987:38-39].

აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებით არაერთი მკვლევარი და მოგზაური დაინტერესებულა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, პრასკოვია უვაროვა, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე, იური სიხარულიძე, ხარიტონ ახვლედიანი და სხვა.

პირველი სპეციალისტი, ვინც აჭარისწყლის ხეობის მიწისზედა მატერიალური კულტურის ძეგლებს შეეხო, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია სწორედ ის ნაწილი, რაც გურია-აჭარისა და მთლიანად სამხრეთ საქართველოს ეხება. წიგნში ყურადღება გამახვილებულია, როგორც ქვემო, ისე ზემო აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე. მათ მდგომარეობაზე, გზებსა და საგზაო ნაგებობებზე [ბაქრაძე, 1987].

აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ეთნოგრაფ-მოგზაურის თ. სახოკიას მემკვიდრეობაშიც. მოგზაური საკმაოდ ფართოდ განიხილავს მიწისზედა

ძეგლებს, მათთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებს. საუბრობს დანდალოს ხიდის შესახებ [სახოკია 1985:199-200].

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის შესახებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები.

პირველი მკვლევარი ვისი ბარიც შეეხო აჭარისწყლის ხეობის ძეგლებს, იყო რუსი არქეოლოგი პრასკოვია უვაროვა. მან რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით 1888 წელს იმოგზაურა აჭარა-შავშეთში. მკვლევარმა დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა ყოფაცხოვრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. განახორციელა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოებიც.

ქედის მუნიციპალიტეტი გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევის საგანი არ ყოფილა, მაგრამ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საექსპედიციო ჯგუფის მიერ არაერთი ნივთი გადაურჩა დაკარგვას. მათ შორისაა ქვაკაცი ე.წ. ვეშაპოიდის სახელით ცნობილი, რომელიც სოფელ ტაკიძეებიდან გადაიტანეს ბათუმში 1957 წელს. ასევე საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს მახუნცეთის ბრინჯაოს ბართოხი რომელიც შემთხვევით აღმოაჩინა ადგილობრივმა მკვიდრმა და რომლის შესახებ კვლევებს აქვეყნებს არქეოლოგი დომენტი ქორიძე [ქორიძე, თბილისი, 1965: 68].

აჭარისწყლის ხეობის სიძველეებით ეპიზოდური დაინტერესება მხარის ოსმალთაგან განთავისუფლებისთანავე დაიწყო. საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევითი აღმოჩენები. განსაკუთრებით საინტერესო მასალებმა იჩინა თავი ბოლო ათწლეულებში ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკად აკავრეთას ხეობაში. სოფ. სიხალიძეებში 1991 წელს გზის გაფართოებისას აღმოჩენილი სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ნივთები, ბრინჯაოს სარტყელი, კოლხური ცული და 7 ცალი ყუაკვერიანი ცულები [კახიძე 2007:227-228], სიხალიძეებთან ახლოს სოფ. მერისში შემთხვევით ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიაც იპოვეს [კახიძე 2007:228]. განსაკუთრებით საყურადღებოა 1994 წელს ქედის რაიონ სოფ. ზუნდაგაში მოპოვებული ბრინჯაოს განძი

(ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული, ბრტყელი ცული, სამაჯური, მასიური რგოლები, აბზინდები, მასრისებური ნივთი) [კახიძე, 2007:228]; საინტერესო მასალები გამოჩნდა 1992-1993 წლებში ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაიოში, ესენია: კანელურებით შემკული თიხის ქოთანის, ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიები, რგოლები და რგოლსაკიდი [კახიძე, 2007:232].

დიდი ინტერესი გამოიწვია ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. წონიარისის აღმოჩენებმა; კერძოდ, სხვადასხვა დროს სოფელში შემთხვევით მოპოვებულ იქნა ბრინჯაოს წიწვოვანი ორნამენტით შემკული მშვილდსაკინძი, ბიკონუსური მოყვანილობის კვირისტავი, ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულებით შემკული საკიდები, რკინის წალდი და სხვა [კახიძე, 2007:233]. ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლები განეკუთვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას, რომელთა კვლევა ა.კახიძის სახელთანაა დაკავშირებული. ბუნებრივია, ამ აღმოჩენებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ 2006 წელს ბათუმის არქეოლოგიური, ქედის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმებისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის კომპლექსურმა ექსპედიციამ პირველი სადაზვერვო საველე სამუშაოები განახორციელა სოფ. წონიარისში. ექსპედიციის მიერ მოპოვებული იქნა ბრინჯაოს აბზინდა, რომელზეც გრავირებულია საპირისპიროდ მდგომი ფრინველები, ძეწკვიანი ზოომორფული საკიდი, მშვილდსაკინძი, რკინის სატევრები, რკინის დანა, საჩეხ-საკაფავი იარაღი, ქვის კვირისტავი და სხვა. კლდის თავზე გამოვლენილი იქნა ქვის წყობის ნაშთები და გაკეთდა სათანადო დასკვნები, რომ ძვ.წ. VIII-VII სს ეს მონაკვეთი წარმოადგენდა საფორტეფიკაციო-სათვალთვალო პუნქტს, რომელიც კონტროლს ამყარებდა მდ. აჭარისწყლის ხეობის მნიშვნელოვანი მაგისტრალის მოზრდილ მონაკვეთზე და თვით წონიარისის წყლის მიკროხეობაზე [კახიძე 2007:233].

ძვ.წ. V საუკუნის საყურადღებო მასალაა მოპოვებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. კვაშტას ნამოსახლარის გათხრებისას 1983-1984 წწ [კახიძე, მამულაძე, 1988:57-80]. იგი წარმოადგენდა გამაგრებულ სათვალთვალო პუნქტს, რომლის მსგავსი სამოსახლოები საღორეთსა და კოლოტაურშიც უნდა არსებულიყო [გამყრელიძე, 1982:53-55].

გვაქვს უახლესი მონპოვარიც. 2010 წელს, სოფელ საღორეთში, სოფლის განაპირას, წყლის არხის გაჭრისას, შემთხვევი გამოჩნდა 7 ერთეული ბრინჯაოს

ცული რომელიც ამჟამად გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალშია დაცული. ასეთი და სხვა მონაპოვრები ცხადყოფს, რომ ჩვენი კუთხე საერთო ცივილიზაციის ფერხულშია ჩაბმული ადრე ბრინჯაოს ხანიდან დღემდე და იკვეთება თვითმყოფადი კულტურის დანერგვა, რასაც ხელს უწყობდა აქ არსებული ფერადი ლითონის საბადოები და ვფიქრობთ სახელოსნოებიც ადგილზე იყო მოწყობილი და ადგილზევე მზადდებოდა საჭირო ნივთები.

2016 წელს მარტში სოფ. კოკოტაურში (ქედა) მიწის სამუშაოების დროს ნ. გორგაძის საკარმიდამო ნაკვეთში მოპოვებული ბრინჯაოს კომბინირებული იარაღი, რომელიც ძვ.წ. III - ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. მისი ერთი ბოლო წარმოადგენს შუბისწვერს, მეორე ბოლო კი ხიშტისებურ იარაღს. მსგავსი იარაღი ჩვენს სინამდვილეში პირველად აღმოჩნდა. გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. გვხვდება ჩრდილო კავკასიის საყოველთაოდ ცნობილი მაიკოპის კულტურის ერთ-ერთ დოლმენურ სამარხში, უფრო შორეული პარალელები მახლობელ აღმოსავლეთსა და კუნძულ კრეტამდე მიდის.

ქედის ტერიტორიაზე, რამოდენიმე სოფელში, გამოჩნდა ე.წ. ქვის გობები, ლითონის დაფშვანა დანაწევრებისათვის. ასევე ნაპოვნია ქვის ჩაქუჩები ცეცხლთან მუშაობის კვალით და საქშენი მილის ფრაგმენტები. ეს ყველა მონაპოვარი წარმოადგენს შემთხვევით აღმოჩენებს და შემდგომი კვლევები ფარდას ახდის მასალების დანიშნულებას. უნდა აღინიშნოს რომ ქედის ტერიტორია საკმაოდ მდიდარია ფეოდალური პერიოდის ისტორიული ძეგლებით, საგზაო ნაგებობებით (ქვის თაღოვანი ხიდები, ფილაქვებით მოპირკეთებული გზები, წყაროები და ა.შ.) აქ გადიოდა დიდი აბრეშუმის გზის რამდენიმე მცირე საგზაო განშტოება და ვფიქრობთ, რომ ამ სამრშრუტო გზის დაცვის აუცილებლობით აშენდა ყველა სტრატეგიულ ადგილზე სათვალთვალო კოშკურა, რომელთა შესწავლაც მომავლის საქმეა და მეტად საინტერესო. თითქმის ყველა სოფელში არის მცირე ზომის ქრისტიანული სამლოცველო საყდარის თუ ქილისას სახელით ცნობილი მოსახლეობაში, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქოსოფლი და ზენდიდი.

წლების განმავლობაში შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა; შეიქმნა ძვირფასი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მხარის ძველი ისტორიისა

და კულტურის შესწავლისათვის. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სხვა სახის ნაშრომი, თუმცა ჯერ კიდევ უამრავი ძეგლი რჩება, რომლებიც ექვემდებარება კვლევა-ძიებას.

§ 3. მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის, ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი,“ ქედას მოიხსენიებს, როგორც მცირე ქალაქს და მოკლედ ახასიათებს მას: „ჭოროხს მიერთვის აჭარისწყალი აღმოსავლეთიდან და გადმოდის ზარზმა - აჭარას შორის მთასა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამ წყლის კიდეზე, ამ ხეობის საშუალოს, არს მცირე ქალაქის მსგავსნი დაბა ქედა... და არს აჭარის ხეობანი ვენახოვანი, ხილიან-მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლისა მარცვალთა. არს ტყიანი, ვიწრო, ხრამოვან-ღრანტოიანი, მთიან-ტყიანი ალარიანი კაცნი ხელოვანნი ხისმუშაკობისა“ (ვახუშტი, აღწერა სამეფო საქართველოსი).

შედარებით უფრო ზუსტი და დაწვრილებითი ცნობები აქვს ქედის შესახებ მკვლევარ დავით ბაქრაძეს, მაგრამ სანამ აქ მოგზაურობას დაიწყებდა ერთი კვირა დაჭირდა ბათუმში ლოდინი, რომ ნებართვა მიეღო ფაშასაგან. შეხვედრისას კი, როცა ფაშამ გაიგო, რომ არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად მიდიოდა უთხრა თუ „რა უბრალო საქმისათვის მოგიკიდია ხელიო“ [ბაქრაძე 1987: 21-22]. როცა შემოვიდა ხეობაში ჩანაწერებს ხალხის თანდასწრებით ვერ აკეთებდა რადგან ხედავდა მათ უკმაყოფილებას და რამოდენიმე დღეში ერთხელ ავსებდა დღიურს, ვფიქრობთ სწორედ ესაა ზოგიერთი უზუსტობის მიზეზი, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ქედას თავისი იერი და დანიშნულება აჭარისწყლის ხეობაში არ შეუცვლია და ბაქრაძეც მსგავსად ვახუშტი ბატონიშვილისა (ბაგრატიონი) აგვიღწერს, რომ ქალაქი ქედა სადაც არის 20 - 30-მდე დუქანია და აქურები გამოირჩევიან ხელოსნობით.

ძველ მკვლევარებს შორის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიორგი ყაზბეგი, რომელმაც აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავებული იყო და თურქეთის მთავრობა მოგზაურებს რუსეთის მოსაზღვრე რაიონებში ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამასთან დაკავშირებით გიორგი ყაზბეგი წერდა: „აზიის თურქეთში

მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში და თანაც რუსებისათვის. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება, ამიტომაც მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას - ჩაწეროს ან ჩაიხატოს რამე, წინ ათასგვარი დაბრკოლება ელოდება [ყაზბეგი, 1960: 8].

მეტად საინტერესოა ყაზბეგის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები აჭარაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგს მეტად მცირე დრო ჰქონდა ქვეყნის შესასწავლად, მან ძვირფასი მასალა დაგვიტოვა იმდროინდელ აჭარის მოსახლეობაზე, სოფლის მეურნეობაზე, სამიმოსვლო გზებსა და ვაჭრობაზე. მართალია, მკვლევარი იმდროინდელ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას მთლიანი აჭარის მაგალითზე განიხილავს, მაგრამ ჩვენი საკვლევი რეგიონი, ქედა ხომ აჭარის ერთ-ერთი უძველესი და განუყოფელი ნაწილია, ამიტომ აქ მიმდინარე ყველა მოვლენა ქედაზეც აისახებოდა.

დიმიტრი ბაქრაძე ამბობს: „დონდალო კიდეც საინტერესოა შემდეგით: მის ქვემოთ ყველა აჭარელი შეიარაღებული დადის, ზემოთ კი არა. აქედან იწყება უფრო მოხერხებული გზები, როცა გზად შეხვედრილ ბეგებს ვკითხე თუ საერთო ძალით რატომ არ აკეთებთ გზებს, ეს ხომ თქვენთვისვე იქნება ხელსაყრელი მეთქი, მიპასუხეს, ამას განგებ არ ვაკეთებთ, რომ მთავრობამ საბოლოოდ არ ჩაიგდოს ხელში ჩვენი ქვეყანაო“ [ბაქრაძე, 1987:52]. მკვლევარს აჭარისწყლის ხეობაში მოგზაურობისას ღამე სოფელ საღორეთში ვინმე მუთაოლისთან გაუთევია. „სიტყვა ქართველი აჭარის მცხოვრებთათვის უცნობია და ისინი თავის თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას გურჯი ენას. როგორც მუთაოლის ოჯახში, ისე ყველგან ამ მხარეში ქალები ქართულად უფრო წმინდად ლაპარაკობენ, ვიდრე მამაკაცები. საღორეთულ კილოში პირველად შევამჩნიე ძველი ქართული სიტყვებიცა და ახლანდელი ქართული სიტყვების შეცვლილი ფორმებიც და ხმარებაში შემოსული თურქული ფრაზები [ბაქრაძე, 1987:45].“ აჭარის დაპყრობიდან ესაა სამასი წელი გასულა და ამ კუთხეში კიდეც ქართულად ლაპარაკობენ, თანაც ყველა აჭარის იარლით დადის. ჩანს აჭარები სასტიკად გმობდნენ ოსმალოსა ადათ-წესების მიღებას და თუ საჭირო იქნებოდა იარალითაც კი იცავდნენ თავს. სადაც არ უნდა ყოფილიყო აჭარელი ან გურული გლეხი თესდა, თოხნიდა, მკიდა თუ ძნას

აბამდა იარაღი მუდამ გვერდით ქონდა. ბევრ ტანჯვას, დამცირებას და წამებას იტანდა აქაური წინაპარი, რათა ქართული ადათ-წესები, ზნე-ჩვევები გადაერჩინა და თაობიდან თაობაზე გადაეცა. არსებობს თქმულება: დანდალოს ქვის თაღოვან ხიდზე ხატი დაასვენეს, ვინც ფეხს დაადგამდა მას მეორე ნაპირზე სიმდიდრე და ქება დიდება ელოდა ვინც არა, თავს კვეთდნენ და მდინარეში აგდებდნენ. ამის დასტურად, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, თაღოვან ხიდთან, სადაც ეხლა ეკლესია შენდება 25-30 წლის წინათ მიწის კულტივაციის დროს რამოდენიმე უთაო ცხედარი გამოჩნდა.

როცა დ. ბაქრაძე ჭოროხის მარჯვენა შენაკად აჭარისწყლის ხეობას შეუდგა აგვიღწერს, რომ გზა ძალიან ცუდია „თვით აქაურებიც, თუ საჭირო არ არის, ღამით მგზავრობას ერიდებიან. როცა გზად შეხვედრილ ბეგებს ვეკითხებოდი, საერთო ძალით რატომ არ აკეთებთ გზებს, ეს ხომ თქვენთვისვე იქნება ხელსაყრელი მეთქი, მიპასუხებდნენ, ამას განგებ არ ვაკეთებთ, რომ მთავრობამ საბოლოოდ არ ჩაიგდოს ხელში ჩვენი ქვეყანაო (ე.ი. თურქეთმა, ვ.ფ.) [ბაქრაძე, 1987:42].“ როცა მოგზაურობის მარშრუტს აგვიღწერს „ჩვენ გავიარეთ სოფლები: კაპნისთავი, ჭალახმელა, ბაბუჩოღლები, მახუნცეთი და ზურა (უნდა იყოს ზვარე, ვ.ფ.) და მივადექით გრძელ ბოჭოხიდის აღმართს [ბაქრაძე, 1987:43]“. აქაც მცირე უზუსტობაა, ნახსენები ბოჭოხიდი დღევანდელი პირველი მაისის ტერიტორიაზეა და არა ზვარის შემდეგ. „ამ ხიდის ქვემოთ დამანახეს ძველი სახლი ერისთავთა გვარის ბეგებისა, რომლებიც უკვე ამომწყდარან [ბაქრაძე, 1987:43]“.

სხვა არც ერთ მკვლევარს არა აქვს ნახსენები ერისთავთა ვადების არსებობა ქედის ტერიტორიაზე, მაგრამ მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე მახუნცეთის ტერიტორიაზე, აქვე არსებულ ქვის თაღოვან ხიდთან ახლოს დღესაც არის ნამოსახლარის კვალი და სწორედ ეს ნამოსახლარი უნდა იყოს ერისთავებისა. ასევე არსებობს თქმულება, რომ ერისთავები ცხოვრობდნენ სოფელ ვაიოს ტერიტორიაზე, სოფელ აქუცის საზღვართან, იქ, სადაც საცალფეხო ხიდია, „ვაიხიდის“ სახელით ცნობილი, სადაც სულ ახლახან გამოჩნდა მდინარე აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე ძველი ხიდის ბურჯი.

ქედის შესახებ თითქმის ერთი და იგივე ცნობას გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი და დიმიტრი ბაქრაძე. დ. ბაქრაძე წერს „ქედა სავაჭრო პუნქტია გარშემო მცხოვრებთათვის: აქ არის 20-30 დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვება ყავა,

ჩაი და სხვა წვრილმანები. ქედა აჭარისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ოთხი უბნისგან შედგება: საკუთრივ ქედა, ასანური (არსენაული, ვ.ფ.) და ორცვა მარცხენა და გულები მარჯვენა ნაპირზე [ბაქრაძე,1987: 48]“.

რადგან მოგზაურს კაიმაკამი ხუსეინ-ალა ადგილზე არ დახვდა, იგი სოფელ ორცვაში იმყოფებოდა საზაფხულო „რეზიდენციაში“, გადაწყვიტა მასთან შეხვედრა და აგვიღწერს თუ როგორი წვალეებით ააღწია აგვისტოს პაპანაქებაში სოფელ ორცვაში [ბაქრაძე, 1987:48]. უკან დაბრუნებისას ეკლესიის საძირკველს წააწყდა, ვფიქრობთ არსენაულის ტერიტორიაზე, ხოლო „ჩვენ ქვემოთ ზედ მდინარესთან იდგა პატარა კვადრატული ციხე თავდგირიძის გვარის ბეგებისა, რომელთაც უკვე მიუტოვებიათ ქედა [ბაქრაძე, 1987:48]“. აღნიშნული ციხე ამჟამინდელი ეკლესიის ადგილას უნდა მდგარიყო, სადაც მანამდე კინოთეატრის შენობა იდგა.

ღამე ქედაში, ვინმე მოხუც, ხელობით დალაქ დიასამიძესთან გაუთენებია და მას დაუჩივლია „ჩემს ახალგაზრდობაში, დასძინა მოხუცმა, ჩვენ ვლოცულობდით მათს ნანგრევებში (ე.ი. ეკლესიის, ვ.ფ.) ძველი ჩვეულებისამებრ, ვიცოდით რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ. ახლა აჭარლებს მხოლოდ შიშსა გვრით ის ადგილები, სადაც ოდესღაც ეკლესიები იდგა და ბევრი მათგანი ვერ ბედავს მიუახლოვდეს მათ. ძველი ქრისტიანული ჩვეულებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილა. მაგალითად, კვერცხის შეღებვა სააღდგომოდ. აქ ახსოვთ წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიც. თუმცა ყველაფერი ეს დავიწყებას ეძლევა [ბაქრაძე, 1987:49]“. ასევე მოხუცი დიასამიძე აღნიშნავს, რომ „ასე 30 წლის წინათ აჭარაში თურქულს მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ხალხი ლაპარაკობდა, ვისაც თურქეთის ქალაქში ჰქონდა საქმე... ჩვენი ქალები კი ახლაც არ ლაპარაკობენ თურქულად [ბაქრაძე, 1987:49]“. საინტერესოა, რომ 1840 წლამდე არც ერთი მეჩეთი არ იყო აჭარაში. 1874 წელია და თურქული ენა ახლა იკიდებს ფეხს. ნათლად ჩანს, რომ აქაური მცხოვრებნი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა უცხო ადათ-წესები არ მიეღოთ, თქვენ წარმოიდგინეთ გზებსაც კი არ აკეთებდნენ, რომ მტერი ადვილად შემოვაო.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ისტორიული ფაქტი რომ ქედასა და მაჭახლის ხეობას მტკიცე ურთიერთ-კავშირი ჰქონდა; პირველი რა თქმა უნდა

გეოგრაფიული მდებარეობა; მაჭახლის ხეობა და ქედა შავშეთის ქედის გაგრძელების განშტოების გარდიგარდმო მდებარეობს. მეორე – გეოგრაფიულ მდებარეობას ადგილობრივი მკვიდრნი კარგი დამოკიდებულებითა და ერთიანი პოზიციით ამაგრებს. თუნდაც ის ფაქტი, როცა ლივანის მოსახლეობამ იოლად დათმო საკუთარი ადათწესები და მაჭახელსა და აჭარაში მიმოსვლასაც არიდებდნენ თავს, ამ დროს გაუნაწყენდნენ კიდევ მაჭახელ-აჭარის მოსახლეობა ლივანის მცხოვრებთ.

ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, კერძოდ, როცა ვსაუბრობდით ქედის რაიონის მნიშვნელობასა და როლზე აჭარისწყლის ხეობაში. ვფიქრობთ, რომ როცა ვამბობთ ქედა დამაკავშირებელი რგოლია აჭარისწყლის ხეობაში ზედა და ქვედა აჭარისა, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს ვახუშტიმ დაახასიათა როგორც სავაჭრო ცენტრი და მსგავსი ადგილი აჭარაში მას არ შეხვედრია. ასევე მრავალ დარგობრივ სავაჭრო ცენტრად აგვიღწერს დ. ბაქრაძე. იგი ამბობს, რომ აქ 20-30 სავაჭრო დუქანი არისო. „სოფლებიდან განსაკუთრებით მაინტერესებდა ქედა, ერთად-ერთი დასახლებული ადგილი აჭარაში, რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს.“ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქედა მართლაც ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი იყო აჭარისწყლის ხეობაში. ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის პროდუქცია აქ იყრიდა თავს და აქედან კეთდებოდა მისი რეალიზაცია, თორემ 20 და 30 დუქანი ადგილობრივი მოსახლეობის ბაზაზე ვერ იარსებებდა.

ქედის მუნიციპალიტეტი, გასული საუკუნის მიწურულამდე, შეუსწავლელ კუთხეს წარმოადგენდა აჭარისწყლის ხეობაში, თუ არ ჩავთვლით XIX საუკუნის 70-იან წლებში რამოდენიმე მოგზაურის მოკლე ცნობებს. კერძოდ; თედო სახოკია, რომელმაც 1896 წელს იმოგზაურა გურიაში, ოსმალთა უღლისაგან ახლად განთავისუფლებულ აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. ასევე ამ მხარეში იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძემ, მაგრამ, მისივე თქმით, მოგზაურობა იმდენად კომპლექსურ ხასიათს ატარებდა, რომ ჩანაწერებს ადგილობრივი მოსახლეობის თანდასწრებით ვერ აკეთებდა, რადგან ერიდებოდა უსიამოვნებებს, რომელიც შეიძლებოდა მოყოლოდა უცხო დამპყრობთა უღელში მყოფი ხალხისაგან.

გასული საუკუნის მიწურულს (1999წ.) ქედის რაიონში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც ამჟამად ისტორიული მუზეუმის სახელს ატარებს. გახსნის დღიდან და მანამდეც ამ ნაშრომის ავტორი აგროვებდა არქეოლოგიურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალებს კუთხის წარსულზე. მუზეუმის გახსნა არის ქედის რაიონისათვის სავიზიტო ბარათი იმ ისტორიის შარავნაზე, სადაც დღემდე მოიხსენიებოდა ეს კუთხე. ჩვენი მთავარი მიზანი და ამოცანაა მოვამზადოთ საფუძველი იმისი, რომ ქედის რაიონის ისტორია შევისწავლოთ ძირფესვიანად და ეს პატარა რეგიონი მოექცეს იმ ჩარჩოებსა და საზღვრებში რასაც წარმოადგენს. ეს რეგიონი მთასა და ბარს შორის მოქცეული ადგილია, რომელმაც ისტორიისათვის ასეთი მნიშვნელობა შეიძინა. 1. დიდ მკვლევარებს არაერთგზის უხსენებიათ და შემდგომ ჩვენც გვექნება საუბარი ქედის ბუნებრივ-გეოლოგიური მასალებით სიმდიდრეზე. 2. გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა. 3. ქედა იყო აჭარისწყლის ხეობაში მთასა და ბარს შორის ურთიერთდამაკავშირებელი გარდამავალი რგოლი.

ქედის საზღვრები მოქცეულია (ამჟამად) დოლოგანსა და დანდალოს შორის.

თუმცა არის ცნობები საზღვრების ცვლილებებზე, მაგრამ ამით არსებითად არაფერი იცვლებოდა. დანდალოს ზევით იწყება წიწვოვანი ზონა, ხოლო დოლოგნის ქვევით ბარი. ყოველივე ამას ხელს უწყობდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო; ქედისაგან განსხვავებით შუახევ-ხულოს რეგიონი ალპური ტერიტორიული უპირატესობით სარგებლობს და ამასთან მაქსიმალურადაც გამოიყენებენ, ხოლო რაც შეეხება ბარის უბანს იგი შავ ზღვასთან ახლოსაა და მისი ყოფა-კულტურა სხვა გზით ვითარდება. სწორედ ამ ორ სტაბილურ რეგიონს შორის მოექცა ქედის ტერიტორია, რომელსაც არც ალპები გააჩნდა და არც შავი ზღვის სიახლოვე. მაგრამ მისმა ბუნებრივ-გეოლოგიურმა სიმდიდრემ (სპილენძისა და ოქროს საბადო) გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ამ რეგიონს განვითარება-ჩამოყალიბებაში. დღესაც არსებობს ქობულეთი-ჩაქვის ტერიტორიიდან უმოკლესი გზები რომლებიც სოფლებში: ზუნდაგაში, აგარასა და წონიარისში გადმოდის. სოფელ ზუნდაგაში დღესაც დგას სახლი, რომელსაც ადგილობრივები „მეიდანოდას“ ეძახიან. თუ მგზავრს დაულამდებოდა და ამ ქოხში შევიდოდა, მაგიდაზე ჭრაქი იდო

ყოველთვის. მგზავრი ანთებულ ჭრახს სარკმელთან დადგამდა დაინახავდა ამას მეპატრონე და სტუმარს უმასპინძლებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქედის შესახებ უძველესი ლიტერატურული მასალები ჩვენს არქივებში ძალიან ცოტაა, რაზეც ოსმალს სამასწლიანმა ბატონობამ მოახდინა გავლენა. ვრცელი მასალები უნდა ინახებოდეს თურქეთის არქივებში, რომლის სააშკარაოზე გამოტანა ცალკე კვლევის საგანია და ვფიქრობთ მალე აეხდება ფარდა ამ „საგანძურს“.

ძველ მკვლევარებს შორის საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიორგი ყაზბეგი, რომელმაც აჭარაში იმოგზაურა 1874 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა ძალზე გამწვავებული იყო და თურქეთის მთავრობა მოგზაურებს რუსეთის მოსაზღვრე რაიონებში ექვის თვალთ უყურებდნენ. ამასთან დაკავშირებით გიორგი ყაზბეგი წერდა: „აზიის თურქეთში მოგზაურობა არც თუ ისე უხიფათოა, განსაკუთრებით რუსეთის მოსაზღვრე ადგილებში და თანაც რუსებისათვის. ჩვენს მეზობელს ყველაფერში მუქარა ელანდება, ამიტომაც მოგზაურის ყოველ ნაბიჯს, ყოველ შეკითხვას, განსაკუთრებით კი ცდას - ჩაწეროს ან ჩაიხატოს რამე, წინა ათსგვარი დაბრკოლება ელოდება“ [ყაზბეგი, 1960:8].

ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით აჭარა და ბათუმი გაერთიანებული იყვნენ ლაზეთის სანჯაყში, რომელიც თავის მხრივ შედიოდა ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში. ტრაპიზონის ვილაეთი 7 სანჯაყისაგან შედგებოდა [ყაზბეგი, 1960:52].

ლაზეთის სანჯაყს, სპეციალური კანონებით პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან განაგებდნენ მუთესარიფის საშუალებით, რომლის ადგილსამყოფელი ქალაქი ბათუმი იყო [ყაზბეგი, 1960:52].

ვილაეთი – ვილაეთის ადმინისტრაციული, ფინანსური, პოლიტიკური და პოლიციური მმართველობა ვალის ხელში იყო.

სანჯაყი (ლივა) – სანჯაყის ადმინისტრაცია შემცირებული სახე იყო ვილაეთისა. სანჯაყს მუთესარიფი განაგებდა, რომელიც ვალის ზედა მხედველობით, სათანადო ადმინისტრაციული ხელისუფლებით სარგებლობდა. სანჯაყის სასამართლოს სათავეში იდგა ყადი, რომელიც ყველა სასამართლო საქმეებს წყვეტდა [ყაზბეგი, 1960:65].

კაზა – კაზის ადმინისტრაცია კაიმაკამის ხელში იყო. ფინანსურ ნაწილში კაიმაკამი ვალდებული იყო აეკრიფა სახელმწიფო გადასახადი და გადაეგზავნა იგი სანჯაყში. სასამართლო ნაწილი კაზაში ყადის ეკუთვნოდა. იგი თავმჯდომარეობდა სასამართლოში. კაზებში შედიოდნენ ნიჰიები და სასოფლო თემები [ყაზბეგი, 1960:66].

თემი – თემის ადმინისტრაცია მუხტარს (მამასახლისი) ეკუთვნოდა. მუხტარები თემებში ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ, რომელთაც ევალეზოდან გადასახადების აკრეფა და ადმინისტრაციის ბრძანებების განხორციელება, მათ ემორჩილებოდნენ აგრეთვე სოფლისა და ტყის მცველები.

ყაზბეგი შემდეგნაირად აღწერს აჭარაში მართვა-გამგეობას: სოფლის მმართველობა, მეჯლისის ხელშია (სასამართლო, საბჭო), რომელსაც ყადი თავმჯდომარეობდა და შედგება რამდენიმე არჩეული პირისაგან. კვირაში ერთხელ (პარასკეობით) მართლმორწმუნენი იკრიბებიან მეჩეთში, სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი არჩევს მცხოვრებთა საჩივარს. სოფლის მეჯლისი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანციაა; შემდეგაა სასამართლო და მუდირის მმართველობა (ხულოში), მას მოსდევს სასამართლო და კაიმაკამის მმართველობა (ქედაში), და ბოლოს მუთესარიფი (ბათუმში) [ყაზბეგი, 1960:54].

თურქეთის იმპერიის მართვა-გამგეობაში, ისევე როგორც სხვა სფეროში, საშინელი კორუფცია სუფევდა. ადმინისტრაციული თანამდებობანი, ფაქტიურად, ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენდა. „ფაშების, მუთესარიფების, მუდირების, კაიმაკამების და სხვა მოხელეთა მექრთამეობას საზღვარი არ ჰქონდა; იგი გამომდინარეობდა ოსმალეთის მმართველობის საერთო სისტემიდან, რადგან ადმინისტრაციულ მმართველებს ეძლეოდათ პროვინციები საქმელად“ [ყაზბეგი, 1960:55].

ყაზბეგის გადმოცემით, აჭარაში „შინ ყველა ქართულად ლაპარაკობს... სულ არ იცოდნენ თურქული ენა; ახლა კი იციან ქალებმა, მაგრამ სანახევროდ“. თურქული ენისა და ისლამის სწრაფად გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა ჯამეებისა და მედრესეების გახსნამ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ეს პროცესი საკმაოდ გვიან დაიწყო, ამის მიზეზი კი ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობა იყო დამპყრობლების მიმართ [ყაზბეგი, 1960:55].

ზემო აჭარაში პირველი მეჩეთი და მედრესე ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის ხელშეწყობით გაიხსნა 1839 წელს, ხოლო ბათუმში 1863 წელს, თურქეთის სულთნის მფარველობით აშენდა აზიზიეს მეჩეთი [ყაზბეგი, 1960:57].

აქედან კარგად ჩანს, რომ აჭარაში ოსმალეთის სახელმწიფოს წესების პირველი გამტარებელი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი ყოფილა [ყაზბეგი, 1960:68]. მას შემოუღია ქვეყანაში ოსმალური გადასახადები. ამავე დროს მოსულან აჭარაში პირველი თურქი მოხელეები [ყაზბეგი, 68], დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის ჯარში წაყვანა, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ახმედ-ფაშამ თავისი მამული ვაყუფად შესწირა და გახსნა მეჩეთი და მედრესე აჭარაში, მაშინ გასაგები გახდება, რომ გაოსმალების სწრაფი პროცესი სწორედ ახმედ-ფაშას დროიდან იწყება [ყაზბეგი, 1960:68].

ახმედ-ფაშას სიკვდილის შემდეგ ძმებში მეტი გავლენა ჰქონდა ქორ-ჰუსეინ-ბეგს, რადგანაც ახმედ-ფაშას ვაჟი შერიფ-ბეგი მცირეწლოვანი იყო, ქორ-ჰუსეინი მართავდა მთელ აჭარას და ყოველნაირად უშლიდა ხელს მის გაოსმალებას [ყაზბეგი, 1960:68]. ქორ-ჰუსეინ-ბეგის დასამარცხებლად აჭარაში გამოგზავნეს ჭყონია-ფაშა, ქართველი რენეგატი, ცნობილი თავისი ფიზიკური ძალით და სიმტკიცით. მან თავის რეზიდენციად აირჩია ქალაქი ქედა და იქიდან შიშის ზარს სცემდა ახლო-მახლო ადგილებს, მაგრამ ქორ-ჰუსეინმა დაამარცხა იგი და ქედიდან განდევნა [ყაზბეგი, 1960:68]. მაშინ ოსმალეთის სულთანმა ქორ-ჰუსეინის წინააღმდეგ გაგზავნა ქეი-ოღლი ტრაპიზონელი. ქორ-ჰუსეინის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიდრა აგრეთვე ყარსის ფაშა. ქორ-ჰუსეინი დაამარცხეს და ყარსში წაიყვანეს, მან მოახერხა გაქცევა, მაგრამ ხელმეორედ დაატყვევეს და სტამბოლში გაგზავნეს, სადაც 1840-იანი წლების დასასრულს გარდაიცვალა [ყაზბეგი, 1960:68]. ამის შემდეგ აჭარაში ქეი-ოღლის მმართველობა დამყარდა.

ჩვენ შევჩერდებით ერთმნიშვნელოვან საკითხზე – აჭარის ურჩი თავადის ქორ-ჰუსეინის წინააღმდეგ საბრძოლველად ფაშამ ქალაქი ქედა აირჩია და აქედან შეებრძოლა მას[ყაზბეგი]. ქედაში დღესაც საუბრობენ იმაზე, რომ რუსების დასახლებაში (პატარა უბანია აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე) გილიოტინა დგმულა. არ არის გამორიცხული აქ სასაკლაოს მომწყობი სწორედ სასტიკი, რენეგატი, ჭყონია-ფაშა ყოფილიყო. უფრო მეტიც – ზენდიდის ციხე, რომელიც სოფლის ყველაზე შემაღლებულ ადგილასაა აგებული, ადგილობრივების თქმით

ხიმშიაშვილებთან ბრძოლაში დაინგრა, მაგრამ არაა გამორიცხული ჭყონია-ფაშა აქ გამაგრდა თულუმბა-ბეგთან (ხალხის გადმოცემით ციხის უკანასკნელი მმართველი) ერთად და ადგილობრივ დამხმარე ძალებით შეეცადა ქორ-ჰუსეინის დამარცხება – ქორ-ჰუსეინმა ხომ ჭყონია-ფაშა გააძევა ქედიდან [ყაზბეგი]. სავსებით სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ბრძოლა ზენდიდის ციხეში მოხდა, ქედაში სხვა ციხე-სიმაგრე არ არის (მხედველობაში გვაქვს „ქალაქი ქედა,“დაბის სიახლოვე), სადაც შეიძლებოდა ფართო მამულებიანი ბრძოლის წარმოება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აჭარის ტერიტორიას XIX – საუკუნის მკვლევარები შემდეგნაირად ყოფდნენ: ჩურუქსუ – თანამედროვე ქობულეთი, ბათომი – ბათუმი, სადაც უფრო კახაბრის ტერიტორია ყოფილა დასახლებული, კახაბრის ველების დასასრულით თანამედროვე ხელვაჩაურის დაბის ცენტრიდან დაბა აჭარისწყლამდე – ქვემო აჭარა, მაჭახლის ხეობა მაჭახლის ხეობითვე იყო, ხოლო დაბა აჭარისწყლიდან ჭვანის წყლამდე, ახლანდელი ხიჭაურის ჩათვლით – აჭარას უწოდებდნენ, ხოლო ჭვანისწყლის ზემოთ ახალციხის საფაშომდე – თანამედროვე ადიგენის ტერიტორიამდე ზემო აჭარა. ამით იმისი თქმა მინდა, რომ თანამედროვე ქედის უმეტესი ნაწილი, თუ არ ჩავთვლით სოფელ მაღლაკონსა და დაბა ხიჭაურს, აჭარის ტერიტორიაში შედიოდა. ესე იგი ჩვენს შემთხვევაში, როცა მოგვყავს XIX – საუკუნის მკვლევარების დოკუმენტური მონაცემები და სადაც აჭარაა ნახსენები, იგულისხმება ჩვენი საკვლევი ობიექტი ქედა.

ასევე ქედის შესახებ საინტერესო და დეტალურ მასალებს გვაწვდის ქართველი მოგზაური, მხცოვანი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია, რომელმაც აჭარისწყლის ხეობაში 1897 წელს იმოგზაურა და საინტერესო მასალები დაგვიტოვა.

მოგზაური ქედის შესახებ თხრობას იწყებს მაშინ როცა ხულოდან ბრუნდება უკან. მას აოცებს ბუნების სილამაზე „ერთი-მეორეზე უკეთესი სურათი ბუნებისა მგზავრს სევდას უკუ-უყრის“ [სახოკია, 1985:306]. მოგზაურისათვის ძნელი და სარისკოა ის გზა, რომელიც ბათუმისკენ მიემართება, და ალბათ ამიტომაცაა, რომ მგზავრთა სიმცირეს განიცდის, „საათის სავალ მანძილს ისე გაივლით, რომ მგზავრს ვერ დაინახავთ“ [სახოკია, 1985:306]. თედო სახოკიასათვის ტკივილს წარმოადგენს ის

გარემოება, რომ აქ სამუშაოებს მოსული უცხო მხარის წარმომადგენლები ასრულებენ და შემოსავალსაც ისინი იღებენ. აქაურები კი უბრალო იაფფასიან სამუშაოს ასრულებენ ან საერთოდაც უანგაროდ მუშაობენ სარისკო და ძნელ საქმეზეო, „ქა-იქ გზვდებათ ბერძენი კალატოზები, ქვის ხიდების მკეთებელნი. მათთანვე ნახავთ აჭარელსაც, მაგრამ ესენი უბრალო იაფფასიან სამუშაოს ასრულებენ. შეხვდებით აგრეთვე სპარსელთ, რომელთაც ფურგონებით ბათუმიდან ხიდებისთვის საჭირო მასალა და მომუშავე ბერძენთა სურსათი დააქვთ. ცხრა-მთას იქიდან მოსული კაცი თავის კარ წინ პირიდან ლუკმას აცლის. აჭარელს ფურგონისათვის საჭირო ცხენები ყოველთვის მოეძებნება, მაგრამ ბეჩავს ისიც-კი ვერ მოუხერხებია, რომ თავისი ცხენი მოთხოვნილების შესფერისად გამოიყენოს და თავის კარ წინ გადავარდნილი ლუკმა თავის ჯიბეში ჩაიგდოს... გაივლით ცოტად და ხედავთ იგივე აჭარელი, გზის გასაგანიერებლად კლდეებს ნაღმებით ამტვრევენ და საზოგადოდ ასრულებენ სამარცხო და ძალღ-უმადურ სამუშაოს“ [სახოკია, 1985 ;306].

ასევე მოგზაურის თვალს არ გამოჰპარვია ბარის უბნის მიწების მოსავლიანობა და ბუნებრივი კლიმატი თუ როგორ აისახება სიმინდის ყანებზე. როცა მოაღწია სოფელ დანდალოს ასე აგვიღწერს იქაურობას - „ გამოვიარეთ ჭვანა, ახალდაბა - საზღვარი ზემო და ქვემო აჭარისა. მოვატანეთ სოფ. დანდალოსაც. აქ აჭარის წყალზე ხიდია, ახლად გაკეთებული, და მისსავე გვერდით ურყევად დგას ძველებური ხიდი. ორივე სამირკველი მისი კლდოვან ნაპირებზე დგას, სიგრძე 12 მხარი აქვს, განი 4 ადლი. რადგან ახლა ზედ არავინ დადის, მთლად სუროს დაუფარავს. თქმულებაა დარჩენილი, რომ შავი ზღვიდან გემები დანდალომდე ამოდიოდნენ და მახლობლად კლდეში რკინის რგოლებია ჩარჭობილი გემების დასაბმელადო [სახოკია, 1985:307].

ქედაში გვიან ღამით მოსულს ქედის ნაწილის კანცელარიის უფროსმა ვინმე სვ. იოსელიანმა გაუწია ყველა საჭირო დახმარება. მეორე დღეს დაათვალიერა ქედის მაზრა და ამბობს „ ორპირად ჩამწკრივებულია პატარა, კოლოფების მსგავსი ოციოდე ხის დუქანი, რომელშიც თავი კუდს ძლივს მოიქნევს. აქ არის საფართლო, სამჭედლო, საწვრილმანო, სამიკიტნო, სხვა. მოვაჭრეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთა გარდა სომხებსა და ბერძნებსაც შევხვდები. ამ დუქნებს შუა მოედანზე პარასკეობით სოფლელთ გამოაქვთ სხვადასხვა ხილი, ყველი, ერბო (არტაანიდან მოტანილი), რომელიც აქ სამაბაზ ნახევრად ფასობს, ადგილობრივი შალი მეტად

მტკიცე (ალაბი 23 კაპიკად), ცაცხვის ქერქისგან ხელოვნურად გაკეთებული თოკები (6 მხარი აბაზად), მატყლი (ოყა 25 კაპ.), ძროხისა და ცხვრის ხორცი [სახოკია, 1985:307].

ქედის მუნიციპალიტეტი, რომ აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრია ამაზე არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება. თვითონ თედო სახოკიაც ამბობს „ საზოგადოდ, ქედა ქვედა-აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთანავე შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი აღებ-მიცემა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქ სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უეჭველად ქედას უნდა მოატანოს, რადგან მთელ ქვედა-აჭარაში, გარდა სოფ აჭარის-წყლისა, დუქანი სხვაგან არსად მოიძებნება“ [სახოკია, 1985:309].

ქედის მუნიციპალიტეტი, რომ მდიდარია ფერადი ლითონის საბადოთი ამაზე არაერთხელ გვისაუბრია და შემდგომაც ვისაუბრებთ, მაგრამ XX- საუკუნის ბოლოსათვისაც ხდებოდა მისი მოპოვება და ბაზარზე გატანა. „ქედის მეორე ნაწილი, აჭარის-წყლის მარჯვნივ მდებარეობს, წარმოადგენს ოთხიოდ ხის დუქანს, ორსართულიან ქვითკირის შენობას სასოფლო ქსენონისას და ორიოდ სხვა კერძო სახლს. იქვეა საწყობი და სასწორი სოფ. მერისიდან სპილენძის მწარმოებელ რიხნერისათვის ჩამოტანილი სპილენძის ლითონისათვის“ [სახოკია, 1985:309].

მოგზაურისა და მკლევარის გონებაგამჭრიახობას აქაური ბეგების წარმომავლობაზე ყურადღების გამახვილება არ გამოორჩენია. „ თუფან-ბეგ შარაშიძის წინაპარი აფხაზი ყოფილა. რაღაც დაუშავებია და აფხაზეთიდან მთავრის რისხვას გამოქცევია აჭარისაკენ. აქაურობა იმ დროს ახალციხელ ჯაყელების ხელში ყოფილა. ახალ-შემოხიზნული აფხაზი თავადიშვილი ჯაყელს ალერსიანად მიუღია და მისი გვარშვილობის შესაფერი ადგილ-მამულიც მიუცია“ [სახოკია, 1985:310].

თედო სახოკია ქედიდან ბათუმისაკენ, 1897 წლის 24 აგვისტოს წასულა და თან მას ოთხი ახალგაზრდა გაჰყოლია. აქედან ორი თუფან-ბეგ შარვაშიძის შვილი იყო, ორიც კი მათი ნათესავი. ოთხივე ბათუმში ახალგაზრდა გიმნაზიაში უნდა მიეზარებინათ. ამ ოთხიდან ერთი ყადირ შევაშიძე იყო - ეს ის ექიმი ყადირ შერვაშიძეა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაში, რომლის აქტით გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ყადირ შერვაშიძე მეექვსე სვეტში აწერს ხელს დამოუკიდებლობის აქტს [აბაშიძე, 2017:107].



ცხმორისი უძველესი ქართული სოფელია. მისი სახელწოდება უკავშირდება ფლორონიმ ცხემლის ლაზურ შესატყვისს „ცხემურ-ს“ და წარმოადგენს მისგან ნაწარმოებ ნაგენეტივარ სახელს, რომელსაც დართული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ცხმორისი. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმია ცხემლისი, თუმცა მას საფუძვლად უდევს ფლორონიმის ქართული სახელწოდება. ამავე ფლორონიმის სვანური შესატყვისისგან, ცხუმისგან, წარმოსდგება ტოპონიმი სოხუმი (ლაზური ფუძეები აჭარის ტოპონიმიკაში ხშირად გვხვდება. მაგალითად, ცხმორისის მსგავსად, ლაზური ფუძის ნაგენეტივარი ფორმა დასტურდება ცხმორისის მეზობელი სოფლის ჭყანიშის დასახელებაში (ფუძე „ჭყონ“ მუხას აღნიშნავს, თანაც მასში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანიც ლაზურია: ჭყან-იშ).

შუა საუკუნეებში ცხმორისი განთქმული ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიით, რომელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სასწაული ცნობილ მწერალს ტბელ აბუსერისძეს (1190-1250წწ). აქვს აღწერილი ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. ამ თხზულებაში პირველად გვხვდება სოფელ ცხმორისის სახელწოდება: „დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი“.

ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესია იერარქიულად ექვემდებარებოდა ქუთაისის მიტროპოლიტს, როგორც ამას XVI საუკუნის მესხური დოკუმენტი „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-მთავარნი და მწყემსნი“ გვამცნობს: „აჭარა დანდალოს ქვემოთი ქუთათლის სამწყსო ყოფილა“.

ტბელ აბუსერისძის თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მწერალი თავად სტუმრობდა ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიას და სასწაულიც აქვე ჩაუწერია. ჩანს ისიც, რომ ცხმორისის მკვიდრები ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდნენ თავიანთ მფარველ წმინდანზე და ამაცობდნენ წმ. გიორგის სასწაულთმოქმედი ტაძრით, რომლის წინაც ორი ცხმორისელი ხელოსნის, კუანილისა და პონილის, ტყვეობიდან თავდახსნის სახსოვრად ბორკილებს ინახავდნენ.

ცხმორისელ კუანილს ბორკილები მაღლიერების ნიშნად შეუწირავს წმ. გიორგის ტაძრისთვის და ეს რელიკვია ტბელ აბუსერისძის დროსაც ეკლესიის წინ თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი: „აწცა ჰკიდვან ბორკილნი იგი წინაშე მისსა” - გვაუწყებს მწერალი.

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული მოთხრობა წმ. გიორგის ქართულ სასწაულთმოქმედ ტაძრებს ეძღვნება, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია შუარტყლის წმ. გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას. ეს ტაძარი იმით ყოფილა განთქმული, რომ შუარტყელ ქვითხუროს - ბასილს მარტოდ, სხვების დაუხმარებლად, აუგია. შუარტყლის ტაძარს მკვლევარები XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ, რადგან ვერც ბასილს და ვერც მის შვილ ივანეს (იოვანეს) ტბელ აბუსერისძე ცოცხლებს ვერ მოსწრებია. იგი მხოლოდ ივანეს შვილს - მღვდელმონაზონ იოსებს იცნობდა, რომელიც მოთხრობის დაწერის დროს უკვე გარდაცვლილი იყო. იოსები მოსწრებია ხვარაზმელთა საქართველოში შემოსევას (1225-1230 წწ.) და მალევე გარდაცვლილა, მასვე უამბუნია ტბელ აბუსერისძისთვის შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ამბები: „მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე ივანესი... და რომელსამე მახლობელნი მისნი.” - წერს იგი.

ცხმორისის წმ. გიორგი შუარტყლის ტაძარზე ძველი ყოფილა. კუანილისა და პონილის სასწაულიც XII საუკუნემდე მომხდარა, როგორც ამას ტბელ აბუსერისძე გვაუწყებს: „რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვირველისა (ე. ი. შუარტყალის ტაძრის - რ. ხ.) აღშენებისა.” აქედან გამომდინარე, ცხმორისის ტაძარს XI საუკუნით ათარიღებენ.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა დანდალოშიც, სოფლის თავში და ისიც ოსმალებს გადაუწვავთ, ქრისტიანობის დასაცავად დანდალოელთა ამბოხების დროს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.



XVI- საუკუნის 80-იან წლებში მანუჩარ II ათაბაგის მეთაურობით, რომელიც ჩილდირის ბეგლარ-ბეგის (ფაშის) თანამდებობაზე იყო, მოხდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ერთ-ერთი დიდი აჯანყება. აჯანყების შედეგად მოხერხდა ახალციხისა და მისი სანახების გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. დამპყრობთა ძალაუფლება სამცხეში მნიშვნელოვნად შესუსტდა [სვანიძე, 1971:153-155-160]. ამ აჯანყებაში მანუჩარს ოსმალების წინააღმდეგ ენერგიულად მხარს უჭერდა ქედის, მაჭახლის და მასთან ერთად ახალქალაქის, ფოცხოვის, შავშეთის და ლივანის მოსახლეობა [სვანიძე, 1971:160].

ამ კუთხეთა მოსახლეობის აჯანყებებს ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ შემდგომ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. მაჭახელთა ერთ-ერთი აჯანყება, რომელსაც მხარს ქედა უმაგრებდა, მოხდა 1630 წელს, რომლის მიზეზი იყო ოსმალთა ცდები ჯარში გაეწვიათ ადგილობრივი მოსახლეობა. ამავე მიზეზით აჯანყდა აგრეთვე 1635 წელს ქვედა აჭარა, 1641 წელს ზედა აჭარა. 1650 წელს მურღულისა და ლივანის ხევები [ჭიჭინაძე, 1971:127]. არის ცნობები, რომ აჭარა ოსმალების წინააღმდეგ მაჭახლის ხევის ერთად (1630 წ) აჯანყდა. განსაკუთრებით გაჭიანურდა აჭარა-მაჭახლის გამაჰმადიანების პროცესი. იგი XVII- საუკუნეში დაიწყო და XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე დამთავრებული არ იყო. დამპყრობლები ადგილობრივ მოსახლეობას ძალდატანებით, ცეცხლითა და მახვილით ამუსლიმანებდნენ [ჭიჭინაძე, 1971:10].

მაჰმადიანობა პირველად მოსახლეობის ზედა ფენებში ვრცელდებოდა. ამაში მთავარ როლს თამაშობდნენ რენეგატობის გზაზე დამდგარი ახალციხის ფაშები. წარჩინებული პირები – ფეოდალები და აზნაურები, რომლებიც ოსმალთა სამსახურში პირადი დაწინაურებისა და თავიანთი პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით მაჰმადიანდებოდნენ, ბეგები და ალები ხდებოდნენ. თუმცა ფეოდალთა და აზნაურთა ერთი ნაწილი ქრისტიანობას არ ღალატობდა, მაჰმადიანობას და საერთოდ „ოსმალობას“ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა. სამცხე-საათაბაგოს ისტორია ამის მრავალ მაგალითს ითვლის. გამუსლიმანების პროცესს მტკიცედ აღუდგა წინ მაჭახლისა და აჭარის ზოგიერთი აზნაური [კახიძე, 1974:20].

მოსახლეობა გამუსლიმანების შემდეგაც საიდუმლოდ დიდხანს ინახავდა მამა-პაპურ სარწმუნობას. ბევრი მათგანი თურმე ეკლესიის ნანგრევებთან მიდიოდნენ ქრისტიანულ სადღესასწაულო დღეებში და სათანადო ცერემონიებს ატარებდნენ. გლეხობა აზნაურობასთან შედარებით ადვილად არ თმობდა თავის ძველ სარწმუნობას. „გლეხობა დიდხანს ქრისტიანად რჩებოდა და მეტად მძიმედ მაჰმადიანდებოდა. ამის შემდეგაც (ე.ი. გამაჰმადიანების) მიტოვებული მამაპაპისეული კულტის მატერიალური ნიშნების მიმართ მას ტრადიციული შიში და მოკრძალება დიდხანს რჩებოდა“ [ბერძენიშვილი 1964:260].



როგორც ზემოთ აღნიშნა ქედაში განვითარებული იყო საოჯახო მედიცინა. რაზეც მიუთითებს ზემოთ აღნიშნული კარაბადინები.

ქედაში ორი უძველესი სამკურნალო წიგნი „კარაბადინია“ აღმოჩენილი, პირველი ე.წ. „აჭარული კარაბადინის“ სახელითაა ცნობილი, რომელიც 1893 წელს, ქედის რაიონ სოფელ აგარაში აღმოაჩინა გაზეთ „ივერიის“ კორესპოდენტმა და სახალხო მკურნალმა აბდულ მიქელაძემ [სურმანიძე, 1991:14]. კარაბადინის ავტორის ვინაობა დაუდგენელია, რადგან წიგნში მხოლოდ სამედიცინო ცნობებია გადმოცემული [სურმანიძე, 1991:20], ერთად-ერთი ცნობა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ (№223 1893 წ.), საშუალებას გვაძლევს მიახლოებით ვივარაუდოთ ვინ არის ხელნაწერის მფლობელი და როდის არის იგი დაწერილი [სურმანიძე, 1991:20]. „სოფელ აგარაში, – ვკითხულობთ გაზეთში, – ბ-ნ აბდულ მიქელაძეს ერთ ქართველ მაჰმადიანის ოჯახში, პატარა ძველი ქართული ხელნაწერი, შემოკლებული კარაბადინი უპოვნია, რომელიც ერთ ქართველ მაჰმადიანს ჰქონია და ამბობენ, ეს ორასი წლისა არისო. ამ მოხუცს ეს ხელნაწერი ძლიერ ფაქიზად შეუნახავს და კითხვაც კარგად იცის თურმე“ [სურმანიძე, 1991:20].

თანამედროვეთა გადმოცემით აგარაში სამკურნალო საქმეში დახელოვნებულნი იყვნენ ფარტენაძეებისა და დევაძეების ოჯახის წევრები. საყურადღებოა რომ მათი შთამომავალნი ამჟამადაც აგრძელებენ მკურნალობას [სურმანიძე, 1991:20].

მანდილოსანი, რომელმაც კარაბადინი აბდულ მიქელაძეს გადასცა ხანდაზმულთა გადმოცემით, უნდა იყოს ხუმაიშე ფარტენაძე-ბერიძისა. ხელნაწერი ამ ოჯახის კუთვნილება იყო, ვფიქრობთ, რომ გადამწერიც იმავე ოჯახიდან უნდა ყოფილიყო [სურმანიძე, 1991:20].

ამგვარად, ჩვენ არ გაგვაჩნია სარწმუნო საბუთი ხელნაწერის ავტორის ზუსტი ვინაობის შესახებ, ამიტომ პირობით ავტორს „აგარელი“ ვუწოდეთ, ხოლო თვით ხელნაწერს – „მცირე კარაბადინი“ (აჭარული ვარიანტი) [სურმანიძე, 1991:20].

1893 წლის ივერიის ერთ-ერთი კორესპოდენცია ამ ხელნაწერს 200 წლის წინანდელად თვლის. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში იგი XVIII საუკუნის მიწურულითაა დათარიღებული, ჩვენი დაკვირვებითაც ეს თარიღი სწორი უნდა იყოს.

აგარელს კარაბადინი ძალზედ თავისებურად შეუმოკლება. მას გამოუტოვებია ნაწილაკები, კავშირი – „და“, მაქვემდებარებელი კავშირი – „რომ“, ცალკეული სიტყვები და ა.შ., მაგრამ ეს ისე ოსტატურად არის გაკეთებული, რომ ზოგიერთი სტილისტურ-ორთოგრაფიული შეცდომის მიუხედავად, შინაარსი სავსებით გასაგებია და ადვილად იკითხება [სურმანიძე, 1991:23].

ჩვენი კარაბადინის ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მასში თითქმის არ არის ნახმარი უცხო სიტყვები, რითაც დიამეტრულად განსხვავდება დღეისათვის ცნობილი და გამოკვლეული ქართული სამკურნალო წიგნებისაგან [სურმანიძე, 1991:23].

საყურადღებოა, რომ სხვა კარაბადინებისაგან განსხვავებით აგარელის კარაბადინში მხოლოდ ორჯერ არის მოხსენებული „ღვთით შველა“, თანაც ნაკლები მნიშვნელობით [სურმანიძე, 1991:24].

აშკარად ჩანს, რომ მისმა ავტორმა საბოლოოდ აქცია ზურგი უარყოფილ სარწმუნოებას (ქრისტიანობას), ამასთან იგი უარს ამბობს ახლად დამკვიდრებულ სარწმუნოებაზეც (ისლამზე). ასეთი პოზიცია კარაბადინს სუფთა ხალხურად, ემპირულ წიგნად ხდის, რაც მისდამი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის [სურმანიძე, 1991:24].

აგარელის კარაბადინი გაუმჯობესებული და უფრო ეფექტურია, მაგალითისათვის ცხვირიდან სისხლისდენის შეჩერებისას ქანანელი (და სხვა მკურნალები) იყენებენ შედარებით მტკივნეულ მანიპულაციას, ისედაც სისხლდაკარგული ავადმყოფის სხეულიდან კიდევ უშვებენ სისხლს; ხოლო აგარელი მკურნალი უარს ამბობს „ხელის გახსნაზე“ და კმაყოფილდება ნეკზე ძაფის შემოჭერით, ე.ი. პერიფერიული ნერვის გაღიზიანებით, რაც დღეისათვის უფრო გამართლებულად უნდა ჩაითვალოს [სურმანიძე, 1991:25].

მიუხედავად იმისა, რომ იაშვილს თავისი წიგნის მასალები ძირითადად შეგროვებული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის სოფლებში, მის მიერ ჩამოთვლილი 569 სამკურნალო საშუალებიდან, 113 მოხსენებულია ჩვენს კარაბადინში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში სამკურნალო წიგნების გადასაწერად იყენებდნენ ერთი და იგივე ძირითად წყაროებს, შემდეგ კი უმატებდნენ მკურნალობის საკუთარ მეთოდებს და ადგილზე ხმარებულ წამლებს [სურმანიძე, 1991:27].

საყურადღებოა აგრეთვე, რომ აგარაში აღმოჩენილ ხელნაწერში გამოყენებული მცენარეულიდან 55 შეტანილია „ძველ საქართველოში სამკურნალოდ ხმარებულ მცენარეულის მიახლოებით სიაში [სურმანიძე, 1991:27]“. აქვე უნდა აღვნიშნოდ, რომ ზემოთ დასახელებულ სიაში არ არის შეტანილი 31 სამკურნალო მცენარე, რომელიც მოხსენებულია ჩვენს კარაბადინში. ამგვარად, ეს ხელნაწერი შესაძლოა იყოს ერთადერთი ძეგლი, რომელშიც მოცემულია საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის ჯერ კიდევ უცნობი სამკურნალო საშუალებები [სურმანიძე, 1991:27].

აგარელის კარაბადინი ისტორიული თვალსაზრისითაც საინტერესოა ქართულ წერილობით ძეგლებს შორის, რომლებიც აჭარაში დაიწერა ამ კუთხის მკვიდრთა მიერ. ტბელ აბუსერიძის „ასტრონომიულ ტრაქტატს“ და მისივე „სასწაულნი წმინდისა მთავარმოწამის აგიორგისანი“ (XIII ს.); „მაჭახლის ხეობის სულთა მატიაზე“ (XII-XV ს.ს.); ასევე, 1639 წელს მარიამ დედოფლისა და ელისე თბილელის ბრძანებით, ვინმე მარკოზ აჭარელის მიერ გადაწერილ აგიოგრაფიულ კრებულს შეემატა – აგარელის „მცირე კარაბადინი“, რომელიც XVIII საუკუნით თარიღდება.

ასევე ქედის რაიონიდანაა მეორე მცირე კარაბადინი, რომელიც „ფემბეს კარაბადინის“ სახელითაა ცნობილი.

1969 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის მცხოვრებ 93 წლის ოსმან შერვაშიძის თქმით, ქედის მაზრის უფროსის თუფან შერვაშიძის ბიძის, სეფერის ქალიშვილს ფემბეს ჰქონდა ხელნაწერი რომლითაც სამხედროს მკურნალობდაო [სურმანიძე 1991:8].

ფემბა სეფერის ასული შერვაშიძე (1813-1897) ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში ყოფილა გათხოვილი გულა ხუსეინის ძე სურმანიძეზე (1811-1898). 1844 წელს გულას ოჯახი შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, დედისეულ მამულში გადასახლებულა და დაფუძნებულა. შერვაშიძეთა ოჯახიდან ფემბას მზითვად მოყოლილი კარაბადინიც თან წაუღია [სურმანიძე, 1991:9].

1897-1898 წლებში ზემო აჭარაში სახადი (მუცლისტიფი) გაჩენილა, რასაც ემსხვერპლა ფემბეს ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი, 8 სული, მათ შორის: გულა, ფემბა, მათი შვილები და რძლები. ცოცხლად გადარჩენილა მხოლოდ ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი [სურმანიძე, 1991:9]. ნათესავებს – ვეჯილებს ბავშვები აღსაზრდელად საკუთარ ოჯახებში წაუყვანიათ, მათი ქონებაც ხუთ ნაწილად გაუყვიათ და წაუღიათ, ერთ დროს სიცოცხლით სავსე სახლი გავერანებულა [სურმანიძე, 1991:9]. ამგვარად, მეხუთედი ქონება, მათ შორის ფემბესეული სამკურნალო წიგნიც ერთერთი ნათესავის ოჯახში მოხვედრილა [სურმანიძე, 1991:9]. ძველ ხელნაწერებს ბევრი უგუნური ჩვენს დროშიც ემტერებოდა, რის გამოც მის გამოჩენას ვერ ბედავდნენ (ალბათ იმიტომაც, რომ შესაძლოა მის კანონიერ პატრონს წაღებული ქონებაც მოეთხოვა). ასე დარჩა ხელნაწერი ამ ოჯახში ბოლო დრომდე, სანამ სახლის უფროსმა სიკვდილის წინ არ მოითხოვა იგი კანონიერი პატრონისათვის დაებრუნებინათ [სურმანიძე, 1991:9].

ასე გადაურჩა დაკარგვას და განადგურებას კიდევ ერთი ქართული ძეგლი. სპეციალისტთა ცნობით კალიგრაფიაზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ტექსტი XVIII – საუკუნის ბოლოს არის გადაწერილი თუ არ ჩავთვლით მეორე გვერდის 4 სტრიქონსა და 77-ე გვერდს, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნით გვიან უნდა იყოს შესრულებული და რომელშიც სულ ექვსი პირი მონაწილეობდა [სურმანიძე, 1991:11].

ფემბესეულ კარაბადინში არ არის ნახმარი უცხო სიტყვები, გარდა ორიოდე რუსული სიტყვისა, რითაც ის განსხვავდება ქართული კლასიკური სამკურნალო მეგლებისაგან [სურმანიძე, 1991:13].

რამდენიმე ადგილას ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის მეთოდს თან ახლავს შელოცვები, სამკურნალოდ გამოყენებულია თილისმაც, ხშირად არის ნახმარი ტერმინი „ღვთით შველა“ (აგარელის კარაბადინისგან განსხვავებით ვ.ფ.), ამგვარად მოცემულია ავადმყოფთა მკურნალობის კომპლექსური მეთოდი; მაგიურ-რელიგიური რიტუალი შერწყმულია მკურნალობის რაციონალურ მეთოდთან [სურმანიძე, 1991:13].


ფემბესეულ ხელნაწერში გამოყენებულია 400-ზე მეტი სამკურნალო საშუალება მათ შორის 235 მცენარეული) [სურმანიძე, 1991:15]. საინტერესოა, რომ მათი ნაწილი (80-მდე) მოხსენიებულია მხოლოდ ამ ხელნაწერში, სხვა კარაბადინებსა და ხელნაწერებში ისინი არ გვხვდება [სურმანიძე, 1991:15].

კარაბადინი ქედში აგარის გარდა სალორეთსა და გეგელიძეებშიც ქონიათ. აბდულ მიქელაძე „ივერიაში“ (№103, 1893 წ.) წერდა: გეგიძეს აქვს კარაბადინი, წერა-კითხვაც იცის და ბნედით დაავადებულებს მკურნალობსო.

ამ პატარა კუთხეს, რომელიც მთისა და ბარის გასაყარზე მდებარეობს, როგორც ჩანს სამკურნალო საქმეებში დახელოვნებული მკურნალებიც ყავდა, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია, რომ მსგავსი სამკურნალო ხელნაწერები აჭარისწყლის ხეობიდან მხოლოდ ქედის ტერიტორიიდანაა ცნობილი, ვფიქრობთ გადაჭარბებული არ იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ მკურნალობისათვის მეზობელი რაიონებიდან ქედში დადიოდნენ, რითაც ქედა უფრო დიდმნიშვნელობას იძენდა აჭარისწყლის ხეობაში.

თავი III. ბრინჯაოს ეპოქა

უკველსი მეტალურგიის კერები ქალის მუნიციპალიტეტში



& 1. ქედის მუნიციპალიტეტში, ფერადი მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი კერები
ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შემდგომში კაცობრიობის ცივილიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს წინ უძღვის მდიდარი ბუნებრივი რესურსის არსებობა. სწორედ ჩვენს რეგიონში ლითონის ნაკეთობათა ესოდენ მრავლად აღმოჩენა კავშირშია მდიდარი ფერადი ლითონის საბადოებთან, რომელიც მრავლადაა ქედის ტერიტორიაზე [კახიძე, მამულაძე, 1993: 23]. თავდაპირველად რა თქმა უნდა ადამიანმა თვითნაბადი სპილენძის მოპოვებით დაიწყო ლითონის ნაკეთობათა წარმოება, მაგრამ როცა გამოილია მზა პროდუქცია, რომელიც მაღალ მთებში მოიპოვებოდა მწვერვალების

დარეცხვის შედეგად, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ჭეშმარიტი აზროვნებით შეძლო მადნის მიგნება მოპოვება და დამუშავება.

საქართველოში ადრეული ლითონის ეპოქას შულავერ-შომუთეფეს აღმოჩენები წარმოადგენს, ხოლო მეტალურგიის წარმოების დასაწყისად მტკვარ-არაქსის კულტურა ითვლება. მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით იხსნება ახალი ეტაპი ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში, რომელიც ძვ.წ IV ათასწლეულის შუა ხანებიდან იწყება. ეს კულტურა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში გახდა ცნობილი მდ. მტკვარსა და მდ. არაქსს შორის მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე. ამიტომაც აკად. ბორის კუფტინმა მას მტკვარ-არაქსის ენეოლითი უწოდა. თითქმის 60-იან წლებამდე მტკვარ არაქსის კულტურა ენეოლითურ კულტურად იყო აღიარებული, მაგრამ შემდგომ ცნობილი გახდა, რომ ესაა არსებითად ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც მხოლოდ მტკვარისა და არაქსის შუამდინარეთით კი არ იფარგლება არამედ გავრცელებულია ამიერკავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ვრცელ ტერიტორიაზე. [ლორთქიფანიძე, 2002:68].

მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში მოქცეული ძეგლების შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ დროისათვის (ყოველ შემთხვევაში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში) მეტალურგია უკვე მეურნეობის ცალკე დარგადაა გამოყოფილი და მას სპეციალისტ-მელითონეები ემსახურებიან. ამ დროს ხდება მეტალურგიული წარმოების დანაწილება ლითონის მომპოვებელ და ლითონის დამამაზადებელ დარგებად. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ლითონის ჩამომსხმელი სპეციალისტები მუშაობდნენ უკვე შორს იმ ადგილებიდან, სადაც ლითონის მოპოვება ხდებოდა [ლორთქიფანიძე, 2002: 77].

არანაკლებ საყურადღებოა მხარის გეოლოგიური წარსულიც. აგებულია პალეოცენური ვულკანური წარმონაქმნებით. დღეისათვის შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი მერისის მადნიანი ძარღვული სპილენძ-პოლიმეტალური საბადოები და მადანგამოვლინებები. ესენია: ვარაზა, ობოლო-კანლი-კაია, წყალბოკელა, ვერხნალი, ვაიო. თავმოყრილია 180 კვ კმ-ზე. უძველეს ეპოქებში მადნის მოპოვება-გამოყენების შესახებ რაიმე ნაშთები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

მერისის მადნიანი კვანძისა და მადანშემცველ ქანებში დაფიქსირებულია ოქროს, ვერცხლის, სელენის, ტელურის, კალიუმის, გალიუმის, სტრანტიუმის შემცველობა. აღიარებულია, რომ ფერადი და კეთილშობილური საბადოების თვალსაზრისით აჭარა საქართველოს ერთ-ერთ პერსპექტიულ რეგიონს წარმოადგენს.

მდინარეზე იქ, სადაც წყლის დაცემის ძალა იყო დიდი, დამრეც ციცაბოზე ქარაფებში, აკეთებდნენ ხელოვნურ ქვაბულებს. სიახლოეს კი ქვის გობებს, ხოლო ქვის გობში დაქუცმაცებულ ლითონით მდიდარ საბადოს ყრიდნენ წინასწარ გამზადებულ წყლის გოლში, სადაც ირეცხებოდა მიწა და ლითონი ილექებოდა ძირს. აქედან კი გადაქონდათ უახლოეს სახელოსნოში, სადაც ხდებოდა ლითონის წარმოება. აღმოჩენილი მასალებიდან ჩანს რომ ლითონის წარმოება იმთავითვე მაღალ დონეზე ასულა, რადგან დიდ სანაყ გობებთან, სადაც მექანიკური ძალით, ქვის უროებით ხდებოდა მადნის დაქუცმაცება, ახლოს არის პატარა ზომის გობები, სადაც ხელით მუშაობდა ადამიანი. დავით ლორთქიფანიძე ამბობს, რომ მტკვარ არაქსის ზემო დინებაში არის ქვაში ამოკვეთილი დიდი გობი რომელიც ლითონის გამდიდრებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 10 ერთეული მსგავსი ძეგლია აღმოჩენილი. ქედის ტერიტორიაზე მიკვლეულ (ნამლისევი, ბზუბზუ, ზედა მახუნცეთი, საღორეთი, აგარა1, აგარა 2, კორომხეთი, ცხემნა, ორცვა, ძენწმანი) 10 ერთეული ძეგლიდან საკმაოდ კარგ სურათს გვიხატავს აგარა, სადაც სამ ადგილას არის მიკვლეული ძეგლი - გობები და გოლები ერთად. ასევე საინტერესოა ბზუბზუს აღმოჩენაც სალ მდინარის კალაპოტში ამოკვეთილია სამი ერთეული ქვის გობი. ორცვის მაგალითი კი ნათლად გვიჩვენებს, რომ სამოსახლოსთან ახლოს მოწყობილია პატარა საამქრო. მახუნცეთი, საღორეთი, ძენწმანში მხოლოდ გოლებია მიკვლეული, ამათგანაც გამოირჩევა საღორეთი, რადგან, აღმოჩენილი გოლის სიახლოვეს იქნა მოპოვებული განძი ერთად 7 ცალი ბრინჯაოს ცული, რაც სავარაუდოდ სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს. კორომხეთისა და ცხემნის შემთხვევაში კი მხოლოდ გობებია აჭარისწყლის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე. ასეთია მათი მოკლე აღწერილობა:

ნამლისევი. მეტალურგიის კერის არსებობა დადასტურდა. იგი მდებარეობს სოფელ ნამლისევის დაბლობ ადგილებში, მდ. აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე –

დაახლოებით 300 მ-ის სიღრმეში, ადრე აღმოჩენილი ბზუბზუს კერასთან საკმაოდ ახლოს. მდინარის სახელია კალაშიხევი. ძეგლის აღმომჩენმა შემოგვთავაზა იდეა – „კალას“ ხომ არ უკავშირდება. აღმოსავლური ახსნით, „კალაში“ მშრალ ქარებსაც ნიშნავს. თუმცა, ადგილი ძალიან ნესტიანია. გადმოცემით აგვისტოს თვეში იგრძნობა სიმშრალე. გაღმით, ე.ი. ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფ. ბელტური, აღმოსავლეთით გაშლილია სოფ. ბზუბზუ. დასავლეთით მდებარეობს ნამლისევი.

მდ. კალაშიხევის მარცხენა სანაპიროზე კალაპოტთან ახლოს არის ქვის გობი #1. პირის დიამ. 18 სმ, სიღრმე – 7–15 სმ. მეგალითური კულტურის ძეგლების არსებობა პირველი გობ–სანაყის ქვემოთაც დასტურდება. ხელოვნურადაა შექმნილი ქარაფ–ჩანჩქერი, რომელზედაც წყალი ორ ნაკადად მიედინება. მარცხენა სანაპიროზე მივიღეთ ინფორმაცია 5–6–საფეხურიანი ქვის კიბის არსებობის შესახებაც. ჩანს, ზაფხულში, ახლა მდინარე გადადის. კლდის ქანების მარჯვენა კიდეზე დაუწყიათ კიდევ ერთი ქვის გობის ამოხვეწა – #2. პირის დიამ. 20 სმ, სიღრმე – 7–22 სმ.

საინტერესო სურათი ისახება მდინარის დინების მიმართულებით, ზემოთკენ 16,5 მ-ის მოშორებით ამოუკვეთიათ ქვის მოზრდილი გოლი. მისი დიამეტრი 6,5 მ. სიღრმე არანაკლებ 2 მ–ია, #1 ქვის გოლის თავზე ჩამოუკვეთიათ კლდის ქარაფი, საიდანაც ეშვება მსხვილი ჩანჩქერი. სიმაღლე 4,3 მ. ქვემოდან მის მარჯვენა სანაპიროზე მოჩანს ქვის მოზრდილი გობი (#3). ამჯერად მიუდგომელი. ხედი შესანიშნავია. ჩანჩქერის ზემოთ მოუწყვიათ საგანგებო მოედანი. ამის შემდეგ იწყება მკვეთრი დაქანება. ამ ადგილებში ნაკვეთია ქვის ორი გოლი #3 და #4. ირგვლივ გოლების მომცველ ადგილებში შესანიშნავად ჩანს ფართო მასშტაბის მეგალითური სამუშაოების შესრულების კვალი – მკვეთრად ჩაჭრილ–ჩამოხვეწილია. მე-3 გოლის სიგრძე 22 მ–ია, მე-4 – 11,8 მ.

დაახლოებით 80–90 მ-ის არის ახალი ახალი კომპლექსი. აქ შედარებით ნაკლები დაქანების მქონე კლდოვანი ქანებია ათვისებული. დასაწყისთან, მარჯვენა სანაპიროზე, თითქოსდა იკითხება ქვის მომდევნო სანაყ–გობის კონტურები – #4. იგი წყლის კალაპოტშია მოქცეული, ამიტომაც ზომებს ვერ ვიძლევი. საშუალო ზომის უნდა იყოს. მასთან ფიქსირდება ქვის მომდევნო გოლი, შედარებით პატარა ზომის – #5. მოედინება არხი, რომელიც უერთდება მორიგ მე-6 გოლს. აქვეა მე-7 გოლიც. ოთხკუთხა მოყვანილობის. ესენიც შედარებით პატარა ზომისაა. კეთდება დასკვნა, რომ ფართო მასშტაბის გამდიდრებითი სამუშაოები ხორციელდებოდა ძეგლის ქვედა

მონაკვეთზე. აქ მოწყობილი გოლები შედარებით მცირე მასშტაბის დამატებით ფუნქციების მატარებელი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, დაქანებები ამ ადგილებში ნაკლებია.

ბზუ–ბზუ. კერა ექცევა ბზუ–ბზუს წყლის მიკროხეობაში. მდინარე სათავეს იღებს ე.წ. თეთრობის მთიდან. გაგრძელებაზე ესაზღვრება მაჭახლის ხეობა. ეს სამხრეთის მიმართულებით. სულ რაღაც 300–400 მ-ის ქვემოთ უერთდება მდ. აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროს. აღმოსავლეთით ესაზღვრება თვით სოფელი ბზუ–ბზუ, დასავლეთით – ზედა ბზუ–ბზუ და ნამლისევი. როგორც წესი, ძეგლი განლაგებულია კლდოვან–ქარაფოვან ადგილებში. ვიზუალური აღწერილობა წარიმართა ზემოდან ქვემოთ, ღელის დინების მიმართულებით. როგორც წესი, დასაწყისთან რაიმე სახის ქვის სამტეხლო სამუშაოების წარმოება არ ჩანს. მოყვება ხელოვნურად შექმნილი, გამოკვეთილი თითქმის ვერტიკალური დაქანება – სიმაღლე 1,5 მ–დე. არტეფაქტები გამოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ მარჯვენა სანაპიროზე. ესენია:

ქვის გობი #1. პატარა ზომის. წრიული, პირის დიამ. 37 სმ, სიღრმე – 39–89 სმ. ექცევა კლდის ქარაფოვან მონაკვეთებში (ტაბ. XXXVIII/ 2)

მომდევნო ორი გობი ამოუკვეთიათ მდინარის კალაპოტის მთელ სიგრძეზე ჩამოკვეთილ კედელში (ტაბ. XXXVIII/ 3).

ქვის გობი #2. წრიული. პირის დიამ. 57 სმ, სიღრმე – 1,47 მ.

ქვის გობი #3. ნახევარწრიული. წინა არე გახსნილია. პირის დიამ. 25 სმ, სიღრმე – 26 სმ. 7–8 მეტრში ნაკვეთია საკმაოდ დიდი ზომის, ღრმა ქვის არხი, რომელიც ჩაედინება საკმაოდ დიდი ზომის ქვის გოლში. მოსდევს შედარებით სწორი ადგილები. უნდა ჩანდეს ქვის გოლების საეჭვო კონტურები. მათი რიცხვი ოთხს შეადგენს. ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არიან განლაგებული.

ზედა მახუნცეთი. ძეგლი მდებარეობს აჭქესის ცენტრიდან დაახლოებით 2,5 კმ-ის ზემოთ, ე.წ. მახუნცეთის ღელეში. მოედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. სათავეს აბანოღელეს მიდამოებში იღებდა. ძეგლთან ახლოს უერთდება ე.წ. ციალაღელე. აბანოღელეს გაგრძელებაზე გვხვდება ტოპონიმები: ნახმაღევი, სამსირითი

(სირთი აღმოსავლურია და ქედს ნიშნავს–ა.კ.). ეს მარჯვენა სანაპიროზე. სათავიდან ბრინჯაოს მეტალურგიის უძველეს კერამდე ხეობის სიგრძეს 5 კმ–დე ვარაუდობენ. აქვე იღებს სათავეს მდინარე ბზვანა, რომელიც სოფ. დოლოგანში ჩაედინება და მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროს შეერთვის. ხოლო თვით მახუნცეთის წყალი სამხრეთის მიმართულებით აწვესთან ქმნის ცნობილ ჩანჩქერს და სულ მალე უერთდება აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროს. ძეგლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჩვენთვის ცნობილი საღორეთი (თანამედროვე პირველი მაისი), ხოლო დასავლეთიდან – ქვედა მახუნცეთი და ზუნდაგა. ზემოთ აღნიშნული აბანოელის ქვემოთ მახუნცეთის ღელის ორივე სანაპიროს სხვა ტოპონიმებიდან და ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია: მარჯვენა სანაპიროზე – ზედვაკეს ნაკადული, საისლია, ციალა ღელე, წყავნარა (აქვე მდებარეობს მეტალურგიის კერა), ყორვილა – ჩამოდის სოფელთან ახლოს. იგივე ტოპონიმები ვრცელდება მდინარის მარცხენა სანაპიროზეც. დასახლებასთან ახლოს უერთდება ჭორტნარის ნაკადული. სოფლის ბოლოს მიედინება ღარიღელე, რომელსაც მოსდევს ზემოთ აღნიშნული ჩანჩქერი.

ძეგლი კლდოვან მასივებშია მოქცეული. კარგად გამოჩნდა ქვის ორი გობი და აბაზანისებრი ქვის გოლი. ამ უკანასკნელის ბოლოდან იწყება კლდეში ნაკვეთი არხი. რაც მთავარია, მის ქვემოთ მდინარისავე კალაპოტში შეინიშნება ქვის ორი ურო – ერთი ჯაზიგოლის მსგავსი, მეორე კი – სარფის. ჩახერგილი ხეების ერთ–ერთ მონაკვეთზე, ქვემოთკენ, უნდა იკითხებოდეს ქვის სამტეხლო სამუშაოების კვალი. არაა გამორიცხული, რომ ესეც ქვის მორიგ გოლს უნდა წარმოადგენდეს.

საღორეთი. სოფელი საღორეთი შემთხვევითი აღმოჩენებით ადრეც იყო ცნობილი. 1961 წელს ე.წ. საყანეების ტერიტორიაზე იპოვეს ბრინჯაოს ორი კოლხური ცული, რომლებიც ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებით თარიღდება (ქორიძე, 1965; რამიშვილი, 1974:24, ტაბ. XV/1,5). მორიგი განძი 2009 წელს გამოჩნდა წყლის მილების გაყვანის შესრულებული მიწის სამუშაოების პროცესში. განძში შედიოდა პირველი ტიპის შვიდი კოლხური ცული. ტიპიური. დახვეწილი პროპორციების მქონე. დათარიღებულია ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით (მამულაძე, ნაგერვაძე, 2017:16-22).

ბრინჯაოს მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი კერა მდებარეობს მდ. ჭანჭახათის მარჯვენა სანაპიროზე, 2009 წელს აღმოჩენილ კოლხური ცულების განძთან ახლოს (კალაპოტიდან 300 მ-ის ზემოთ, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. თავისებური ჩანს

ბრინჯაოს მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად გამოვლენილი კერა. ირკვევა, რომ აქ ძირითადად ხდებოდა ჩვენ მიერ დადგენილი წესების გამოყენებით საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის პირველადი გამდიდრება. როგორც ითქვა, ძეგლი დაკავშირებულია მდ. ჭანჭახეთთან, რომელიც უერთდება მდ. აგარის წყალს. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადს. მოსახლეობა ამ ადგილს თხილნარს უწოდებს. ჭანჭახეთს აქვს ორი სათავე – ერთი ე.წ. ტბათის მთიდან, მეორე კი – ზედა ნამხლევიდან. ამ ადგილებზე მდებარეობს ახალშენში, ტირალაზე, ყოროლისთავში და ჩაქვის ხეობაში გადასასვლელები. ძეგლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება აგარა, დასავლეთით – ზედა მახუნცეთი, სამხრეთით – თვით სოფელი საღორეთი, ჩრდილოეთით – ზემოთ აღნიშნული ტბათის მთები. ძეგლი არც მცირე ფართობის მომცველია. დასაწყისში, ზემოდან ქვემოთ მდინარის დინების მიმართულებით, პირველადი სახით შენარჩუნებულია მოედანი – კომპაქტურადაა განლაგებული ქვის მოზრდილი ლოდები. სხვა სახის სამუშაოების შესრულების კვალი არ ფიქსირდება. აქედან, 1,5 მ დაქანების მქონე მონაკვეთს, მარჯვენა მხარეს მიუყვება არხი – სიფართე 0,5 მ. დასასრულთან იკვეთება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული გოლი #1. სიღრმე ქვა-ღორღის ამოწმენდამდე – 0,8 მ, სიგრძე – 3,8 მ, სიგანე – 1,6 მ. მოსდევს მეორე ჩანჩქერი. მისი სიმაღლე 2,6 მ-ია. კლდის ქანებში ამოუკვეთიათ მეორე გოლი. მისი სიგრძე 2,65 მ-ია, სიგანე ბოლოში – 1,44 მ, შუა წელზე – 1,15 მ, დასაწყისში – 0,8 მ, სიღრმე – 0,4-1 მ. მომდევნო მესამე გოლი გამოჩნდა ქვემოთკენ, 35 მ-ის მოშორებით. კლდის მასივში ამოკვეთილი გოლის თითქმის ყველა დეტალი შესანიშნავად იკითხება. მარჯვენა მხარეს მეტალურგებს შეუქმნიათ ქვის კედელი. სხვადასხვა მონაკვეთზე მისი სიმაღლეა 25-40-60 სმ, სიგრძე – 14,6 მ. პლატფორმის მარცხენა სანაპირო ხელშეუხებელია. ორივე მხარეს მიუყვება არხი: სიგრძე 2,2 მ, სიფართე – 0,25 მ, სიღრმე – 0,1 მ. მოვახერხეთ მოედნის ნაწილობრივ გაწმენდა. მისი სიგრძე 14,6 მ-ია, სიგანე – 11,2 მ. გოლი სეგმენტისებრი მოყვანილობისაა. მისი აღმოსავლეთი ფუძე კედელი სწორია. ირიბადაა მიმართული სამხრეთ-დასავლეთისკენ. ბოლო მომრგვალებულია. მესამე გოლის სიგრძე 3,7 მ-ია, სიგანე – 2,9 მ, სიღრმე ქვა-ღორღამდე – 1,5 მ. ბოლოში გაუკვეთებიათ გამშვები – არხის სიფართე 0,4 მ, სიღრმე – 0,1 მ. დავეშვით ქვემოთკენ. 17 მ-ის მოშორებით სახეზეა მე-4, უფრო დიდი ზომის კლდეში ნაკვეთი გოლი. ქვის სამტეხლო სამუშაოების შესრულების კვალი კარგად

აქაც მოჩანს ჩრდილო და სამხრეთ მონაკვეთზე. დანარჩენი ადგილები მთლიანად ხეებითა და ქვა-ღორღითაა დაფარული. მე-4 გოლის სიგრძე უნდა იყოს 7,1 მ, სიგანე – 5,2 მ.

მე-4 გოლიდან 1,9 მ-ის მოშორებით იწყება მე-5 გოლი. მისი სიგრძე 9,8 მ-ია, სიფართე სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით – 2-1,8-1,7 და 1,1 მ, სიღრმე – 1-1,2 მ. მსგავსი ფორმის ქვის გოლი სხვაგან არც შეგვხვედრია (ტაბ. XXXIX/ 1).

გაგრძელებაზე უზარმაზარი კლდეთა მასივზე, ნაკვეთია კიდევ ერთი არხი, რომელიც მე-6 გოლს უერთდება. ჩანჩქერი შესანიშნავად იკვეთება – ორ მხარეს ჩამოკვეთილია უზარმაზარი კედელი – სიგრძე 12 მ, სიმაღლე 3,8 მ. არხის სიმაღლე 4,8 მ-ია, სიფართე 0,85 მ, სიღრმე – 0,3 მ. გოლის სიგანე 7 მ-ია. აუცილებელია გაწმენდითი სამუშაოები.

აგარა I. აგარა I. აგარა მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი ღრმა ხეობათაგანია. კომპლექსი მოიცავს არაერთ მიკროხეობას, რომლის სათავეები ექსპოზიციურად დაკავშირებულია ჩაქვისთავთან. კიდევ უფრო ახლოს, ერთიმეორის მიყოლებით, მდებარეობს თვით ქედის სოფლები: ზენდიდი, ზესოფელი, ზვარე და გულები. ჩვენთვის საინტერესო ძეგლი აღმოჩნდა ე.წ. „საძიგველაში“. ზენდიდელები „ქვაბინიკარსაც“ ემახიან. ქედის აგარა გარკვეულად განსხვავებულია. იგი ორი ობიექტითაა წარმოდგენილი. ამ მიმართებით განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს პირველი, რომელიც ხევის მარჯვენა მომაღლო ტერასისებრ მოსწორებულ ადგილზე მდებარეობს, თვით პატარა ღელის კალაპოტიდან 100–120 მ სიმაღლეზე. სწორი ადგილი ბოლოვდება უზარმაზარი ქვის ლოდით. წინასწარეული აღწერილობით მისი სიგრძე 15 მ-ია, წინა მხრის სიმაღლე – 7 მ, ხოლო თვით ტერასასთან – 4 მ. (ტაბ. XXXIX/3) ამ უზარმაზარი ქვის ლოდის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთი ხელოვნურად ჩამოუკვეთ-ჩამოუსწორებიათ, რის შედეგადაც ბაქანი შექმნილა. მისი სიგრძე 2,3 მ-ია, სიგანე – 1,3 მ. სწორედ ამ მონაკვეთის ზედაპირზე ამოუხვეწიათ ქვის გობი. შესანიშნავად იკითხება ყველა დეტალი. საყურადღებოა ისიც, რომ ქვის სანაყს ორ მხარეს მიუყვება ვიწრო არხი, რაც საერთოდ დამახასიათებელი ჩანს სხვაგან აღმოჩენილი არტეფაქტებისთვისაც. ბუნებრივია, ჩვენთვის მოულოდნელი იყო წყლის ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებული ქვის გობის მდებარეობა ხევის ზემოთ; მეგზურის მიერ მოწოდებული

ინფორმაციით, ამ ადგილებიდან 150–200 მეტრის მოშორებით წყარო მოედინება (ტაბ. XXXIX/2) ; აშკარაა, რომ არხით მოყვანილი წყლის ნაკადით ნებისმიერ დროს შეეძლო აქ მოსახლე ოჯახს ეწარმოებინა ინდივიდუალური საქმიანობა, საბადოდან გამოტანილი ნედლეულის დაფხვნა–დაქუცმაცება. მომდევნო წლებში მსგავსი ძეგლები გამრავლდა. დასახელებული გობისგან ოდნავ მოშორებით გაწმენდითი სამუშაოებისას მეორე, შედარებით პატარა ზომის ნახევარწრიული ქვის გობი შეემატა. პირის დიამ. – 15 სმ, სიღრმე სულ რაღაც 5–7 სმ. მათ გაგრძელებაზე თავის დროზე გაუკეთებიათ ქვის ლოდის თავზე ასასვლელი ბილიკი – სიფართე – 0,5 მ, სიგრძე – 2 მ. არანაკლებ საყურადღებო ჩანს ქვის ლოდის უკანა, მაღალი, ზურგის მხარე. თითქოსდა საგანგებოდ ჩამოკვეთილ კედელზე გაკეთებულია პატარა ზომის ფოსოები. მათი რიცხვი 24–ს შეადგენს და გარკვეული დაშორებებით, ჰორიზონტალურადაა განლაგებული. ექსპედიციას შეექმნა ვარაუდი, რომ ისინი ფარდულისებრი გადახვევის კონსტრუქციას უნდა ეკუთვნოდეს. მის ქვემოთ, არაა გამორიცხული, ქურა–სახელოსნოს არსებობაც ვივარაუდოთ.

აქვე ახლოს „საძიგველა“ დელეში არის ტიპიურ კლდე–ქარაფებში ნაკვეთია ორი გოლი. ზედაპირული გოლი შედარებით პატარა ზომისაა, საკმაოდ ღრმა – 1,5–2 მ. შესანიშნავად იკითხება გოლის ამოჭრისას შესრულებული ქვის მუშაკობის ხელოვნება, ცალკეული დეტალები თუ გოლის კონტურები. სხვა ძეგლების მსგავსად, მისი წინაპირი საკმაოდ მაღალია, ფლოტაციის პროცესში შედარებით მძიმე მადნის დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით. ზოგჯერ წინაპირს თხელ არხსაც უკეთებდნენ იმ მიზნით, რომ წყლის ნაკადს გამოდევნილი ფუჭი ქანები ადვილად გადაერეცხა. გოლის მარჯვენა მხარეს დაფიქსირდა საშუალო ზომის ჯამისებრი ქვის გობი #3. გოლს მარცხენა მხარეს მიუყვება 15–20 სმ სიფართის არხი.

პირველ გოლს მიუყვება 4–5 მ სიმაღლის კლდის მასივის დაქანება. აქაც გაუჭრიათ კიდევ უფრო ღრმა და შედარებით ფართო არხი. მასში პატარა დელის მთელი ნაკადი ეტეოდა. ქვემოთ კი ამოუკვეთიათ კიდევ უფრო დიდი, #2 გოლი. მისი მიახლოებითი ზომებია 5x5 მ–ზე.

აგარის ხეობა ფერადი ლითონების მეტალურგიის ერთ–ერთ უმსხვილეს კერად გამოიყურება. მეგალითური ნაშთები სხვაგანაც აღმოჩნდა.

აგარა II. მდინარის ჩანჩქერის მარცხენა სანაპიროზე, ძირთან ახლოს, იკვეთება ქვის ორი გობი (#1 და #2). ჩახერგილი ხეებისა და ქვადორღის გამო ეს ადგილები ჩვენთვის მიუდგომელი აღმოჩნდა. შემოვლითი გზით ავედით ჩანჩქერის თავზე. სადაც გამოიკვეთა კლდის მასივში ნაკვეთი კიდევ ორი ქვის გობი (#3 და #4). აქაც მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ ფოტოფიქსაცია. ზომებს ვერ ვიძლევი. გაგრძელებაზე მოჩანდა ქვის არხები (ტაბ.XL/ 1,2).

დაახლოებით 2–3 კმ–ის მოშორებით ყურადღება მიიქცია არც თუ ისე მაღალმა ბუნებრივმა ჩანჩქერმა. სხვადასხვა ზომის მომრგვალებულ ქვის ლოდებს შორის არაა გამორიცხული ხელოვნური არხების არსებობაც. ამ მონაკვეთის მარცხენა მხარეს დაფიქსირდა ქვის მე–5 გობი, ოვალური, შესანიშნავად ნაკვეთი. აქვე იკითხება არხიც. უნდა მოსდევდეს უზარმაზარი ქვის გოლი, რომელიც პირამდე ლოდებითაა ამოვსებული. მე–5 ქვის გობიდან 20–30 მ–ის მოშორებით, კალაპოტიდან 10 მ მანძილზე განმარტოებულ ქვის გულში ამოჭრილია ქვის გობი #6. წრიული შემოწერილობის. პირის დიამ. 40 სმ. ამდენივეა სიღრმე. საგულდაგულოდ ნაკვეთი. მომრგვალებული შინითკენ მიმართული პირი დასაქუცმაცებელი პროდუქციის გაფანტვას გამორიცხავს. მსგავსი პროფილი განსაკუთრებით დამახასიათებელია ადრემუასაუკუნეების საცეხველებისათვის.

კორომხეთი. მდებარეობს მდ. აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე. სამხრეთით ესაზღვრება სოფელი კორომხეთი. ჩრდილოეთით, მდინარის გაღმით მორიგი საინტერესო კერა ცხემლის მიდამოები. მოსდევს სოფელი ზენდიდი. დასავლეთით მდებარეობს სოფელი კოლოტაური. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე აგარა და საღორეთი – (პირველი მაისი). აღმოსავლეთით გაშენებულია სოფელი ძენწმანი და ორცვა.

კორომხეთის მეტალურგიული კერა მდებარეობს ზღვის დონიდან 165 მ–ზე (GPRS მონაცემები: N41° 35.504, E041°54 984¹). ექცევა პატარა ღელის „ჩუჩხურას“ კალაპოტის შესართავთან ახლოს, დაახლოებით 20 მ ზემოთ. ძეგლი აშკარად აჭარისწყალს ეკუთვნის. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვის გობები ნაკვეთია მონოლითურ ქვის ლოდზე, რომელსაც კლდოვან ქანებთან რაიმე კავშირი არ აქვს. მიუხედავად ამისა, ლოდს რაიმე გადანაცვლება არ უნდა განეცადოს. ქვის ლოდის ზომებია: სიგრძე – 5,2X4,6 X0,7–1,4 მ–ზე. მასზე ნაკვეთია ქვის 4 გობი.

ქვის გობი #1. კალაპოტთან ახლოს, წრიული. პირის დიამ. 20 სმ, სიღრმე – 21 სმ. კონტურები მკვეთრი.

ქვის გობი #2. პირველისგან 60 სმ-ის მოშორებით. წრიული. პირის დიამ. 14 სმ, სიღრმე – 22 სმ.

ქვის გობი #3 და #4. ლოდის შემადლებულ ცენტრალურ ადგილას. წრიული. პირის დიამ. 43 სმ, სიღრმე – 42 სმ.

საინტერესოა, რომ ამავე გობში ძირში დამატებით ამოუჭრიათ უფრო პატარა ზომის ქვის გობი. სხვების მსგავსად, ესეც წრიული შემოწერილობისაა. პირის დიამ. 18 სმ, სიღრმე – 12 სმ.

კომბინირებული ჩანს მომდევნო მე-5 და მე-6 ქვის გობებიც. პირის დიამ. 42 სმ, სიღრმე – 29–37 სმ. აქაც ამოუჭრიათ ქვის გობი #6. წრიული. პირის დიამ. 28 სმ, სიღრმე – 14 სმ.

ქვის ლოდის თავზე ჩვენთვის გაურკვეველი სახის ნაშთების არსებობაც შეინიშნება. აღწერილი არტეფაქტების ქვემოთ, დაახლოებით 250 მ-ის ქვემოთ, დაფიქსირდა კიდევ ერთი შედარებით პატარა ზომის ქვის ლოდი. მისი ზომებია: სიმაღლე – 2,9 მ, სიგრძე – 3,9 მ. მასზე ნაკვეთია ყველაზე უფრო დიდი ზომის ქვის გობი #7. დასაწყისში ფორმა არ იკვეთება. 1,3 მ-ის ქვემოთ ვხედავთ წრიული ფორმის გობს. მისი პირის დიამ. 2,1 მ, სიღრმე მთლიანად არ გაიზომა – ექცევა მდინარის მარცხენა სანაპიროზე – წყალი შედის. მოხერხდა 1,5 მ სიღრმეზე ჩასვლა თავიდან ქვა-ღორღის დასაწყისამდე. თვით გობში მოხერხდა 15–20 სმ სიღრმეზე ჩასვლა.

ძეგლი საინტერესო ჩანს. ჩვენ საქმე გვაქვს გამოკვეთილი ტიპის ქვის ლოდებზე ნაკვეთ გობებთან. მორიგი ასეთივე ქვის ლოდი აღმოჩნდა სულ ახლოს, მარჯვენა სანაპიროზე – ცხემნის მინდვრებზე.

ცხემნა. მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპირო – ადგილი ცხემლი მინდორი. კორომხეთთან საკმაოდ ახლოს – 300–400 მ-ის ზემოთ. შესაბამისად, იგივე გეოგრაფიულ გარემოში ექცევა, რაც ვნახეთ კორომხეთის მიხედვით. ძეგლი გამოკვეთილია, ქმნის მეგალითური კულტურის ცალკე ნაირსახეობას. ანალოგები აჭარის მაგალითზე არაერთგზის ეძებნება. კერძოდ, უშუალოდ მდინარის სანაპიროზე დიდი ზომის ხავსმოკიდებულ ქვის ლოდზე. დახვეწილი გემოვნებით

ნაკვეთია ერთადერთი ქვის გობი. მისი ზომებია: პირის დიამ. 26 სმ, სიღრმე – 45 სმ.(ტაბ.XLI/1)

მენწმანი (ტაბ.XLI/ 2,3). ძეგლი ტოპოგრაფიულად კლდოვან-ქარაფოვან ქანებში ექცევა. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ პატარა მდინარეს ქარაფშუტას ეძახიან მოულოდნელი ადიდება-დაცხრომის გამო. სოფ. ორცვის მკვიდრნი მას ჭანჭახათის სახელით მოიხსენიებენ. მდინარის შენაკადებია ნაჩადრევი და ზემოთ აღნიშნული ჭანჭახათი. სიმაღლე ზღვის დონიდან 364 მ-ია.

თვით ძეგლის მიკროტოპონიმია ბორდოხაული. პირველი, რაც თვალში საცემია, ისაა, რომ ზედა მონაკვეთზე, საწყის პლატფორმაზე, მდინარეს მარცხენა მხარეს მთელ სიგრძეზე მიუყვება არც თუ ისე ღრმა არხი. მის ქვემოთ გრძელდება ხელოვნურად მოსწორებული მონაკვეთი. კიდევ ერთი არხი გაჭრილია მდინარის მარჯვენა მონაკვეთზეც, რომელიც თანდათანობით ღრმავდება. ერთგან ფართოვდება კიდევ. პირველ პლატფორმას მოსდევს მკვეთრად გამოსახული ჩანჩქერისებრი დაქანება. ზედაპირი, როგორც წესი, სიპი, სწორია, ოღონდაც ზოგან გაუკეთებიათ 5 თუ 4 პატარა ზომის არხი. დაქანება ეშვება საკმაოდ დიდი ზომის გოლისაკენ, რომელიც ქვა-ღორღით იყო შევსებული, მაგრამ მაინც კიდევზე მოჩანდა ქვით ხურობის კვალი. მკვეთრ დაქანებაზე გამოჩნდა მოზრდილი გობი, რომლის წინა მხარე გახსნილია. ვფიქრობთ, რომ მენწმანი განეკუთვნება ფერადი ლითონების იმ კერათა რიცხვს, სადაც, ძირითადად, ხდებოდა ფლოტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები. ქვის გობების არსებობის შესახებ მდინარის ზემო წელზე ადგილობრივი მცხოვრებლებისგან მივიღეთ ინფორმაცია. ეს ადგილები ჯერ არ დაგვიზვერია.

ორცვა. სოფლის ცენტრალური ნაწილი. ექცევა ჭანჭახათის ღელეში. სათავეს იღებს ჩიხურტალის მთებიდან. უერთდება მდ. ქარაფშუტას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკადს. ჩრდილოეთ გაგრძელებაზე სოფელი არსენაული. აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი შევაბური და ე.წ. ოქტომბერი. დასავლეთით – ჩვენთვის ცნობილი მენწმანი. ჯერჯერობით ვიზუალურად ძეგლზე შესანიშნავად იკვეთება კასკადურად ჩალაგებული ქვის სამი გოლი. აქვე მოვიტანთ მათ აღწერილობას (ტაბ.XLII/ 1).

ქვის გოლი #1. სიგრძე 3,2 მ, სიგანე – 2,4 მ, სიღრმე ჯერჯერობით 1 მ-დე იზომება.


ქვის გოლი #2. სიგრძე 3,7 მ, სიგანე – 2,8 მ, სიღრმე – 1,7 მ. ამოსაწმენდი.

ქვის გოლი #3. სიგრძე 4,7 მ, სიგანე – 4,5 მ, სიღრმე – 0,9 მ. ესეც ამოსაწმენდია.

ორცვა სხვა მხრიდანაც იქცევს ყურადღებას. აჭარის მთიანეთის სხვა ადგილების მსგავსად, აქაც შემორჩენილია მეგალითური კულტურის ნაშთები, რომელთა არსი ჯერჯერობით უცნობია. არც რაიმე სახის თანმიმდევრული გეგმაზომიერი საველე სამუშაოები განხორციელებულა. ამისი თქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ ზემოთ აღნიშნული ნაშთების ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ერთ–ერთი კომპლექსის ქვის მოზრდილ ლოდზე შესანიშნავადაა ნაკვეთი ქვის გობის პირის დიამეტრი 25 სმ. სიღრმე 18 სმ. ლოდის ზომებია: 1X0,9 მ–ზე(ტაბ.XLII/2). ორცვაში მრავლადაა შემორჩენილი სხვა ეპოქის ნაშთები, ნაეკლესიარი, ჯვრის გამოსახულებიანი ქვა და ქვის სამი საწნახელი.

& 1. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები ქედის მუნიციპალიტეტიდან

აღრე პრინჯაოს ხანის კომპლექსი ქედის მუნიციპალიტეტში



ქედის მუნიციპალიტეტი არქეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმაზომიერი ობიექტი ჯერ არ გამხდარა. თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე მცირე არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომელიც განხორციელდა კვაშტაში, კოლოტაურსა და წონიარისში. სხვა მასალები შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა მოპოვებული. ქედის ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით, ცნობილ მეცნიერს, ჩვენი რეგიონის არქეოლოგიის სკოლის ფუძემდებელს, პროფესორ ამირან კახიძესა და პროფესორ შოთა მამულაძეს, რომელმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აჭარისწყლის ხეობის ისტორიის შესწავლას.

თავისებური გზით წავიდა დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურის განვითარება. მდიდარი ტრადიციების ენეოლითსა და ლითონის ხანას შორის მკვეთრი საზღვრების დადება არ ხერხდება [კახიძე, მამულაძე, 2000:22], ასევე უწყვეტად გადადის აქაური ენეოლითი ადრებრინჯაოს ხანაზე.

ქედის რაიონის ადრებრინჯაოს ხანის მასალებს შორის გასაკუთრებით საყურადღებოა სოფელ კოლოტაურის მონაპოვარი, რომელშიც შედის თიხის ჭურჭლები (ტაბ.I/1,2). ესენი, როგორც ჩანს სამარხეულ ინვენტარს განეკუთვნებოდა. ჩვენამდე მოაღწია ორმა მთლიანად დაცულმა ჭურჭელმა. საყურადღებოა, რომ არც ერთ მათგანს არ ეძებნება თანადროულ მასალებს შორის ზუსტი ანალოგი [კახიძე, მამულაძე, 1993:32]. პირველი ჭურჭელი მოხდენილი ფორმის ქილაა (ტაბ.I/1), აქვს ვიწრო და ოდნავ შეზნექილი ძირი, მცირე ზომის კოპებით შემკული (ამათი რიცხვი 5-ს შეადგენს) მრგვალი დაბალი ტანი, თანაბრად გაფართოებული მაღალი ცილინდრული ყელი და გარეთკენ გადაშლილი პირი [კახიძე, მამულაძე, 1993:32]. ხელით ნაძერწი, კეცი ღია-მოყვითალო, კარგად გამომწვარი, ზედაპირი გაპრიალებული, სიმაღლე 25 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, პირის—10 სმ;

კოლოტაურის მეორე ჭურჭელი (ტაბ.I/2) მოზრდილ კოჭობს წარმოადგენს [კახიძე, მამულაძე, 32]. იგი ბრტყელძირიანია, ტანი ბიკონუსური მოყვანილობის, მაღალი ფართო ყელი შევიწროებული, პირი გარეთკენ გადაშლილი. ბრტყელგანივკვეთიანი ყური ყელის ქვემოთაა მიძერწილი. კეცი მონაცრისფრო, შედარებით უხეში, ზედაპირი გაპრიალებული, ალაგ-ალაგ მოშაო ლაქებით

დაფარული [კახიძე, მამულაძე, 32]. სიმაღლე 15 სმ, პირის დიამეტრი 5 სმ, ტანის—11.5 სმ, პირის—8.5 სმ.

ცალკეული ნიშნების მიხედვით კოლოტაურის ქილა სიახლოვეს პოვებს სამშვილდეს, აბელიეს, დიდუბეს, კიკეთისა და სხვა თანადროული ძეგლების მასალებთან მსგავსი ფორმები მომდევნო ეპოქაშიაც განაგრძობენ არსებობას, რომლებიც წინა აზიის კულტურებს უკავშირდებიან. კოლოტაურის კოჭობი ემსგავსება სამშვილდეს, ალგეთის ხეობის (ნახიდრების ქალა), კიკეთის, დიდუბის, ბარმაქსიზის, ქორეთის მონაპოვართ [კახიძე, მამულაძე, 1993:32]. ასევე გარკვეულ სიახლოვეს პოვებს ნუხის, ნახჭევანის, ქიულთეფე III (აზერბაიჯანი), არმავირბლურის, მალაქლუს, ელარის (სომხეთი), ერნისის (ანათოლია) მასალებთან, რომლებიც ჩვენს ერამდე IV–ათასწლეულის ბოლოთი თარიღდებიან . ჩვენი აზრით, კოლოტაურის თიხის ჭურჭლები ჯანჯღნარის კერამიკული ნაწარმის ქრონოლოგიურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. აქვს დახვეწილი პროპორციები, წვრილმარცვლიანი კეცი, თხელი კედლები. ისინი დამზა ე.ი. ადრებრინჯაოს ადრეული საფეხურისათვის, ჩანს, რომ, აჭარისწყლის მკვიდრთა შორის კერამიკული წარმოება მაღალ საფეხურზე ასულა [კახიძე, მამულაძე, 1993:38].


უნდა აღინიშნოს, რომ ჭურჭლების აღმოჩენის ადგილი – სოფელი კოლოტაური, ბარის უბანი, მეტად ხელსაყრელი და მოსახერხებელი ადგილი იქნებოდა იმ დროის ადამიანის საცხოვრისისათვის. იქვე ახლოს ჩამოედინება მდინარე „ხოხნიხევა“ და 300–400 მეტრში უერთდება მდინარე აჭარისწყალს. თუ კოლხეთის დაბლობზე აღმოცენებულ ბათქაშით შელესილ ხის ჯარგვლური ტიპის სამოსახლოებს გარს უვლიდა წყლით შევსილი თხრილები, რომელიც წყალსაწრეტი და სამიმოსვლო დანიშნულების გარდა, თევზსაშენის როლსაც ასრულებდა [კახიძე, მამულაძე, 1993:38], მაშინ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქაური გარემო ბუნებრივად ხელსაყრელ კლიმატს წარმოადგენდა ცხოვრების იოლი პირობებისათვის (თევზით მდიდარი ადგილები). ჭურჭლები აღმოჩენილია იქ, სადაც ჯვარქედად განტოტებული ბორცვის მკვეთრად დაქანებული ციცაბო კალთა ივაკებს. საცხოვრებლად გამოყენებული იქნებოდა ბორცვის მაღალი ადგილი, რომელიც სამი მხრიდან მიუვალია, ხოლო დაბალ ადგილს გამოიყენებდნენ სამარხებად.

შუბისპირი. უახლეს მონაპოვართა შორის ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს კომბინირებული იარაღი (ტაბ.II/), რომელიც აღმოჩნდა სოფელ კოკოტაურში. მასივური. მისი ერთი ბოლო წარმოადგენს ხიშტისებურ იარაღს, მეორე წაგრძელებული ფოთლისებური მოყვანილობის შუბისპირს. ორივე ფერდს მიუყვება ოდნავ შესამჩნევი წიბო. სიგრძე 27,5 სმ., ხიშტისებური. მსგავსი იარაღი ჩვენს სინამდვილეში პირველად აღმოჩნდა. გავრცელების არეალი მეტად ფართოა (ეგეოსური სამყარო, შუამდინარეთი, ანატოლია, მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურები (დოლმენური სამარხები) და ძვ.წ. მესამე ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება [კახიძე, მამულაძე, 2016:14].

ამგვარად, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის ათვისებული ჩანს აჭარის ტერიტორიის როგორც მთიანი, ასევე ზღვისპირა ზოლი. ნათლად იკვეთება, რომ ამ ეპოქისთვის ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები [კახიძე, მამულაძე, 1993:24].

შუაბრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, კერძოდ, აჭარის ტერიტორია ჯერ კიდევ არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი. მართალია, ქობულეთ-ფიჭვნარის უძველესი ნამოსახლარების ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი სამიუზეო სამუშაოები, მაგრამ მაინც, ჯერჯერობით, უპირატესად შესწავლილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდისა და ანტიკური ხანის ძეგლები [კახიძე, მამულაძე, 2016:15].

შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები ქობის მუნიციპალიტეტში



ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს საკვლევ ობიექტ ქედაშიც, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევით აღმოჩენას სოფელ კორომხეთიდან.

სოფელი კორომხეთი მდებარეობს აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე. დასავლეთით ესაზღვრება ჩვენთვის კარგად ნაცნობი სოფელი კოლოტაური. აღმოსავლეთით კი სოფ. ძენწმანი. ჩრდილოეთით ფოთლოვანი ტყის საფარი ეკვრის, სამხრეთით სოფლის ბოლოზე ჩამოუდის მდ. აჭარისწყალი და სოფლის პირდაპირ კი სოფ. აგარა.

1999 წელს საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებისას, კერძოდ სასიმიინდე ნაკვეთის (ადრე აქ ვენახი იყო გაშენებული) ტრაქტორით დამუშავებისას, ძმებმა ავთანდილ და ამირან შერვაშიძეებმა აღმოაჩინეს თიხის დერგი (ტაბ.XIV), რომლის ნაწილის აღდგენა მოხერხდა. აღდგენილია ძირ-მუცლის ფრაგმენტი. ბრტყელძირიანი დიამეტრი 20 სმ. ხოლო ქუსლის სიმაღლლე 1,5 სმ-ია. შემორჩენილი ნაწილის ყველაზე მაღალი წერტილი 38,5 სმ-ია. შუა წელის დიამეტრი 44 სმ. გადარჩენილი ნაწილის გარშემოწერილობა 124,5 სმ. ძირის გარშემოწერილობა 61,5 სმ. თიხა ქარსის მინარევით, უხეში ხელით ნაძერწი. კედლის სისქე 0,8–1,5 სმ-ში მერყეობს. ნატეხში ნაცრისფერი, გარეთა მხარის უმეტესი ნაწილი გამოწვის დროს გაშავებული. შიგნითაც შეინიშნება ნაცრისფერი და შავი ლაქები. გარეთა მხარე მთლიანად დაფარულია სავარცხლისებური გარდი-გარდმო ხაზებით.

მსგავსი ჭურჭელი გამოიყენებოდა იმ დროის მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში, როგორც სამეურნეო ისე შინ მოსახმარ ჭურჭლადაც.

ის გარემოება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში შედარებით ნაკლებადაა გამოვლენილი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები, თიხის ჭურჭლები გამოვლენილია მხოლოდ ქობულეთ-ფიჭვნარის, ნამჭედურის ნამოსახლარზე. კორომხეთის დერგი გამოწვით, დამუშავების ტექნიკით და ორნამენტაციით აღმოსავლეთ საქართველოს სამეთუნეო ნაწარმის ნაკადს უკავშირდება. ვფიქრობთ, ჩვენს ხელთ არსებული ჭურჭელი ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულის ნაკეთობებს უნდა განეკუთვნებოდეს.


შუაბრინჯაოს ხანის აჭარის ისტორიისა და ნივთიერი კულტურის კვლევის უმთავრეს წყაროს შემთხვევით აღმოჩენებით დაგროვებული მასალა წარმოადგენს. მათ შორის ბრინჯაოს ორფერდა ყუაკვერიანი ცული, რომელიც

აღმოჩნდა სოფ. ხელვაჩაურში. იგი ამ ტიპის იარაღთა შორის ყველაზე არქაულადაა მიჩნეული.

ბრინჯაოს მეორე ასეთი ცული და ბართოხის ნატეხი აღმოჩნდა მახუნცეთში, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

& 3. ქედის მუნიციპალიტეტი, ჭოროხის აუზის ტომობრივი კოლხური კულტურის, ერთ-ერთი უძველესი კერა (გვიან ბრინჯაო ადრე რკინისხანა)

გვიან ბრინჯაოს ხანის კულტურის კერის მუნიციპალიტეტში



როგორც მასალებიდან ჩანს გვიანბრინჯაოს პერიოდის მთელ მანძილზე და უშუალოდ მის მომდევნო ხანაში, დასავლურ-ქართული კულტურა განვითარების

მაღალ საფეხურზე ასულა [ქორიძე, 1965:74]. ბრინჯაოს მეტალურგიისა და მესაქონლეობის გვერდით აქ უნდა არსებულიყო მეტად განვითარებული მიწათმოქმედება, სადაც თოხნით მიწათმოქმედებას წამყვანი ადგილი უნდა ჰქონოდა [ქორიძე, 1965:75]. არცერთ სხვა კუთხეში არ არის ნაპოვნი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იმდენი იარაღი, რამდენიც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზეა. მათ ი დ ი დ ი ნაწილ ი ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში [ქორიძე, 1965:75].

მახუნცეთის მონაპოვარი. სოფელ მახუნცეთში 1954 წელს აღმოჩნდა მიწის დასამუშავებელი იარაღი [ქორიძე, 1965:57]. რომელიც დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ მას ჰქონია სამკუთხა მხარმომრგვალებული პირი და მილისებური სატარე ხვრელი, რომელიც უშუალოდ ტანის გარშემოწერილობაშია ჩართული. იარაღს დიდი ნაწილი აკლია (წვეროსაკენ). მასთან ერთად სწორშუბლიანი და მრგვალხვრელიანი ცულია აღმოჩენილი [დ.ქორიძე, 1965:62].

მახუნცეთში 1970 წელს იპოვეს ბრინჯაოს წალდი. საკაცობრიო ცივილიზაციის ეს უნიკალური იარაღი როგორც ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ზოგი მკვლევარები (ნ.ლიაშუკი და ა.პუზდროვსკი) ამ იარაღს დანას უწოდებენ და თვლიან, რომ იგი გამოიყენებოდა მეზადეობა მევენახეობაში [ნოდარ კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრ. I; 2000:16] აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ძველი კოლხეთის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით განსხვავებული დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ ტიპის იარაღების გენეზისის, ქრონოლოგიური ჩარჩოების, გავრცელების არეალის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და სახელწოდების შესახებ.

საკაცობრიო ცივილიზაციაში ამ მეტად საინტერესო იარაღის შექმნა დასავლურ-ქართულ (კოლხურ) კულტურასთანაა დაკავშირებული როგორც ცნობილია, ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა კოლხური კულტურა, რომელმაც განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ძვ.წ. XI–VII საუკუნეებში [ნოდარ კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრ. I, 2000:17].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ინდუსტრიაში ტექნიკურ სიახლეთა დამნერგავი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო [ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრ. I, 2000:17]. სწორედ ამ მხარეში არსებობდა მეტალურგიისათვის აუცილებელი სპილენძის მადნის ბუდობები და დიდი რაოდენობით ე.წ. მდნობელთა განძებიც სწორედ აქ არის აღმოჩენილი [ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრ. I, 2000:17].

როგორც ცნობილია, დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის ძირითადი კომპონენტებია ე.წ. კოლხური ცული, თოხი, ნამგალი, სეგმენტისებური იარაღი და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო წალდი. წაღები გავრცელებული ყოფილა კოლხური კულტურის სამხრეთ ზონასა (აჭარა-გურია) და ქვემო იმერეთში. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წაღები ყველაზე დიდი რაოდენობით დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზეა მოპოვებული. როგორც ჩანს იარაღის ამ ფორმის შექმნა-ჩამოყალიბებაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთანაა დაკავშირებული. წაღის გავრცელების ტოპოგრაფია შემდეგში ფართოვდება. სახელდობრ, ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდის სამხრეთით მდებარე ოლქის საკმაოდ დიდი ნაწილი. სადღეისოდ კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთით გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქალაქ ორდუმდე აღწევს [ნოდარ კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრ. I, 2000:18].

წალდი უნიკალური კომპლექსური სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღია, რომელიც გამოირჩევა როგორც კონსტრუქციული აღნაგობით, ისე ფუნქციონალური დანიშნულებით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მოსახლეობის განვითარებული სამეურნეო ცხოვრება წაღის გარეშე თითქმის წარმოუდგენელი იყო. ცულ-ნაჯახთან ერთად წალდი გამოიყენებოდა საახოე მიწათმოქმედებაში, როგორც ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდის საკაფავი იარაღი [გობეჯიშვილი, 1959:281]. ფართოდ ხმარობდნენ სხვა სამიწათმოქმედო საქმიანობაშიც.

წაღის ერთ-ერთი ადრინდელი ფუნქცია მევენახეობა-მეხილეობას უკავშირდება. იგი დღესაც ითვლება ვენახისა და ხეხილის სასხლავ ძირითად

იარაღად. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვა სახის ტრადიციული იარაღის გამოყენება ამ მიზნით არ დასტურდება.

თანამედროვე ყოფაში გავრცელებულმა წალდმა მთლიანობაში ძირითადად შეინარჩუნა არქეოლოგიური ბრინჯაოსა და რკინის წალდების ფორმა და ფუნქციონალური დანიშნულება. აჭარაში გავრცელებულ წალდებს ერთი თავისებურება ახასიათებს. მათი პირი წინა ნაწილში ხშირ შემთხვევაში თავდაქნეული და ფართოა. პირის ამგვარი აღნაგობა განპირობებულია ორი გარემოებით. პირველ შემთხვევაში იგი ხელს უწყობს წალდის სიმძიმეს და შესაბამისად აძლიერებს დარტყმის ძალას. მეორე შემთხვევაში ფართო პირი ახანგრძლივებს იარაღის ხმარებას, რამდენადაც მუშაობის სიმძიმე ძირითადად წინა და შუა ნაწილზე მოდის და დაჩლუნგებისას გალესვის შემდეგ ინარჩუნებს პროპორციას [გობეჯიშვილი, 1959:147].

ქედის რაიონში სამი ერთეული წალდია აღმოჩენილი. ერთი ბრინჯაოს წალდი სოფელ მახუნცეთში, კვაშტის ანტიკური პერიოდის ნამოსახლარზე და წონიარისში ჯაიმელას უბანში, ორი უკანასკნელი რკინის ნაკეთობებს მიეკუთვნება.

კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი წამყვანი მეტალურგიული ცენტრი დღევანდელი ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო [გობეჯიშვილი, 1959:148]. ეს რაიონიც საკმაოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო სპილენძით. როგორც ჩანს, აქ, ამ პერიოდში საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა მიწათმოქმედება. ამას ადასტურებს კოლხური კულტურის სამხრეთი ნაწილიდან დიდი რაოდენობით მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღი [გობეჯიშვილი, 1959:148]. საფიქრებელია, რომ თოხი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოსული ნაწარმია, რომელიც შესაძლოა უპირატესად აქედან გავრცელდა სხვა რაიონებში [გობეჯიშვილი, 1959:149]. ამ პერიოდის არცერთ სხვა კულტურაში არ არის ცნობილი ისეთი დიდი რაოდენობით თოხები, როგორც კოლხურში [რამიშვილი, 1974:106]. ბრინჯაოს წალდიც, თოხის მსგავსად, ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი [რამიშვილი, 1974:110].

კოლხური კულტურის გავრცელების სხვა არცერთ მიკრო რაიონში არ არის წარმოდგენილი ისე სრულად კოლხური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი

იარაღი, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში [კახიძე, მამულაძე, 2000:51], რომ ამ ადგილებში განვითარებული იყო მთაგორიანი, ტყიანი ზოლის ტიპის თოხის მიწათმოქმედება, ძნელად მოიძებნება სხვა ისეთი კუთხე, სადაც ასე სრულად იქნება წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის კომპლექსი [კახიძე, მამულაძე, 2000:85].

სარწმუნოა ის ფაქტი, რომ სპილენძით მდიდარ მთაგორიან რაიონებში ხდებოდა ნედლეულის მოპოვება ნახევარფაბრიკატებისა და ზოდების სახით, ხოლო ნივთების დამზადება კი სპეციალურ სახელოსნოში [კახიძე, მამულაძე, 2000:86], რომელიც ბარში იყო განლაგებული და ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა.

ამ და სხვა მასალებიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჭარისწყლის ხეობა ჭოროხის აუზის ერთ განშტოებას წარმოადგენს და ის ცივილური ძვრებიც აჭარისწყლის ხეობის რაიონებშიც მის პარარელურად ვითარდებოდა. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ქედის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლითონის (ბრინჯაოს) იარაღთა უმრავლესობა ადგილზევე უნდა იყოს დამზადებული, რადგან აქაურ რიგ უბნებში მოიპოვება სპილენძის საბადოები.

სიხალიძეების განძი. კოლხური კულტურის ცივილიზაციის ფორმირება ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში დაიწყო და დასასრული სახე ძვ.წ. XV–XIV საუკუნეებისათვის მიიღო [კახიძე, მამულაძე, 2000:36]. გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანა (ჩვ. ერამდე II ათასწლეულის II ნახევარი – I ათასწლეულის I ნახევარი) თვითმყოფადი კოლხური კულტურის აყვავების, ნოვაციების ხანაა [კახიძე, მამულაძე, 2000:36]. მიმდინარეობდა ქართველური ენების დიფერენციაციის, კოლხური და იბერიული ტომების კონსოლიდაციისა და პირველი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი [კახიძე, მამულაძე, 2000:36].

მაღალგანვითარებულმა კოლხურმა კულტურამ მოიცვა ვრცელი არეალი. დიდი ხნის მანძილზე მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი) გავრცელებული ჩანს ერთგვაროვანი დასახლების ფორმები [კახიძე, მამულაძე, 2000:36], ორიგინალური თიხით შელესილი ხის ჯარგვლური ტიპის ნაგებობანი [კახიძე, მამულაძე,

2000:36], დაკრძალვის წესები [კახიძე, მამულაძე, 2000:36], მდიდრულად შემკული სამეთუნეო ნაწარმი [კახიძე, მამულაძე, 36], მრავალფეროვანი ნატიფი ხელოვნების სამკაული [კახიძე, მამულაძე, 36], შრომისა და საბრძოლო იარაღები, მატერიალური და სულიერი კულტურის სხვადასხვა სახის ფასეულობა, ასევე ვრცელია ამ კულტურის იმპულსების ფარგლებიც [კახიძე, მამულაძე, 2000:36].

კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდიოდა ჩრდილო-დასავლეთით ანატოლიაში მდებარე ოლქების დიდი ნაწილი. ამავე კულტურის არეალში ექცეოდა მესხეთის საკმაოდ დიდი ნაწილი [კახიძე, მამულაძე, 2000:36]. აქ მოპოვებულია კოლხური ცულები, თოხები, სეგმენტური იარაღი [კახიძე, მამულაძე, 2000:37].

დასავლურ-ქართული კოლხური კულტურა წარმოადგენს საქართველოს ადრინდელი მემკვიდრეობის გენეტიკურ გაგრძელებას [კახიძე, მამულაძე, 2000:37]. მის განვითარებაში სწავლულები [კახიძე, მამულაძე, 2000:37] დ. ქორიძე, ო. ჯაფარიძე და სხვ. გამოყოფენ ორ ეტაპს – ჩვენს ერამდე II ათასწლეულის II ნახევარი (XIV–XII ს.ს.) და ჩვენამდე II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის I ნახევარი [კახიძე, მამულაძე, 2000:37]. ამ ეპოქისათვის განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს კოლხეთის ბარის ათვისების პროცესი [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. კოლხეთის დაბლობზე აღმოცენებულ ბათქაშით შეღესილ ხის ჯარგვლური ტიპის სამოსახლოებს გარს უვლიდა წყლით შევსილი ღრმა და ფართო თხრილები [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. ისინი გარდა თავდაცვისა წყალსაწრეტების, სამიმოსვლო და თევზსაშენის ფუნქციებსაც ასრულებდნენ [კახიძე, მამულაძე, 2000:38].

სამეურნეო საქმიანობის წამყვანი დარგი იყო ტრადიციული მიწათმოქმედება [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. ფართო ხასიათი მიიღო მესაქონლეობამ და თევზჭერამ [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. კვლავაც თვალსაჩინო როლს თამაშობს ნადირობა და შეგროვებითი მეურნეობა [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. ამ მიმართებით ტყით მდიდარი კოლხეთი მეტად ბარაქიან მხარედ გამოიყურება. მკვეთრად დაწინაურდა ბრინჯაოს მეტალურგია [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. მძლავრ კულტურას გააჩნია საკუთარი საწარმოო კერები. კლასიკური ბრინჯაოსაგან დამზადებული ნაწარმი გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაღალი

პროფესიული ოსტატობით, რთული ტექნიკური პროცესების გამოყენებით [კახიძე, მამულაძე, 2000:38] ჩამოყალიბდა კოლხური კულტურისადმი დამახასიათებელი სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის ყველა ტიპი, ყველა კომპონენტი [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. აწ განსვენებული მეცნიერი გ. გობეჯიშვილი მიუთითებდა, რომ კოლხური ბრწყინვალე კულტურის სული და გულია ბრინჯაოს ცული. იმდროინდელ სამყაროს მსგავსი რამ არ შეუქმნია. ფართო გავრცელება ჰპოვა სხვა კომპონენტებმაც, როგორცაა უნიკალური ბრინჯაოს წალდი, თოხი, ნამგალი, სეგმენტური იარაღი და ასე შემდეგ [კახიძე, მამულაძე, 2000:38].

მეორე ეტაპი კოლხური ბრინჯაოს აყვავების ხანაა [კახიძე, მამულაძე, 2000:38]. კიდევ უფრო ფართოვდება მისი არეალი. ამ პერიოდში ივარაუდება, ერთის მხრივ სამხრეთიდან მესხური ტომების მიგრაციები კოლხურ–იბერიულ კულტურაში [კახიძე, მამულაძე, 2000:39], მეორეს მხრივ კი კოლხური კულტურის ინტეგრაციები ყობანურში [კახიძე, მამულაძე, 2000:39]. ყალიბდება ერთიანი რელიგიური მსოფლმხედველობა. გრაფიკული დეკორის თავისებური სტილი, ე.წ. „ცხოველური სტილი“ [კახიძე, მამულაძე, 2000:39], რომელსაც ახასიათებს სქემატიზმი, სტილიზაცია. შეინიშნება მთისა და ბარის დაახლოების პროცესი [კახიძე, მამულაძე, 2000:39]. ეს კარგად ჩანს დაკრძალვის ერთნაირ რიტუალში, ინდივიდუალურ სამარხებთან ერთად ჩნდება ე.წ. კოლექტიური „დასაკრძალავი მოედნები“ [კახიძე, მამულაძე, 2000:39], სადაც ხდება მეორადი დაკრძალვა სრული ან ნაწილობრივი კრემაციით [კახიძე, მამულაძე, 2000:39]. სამარხებში დიდი რაოდენობითაა ჩაყოლებული სამეთუნეო ნაწარმი, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამეთუნეო იარაღი, სამკაულები, მცირე პლასტიკის ნიმუშები და ა.შ. [კახიძე, მამულაძე, 2000:39]. ეკონომიკა მკვეთრ აღმავლობას განიცდის. შეიქმნა რკინის მეტალურგიის კერები [კახიძე, მამულაძე, 2000:39].

კოლხური კულტურის სათავეების ძიებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აწ განსვენებულმა მეცნიერმა დ. ქორიძემ. გამოაქვეყნა შემთხვევით აღმოჩენილი არაერთი ბრინჯაოს განძი. მან პირველმა შექმნა ერთიანი ნაშრომი კოლხური კულტურის შესახებ [კახიძე, მამულაძე, 32000:9]. გამოყო ამ კულტურის განვითარების ცალკეული საფეხურები, საწარმოო რაიონები, ლოკალური კერები, შეისწავლა ცალკეული იარაღები [კახიძე, მამულაძე, 2000:47]. მოგვცა მათი

ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია [კახიძე, მამულაძე, 2000:47], ყურადღება გაამახვილა კოლხურ–იბერიული და კოლხურ–ყოზანური კულტურის ურთიერთობის საკითხებზე [კახიძე, მამულაძე, 2000:47]. მისი აზრით ბრინჯაოს მეტალურგიის საწარმო რაიონთა შორის „ერთ-ერთი საინტერესო მხარეა აჭარა, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს მიიპყრო მკვლევართა ყურადღება [კახიძე, მამულაძე, 2000:47]. ჭოროხის აუზში აღმოჩენილ სამთამადნო მეტალურგიული წარმოების ნაშთებმა, მრავალრიცხოვანი განძებისა და სხვა ძეგლების აღმოჩენამ საბოლოოდ დაუმკვიდრა ამ მხარეს სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მძლავრი კერის სახელი“ [კახიძე, მამულაძე, 2000:47]. მისი აზრით, აჭარის ტერიტორიაზე არსებობდა მეტალურგიული წარმოების ორი ლოკალური რაიონი, ორი ძირითადი კერა სხვა მცირე სახელოსნოებით, ერთ-ერთი ჭოროხ-აჭარისწყლის და ბათუმის ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილებში. მეორე – ქობულეთის დაბლობზე, მდ. კინტრიშის და ჩაქვისწყლის აუზში და მის მახლობელ ადგილებში [კახიძე, მამულაძე, 2000:47]. საყურადღებოა ავტორის მოსაზრებანი პირველი სახეობის ცულებთან დაკავშირებით: „არსად, კოლხეთის არც-ერთ მხარეში კოლხური ცულების პირველი სახეობის უშუალო წინაპარი ასეთი დიდი რაოდენობით არ არის აღმოჩენილი.“ ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური ცულების I სახეობის თანდათანობით განვითარებისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი ცენტრი სწორედ ეს მხარე ყოფილა [ქორიძე, 1965:124]. ავტორი ეხება ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ეპოქის განძებსაც, ასევე ითქმის ა. რამიშვილის მიმართაც.

ამ და სხვა ფაქტებიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ სპილენძით მდიდარ მთაგორიან რაიონებში (აკავრეთას ხეობა) ხდებოდა ნედლეულის მოპოვება ნახევარფაბრიკატებისა და ზოდების სახით, ხოლო ნივთების დამზადება კი სპეციალურ სახელოსნოში, რომელიც ბარში იყო განლაგებული და ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა [ქორიძე, 1965:124].

სწორედ კოლხური კულტურის საინტერესო მასალებია აღმოჩენილი ჭოროხის მეორე უმთავრეს შენაკად აჭარისწყლის ხეობაში, კერძოდ სოფ. სიხალიძეებში აღმოჩენილი მასალები (მდ. აკავრეთას მარცხენა სანაპირო, აჭარისწყლის

მარცხენა შენაკადი), მასში წარმოდგენილია პირველი სახეობის ბრინჯაოს კოლხური ცული (ტაბ.III/2) [კახიძე, მამულაძე, 2000:57]. უფრო მეტია და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიხალიძეების მონაპოვარში, მეორე სახეობის ე. წ. ყუაკვერიანი ცულები (ტაბ.III/2) (მთლიანი თუ ნაკლები 6 ცალია აღმოჩენილი; არის ცალკეული ნატეხები) [კახიძე, მამულაძე, 2000:70]. ამ რაოდენობით ყუაკვერიანი ცულები პირველად აღმოჩნდა კოლხეთის ტერიტორიაზე [კახიძე, მამულაძე, 2000:70]. აქვთ სატარისაგან ყელით გამოყოფილი ჩაქუჩისებური ყუა, წვეტიან-ოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი, სწორი, ექვსად დაწახნაგებული ტანი, გორდა, ორფრთიანი სიმეტრიული პირი [კახიძე, მამულაძე, 2000:70].

ყუაკვერიანი ცულების გავრცელების არეალის მიხედვით ჩანს, რომ ამ სახეობის ცულების გენეზისიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან უნდა იყოს დაკავშირებული [კახიძე, მამულაძე, 2000:70]. ისინი უპირატესად აჭარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი [კახიძე, მამულაძე, 2000:71]; ორჯერ კი მის მოსაზღვრე რაიონებში [კახიძე, მამულაძე, 2000:71]. ჯერჯერობით თითო ყუაკვერიანი ცული აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში [კახიძე, მამულაძე, 2000:71]: 1) ცალფრთიანი ყუაკვერიანი ცული წარმოდგენილი იყო ქობულეთის რაიონ სოფ. ხუცუბანში 1944 წელს პროფ. ა. იოსელიანის მიერ შეგროვებულ მასალებში. 2) ამ ტიპის ერთი ცული ჩაქვისწყლის ხეობიდან მომდინარეობს. იგი სხვა ნივთებთან ერთად მოპოვებულია ქობულეთის რაიონ სოფელ ჩაისუბანში ციტრუსების პლანტაციისათვის ნიადაგის მომზადების დროს, 1954 წელს (დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში) [კახიძე, მამულაძე, 2000:71]. 3) შუახევის რაიონის ჭვანის ხეობაში (ქვის თაღიანი ხიდის ახლოს) აღმოჩენილი ამ ტიპის ცული 1957 წელს გადაეცა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს [ქორიძე, 1965:21]. იგი სწორშუბლიანია, პირი ცალფრთიანი. 4) 1961 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა ქედის რაიონის სოფ. საღორეთში (პირველი მასი) ბრინჯაოს ორი ცული [კახიძე, მამულაძე, 2000:71]. 5) 1977-1978 წ.წ. ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირის მიკრო რაიონისათვის სოფ. კალოთიდან სასმელი წყლის გაყვანისას არც თუ ისე ღრმა არხის გაჭრისას მოზრდილი ქვის ლოდის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთების განძი, რომელშიაც წაღდთან, სეგმენტურ იარაღთან, ბრინჯაოს ზოდებთან და სადა თუ გრავირებულ ცულებთან ერთად

შედიოდა ყუაკვერიანი ცულიც [კახიძე, მამულაძე, 2000:71]. ჯერჯერობით აჭარის მოსაზღვრე რაიონებიდან ამ ტიპის იარაღი ცნობილია ადიგენის რაიონ სოფ. უდედან. 1956 წელს მიწის სამუშაოების დროს 1,5 მ. სიღრმეზე გამოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების შემცველი განძი (100-ზე მეტი ერთეული) [კახიძე, მამულაძე, 2000:72], ესენია: კოლხური ცულები, შუბის და ხელშუბის პირები, სარტყელის აბზინდები, საკინძეები, პინცეტები და ა.შ. ზოგიერთი ნივთი გრავირებულია გეომეტრიული და ცხოველური სახეებით [კახიძე, მამულაძე, 2000:72], სარტყელის აბზინდები რკინითა და სხვადასხვა სახის პასტითაა ინკუსტირებული. განძში ყუაკვერიანი ცულიც შედიოდა [კახიძე, მამულაძე, 2000:72].

პროფესორი ა. კახიძე მოგვითხრობს, რომ 1997 წლის შემოდგომაზე დაათვალიერა ყარსის მუზეუმი და ექსპოზიციაში ნახა ორი ცალი ყუაკვერიანი ცული. მისი აღმოჩენის ადგილის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიპოვა. ყუაკვერიანი ცულების გავრცელების ტოპოგრაფიიდან კარგად ჩანს, რომ ამ სახეობის ბრინჯაოს ცულებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო წარმოშობილი (ქორიძე, 1965:35).

სიხალიძეების, საღორეთის, ჭვანის ხეობისა და ჩაისუბნის ყუაკვერიანი ცულები თარიღდებიან კოლხური ბრინჯაოს კულტურის ადრეული, I ეტაპით, ხოლო უდეს, ხიხაძირისა და ხევისა კი – II ეტაპით – XI–VIII ს.ს. ვერაფერს ვიტყვით შესწავლამდე ყარსის ცულების შესახებ [კახიძე, მამულაძე, 2000:72].

ადრეულობასთან ეთად სიხალიძეების ყუაკვერიანი ცულები იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ ისინი მოპოვებულია ფერადი ლითონებით, განსაკუთრებით სპილენძით მდიდარ ხეობაში. აქვე ხდებოდა საჭირო ნედლეულის მოპოვება, დამუშავება და სასურველი იარაღების ჩამოსხმა. ვიმეორებთ, რომ ამ ტიპის იარაღის გენეზისიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან, ჭოროხის აუზთან უნდა იყოს დაკავშირებული [კახიძე, მამულაძე, 2000:72].

დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური ცულის ამ სახეობის შექმნა აჭარისწყლის ხეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული [კახიძე,

მამულაძე, 2000:73]. როგორც ვნახეთ, მათი დიდი ნაწილი სიხალიძეების, საღორეთის, ჭვანის ხეობისა და ხიხაძირ–კალოთის განძების მიხედვით სწორედ აქედან მომდინარეობს [კახიძე, მამულაძე, 1993:23]. ამავე ხეობიდან უნდა იყოს

გავრცელებული სხვა მოსაზღვრე რაიონებშიც (მხედველობაშია ჩაისუბანი, ხუცუბანი, ხევი და უდე) [კახიძე, მამულაძე, 1993:23].

სიხალიძეების ყუაკვერიანი ცულები მრავალმხრივ იქცევეს ყურადღებას. ჯერ ერთი, ისინი უკავშირდება სპილენძის მადნის ბუდობების მდიდარ რაიონებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქვე ხდებოდა საჭირო ნედლეულის მოპოვება–დამუშავება და სასურველი იარაღების ჩამოსხმა. გარდა ამისა სიხალიძეების ცულები კოლხური კულტურის საკმაოდ ადრეული საფეხურით XII-XI სს-ით თარიღდება [კახიძე, მამულაძე, 1993:23].

აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლხურ კულტურაში სიხალიძეების ყუაკვერიან ცულებს.

შემთხვევით აღმოჩენილი კოლოტაურის ცული ახლოს დგას მარადიდ–მაბლავეთის ცულთან, აქვს სატარე ხვრელისაგან გამოყოფილი არც თუ ისე მაღალი კვერიანი ყუა, წიბურებიანი წვეტიან ოვალური სატარე ხვრელი, სწორი ექვსად დაწახნაგებული ტანი, გორდა სიმეტრიული პირი, მარადიდ–მაბლავეთის ცულისაგან განსხვავებით კოლოტაურის ცული სადაა და რაიმე ორნამენტი არ გააჩნია. ცულის სიმაღლე 16,5 სმ-ია, პირის სიფართე 8,7 სმ. მარადიდ–მაბლავეთის ცული ძვ. წ. XI-X საუკუნით თარიღდება, ხოლო ქედაში აღმოჩენილი სიხალიძეების ყუაკვერიანი ცულები უფრო ადრეულია (XII-XI სს) [კახიძე, მამულაძე, 1993:24]

არანაკლებ საინტერესო ჩანს სიხალიძეების მასალებში წარმოდგენილი ბრინჯაოს სადა ფურცლოვანი სარტყლის ფრაგმენტები (ტაბ.III/1). ყველა მათგანი ერთი და იმავე სარტყელს ეკუთვნის. მოზრდილი თუ წვრილი ფირფიტების მიხედვით მოხერხდა სარტყლის ნაწილობრივ რესტავრაცია. მას ერთ მომრგვალებულ ბოლოზე გაკეთებული აქვს 8 სამანჭვლე ნახვრეტი. მისი სიგრძე დაახლოებით 88 სმ-ია, სიფართე 12 სმ. [კახიძე, მამულაძე, 1993:24]

ასევე არის თიხის ჭურჭლის ნატეხებიც, რომლებიც გარკვეულ სამსახურს გვიწევს ბრინჯაოს ნაკეთობათა მიახლოებით სიზუსტით დათარიღებაში. მათ შორის არის ორნამენტირებული ნიმუშებიც. წამყვანია ზედაპირის დაფარვა მჭიდროდ განლაგებული კანელურებით, ასევე მზის სიმბოლიკასთან დაკავშირებული კონცენტრირებული წრეებით. ზოგჯერ კანელურებს ერწყმის ღარებისა და ჭდეებისაგან შედგენილი ჰორიზონტალური სარტყელი.

ნატეხებიდან ჩანს, რომ აქ სულ ცოტა 3-4 ჭურჭელი მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. არაა გამორიცხული, რომ სიხალიძეებში საქმე გვექონდეს გვიან ბრინჯაოს ხანის სამაროვანთან. ამ ადგილებში მომავალში სადაზვერვო სამუშაოების წარმოება მეტად საშურია. სიხალიძეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ჩვ. ერამდე XII-XI სს. უნდა თარიღდებოდეს [კახიძე, მამულაძე, 1993:25]

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომების IV გამოცემაში პროფესორ ამირან კახიძემ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ყუაკვერიანი ცულების გენეზისის საკითხს. ირკვევა, რომ სიხალიძეების, საღორეთისა და კოლოტაურის გარდა, მოსაზღვრე რეგიონებშიც გვხვდება მსგავსი იარაღი. ასევე ადრეული ჩანს აჭარისწყლის მოსაზღვრე მაჭახლის ხეობაში 2005 წელს მიწის სამუშაოებისას აღმოჩენილი ყუაკვერიანი ცული სხვა ნიმუშების მსგავსად, აქვს მაღალი, მკვეთრად გამოყოფილი ჩაქუჩისებური ყუა, წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი, სწორი, ექვსად დაწახნაგებული ტანი და გორდა სიმეტრიული პირი [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 2007; 4].

ყუაკვერიანი ცულების საინტერესო ნიმუში აღმოჩნდა ხელვაჩაურის რაიონ სოფელ მარადიდში. მარადიდ-მაბლავეთის ცულს აქვს სატარე ხვრელისაგან გამოყოფილი არც თუ ისე მაღალი კვერიანი ყუა. სხვა ნიმუშებისაგან განსხვავებით, ცულის ყუის, სატარე ხვრელისა და ტანის მცირე მონაკვეთი ორივე მხარეს ერთგვაროვანი რელიეფური ორნამენტითაა დაფარული. ყუის თავიდან ტანის დასაწყისამდე კიდებზე დატანილია თითო მოგრძო ვერტიკალური ხაზი. ასევე საინტერესოა სოფელ რაგვთიდან, მაღალმთიან თეთრობის იალაღებზე შემთხვევით აღმოჩენილი ყუაკვერიანი ცული, რომელიც ანალოგიურია აჭარისწყლის ხეობის სხვა მონაპოვრებისა [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 4].

ყუაკვერიანი ცულების აღმოჩენის სხვა შემთხვევები აჭარის მეზობელ რაიონებზე მოდის. პირველ რიგში აღსანიშნავია უდეს განძი, რომელზეც უკვე გვექონდა საუბარი.

მესხეთ-ჯავახეთიდან მომდინარე სხვა ამ სახეობის ცულებზე ყურადღება გამახვილებული იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნეების 50-იანი წლებიდან. ბორჯომისა და ახალციხის მუზეუმებში დაცული სოფ. გომნაში, ტანზოტსა და

ჭობისხევში აღმოჩენილი ამ სახის ცულებს ჰიბრიდულს უწოდებენ. ტანზოტისა და ახალციხის მუზეუმის ცულები გარკვეულად ემსგავსებიან ყუაკვერიანებს, მაგრამ აჭარისწყლის ხეობის მსგავს დასრულებულ, გამოკვეთილ ფორმებს მაინც არ წარმოადგენენ [ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები I, 8].

ახალციხის სამცხე-საჯავახოს ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში დაცულია ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცული. მისი აღმოჩენის ადგილი არაა ზუსტად ცნობილი. უნდა მომდინარეობდეს თვით ახალციხიდან. ცული ტიპური ყუაკვერიანია. ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ნიმუშებისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა მასიურობითა და დახვეწილი პროპორციებით. იგი სადღაც VIII-VII საუკუნეების ნაკეთობა უნდა იყოს [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 8].

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ექსპონირებულია ორი ყუაკვერიანი ცული. ისინი საკმაო სიახლოვეს იჩენენ აჭარისწყლის ხეობის ნიმუშებთან. ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით აღმოჩნდა 1941 წელს ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის გაყვანის დროს. სიმაღლე 18 სმ. ადგილი ზუსტად არაა ცნობილი. არაა გამორიცხული, რომ იგი მომდინარეობდეს გომნადან, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 8].

მეორე ცული მომდინარეობს მზეთამზეს სამაროვნიდან. სიმაღლე 14 სმ. ცული დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით. აშკარაა, რომ აჭარისწყლის სათავეებით კოლხური სამყარო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთთან. შესაბამისად, ბორჯომის ხეობა იყო სამცხისა და შიდა ქართლის უმთავრესი დამაკავშირებელი რგოლი.

ყუაკვერიანი ცულები აღმოჩენილია, აგრეთვე, ჩითახევის სამაროვანზე. დათარიღებულია ძვ. წ. VIII საუკუნით. ასევე ითქმის ბორნილელეს სამაროვნის მიმართაც. მრავალრიცხოვანი ინვენტარის მიხედვით ცული დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით. ამ უკანასკნელის ტანი, კლასიკური ფორმებისაგან განსხვავებით, შედარებით დაბალია, არც კვერიანი ყუაა გამოკვეთილი [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 9].

როგორც ვხედავთ, აჭარის მსგავსად ყუაკვერიანი ცულები ყველაზე ხშირად ადიგენ-ახალციხე-ბორჯომის მონაკვეთზე ჩნდება ასეთია ყუაკვერიანი ცულების გავრცელების ტოპოგრაფია.

ბუნებრივია, ჯერ კიდევ ცოტა მასალაა მოპოვებული განმაზოგადებელი დასკვნების გაკეთებისათვის. მაგრამ ამ მონაცემების მიხედვით შესაძლებელი უნდა იყოს ზოგიერთი წინასწარული მოსაზრების გამოთქმა. გენეტიკური თვალსაზრისით ყუაკვერიანი ცულები მცირე თუ წინააზიურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდნენ [კახიძე, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები IV, 9].

საღორეთის მონაპოვარი. როგორც ცნობილია, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ძეგლთა შორის ძირითადი და განმსაზღვრელია კოლხური ცული, მისი სხვადასხვა სახეებითა და ქვესახეებით (ქორიძე, 1965:125].

იარაღის ეს ტიპი ერთბაშად შექმნილი როდია. ესოდენ სრულყოფილი ფორმის, მარჯვე იარაღის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა განვითარების ხანგრძლივი პროცესი. არსებული მასალები მოწმობს, რომ ლითონისგან დამზადებული სატარებზვრელიანი ცულები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ადრებრინჯაოს პერიოდიდან ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

სახელმწიფო მუზეუმში ინახება სოფელ პირველ მაისში (საღორეთი) აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი ცული: ერთი – პირველი სახეობის კოლხური, ხოლო მეორე – ე. წ. ყუაკვერიანი. ისინი გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით, კერძოდ, ჩვ. ერამდე XII–XI ს.ს. თარიღდებიან [რამიშვილი, 1974:63].

არსად, კოლხეთის არცერთ მხარეში, კოლხური ცულების პირველი სახეობის უშუალო წინაპარი ასეთი დიდი რაოდენობით არ არის აღმოჩენილი; ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური ცულების პირველი სახეობის თანდათანობითი განვითარებისა და ჩამოყალიბების ერთერთი ცენტრი სწორედ ეს მხარე ყოფილიყო [რამიშვილი, 1974:63].

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საღორეთის ცულებს შორის ერთი ცული კოლხური ცულის პირველ სახეობას მიეკუთვნება. დომენტი ქორიძის დახასიათებით კოლხური ცულის პირველი სახეობის არსებით თავისებურებას წარმოადგენს: მკვეთრად დაშვებული წინა ნიღრი; გორდა, მაგრამ ძალზედ ასიმეტრიული პირი, უმთავრესად დაბალი და სქელი, ექვსად დაწახნაგებული წელი; წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი; მახვილი ყუა; შუბლისა და ილიის მხარეზე, სატარის ძირზე, მეტნაკლები სიდიდის ქიმისებური შვერილები. აღნიშნული ცულების ერთი ნაწილის შუბლისა და ილიის წახნაგები

შედარებით განიერია და ოდნავ ჩადარული, ამავე დროს, სატარის ზემო ნაწილი – სადაა, ილღის წახნაგები წარმოქმნილია ილღიდანვე მომდინარე წიბურების მეშვეობით, რომლებიც ჯერ მაღლა მიემართება, შემდეგ უხვევს პირისკენ და უკანა ნიღრამდე აღწევს. ცულის მეორე ნაწილს, რომელსაც მიეკუთვნება საღორეთის ერთი ცული, უკანა წახნაგების წიბურები იწყება შუა ყუისაგან და უკანა ნიღრამდე აღწევს. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ სახეობის ცულების პოვნის შემთხვევები ძლიერ იშვიათია. კოლხური ცულების პირველ სახეობას თავისი პროტოტიპი კოლხეთის ტერიტორიაზე მოეძებნება ურეკის, მახუნცეთის, გაგრისა და მისთანა ცულების სახით [რამიშვილი, 1974:63].

როგორც ჩანს, ჩვენი საკვლევ ტერიტორიის მახუნცეთის ცულიც მათ რიცხვშია. იგი პირველი სახეობის ცულის ანალოგია, როგორც პირის, ისე ტანის, წელისა და წახნაგების აღნაგობაში, სატარის ბოლოზე წარმოქმნილი ქიმისებრი შვერილების ერთგვარობაში და სხვა, რომლებიც ძვ. წ. XVIII–XVI ს-თი თარიღდება [რამიშვილი, 1974:63].

ძვ. წ. XIV–XIII ს.ს-ში კოლხური ცულის პირველი სახეობის გვერდით აჭარის ტერიტორიაზე ხმარებაში ყოფილა სწორტანიანი ცულის კიდევ ერთი ვარიანტი [რამიშვილი, 1974:74]. მისთვის დამახასიათებელია: მაღალი, გორდა და თითქმის სიმეტრიული პირი, თხელი ტანი და სწორად გადაკვეთილი, ოდნავ გამსხვილებული, ორწახნაგა ყუა, სატარის ძირზე ქიმისებრი შვერილებით.

საღორეთის განძი. უკანასკნელი წლების შემთხვევითი აღმოჩენებიდან ყურადღებას იქცევს საღორეთის განძი (ტაბ.IV).

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი საღორეთი ქალაქ ბათუმიდან 36, დაბა ქედიდან კი 6 კილომეტრით არის დაშორებული. იგი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 340 მ სიმაღლეზე. აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფელი აგარა, დასავლეთიდან - მახუნცეთი, ჩრდილოეთიდან მაღალი მთაგრეხილი აკრავს, სამხრეთიდან კი მდინარე აჭარისწყალი. სოფელი საღორეთი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ მასთან გადიოდა უძველესი სატრანზიტო გზა, საიდანაც მყარდებოდა უშუალო კონტაქტები აღმოსავლურ-ქართული კულტურის ცენტრებთან [სამნიძე, 2015:5].

სოფელ საღორეთში ჯერ კიდევ 1961 წელს ე. წ. საყანეების ადგილას მამა-შვილმა დაუთ და რეზო ქადიძეებმა, იპოვეს ორი ცალი ბრინჯაოს ცული, რომელიც ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებითაა დათარიღებული [ქორიძე, 1965: რამიშვილი, 1974:24; ტაბ.XV-1,5]. 2009 წელს სოფელ საღორეთში, აგარაკისაკენ მიმავალ გზაზე, მორიგი განძი აღმოჩნდა; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამირან და თენგი აბულაძეებმა, ხუსეინ, ფრიდონ და ჯელილ დვალიძეებმა და ზურაბ ლოღობერიძემ მიწაში მიწების მოთავსების მიზნით არხის გაჭრის დროს შემთხვევით იპოვეს სამი ბრინჯაოს ცული; მორიგი ოთხი ბრინჯაოს ცული დაემატა არქეოლოგების მიერ აღმოჩენის ადგილის შესწავლის შემდეგ (ტაბ.IV).

საღორეთის განძში შედის I ტიპის კოლხური ცულები. მათ ფორმას აქვს დასრულებული სახე და გამოირჩევა დახვეწილი პროპორციებით. ამ ტიპის ცულები დროის ხანგრძლივ მანძილზე (XIV-VI სს) არსებობს უმნიშვნელოვანესი ცვლილებებით. საღორეთის ყველა ცული მთლიანადაა დაცული, პატინიზებულია და ემჩნევა გამოყენების კვალი. ცულებს აქვს ორფერდა, სიგრძეზე გაფართოებული ყუა; გამოირჩევა მახვილი, თანაბრად დაქანებული, ზოგჯერ ოდნავ წვერობაზიდული ნიმუშები; ყველა მათგანის სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა, წინა მხარე კი მაღალია უკანასთან შედარებით. სატარე ხვრელის უკანა კედლები შემოფარგლულია წიბოებით. მომაღლო ტანი ვიწრო და ექვსად დაწახნაგებულია. შუა წახნაგებს ქმნის ყუის წინა და შუა ნაწილში წარმოქმნილი მკვეთრი წიბოები, რომლებიც წინა და უკანა ნიღრამდე ვრცელდება, ხოლო ერთ-ერთი ცულის ილლის წახნაგები წარმოქმნილია ილლიდანვე მომდინარე წიბურებით, რომლებიც ჯერ მაღლა მიემართება, შემდეგ უხვევს პირისაკენ და უკანა ნიღრამდე აღწევს. ყველა მათგანის პირი გორდა, ასიმეტრიულია.

საღორეთის ცულები წახნაგების გაფორმებისა და ტანის კონფიგურაციის მიხედვით ფიჭვნარის [კახიძე, 2007:370, სურ.13/2,3], სინათლის [ქორიძე, 1965:36,38, სურ 29/1], ზენითის [კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016:64], ერგეს (ქორიძე, 1965:28-29, სურ.20), ლაილაშის [ქორიძე, 1965:29-30, სურ.21], ოჯოლის [ქორიძე, 1965:38, ტაბ.23] და სხვა განძებში აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსია.

მონაპოვარში განსხვავებულია ერთი ცული (ტაბ.IV/2;II/2), რომელსაც აქვს სწორი ყუა, წიბოებით შემოფარგლული წვეტიან-ოვალური მოყვანილობის სატარე

ხვრელი. მისი ზედა მონაკვეთი ორივე მხარეს რელიეფურად დატანილი X-ებრი გამოსახულებითაა შემკული, მას მოსდევს თითო მოკლე ვერტიკალური, პირისაკენ დაშვებული წიბო; ტანი ექვსად არის დაწახნაგებული, პირი ასიმეტრიული. ცული არ არის კარგად დამუშავებული, ხელოსანს ჩამოსხმის შემდეგ გაჩენილი წანაზარდები ყუისა და სატარე ხვრელის ირგვლივ არ მოუცილებია. ცული ტანის მოყვანილობითა და ორნამენტის შესრულების ტექნიკით უახლოვდება მარადიდ-მაბლავეთის ცულს [კახიძე, 2007:6, ტაბ. III/2]. მსგავსი ორნამენტები, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა გრაფიკული დეკორით შემკულ ნიმუშებს, რომელთა გამოყენება უფრო გვიან, ძვ.წ. IX საუკუნის დასაასრულიდან ძვ.წ. VI საუკუნის პირველ ნახევრამდე გრძელდებოდა [ფანცხავა, 1988:16].

განძი დაახლოებით ძვ.წ. XII-XI სს უნდა განეკუთვნებოდეს.

ზუნდაგის განძი. ზუნდაგის განძი მორიგ მნიშვნელოვან მონაპოვარს განეკუთვნება ქედის ტერიტორიაზე, რომელშიც რვა დასახელების ნივთი შედის. ესენია: ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული (ტაბ.V/4), ბრტყელი ცული (ტაბ.V/5), სამაჯური, ორი მასიური რგოლი (ტაბ.V/3), ორიც სარტყლის აბზინდა (ტაბ.V/1,2) და ერთი ჯერჯერობით უცნობი ნივთი [კახიძე,მამულაძე, 2000:75].

პირველ რიგში აღსანიშნავია ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული. მისდამი ინტერესი განსაკუთრებულია, რადგანაც მსგავსი ნივთი აჭარის ტერიტორიიდან უცნობი იყო. აქვს მასიური, დაბალი, სწორი, მახვილი ყუა, ფართო ოვალური მოყვანილობის სატარე ხვრელი, რომლის კიდეები მაღალი, მკვეთრი წიბურებითაა შემკული [კახიძე,მამულაძე, 2000:76]; მათ შორის ოდნავ შესამჩნევი წიბური მთლიანად მიუყვება სატარე ხვრელსა და წელის ზედაპირს, რომელიც პირის გარკვეულ მონაკვეთამდე ვრცელდება. პირი სეგმენტისებური მოყვანილობისაა, რომელსაც ზემოთ აშვერილი, მაღალი ფრთები აქვს, შვერილსა და ყელს შორის რკალი მახვილწიბოიანი წყვილი წახნაგითაა გადმოცემული. ცულის სიმაღლე 17 სმ–ია, პირის სიფართე — 11 სმ. იგი მეტად მოხდენილი ფორმის იარაღია [კახიძე,მამულაძე, 2000:76].

ზუნდაგის მსგავსი ბრინჯაოს ცულები სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: აღმოსავლურ-ქართული, იბერიული, აღმოსავლურ-ამიერკავკასიური, მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის, ამიერკავკასიური და ა.შ. ზოგჯერ ზოგადად ჩუგლუგებსაც უწოდებენ. მკლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მათი წარმოების ცენტრი შიდა ქართლი იყო; სხვათა მოსაზრებით—ტაშირ-ძორაგეთი. გავრცელების არეალის მიხედვით უფრო დამკვიდრდა სახელწოდება ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცული [კახიძე, მამულაძე, 2000:76]. მსგავსი იარაღი დამახასიათებელი ჩანს ვრცელი რეგიონისათვის (აღმოსავლეთი საქართველო, სამხრეთ-დასავლეთი აზერბაიჯანი, ჩრდილო სომხეთი და ა.შ.). მისი გავრცელების საზღვრებია: ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედის სამხრეთის ფერდობები, აღმოსავლეთით—ნუხა-მინგეჩაურის ზოლი, სამხრეთით—მდინარე არაქსის შუა წელი, დასავლეთით ძირითადად სურამის ქედი [კახიძე, მამულაძე, 2000:77]. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები თავს იჩენს ზემოთ დასახელებული არეალის ფარგლებს გარეთაც. ყველაზე შორეული და უძველესი პარალელია ბოღაზ-ქოიში, ხეთების დედაქალაქ ხატუსაში აღმოჩენილი თემუბის ქანდაკება, რომელსაც ხელში მსგავსი იარაღი უჭირავს [კახიძე, მამულაძე, 2000:77].

ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების პროტოტიპებად აღიარებულია ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულები [კახიძე, მამულაძე, 2000:77]. ისინი უპირატესად თრიალეთური კულტურის გავრცელების არეალში ჩნდება. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყველა საფეხურის ძეგლზეა წარმოდგენილი. იარაღი საკმაოდ კონსერვატულია – საერთო სახეს ინარჩუნებენ მთელს ტერიტორიისზე. აღმოსავლეთ საქართველოში მათმა რიცხვმა ასს კარგახანია გადააჭარბა. ასევე ითქმის სომხეთსა და აზერბაიჯანზე [კახიძე, მამულაძე, 2000:77].

როგორც ითქვა, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულები იშვიათად სხვა მხარეშიაც იჩენს თავს. უკიდურეს სამხრეთგანაპირა მხარეს მეხჩისციხის ცული წარმოადგენს. განძი აღმოჩნდა 1896 წელს მიწის ხვნის დროს ფოცხოვის წყლის აუზში (ყარსის ყოფილი ოლქი). ნივთები დაცულია სანკტ-პეტერბურგის ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის მუზეუმში. მასში წარმოდგენილი იყო როგორც კოლხური, ასევე იბერიული კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები. მეხჩისციხის განძი ძვ. წლით X–VIII საუკუნეებითაა დათარიღებული

[კახიძე,მამულაძე, 2000:77]. განსხვავებით ზუნდაგის ცულისაგან, მეხჩისციხისას ყუაზე შვერილი აქვს. ყარსის შემდეგ ამ ტიპის ცულების გავრცელების უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ პუნქტს უკვე ზუნდაგის მონაპოვარი წარმოადგენს. დანარჩენი ცალკეული შემთხვევითი აღმოჩენები ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის – სვანეთის, ლეჩხუმისა და იმერეთის რაიონებს უკავშირდება. პირველ რიგში აღსანიშნავია ზემოსიმონეთის (უნაგირას მიდამოები) განძში შემავალი ცული, რომელიც ჩვენს მონაპოვარს ემსგავსება, ძვ. წლით XII–XI საუკუნეებითაა დათარიღებული [კახიძე,მამულაძე, 2000:78].

ზუნდაგის ცულის მსგავსნი და თანადროულებია (ძვ.წ XI–Xსს) ზესტაფონის რაიონის სოფ. ბეჟათუბნის განძის ცულები. ისინი ქვის ყუთში ეწყო. დიდი ზომის ცული შედიოდა, აგრეთვე ცაგერის მახლობლად (ადგილი ჩიხე) აღმოჩენილ განძში. ცაგერის განძსაც ძვ. წლით XI–X საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ამავე ტიპის ცული იყო წარმოდგენილი საჩხერიდან 20–22 კმ–ს მოშორებით, მთაგორიან ადგილ პერევიში აღმოჩენილ განძში. ამ მონაპოვარს ძვ. წ. X–VIII–საუკუნეებით ათარიღებენ. ამავე პერიოდის უნდა იყოს აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი ორი ცული (აღმოჩენის ადგილი უცნობია), რომლებიც ამჟამად დაცულია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში [კახიძე,მამულაძე, 2000:78].

როგორც ფორმის, ასევე გარკვეულად თარიღის მიხედვითაც ზუნდაგის ცულთან დგას სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის, (ძვ.წ. XIV–XII სს) 240-ე ორმო სამარხში აღმოჩენილი ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცული. სამთავროს სამაროვნის ამ ტიპის ცულები (ზაიერნისეული 591 და 195-ე სამარხის კომპლექსები) უფრო მოგვიანო პერიოდით, გვიანბრინჯაოს მეორე ეტაპითაა (ძვ.წ. XI–VII სს) დათარიღებული. სამარხეულ ინვენტარში რკინის ნაკეთობანიც იყო წარმოდგენილი [კახიძე,მამულაძე, 2000:78].

ზუნდაგის მსგავსი ცულები შედიოდა აგრეთვე ცხინვალის, ძვ.წ. XI-X ს.ს. განძში. უძველესი პარალელები ეძებნებათ ახალქალაქის განძში (გორის რაიონი). თერთმეტი ცენტრალურ-ამიერკავკასიური ბრინჯაოს ცულიდან ცხრა ზუნდაგის ცულის მსგავსია. ეს განძიც ძვ.წ. XI-X საუკუნეებითაა დათარიღებული [კახიძე,მამულაძე, 2000:79].

ზუნდაგის ცული განეკუთვნება ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულების ადრეულ სახეობას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ლამაზად აწვდილი მაღალი და წვეტიანი ფრთები, კოხტა პირი. ბოლო ეტაპის ცულებზე შეინიშნება თანდათანობითი დეგრადაცია. ზოგ შემთხვევაში ფრთები ბლაგვი და „მოტეხილი“ ბოლოებით მთავრდება, სხვა დროს ფრთები საერთოდ არ გააჩნია, ყუაზე შერჩენილი შვერილი ტლანქდება, პირიც აღარ გამოირჩევა სიმეტრიულობით. ძვ.წლით VII-საუკუნეში ამათ რკინის ნაკეთობანი ცვლის [კახიძე,მამულაძე, 2000:79].

არა ნაკლებ საინტერესო ჩანს ზუნდაგის განძში შემავალი ბრინჯაოს ბრტყელი ცული. ესეც მთლიანადაა დაცული. აქვს მაღალი, გორდა, სიმეტრიული მოყვანილობის პირი, გასქელებული, ექვსად დაწახნაგებული წელი, მხრების მაგვარი, მეტ-ნაკლებად დაქანებული გვერდითი შვერილები, მართკუთხა ბოლოსკენ გათხელებული ყუნწი. გამოირჩევა მოხდენილი ფორმითა და პროპოპციებთ, ჩამოსხმულია ორმაგ ყალიბში, სიმაღლე 13.8 სმ. [კახიძე,მამულაძე, 2000:79].

ბრტყელი ცულები სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის გარდა (აჭარა, გურია) აღმოჩენილია ქვემო ქართლსა და სამეგრელოში. მსგავსი ცულები მოპოვებულია ბობოყვათში, ციხისძირში, ვაკიჯვარში, შრომაში, მახარიაში, ზუგდიდის მიდამოებში, მარტვილის რაიონ სოფელ გურძეში, ბაღდადის რაიონის სოფელ ბაგინეთში, ოფშკვითში და ა.შ. ფიჭვნარში, ნამჭედურის გორასამოსახლოზე, მსგავსი ცულების ყალიბის ქვედა ნაწილიც აღმოჩნდა [კახიძე,მამულაძე, 2000:80].

ბრტყელი ცულების გენეზისთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მარტივი ფორმის მსგავსი იარაღები ადრებრინჯაოდან, ძვ. წ. III ათასწლეულიდან ჩნდება. ფართო გავრცელებას პოვებს შუაბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევარი). მათი წარმოების ცენტრს მცირე აზიას, სირიასა და პალესტინას უკავშირებენ. აქედან ფართო გავრცელება პოვა აღმოსავლეთით კურანის ველამდე (პაკისტანის საზღვარი), ხოლო დასავლეთით ირლანდიამდე. არსებობს ბრტყელი ცულების მრავალი სახეობა, რომელთაც გავრცელების საკუთარი სფერო და განვითარების გზები გააჩნია. ერთ-ერთ ასეთ სახესხვაობათა რიცხვს განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

გავრცელებული ბრტყელი ცულები, რომლებიც გენეტიკურად მცირეაზიის, ანატოლიური ცივილიზაციის უძველეს კერებთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ვნახეთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ზუნდაგის მსგავსი პირველი სახეობის ბრტყელი ცულები ძვ.წ XII–X საუკუნეებით დათარიღებულ განძშია აღმოჩენილი [კახიძე,მამულაძე, 2000:80].

ბრტყელი ცულის დანიშნულებასთან დაკავშირებით მკლევართა შორის არაა აზრთა ერთიანობა. დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი სახელოსნო–სადურგლო, ხითხურობასთან დაკავშირებული იარაღი უნდა ყოფილიყო. ერთი ნაწილი ამათ სხვა ფუნქციასაც მიაწერს (მიწის დამუშავება, სამთამადნო სამუშაოები, ტყავის დამუშავება, საბრძოლო იარაღი და სხვ.) [კახიძე,მამულაძე, 2000: 80].

ზუნდაგის განძის შემდეგი ნივთი ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი მასიური სამაჯურითაა წარმოდგენილი. მისი გახსნილი ბოლოები ოდნავ შევიწროებულია, სადა, იგი დაფარულია კეთილშობილური პატინით. მსგავსი სამაჯურები არაერთგზისაა აღმოჩენილი თლიის სამაროვანზე [კახიძე,მამულაძე, 2000: 80].

ზუნდაგის განძში წარმოდგენილია აგრეთვე ბრინჯაოს ფურცლოვანი სარტყლის ორი ცალი კაუჭიანი აბზინდა. ერთ-ერთი მათგანი საკმაოდ ფართო სარტყლის ყოფილა. ფორმის მიხედვით ოდნავ ფერდშევიწროებული, ვიწრო წაგრძელებული, ოთხკუთხედის მოყვანილობისაა. ჩაღრმავებულ ფუძეზე სარტყელზე მორგების მიზნით 10 მრგვალი სამანჭვლე ნახვრეტია გაკეთებული. როგორც ჩანს, ხელოსანს მსგავსი ჩაღრმავება ნივთის ჩამოსხმისას საგანგებოდ დაუტოებია იმ მიზნით, რომ დაფარული ყოფილიყო მანჭვალის თავები [კახიძე,მამულაძე, 2000: 82].

შიგნითკენ მოხრილი წვეტიანი კაუჭი მიმაგრებულია აბზინდის შუა წელზე. აბზინდის დანარჩენი ზედაპირი მთლიანადაა დაფარული გრაფიკული დეკორით, რომელიც ორმაგი ხაზებისაგან შედგენილ ოთხკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. თავის მხრივ ხაზებს შორის არე შევსებულია მჭიდროდ განლაგებული დახრილი ხაზებით. ჩარჩოში მოცემულია ღრმად ნაკვეთი ოთხი სვასტიკის გამოსახულება, თითოეული სვასტიკა შემოფარგლულია ურთიერთთან დაკავშირებული სხვადასხვა ზომისა და სიხშირის სპირალური ხვიებით. აბზინდა მაღალმხატვრულ ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება. სვასტიკიანი (მუდმივი მოძრაობის, მზის სიმბოლოს გამომსახველი) აბზინდა პირველად აღმოჩნდა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მისი ზომებია: სიგრძე–11 სმ, ბოლოების სიფართე 3.5 სმ, შუა წელის – 3 სმ, დაფარულია მწვანე ფერის კეთილშობილი პატინით.

მეორე აბზინდაც ვიწრო, წაგრძელებული, ოთხკუთხა მოყვანილობისაა; ფუძის მხარე ფერდი ოდნავ შევიწროებული, ეს უფრო პატარა ზომისაა [კახიძე,მამულაძე, 2000:81]. სიგრძე – 7.7 სმ, სიფართე – 2.5 სმ. ამის ფუძეზეც სარტყლის მორგების მიზნით გაკეთებულია 9 მრგვალი სამანჭვლე ნახვრეტი. აქაც კაუჭი შუა წელზეა მიმაგრებული [კახიძე,მამულაძე, 2000:81]. აბზინდაზე მოცემულია ორმაგი ხაზებით შემოფარგლული ზენური ხვიების ჰორიზონტალური გრავირებული ზოლი. ასეთივე ორნამენტია გადმოცემული თლიის სამაროვნის (შიდა ქართლი) 23-ე და 50-ე სამარხებში აღმოჩენილ აბზინდებზეც. ეს კომპლექსები განიხილება ძვ.წ. XII–X ს.ს. მასალებს შორის. უფრო სწორი იქნება მათი დათარიღება X–IX საუკუნეებით [კახიძე,მამულაძე, 2000:82].

სიხალიძეებისა და ხუცუბნის მონაპოვრებს ზუნდაგის აბზინდებიც მიემატა. ამ აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური კულტურის კომპონენტებში ამ სახის მოსართავეებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა [კახიძე,მამულაძე, 2000:82]. არაა გამორიცხული, რომ კავკასიაში ასე ფართოდ გავრცელებულ ამ სახის ნაკეთობებსაც სათავე ჭოროხის აუზთან დაედო [კახიძე,მამულაძე, 2000:82].

ზუნდაგის განძში შედიოდა აგრეთვე ორი ცალი მასიური რგოლები. ერთი მათგანი შედარებით პატარა ზომისაა, მეორე – მოზრდილი. ისინი ბოლოებ გახსნილი და ოვალური შემოწერილობისანი არიან [კახიძე,მამულაძე, 2000:82]. ზომები: 11X9.5X1.2 სმ-ზე; მეორესი– 8X7X0.8-ზე.

ბრინჯაოს რგოლებიც ფართოდაა გავრცელებული კოლხურ–ყობანურ და ცენტრალურ-ამიერკავკასიურ კულტურაში. მათი დანიშნულება ზუსტად ჯერ კიდევ არაა გარკვეული [კახიძე,მამულაძე, 2000:82]. მეორენაირად ამათ საწვივე რგოლებსაც უწოდებენ. გვხვდება როგორც განძებში, ასევე სამარხულ კომპლექსებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მსგავსი ნივთები იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. აღვნიშნავთ, რომ 1896 წელს ჩაქვში აღმოჩენილი განძის 5 ცული, 6 მასიური რგოლი, აგრეთვე ცულების 3 და

რგოლების 14 ნატეხი მოსკოვის ისტორიული მუზეუმისათვის ჩაუბარებით [კახიძე,მამულაძე, 2000:82].

ზუნდაგის განძიდან გადარჩა კიდევ ერთი ნაკლული ნივთი. მისი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. შესაძლოა, იგი სატეხის მასრისებური ტარი იყოს [კახიძე,მამულაძე, 2000:82]. მისი ოდნავ გაფართოებული ბოლო 2,5 სმ-ის სიფართეზე სადაა, შემდგომ იგი თანდათანობით ფართოვდება და მთლიანადაა დაფარული მჭიდროდ განლაგებული ტალღოვანი ორნამენტით. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 10 სმ-ია [კახიძე,მამულაძე, 2000:83].

ამ და სხვა მასალებზე დაყრდნობით ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, დღევანდელი აჭარა, კოლხური კულტურის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა აჭარისწყლის ხეობის სათავეებით დაკავშირებული ყოფილა ცენტრალურ–ამიერკავკასიურ, იბერიულ კულტურასთან [კახიძე,მამულაძე, 2000: 83].

ვაიოს აღმოჩენები. ჩვენ ახლა შევჩერდებით ქედის რაიონის, სოფელ ვაიოს შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, სადაც სოფლის თავში (ადგილი ნაასლარი, ე.წ. ყვინჯიოდლების – ოქრომჭედლების ყანასთან ახლოს) გაყვანილი გზის ჭრილში მიწის თხელი ფენის ჩამოქცევის შედეგად გამოჩენილი მოზრდილი წვრილი კანელურებით შემკული და მოშავო, ალაგ–მოყავისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი თიხის ქოთანია. ფორმის, სამკაულისა და კეცის მიხედვით ვაიოს თიხის ჭურჭელი ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანით, უფრო ჩვ. ერამდე II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება [კახიძე, მამულაძე, 2000:85] (ტაბ. VI).

ამავე ტერიტორიის დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა, გზის ჭრილში, მთელ სიგრძეზე შავი ფერის კულტურული ფენა, სადაც ჩნდებოდა თიხის ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის უსახური ნატეხები, სწორედ ამ ფენის გასწრივ შეგროვდა ლითონის ნივთები [კახიძე,მამულაძე,86]. კანელურებიანი თიხის დოქის აღმოჩენის ადგილას კულტურული ფენის არსებობის ნიშნები არ ჩანს. აღმოჩენილ მასალაში ორი მახვილბოლოიანი ე.წ. 1,5 სასაფეთქლე ხვია დამზადებულია ოთხწახნაგა, არც თუ ისე მასიური მავთულისაგან (ტაბ.VI/1,2). მომრგვალებული ბოლოები არც თუ ისე წამახვილებულია. პირველი ორის

დიამეტრი 3 და 3,5 სმ-ია, მესამის – 4 სმ. [კახიძე,მამულაძე, 2000:86] ბრინჯაოს რგოლიც ოთხადაა დაწახნაგებული. წახნაგები და წიბოები არც თუ ისე მკვეთრია. მომრგვალებული ბოლოები ერთმანეთზე გადადის; რგოლი – არამასიური, მისი დიამეტრი 4,5 სმ. [კახიძე,მამულაძე, 2000:86] ოთხივე ნივთი დაფარულია ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი მწვანე პატინით.

ვაიოს არქეოლოგიური მონაპოვრები ამით არ ამოწურულა, აქ კიდევ ბრინჯაოს ორი ნივთია აღმოჩენილი. ერთ-ერთი მათგანი საკმაოდ მასიური, ოთხად დაწახნაგებული, ზემოთ აღნიშნული ნიმუშების მსგავსი სასაფეთქლე ხვიაა (დიამეტრი 3,5 სმ.). [კახიძე,მამულაძე, 2000:87] განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მეორე ნივთი – მძივსაკიდი (ტაბ.V/3), რომლის მსგავსი სამკაული ადრე უცნობი იყო ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს შორის. [კახიძე, მამულაძე, 2000:87] ფორმის მიხედვით მძივსაკიდი წვერებწაკვეთილი რომბის მოყვანილობისაა, რომლის ოდნავ ამოზურცული ფერდები სამ-სამი სიგრძივი წახნაგებითაა შემკული [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. მას მთელ სიმაღლეზე მიუყვება ფართო ოვალური შემოწერილობის ღვედის გასაყრელი ხვრელი [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. მძივსაკიდის სიმაღლე 4 სმ-ია, სიფართე–3 სმ, წვერობთან–1,5 სმ, ხვრელის სიფართე– 1,2 სმ.

ვაიოს ახალი აღმოჩენები მრავალმხრივ იქცევეს ყურადღებას, სასაფეთქლეები თავსამკაულის ერთ-ერთ უძველეს და ფართოდ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. აღმოჩენილია 1,5, ორმაგი, სამმაგი და ზოგჯერ ოთხმაგი სასაფეთქლე რგოლები, რომლებითაც კრავდნენ თმის კულულებს. ათასწლეულების მანძილზე უპირატესად იყენებდნენ სამარხეულ ინვენტარად [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. ცნობილია ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის და ოქროსაგან ნაკეთები უბრწყინვალესი ნიმუშები. კავკასიური სასაფეთქლეები ჯერჯერობით ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის გ. შმიდტის მიერ შედგენილ ქრონოლოგიურ ნუსხაში მიკენის ძვ.წ. 1700–1500 წლებით დათარიღებულ ხვებთან შედარებით ისინი გვიანდელ ნიმუშებად იყო მიჩნეული [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. მრავალრიცხოვანი აღმოჩენების მიხედვით ახლა ეს შეხედულება მკვეთრად შეიცვალა [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. საქართველოში მსგავსი თავსამკაული გავრცელებული ჩანს ადრე ბრინჯაოს ხანიდან [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. ამის

ნათელი დადასტურებაა საჩხერისა და მარტყოფის ადრეულ გორასამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და ვერცხლის სასაფეთქლეები [კახიძე,მამულაძე, 2000:87]. ასევე ითქმის დოლმენური კულტურის სხვადასხვა პერიოდის ნივთიერი მასალების შესახებ. ისინი წარმოდგენილია ჩვ. ერამდე III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დამდეგს ე.წ. ბედენური კულტურისა და შუაბრინჯაოს ხანის (III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის I ნახევარი) თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის მასალებს შორის [კახიძე,მამულაძე, 2000:88]. სასაფეთქლეები განსაკუთრებით ხშირად ჩნდება მომდევნო ეპოქების – გვიანბრინჯაოს, ადრერკინისა და ანტიკური ხანის სამაროვნების გათხრების დროს [კახიძე,მამულაძე, 2000:88]. ცენტრალურ კავკასიაში (თლის სამაროვანი) სასაფეთქლე ხვები ჩნდება II ათასწლეულის დამდეგიდან [კახიძე,მამულაძე, 2000:88]. გარდა თლისა, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მსგავსი სამკაულები აღმოჩენილია ნულის, ქვასათალის, ხცას, სტრიფაზისა და სხვა სამაროვნების არქეოლოგიური გათხრებისას [კახიძე,მამულაძე, 2000:88]. ურეკსა და ფიჭვნარში ოქროსაგან დამზადებული წყვილებიცაა აღმოჩენილი. დეკორის ხასიათის მიხედვით ჩანს, რომ ფიჭვნარის ნიმუშები ადგილზეა დამზადებული. ანტიკურ ხანაში აქ ოქრომჭედლობის საინტერესო ცენტრის არსებობა დასტურდება [კახიძე,მამულაძე,2000: 88].

კანელურიანები თიხის ჭურჭლის მსგავსად ვაიოში მოპოვებული ბრინჯაოს სამკაულები ჩვ. ერამდე II ათასწლეულს ბოლოთი და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება [კახიძე,მამულაძე,88].

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ძეგლის ხასიათის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს. ფენისა და ბათქაშის ნაშთები თითქოს აქ ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს არსებობის მანიშნებელი უნდა იყოს [კახიძე,მამულაძე,89]. თითქმის მთლიანად, დაცული კანელურებიანი დოქი და ბრინჯაოს სამკაულები კი უფრო სამარხულო ინვენტარის კუთვნილება ჩანს [კახიძე, მამულაძე, 2000:., 89]. არაა გამორიცხული, რომ სოფელ ვაიოს სწორედ ამ უბანში ხდებოდა დასაკრძალავი ნივთების ჩამოსხმა. საბოლოო პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება ამ ადგილების, თუნდაც დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების შემდეგ.

როგორც ვნახეთ, მეზოლითის ფინალური საფეხურისა და ნეოლითის ეპოქისათვის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო წარმოადგენდა მწარმოებლური და ადრე სამიწათმოქმედო კულტურების ჩასახვა-განვითარების ახლო აღმოსავლურ-კავკასიური ზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას [კახიძე, მამულაძე, 2000:89]. ამ მიმართებით საყურადღებო მასალებია გამოვლენილი როგორც ზღვისპირა, ასევე მთისწინეთსა და მთიანეთში. მთის ზონის ათვისება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ უკვე ასე ადრეული საფეხურებისათვის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა [კახიძე, მამულაძე, 2000:89].

ბარ-თოხებისა და თოხების უადრესი ნიმუში არსებითად საკვლევ ტერიტორიიდან მომდინარეობს. თოხურმა მიწათმოქმედებამ დღემდე შეინარჩუნა უძველესი ტრადიციები. ფაქტიურად იმერეთის ორი გამონაკლისის გარდა აჭარა-გურიით შემოიფარგლება ბრინჯაოს წაღების აღმოჩენის ტოპოგრაფიაც [კახიძე, მამულაძე, 2000:91]. უფრო ვრცელი და თითქმის სინქრონულია სეგმენტური იარაღების გავრცელების არეალი [კახიძე, მამულაძე, 2000:91].

მსგავსმა წანამძღვარებმა, ისტორიულმა ფესვებმა, ტერიტორიულმა სიახლემ და შესაბამისად ახლო კონტაქტებმა წინა აზიასა და ეგეოსური სამყაროს ცივილიზაციებთან [კახიძე, მამულაძე, 2000:91] მოამზადეს ნიადაგი ჭოროხის აუზში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირეთში ადრე სახელმწიფოებრივი გაერთიანებების წარმოქმნისათვის ჯერ – დაიენის (დიაოხას), ხოლო შემდგომ კოლხას სახით [კახიძე, მამულაძე, 2000:91].

წონიარისის აღმოჩენა. აღმოჩენილი მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ტანსაცმლის მოსართავები (ტაბ.XI), რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს მშვილდსაკინძები (ტაბ.XII/2,4). ორივე ერთნაირი ფორმისაა, ერთწილადი, მრგვალგანივკვეთიანი [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ. „იმედი“, 2003:№26]. რკალის შუანაწილი მსხვილია. მისი ერთი ბოლო გაბრტყელებული და მოღუნულია, მეორე თანდათანობით წვრილდება, ქმნის ზამბარიან ხვიას, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს წვრილი ნემსისებური ენა იგი მყარად ჯდება გაბრტყელებულ, მოღუნულ ბოლოში. ორივე მშვილდსაკინძი შემკულია ე. წ. თევზიფხური, მცენარეული, წიწვოვანი ორნამენტით. გრაფიკული დეკორითაა

დაფარული, აგრეთვე, გაბრტყელებული ბუდის გარეთა ზედაპირი – შემკულია ხაზებით შემოფარგლული მჭიდროდ განლაგებული დახრილი ჭდეების ვერტიკალური ზოლებით. მშვილდსაკინძები ზომითაც ერთნაირია (სიგრძე 9,5 სმ, სიფართე 6 სმ) [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ. „იმედი“, 2003:№26].

მეტად ფართოა მშვილდსაკინძების გავრცელების არეალი. ადრეულები გვხვდება (ძვ. წ. XII-X სს) ეგეოსურ, ე.წ. „სუბმიკენურ“ კულტურაში. თვლიან, რომ ამათი მსგავსი ფიბულები დასავლეთ კავკასიაში შავი ზღვის გზით უნდა იყოს გავრცელებული. „სუბმიკენურის“ გავრცელების არეალი ემთხვევა კოლხური კულტურის ძეგლების ფარგლებს. ასეთი მშვილდსაკინძები მცირე აზიისთვის უცნობია. არის განსხვავებული შეხედულებაც, რომ სპეციფიკური თევზიფხური შემკობა არ არის ტიპური ეგეოსური ნიმუშებისათვის. ეს მოტივი უფრო დამახასიათებელია იტალიური და იუგოსლავიური პარალელებისათვის.

საქართველოში ერთწილადი რკალისებური მშვილდსაკინძები ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნიდან ჩნდება (სამთავრო, თრელი, დილომი, თლი და სხვა). განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ პერიოდის ნაკეთობანი ჩანან წონიარისში აღმოჩენილი ფიბულებიც . საქართველოს მონაპოვრებიც ერთგვარი კონსერვატულობით გამოირჩევიან. ამას ვერ ვიტყვით სუბმიკენურების მიმართ. მშვილდსაკინძების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება ძვ. წ. VII-V საუკუნეებისათვის, როგორც კოლხეთის, ასევე მისი მოსაზღვრე რაიონების, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის კულტურებში (ურეკი, ნიგვიანი, მუხურჩა, ყულანურხვა, გუადიხუ, წითელ-შუქურა, ეშერა, გორაძირი, სამთავრო, ყაზბეგი, ბანისხევი, თრიალეთი, მარლინ-დერესი, თლი და სხვა). ხშირად ჩნდება ჩრდილო კავკასიაში (მარუხა, არხონსკის სტანცია, ზემორუხტა, კუბალტის და ნესტროვსკის სამაროვნები). ამავე პერიოდში გვხვდება სომხეთის ძეგლებზეც (ლალვარი, ბჟინი, ახტალა და სხვა), რაც ჩრდილო კავკასიური იმპულსების გამოვლინებადაა მიჩნეული. უფრო სარწმუნოდაა აღიარებული ამათი კოლხეთის გზით გავრცელება [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ. „იმედი“, 2003:№26].

წონიარისში აღმოჩენილი ფიბულებიც კავკასიაში ძვ. წ. VIII-VII ს-ში ფართოდაა გავრცელებული და ისინი ერთწილადი რკალისებური ფიბულების ტიპს განეკუთვნება (ტაბ.XII/6; ტაბ.XIII/3). კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს

უძველესი ფიბულების გენეზისის საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ცხადია, რომ ძვ. წ. VIII-VII ს-ში უკვე გვაქვს ფიბულათა მძლავრი ადგილობრივი წარმოება, რაზეც მიუთითებს როგორც მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენა, განსაკუთრებით უძველესი მეტალურგიული წარმოების ისეთ კერებთან სიახლოვე, როგორცაა ჭოროხის აუზი, რაჭა-სვანეთი, აფხაზეთი, შიდა ქართლი, ასევე მათი ამ ხანისათვის სრულიად ჩამოყალიბებული, მხოლოდ კავკასიისათვის, და კიდევ უფრო კონკრეტულად, ლოკალური რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიუანსები. წონიარისის აღმოჩენით, თუმცა, ხელთ ჯერჯერობით მხოლოდ ახალი მშვილდსაკინძი გვაქვს, ფიბულათა წარმოების კიდევ ერთი ლოკალური კერის გამოყოფის საშუალება გაჩნდა. ამის საფუძველს იძლევა წონიარისის ფიბულათა ბუდის შემკულობა, რომლის ანალოგიურიც კავკასიის სხვა რეგიონებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

აჭარისწყლის ხეობაში მშვილდსაკინძები ადრე უცნობი იყო. ასევე ითქმის ბრინჯაოს ქამრის შესაკრავი აბზინდების, ე. წ. დუგმების შესახებაც. ორივე დამზადებულია მოღუნული მრგვალგანივკვეთიანი მავთულებისაგან, რომელთა გახსნილი ბოლოები წარმოადგენენ ვერძის თავების სტილიზებურ გამოსახულებებს. რქები რელიეფური რგოლებითაა დაფარული. აბზინდები წარმოადგენენ მცირე პლასტიკის ნიმუშებს.

ცხოველთა თავ-რქის გამოსახულებებს უძველესი პარალელები კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოში ეძებნებათ. გუდაუთის რ-ნის სოფ. გუდზორიხვაში წონიარისის თანადროულ ბრინჯაოს ზარისებრ აბზინდებზე ვერძის სკულპტურებია მოცემული. არის ძაღლის, ხარის და ჩიტის გამოსახულებიანი ნიმუშები. ეშერაში აღმოჩენილ ცალებზე ძაღლის შეწყვილებული დაცქვეტილყურებიანი თავებია მოცემული. ვერძის თავებიანი ქამრის აბზინდების დამზადება გრძელდება გვიანანტიკურ ხანაშიც. კლდეეთის მსგავს გამოსახულებიანი და არაგვის ხეობის, ნეძიხისა და ბარდიანების სამაროვანთა მასალები – ახ. წ. III საუკუნით თარიღდება. თვლიან, რომ ამ პერიოდისათვის ამათ რელიგიურ-იდეოლოგიურთან ერთად დეკორატიული დატვირთვაც ჰქონდათ [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ინდუსტრიაში ტექნიკურ სიახლეთა დამნერგავი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ, ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო. აკად. ო. ჯაფარიძე მიუთითებს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის სწორედ აქ ჩამოყალიბდა სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა ძირითადი განმსაზღვრელი ტიპი.

კოლხური ცულის, თოხის, ნამგლის, სეგმენტისებური იარაღის და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო წალდის შექმნა (ვრცლად უკვე ვისაუბრეთ) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთანაა დაკავშირებული. ბრინჯაოსგან ნაკეთები უადრესი წალდები (ტაბ. XII/8) აღმოჩენილია ორდუში (მდ. მლეთის ხეობა), დაცულია ყარსის მუზეუმში, ხიხაძირში, მახუნცეთში, ერგეში, განთიადში, მახინჯაურში, ჩაისუბანში, ბობოყვათში, ფიჭვნარის ახლოს (ისპანი), ზენითში, ურეკში, მელქედურში, ვაკიჯვარში, ხევში, დაბლაგომსა და სიმონეთში. წონიარისის აღმოჩენა იმით იქცევს ყურადღებას, რომ იგი წარმოადგენს რკინის წალდების ნიმუშს. იგი ყუაკვერიანია, სატარე ხვრელი ოვალური მოყვანილობის, ტანი მოგრძო, სწორი, საკმაოდ გალუული ხანგრძლივი მოხმარების გამო, ნიღრი მოხრილი, მოგრძო, გარეთა კიდე მომრგვალებული, შიდა შედარებით სწორი. სიგრძე 11,5 სმ, სიმაღლე ყუასთან და ნიღრთან ერთად 12 სმ. პირის სიფართოე 2,5 სმ [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003: №26].

რკინის წალდები კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება ანტიკური ხანისათვის. უძველესი აჭარის ტერიტორიაზეა მოპოვებული. ესაა ქედის რ-ის სოფ. კვაშტის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნიმუში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება; ნანახია სოხუმის მთის ძვ. წ. V-III ს.ს. კულტურულ ფენებშიც. ანტიკური ხანის წალდები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოდანაც. ერთი ხაშურის რაიონის სოფ. მცხეთიჯვარში, მეორე – კასპის რაიონის სოფ. აღაიანში.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მთლიანად დაცული წალდი აღმოჩენილია არმავირში (სომხეთი) ძვ. წ. III-I ს.ს. კულტურულ ფენაში.

გვიანი ანტიკური ხანისათვის რკინის წალდების მოხმარების არეალი კიდევ უფრო ფართოვდება. ამ მიმართებით განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ყირიმის სოფ. დობროეში (სიმფეროპოლის რაიონი) ახ. წ. II ს. მეგარიონის ტიპის ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი რკინის წალდი. ჩვენი კოლექციები ცოტათი

დაიბნენ ამ უჩვეულო მონაპოვრით და ჩათვალეს, რომ ეს იარაღი ადგილობრივ ნიადაგზე უნდა იყოს შექმნილი [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26]. არ გამორიცხავდნენ რომაული ტრადიციების ზეგავლენას. საპასუხოდ დაიწერა ნაშრომები რუსულ და ქართულ ენებზე, რომლებშიც საუბარია ამ ტიპის იარაღის გენეზისზე, ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, გავრცელების არეალზე, დანიშნულებასა და სახელწოდებაზე. ვუჩვენეთ, რომ საკაცობრიო ცივილიზაციაში ამ მეტად ორიგინალური, თვითმყოფადი იარაღის შექმნა დასავლურ-ქართულ, კოლხურ კულტურასთანაა დაკავშირებული [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].-----

ცნობილია ადრეშუასაუკუნეების წალდეები. ერთ-ერთი მათგანი ნაპოვნია სოფ. აბედათაში, ონოგურის ციხეზე (მარტვილის რაიონი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ აბედათისა და დობროეს მონაპოვრები დიდ სიახლოვეს პოვებენ თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ წალდეებთან, რომლებიც დღესაც ფართოდაა ცნობილი და მისი არეალი მოიცავს როგორც დასავლეთ (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, აფხაზეთი), ასევე აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლი, კახეთი). საქართველოს ფარგლებს გარეთ იგი გვხვდება თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ ქართულ რაიონებში (ლაზეთი, ლივანი, შავშეთი, იმერხევი), აზერბაიჯანის ქართულ მოსახლეობაში (საინგილო), აგრეთვე, ჩრდილო კავკასიის ხალხებში (ჩერქეზები, შაფსულები, ადიღეები) . და ა. შ.

წალდი უნიკალური კომპლექსური სამეურნეო იარაღია. გამოყენებულია საახოე მიწათმოქმედებაში ბუჩქნარის და ეკალბარდის გასაკაფავად, ნათესების სარეველა მცენარეებისაგან გასაწმენდად, ლობიოს, კიტრის, კვახის ასახვევი ჯობების (ხაშარი, ღჯა) მოსაჭრელად, ჩალის სამკელად, ვენახისა და ხეხილის სასხლელად, ნეკრის, წყავის, ძმერხლის, ჟვერის, სუროს ფოთლისა და სხვათა მოსაჭრელად, შეშისა და ღობის მასალის (კვენდლის) დასამზადებლად და ა. შ.

წალდის შექმნით კოლხმა ტომებმა, ჭოროხის აუზის უძველესმა მკვიდრებმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის მატერიალურ კულტურაში, მისი მემკვიდრეობით კი საკაცობრიო ცივილიზაციაში [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

საოჯახო ხელოსნობასთან დაკავშირებული ნივთებიდან ყურადღებას იქცევს თიხის ბიკონუსური მოყვანილობის კვირისტავი (დიამ. 4,5 სმ. სიმაღლე 2,5 სმ) (ტაბXII/1). ამ სახის მონაპოვართა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა. ხშირად ჩნდება, როგორც სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლართა, ასევე სამაროვნების გათხრებისას („იმედი“).. ზოგიერთ მათგანზე მზის, მუდმივი მოძრაობის სიმბოლო სვასტიკაა გამოსახული. საქართველოში კვირისტავეები ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის დამდეგიდან შემოდის ხმარებაში [„იმედი“, 2003:№26]. მალე კულტის საგნადაც იქცა. თვლიდნენ ბედის მწერალი – მრთველი ქტონური ქალღმერთის ატრიბუტად. ნართის ძაფი გაიგივებული იყო სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით გარდაცვლილის სული, თუ კი ის მან სახლის გარეთ დალია, გარდაცვალების ადგილიდან გაბმული ძაფით მოჰყავთ სახლში [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

ახალი აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობაში ფეიქრობა მნიშვნელოვანი დარგი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად დაწინაურებული ჩანს მეცხვარეობა.

ქედის რაიონი წარმოადგენდა კოლხური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას, ფერადი ლითონებით მდიდარ მხარეს. აქვე გადიოდა მესხეთ-ჯავახეთთან თუ ტაო-კლარჯეთთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი გზების ერთ-ერთი მონაკვეთი. უახლესი აღმოჩენებით დასტურდება, რომ წონიარისის ხეობაზე გადიოდა ჩაქვისწყლისა და კინტრიშის ხეობისკენ მიმავალი უმოკლესი გზები [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების გარდა, 2006 წლის მარტის თვეში, ჩატარდა სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნივთების აღმოჩენის ადგილი „ბაჯგათი“ მდებარეობს ბორცვის ძირში და საკმაოდ დაქანებულია. სამუშაოდ შეირჩა ბორცვის ძირი, შედარებით ვაკე ადგილი. მუშაობის დაწყებამდე ზედაპირულად აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა – მთლიანად დაცული, ოთხკუთხა მოყვანილობის, წაგრძელებული, ერთი გვერდი ოდნავ შეზნექილი, მასზე მიძერწილი არის ნისკარტისებური კაუჭი.(ტაბ.XIII/5/) მეორე სწორ გვერდზე გაკეთებული ჰქონია სამი ნახვრეტი, მანჭვალეების საშუალებით სარტყელზე მორგების მიზნით

ოთხკუთხედის ვიწრო გვერდები ოდნავ მომრგვალებულია. აბზინდის გარეთა ზედაპირზე გრავირებულია ერთი მეორისკენ მიმართული მოზრდილი ფრინველების, შესაძლოა გედების, გამოსახულებანი, კარგად იკითხება ორივე მათგანის ფიგურები: თავი, ტანი, კუდი და ფეხები. პატინიზებული სიგრძე: 6,7 სმ; სიფართე კიდეზე 2 სმ; შუა წელზე: 1,8 სმ.

აბზინდების ორი ცალი ნიმუში მანამდე იყო აღმოჩენილი, ზუნდაგის განძში. თითქმის იდენტურებია წონიარისის აბზინდისა;

სიხალიძეების, ხუცუბნის და ზუნდაგის მონაპოვრებს წონიარისის აბზინდაც შეემატა. ამ აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური კულტურის კომპონენტში ამ სახის მოსართავებსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა [კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ., „იმედი“, 2003:№26].

ექსპედიციის მუშაობის დროს აღმოჩნდა ე. წ. რკინის საჩეხი (სასხლეელი) მთლიანად დაცული, პირი სწორი, ზურგი მოხრილი, წვეროსკენ თანდათანობით შევიწროებული. ტარი ბრტყელი, პირისკენ გაფართოებული, ბოლო მომრგვალებული, ქვემოთკენ დაშვებული მოზრდილი მომრგვალებული მონაკვეთით. ტარის ბოლოზე შემორჩენილი აქვს წყვილი მანჭვალი, ერთ-ერთი მანჭვალი ქვემოთკენ დაშვებულ მონაკვეთზეა გაკეთებული. იარაღს ზურგთან ახლოს, მთელს სიგრძეზე, ორივე მხარეს ფართო ღარი მიუყვება, საკმაოდ კოროზირებულია. სიგრძე 40 სმ. აქედან ტარის სიგრძე 10 სმ. სიფართე 2 სმ. პირის სიფართე 4 სმ. ზურგის სისქე 6 მმ (ტაბ.XII/9).

მსგავსი იარაღი სამეცნიერო ლიტერატურისათვის აქმდე უცნობი იყო, რომელსაც საჩეხი (სასხლეელი) დავარქვით და ვფიქრობთ წალდის მსგავსად ეს იარაღიც, ამ რეგიონში კონკრეტული დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. წონიარისის აღმოჩენები, რომლებიც ძვ. წ. VIII-VII სს-თი თარიღდება, ეს ის პერიოდია, როცა უკვე რკინის მოპოვება ათვისებულია და იგი ბრინჯაოს ცვლის. ამიტომაცაა რომ გათხრებისას რკინისა და ბრინჯაოს ნაწარმი თანაბარი რაოდენობით გვხვდება. რადგან ლითონის საბადოები ამ რეგიონში მრავლადაა, ახალი სახის იარაღებსაც ბუნებრივი პირობების მიხედვით ასხამდნენ და ამზადებდნენ. ჩვენს ხელთ არსებული იარაღი „საჩეხი“ უფრო ეკალ-ბარდის გასაკაფად გამოიყენებოდა, ვინემ ხის ტოტების ჩამოსასხლელად, რადგან ამ

დანიშნულებას წალდი ასრულებდა, ნამგალისაგან განსხვავებით „საჩეხი“ უფრო მოხერხებულია მოქნევისას, რადგან პირი გრძელი აქვს.

ნაპოვნია მთლიანად დაცული რკინის დანა, ოდნავ მოხრილი, სატარე ოთხკუთხა განივკვეთიანი, დანის პირი შედარებით სწორი, ზურგი მასიური და თანაბრად მომრგვალებული, უნდა ჰქონოდა ხის ტარი. სიგრძე 10,5 სმ. პირის სიფართე 2 სმ. ტარის: 1,3 სმ. ბოლოსკენ ოდნავ შევიწროებული.

რკინის სატევარი – მთლიანად დაცული, პირი სამკუთხისებური, დასაწყისი მომრგვალებული, ბოლო – წვეტიანი, ვადა ოთხკუთხა მოყვანილობის, ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე ცენტრალურ ნაწილში მიუყვება ღარი, სატევარი ბოლოვდება ორივე მხარეს, მკვეთრად გამოხატული, გარეთკენ მიმართული შვერილებით. სიმაღლე 27 სმ. აქედან ტარის – 8 სმ. სიფართე 3,5–2,5 სმ, ბოლოში 0,5 სმ. ტარის სიფართე 1,5 სმ. შვერილებთან ერთად ბოლოს სიფართე 6 სმ (ტაბ.XII/7).

ვერცხლის სამკაულის ფრაგმენტი. მრგვალი მავთულისებური ბოლო, მკვეთრად ნიჩბისებურად ფართოვდება. გაბრტყელებული ზედაპირი შემკული არის სამი პარალელური, წყვილ-წყვილი ხაზებით, რომელთა ბოლოებზე წერტილებიანი წრეხაზებია დატანებული, შემდეგ იწყება ჭდეების ორნამენტი, სამკაულს დანარჩენი ნაწილი აკლია. შემორჩენილი ფრაგმენტის სიგრძე 4,5 სმ. სიფართე 1,3 სმ.

მშვილდსაკინძი, არის პატარა და მთლიანად დაცული. რკალის სპირალურად დახვეული ერთი ბოლო წარმოადგენს ნემსისებური ენის გაგრძელებას, რომელიც ჯდება გაბრტყელებულ ბუდეში. რკალი პატინიზებული, შემკული ჩანს ტალღისებური ორნამენტით. სიგრძე 4,8 სმ. სიმაღლე 3 სმ. (ტაბ.XIII/2).

მინიატურული თიხის ჭურჭელი – თითქმის მთლიანად დაცული, მომტვრეული აქვს ტანის ნაწილი, რომელიც ხელს არ უშლის ფორმაზე სრული წარმოდგენის მიღებას. ხელით ნაძერწი (საკმაოდ უხეშად), ტანი ოდნავ მომრგვალებული გადაშლილი პირით. სიმაღლე 2,5 სმ. პირის დიამეტრი 3 სმ. ძირის დიამეტრი 2 სმ. (ტაბ.XII/5) მსგავსი ჭურჭელი შემთხვევით აღმოჩენდა ქედის რაიონ სოფელ კვაშტაში რომლის შესახებაც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასევე აღმოჩენილია კვირისთავი, რომელიც ბრტყელი მასიური ქვისგანაა დამზადებული, რომლის დიამეტრი 4,5 სმ-ა, ხოლო სისქე 0,6 მმ. (ტაბ.XII/4).

აღმოჩენილი მასალის მიხედვით ძეგლი ძვ.წ. VIII-VII სს თარიღდება და სავარაუდოა, რომ სამოსახლო შესწავლილი ბორცვის ერთ-ერთ თაროზე მდებარეობდა, სადაც გამოვლენილია სამირკვლის ნაშთები, ხოლო აღმოჩენილი ნივთები დროთა განმავლობაში დარეცხვით მიმოიფანტა მკვეთრად დაქანებულ ფერდობზე.

კოლოტაურის შემთხვევითი აღმოჩენა. განსაკუთრებული ძეგლია რადგან, აქ ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული დღემდე უწყვეტად ჩანს ყველა ეპოქის ადამიანის ნაკვალევი.

კოლოტაურის რგოლები სადაა (ტაბ.VII/1,2) (სხვა შემთხვევაში ორნამენტირებულიც გვხვდება), და სხვადასხვა ზომის, მაგრამ გააჩნია დამზადების ერთნაირი სტილი, ყველა ბრტყელგანიკვეთიანებია, ბოლოებგახსნილი და შეერთების ადგილი გაბრტყელებული. ზომები: 6,3X4,3X0,6 სმ-ზე; მეორესი 6,3X5,1X0,7 სმ-ზე; მესამე შედარებით პატარა ზომისაა 4,3X4,2X0,7 სმ-ზე(ტაბ.VII/1,2;ტაბ.VIII/1).

როგორც ზემოთ ვთქვით საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს ბრინჯაოს ორნამენტირებული პინცეტი (ტაბ.VIII/2) . იგი თხელი ლითონის ფურცლისგანაა დამზადებული. შემკულია გარეთა ნაწილი, შემკობის სურათს წარმოადგენს ზღაპრული ორთავიანი ცხოველი, რომელიც მთლიანად შემკობილია წერტილებით. თითო მხარეს ორ-ორი ერთმანეთზე მიყოლებული ასეთი ცხოველია გამოსახული. ცხოველს დაცქვეტილი ყურები და ამოკაუჭებული კუდი აქვს. ბოლოვდება ესისმაგვარი წერტილოვანი გამოსახულებით, ერთ მხარეს ორი მეორე მხარეს კი ერთი ასეთი ფიგურაა დატანილი. ორნამენტირებული ნაწილი ორივე მხარეს თავსა და ბოლოში ჩასმულია წყვილ ხაზებში, ხაზებს შორის მანძილი შევსილია დახრილი მკრთალი ხაზით. სიგრძე 8,5 სმ; სიფართე ყველაზე ვიწრო მონაკვეთში 0,4 სმ. ფართო მონაკვეთი 0,9 სმ-ია. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პინცეტის სრული ანალოგია. აღმოღენილი მასალები ფორმით, დამზადების ტექნოლოგიითა და მახასიათებლებით გვინბრინჯაოს პერიოდს - კერძოდ ძვ.წ VIII-VII საუკუნეებს მიეკუთვნება.

კოლოტაურის უახლესი აღმოჩენები. ჯვარიქედი წარმოადგენს კლდოვან ბორცვს, რომელიც აღმართულია აჭარისწყლისა და ხოხნიხევას შესართავთან, რაც ბუნებრივია

განსაზღვრავდა მის სტრატეგიულობას (ტაბ. XLVIII). აქედან მოჩანს აჭარისწყლის ხეობის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და შესაძლებელია მისი კონტროლი. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში სამოსახლო სწორედ კლდოვანი ბორცვის პლატოზე გაუმართავთ. ფართობი 1,5 ჰექტარს შეადგენს.

ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები რამდენიმე უბანზე ჩატარდა:

I - მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა გამოქვაბულის ტერიტორიაზე. მდებარეობს ჯვარიქედის კონცხის კლდოვან ფერდობზე. ფარდულის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შეჭრილია 7 მ სიღრმეზე. შესასვლელის სიგრძე 5 მ სიმაღლე 3,4 მ. 2000 წელს აქ აღმოჩნდა კაჟის ანატაკეცი და ლამელა. დათარიღებულია ადრენეოლითით. საანგარიშო წელს გაიწმინდა შესასვლელი მხარე, რომელიც საგანგებოდ მოსწორებულ ნაწილს წარმოადგენს. მცირე რაოდენობით აღმოჩნდა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნატეხები. არაა გამორიცხული, რომ გამოქვაბულს არა მარტო ქვის ხანაში, არამედ შემდგომ ეპოქებშიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ნადირობის დროს თავშესაფარის ფუნქცია ექონოდა.

II - ჯვარიქედის უკიდურეს ჩრდილო მონაკვეთზე სამუშაოები ანტიკური ხანის ნაგებობის შესწავლის მიზნით ჩატარდა. გამოიკვეთა მშრალი წყობით ნაგები კედლის ფრაგმენტები (სიგრძე 2 მ, სიმაღლე 1 მ). ჩანს, რომ აქ ნაგებობის გასამართავად ჯერ კლდოვანი პლატო საგანგებოდ მოუსწორებიათ და შემდგომ კედლის დამტვრეული ქანები გამოუყენებიათ მშენებლობისათვის. შემორჩენილია მშრალი წყობის აღმოსავლეთი კედელი. საკმაოდ უწესრიგოდ ნაგები. ქვები ერთმანეთისაგან დაშორებულია. მიუხედავად ამისა ისინი ისე არიან განლაგებული, რომ კედელი საკმაოდ მყარია. გათხრების დროს ამ მონაკვეთში აიკრიფა ანტიკური ხანის უსახური ფრაგმენტები.

III - პრეპარაცია გაუკეთდა ჯვარიქედის ყველაზე შემალღებულ ბორცვზე შემორჩენილი განვითარებულ შუა საუკუნეების სათვალთვალო კოშკს (GPS N 41°34.880 E 041°52.885). ისიც დაშენებულია კლდოვან რელიეფზე. მაქსიმალურადაა გამოყენებული კლდის ბუნებრივი შვერილები. მის კონფიგურაციას უმთავრესად კლდოვანი ქანის ფორმა განაპირობებს. კოშკის გეგმა კარგად იკითხება. იგი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. ზომები სიგრძე 8,40 მ. სიგანე ცენტრალურ ნაწილში 4,5მ, კედლის სისქე 50 სმ. მისი სამხრეთი კედელი ნახევარწრიული მოყვანილობისაა. შედარებით კარგადაა გადარჩენილი კოშკის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის ნაწილი. აღმოსავლეთითა და სამხრეთით თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. კოშკის მშენებლობისას უსწორმასწორო ზედაპირის ქვებით შევსების შემდეგ დალაგებულ ბალიშებზე აღუმართავთ საკმაოდ სქელი კედლები, შემორჩენილა ჩრდილოეთი კედლის ქვის წყობის რამდენიმე რიგი (6). დაცული სიმაღლე 1,5 მ-ია. კარგადაა შემონახული

დასავლეთი კედელიც. შემორჩენილი სიმაღლე 70-80 სმ, კედლის სისქე 3,3 მ. კედლის წყობაში გამოყენებულია კლდის ფლეთილი ქვის საშუალო ზომის ნატეხები. საპირე მხარე მოსწორებულია. ქვის ორმხრივ-შიგა და გარე წყობაში გამოყენებულია დულაბი.

IV – საკონტროლო თხრილი გაკეთდა განვითარებულ შუა საუკუნეების კოშკის პირდაპირ, კლდის ძირში, მკვეთრ ფერდობზე (ჩრდილოეთ მხარეს. **GPS N 41°34.890 E 041°52.881**), სადაც აღმოჩნდა საკმაოდ საინტერესო ანტიკური ხანის სამეთუნეო ნაკეთობანი. როგორც ჩანს შუა საუკუნეების სათავდაცვო ნაგებობის გასამართი ადგილის მომზადებისას მომხდარა უძველესი კულტურული ფენების ნივერირება და ფერდობებზე გადმოყრა.

V- წინანტიკური და ანტიკური ხანის არტეფაქტები გამოვლინდა ჯვარიქედის სამხრეთ ფერდობზე (**GPS N 41°34.895 E 041°52.859**). სადაც ადრე ძვ.წ. VIII-VII სს ბრინჯაოს პინცეტი და რგოლები იყო განძის სახით აღმოჩენილი. აქ ჭრილში ჩანდა კერამიკისა და მცირე ბათქაშების ფრაგმენტები. ამიტომაც საანგარიშო წელს მოხდა მისი შესწავლა. ჩამოსწორდა 15 მ სიგრძისა და 4 მ სიმაღლის ჭრილი, დადგინდა, რომ აქ უძრავი კულტურული ფენა არ გვაქვს და სხვადასხვა ეპოქის მასალები დრო და დრო ამ მონაკვეთში ქედიდან დარეცხილია და შრეებად დაფენილი.

არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩნდა სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტები. ყველაზე ადრეულია მრავალგანყოფილებიანი ჭურჭლის ნატეხები. ერთ-ერთ მათგანზე ოთხი წრიული განყოფილების ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამ ტიპის საკულტო ჭურჭელი მრავლად გვხვდება ფიჭვნარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურულ ფენებში.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება კიდევ ერთი საკულტო ნივთი. სადგრის ძირის ფრაგმენტი. შემორჩენილია ქვედა ნახევარი. ქონია მრგვალგანიკვეთიანი ტანი, ბოლოებისაკენ კალთებგაშლილი, ძირი შეღრმავებული. ეს ნივთიც ანალოგებს პოულობს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ზოლის თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებთან.

საკულტო ნივთებიდან ყურადღებას იქცევს თიხის პატარა ზომის ჭურჭელი. აქვს გამოკვეთილი ცილინდრული ქუსლი. ჯამისებრი პირი და ტანი. შიგა ზედაპირზე აჩნია წვის კვალი. მსგავსი ტიპის ჭურჭელი აღმოჩენილია კვაშტის არქეოლოგიური გათხრების დროს. იგი ძვ.წ. V ს-ითაა დათარიღებული.

საინტერესოა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ფრაგმენტები. გვხვდება დოქის მილიანი ყურის, ქოთნების სადა და კოპებით შემკული ყურები, დერგისა და ქვევრის პირის, კედლისა და ძირის ფრაგმენტები. ზოგჯერ პირის გვირგვინი წიწვისებური ორნამენტებითაა შემკული. არის რომლებით გაფორმებული ნიმუშებიც. ყელის არის შემკობაში გამოყენებულია წრისებრი ფოსოები. ტანი გაფორმებულია როგორც მცენარეული

ორნამენტით, ასევე გვხვდება სადა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ქედები თუ კანელურები. მრავლადაა წარმოდგენილი ჭურჭლის ბრტყელი ძირები. კერამიკის ფრაგმენტების დიდი ნაწილი უსახურია.

კოლხური კულტურის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით ამ ბოლო წლებში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლო მთაგორიანი ოლქები, კერძოდ, ჭოროხის აუზი და მისი მადნეულით მდიდარი მხარე კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კოლხეთის ბარი და რომ ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა იმ მაღალგანვითარებული მიწათმოქმედი საზოგადოების მიერაა შექმნილი, რომელიც მდ. რიონის აუზში ცხოვრობდა [კახიძე, მამულაძე, 2016:19]. ამ მოსაზრების ავტორები ფიქრობენ, რომ „აიას“ ქვეყანა იყო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებული დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მოწინავე ოლქს რიონის აუზი და კოლხეთის დაბლობი წარმოადგენდა, სადაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფორმირება ხდებოდა. სწორედ აქ, მკ.წ. II ათასწლეულიდან დამკვიდრდა დასავლურ-ქართული მოდგმის დიდი მასა, რომელმაც ერთ გაერთიანებაში მოაქცია ჯერ დიდსა და მცირე კავკასიონს შორის გაშლილი ტერიტორია, ხოლო შემდეგ, ალბათ, თავისი ძალაუფლება განავრცო მცირე კავკასიონის სამხრეთზე, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზეც (ლორთქიფანიძე, 1986; Лордкипаниძე, 1989).

დღეს არსებული მასალების მიხედვით ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამშობლო, მისი უძველესი, წამყვანი კერა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი იყო, სადაც მძლავრი კულტურული ფენების შემცველი სამოსახლოები, საკულტო ადგილები და მრავალრიცხოვანი განძები კარგად ასახავენ კოლხური კულტურის სათავეებსა და უადრეს ეტაპებს: აქ ხომ არაერთგზისაა მოპოვებული კოლხური ცულების პროტოტიპები [კახიძე, მამულაძე, 2016:19], გარდამავალი ფორმები და უადრესი ნიმუშები (ურეკი, მელექედური, ქობულეთი, ჩაქვის ჩაისუბანი, სახალვაშო, ე.წ. ჭოროხის განძი, ერგე, ზემო ჯოჭო, მახო, ხერთვისი, კირნათი, მახუნცეთი, ზუნდაგა, საღორეთი, სიხალიძეები, დიდაჭარა და ა.შ.) [კახიძე, მამულაძე, 2016:19] სიხალიძეების აღმოჩენებით დადგინდა, რომ

ყუაკვერიანი ცულებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზეა შექმნილი [კახიძე, მამულაძე, 2016:19]. დღევანდელი მონაცემებით ეჭვს არ იწვევს, რომ დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის სათავეები ჭოროხის აუზში იყო და აქვე დაირწა პირველი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანიც (დიაოხი და კოლხა). კოლხური კულტურის მეორე ეტაპის საწყისი საფეხურიდან საგრძნობლად ფართოვდება კოლხური კულტურის არეალი (რიონისპირეთი სწორედ მაშინ იქცა წამყვან ცენტრად) [კახიძე, მამულაძე, 2016:19]. მიუთითებენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან ქვეყნის შიგნით ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილება. ამ პროცესში სამხრეთ კოლხეთში მსხდომი ტომების ჰეგემონობით მთელი კოლხი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას და მათ თანდათანობით ერთიანი კოლხური კულტურა ჩამოაყალიბეს [კახიძე, მამულაძე, 2016:19]. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობ ნაწილში ტომთა საკმაოდ მძლავრი გაერთიანება ყალიბდება, რომელიც თანდათანობით მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე ავრცელებს თავის ბატონობას. სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კოლხური კულტურის განფენა მთელ დასავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეში [კახიძე, მამულაძე, 2016:19].


განთიადისა და ხელვაჩაურის ბრინჯაოს განძები ადასტურებს, რომ შუა-ბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოს კულტურულ არეალში ექცევა ყოროლისწყლის, მდ. ჭოროხის და აჭარისწყლის ხეობებიც (კირნათისა და მახუნცეთის მონაპოვრები). ვერნების ცულის მიხედვით პირველად გამოჩნდა ამ ეპოქის ნივთიერი მასალები აჭარის მთიანეთიდან [კახიძე, მამულაძე, 2016:20]. წინა ეპოქის გათვალისწინება უდავოს ხდის, რომ ამ დროისათვისაც გვაქვს აჭარის მთიანეთისა და ბარის ერთიანობა, შერწყმული მესაქონლეობითა და მიწათმოქმედებით, ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგით, განსაკუთრებით კი უკვე აღმავლობის გზაზე მდგარი ბრინჯაოს მეტალურგიით [კახიძე, მამულაძე, 2016:20]. სწორედ ამ ეპოქაში უნდა ჩასახულიყო მდ. ჭოროხის აუზის ცნობილი ბრინჯაოს მეტალურგიული კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხური და, საერთოდ, დასავლურ-კავკასიური კულტურის გენეზისში [კახიძე, მამულაძე, 2016:20].

თავი IV

ქედის მუნიციპალიტეტის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ძვ.წ. VI-I სს)

& 1. კლასიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

ანტიკური ხანის ძეგლები ქედის მუნიციპალიტეტში



ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში აჭარის ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, რომელიც მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას [კახიძე, მამულაძე, 2016]. კოლხეთი ამ დროს წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს. იგი ადრეკლასობრივი წარმონაქმნი იყო. ამავდროულად, წარმოადგენდა ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნას, სახეზეა ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ელემენტი [კახიძე, მამულაძე, 2016].

ადრეანტიკურ ხანაში კვლავ ინტენსიურად ვითარდებოდა მიწათმოქმედება (განსაკუთრებით ძვ.წ. VII საუკუნიდან), მევენახეობა-მელვინეობა, ტრადიციული მესაქონლეობა, სარეწაო თევზჭერა და სამეურნეო საქმიანობის ბევრი სხვა დარგი, რომელთა პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე სასაქონლო ხასიათისა იყო. ამავე პერიოდში ჩნდება პირველი ქალაქები [კახიძე, მამულაძე, 2016]. ადრეანტიკურ ხანაში სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის და ქალაქების არსებობის მანიშნებელია კოლხური თეთრის ემისია, რაც არსებითად საშინაო ბაზარს ემსახურებოდა. პროფესიული ხელოსნობის სხვადასხვა დარგის დაწინაურება კოლხეთის ეკონომიკის, კულტურის, ტექნიკისა და მაღალი ესთეტიკური დონის მანიშნებელია. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიუღია რკინის წარმოებას, ფეიქრობას (კოლხური სელი აღიარებული ჩანს საერთაშორისო ბაზარზე), მეთუნეობას, სადაც ხდება ნაწარმის სტანდარტიზაცია, თვითმყოფადობით გამოირჩევა საიუველირო ხელოვნება [კახიძე, მამულაძე, 2016]. სახელმწიფოსა და ქალაქების წარმოქმნამ, სამონეტო საქმის განვითარებამ, ბუნებრივია, განაპირობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაში ჩაბმა [კახიძე, მამულაძე, 2016].

ისტორიის მამა ჰეროდოტე კოლხეთს იმ დროის უძლიერეს სახელმწიფოთა გვერდით ასახელებს. მისი სიტყვებია: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზემოთ სასპერიები, სასპერიების ზემოთ კოლხები, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე” [კახიძე, მამულაძე, 2016].

ანტიკური ხანის ქართული მეურნეობისა და კულტურის შექმნაში, როგორც დადასტურდა, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ, კერძოდ, აჭარის როგორც ზღვისპირეთმა, ისე მთისწინეთმა და მთიანეთმა. აქ მოპოვებული მდიდარი მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ VI-IV საუკუნეების კოლხური საზოგადოების ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთის სახელმწიფოს ფორმირება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება, ეკონომიკის, კულტურის, რელიგიისა და საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი პრობლემა [კახიძე, მამულაძე, 2016].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ჩვენ ამ დროისათვის შემდეგ ვითარებას ვადასტურებთ: მახვილაური ძველი კოლხეთის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლთაგანია. უახლესი აღმოჩენებით დასტურდება, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც სათავე დაედო ცივილიზაციის ხანას [კახიძე, მამულაძე, 2016]. ტომობრივი კოლხური კულტურა ასულია განვითარების მაღალ საფეხურზე. მომზადდა ნიადაგი კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების გენეზისისათვის, საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და ანტიკურ (ბერძნულ) სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობების დამყარებისათვის. ბრინჯაოს ეპოქა იცვლება რკინის ხანით [კახიძე, მამულაძე, 2016]. მაღალმხატვრულ ნაკეთობებს წარმოადგენს მახვილაურის გათხრებისას აღმოჩენილი მხედარი ქალის ბრინჯაოს ფიგურა, ბრინჯაოსა და რკინის ცულები, რკინის სატევარი და დანა, ოქროს, გიშრის, სარდიონისა და მინის მძივები, საკინძის ორნამენტირებული თავები, ვერცხლის რგოლსაკიდები, მინის პოლიქრომიული მძივი, თიხის კვირისტავები, ქვის სალესი, კერამიკული ნაკეთობანი [კახიძე, მამულაძე, 2016].

მახვილაურის გორასამოსახლოს მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აჭარისწყლის ხეობის ძველ საფორტიფიკაციო სისტემაში. იგი იყო ძირითადი სამეთვალყურეო პუნქტი, რომელიც აკონტროლებდა არა მარტო მდ. ჭოროხის დელტის ვრცელ ტერიტორიას, არამედ დაკავშირებული იყო მდ. აჭარისწყლის ხეობის მსგავსი ფუნქციის მატარებელ ძეგლებთან. როგორც ვნახეთ, საამისოდ განსაკუთრებით საინტერესო მასალებია მოპოვებული სოფ. კვაშტას სამოსახლოზე.

& 2. საკულტო კერამიკის ერთი სახეობის გავრცელებისათვის აჭარისწყლის ხეობაში (კვაშტა)

პატარა ზომის თიხის ჭურჭელი, რომელზეც ახლა გვექნება საუბარი, მეტად საინტერესო ნივთია ჩვენთვის. რადგან მისი ანალოგები ერმიტაჟშია დაცული და სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოტანილ ლიტერატურაში, მხოლოდ კ.ი. ზაიცევას ნაშრომში ვიპოვეთ.

ჩვენთვის საინტერესო ნივთს ანალოგი მოეპოვება ოლბია, ქერსონი და ბოსფორის ყელზე ყუბანის პირეთში. შეისწავლილი სულ 105 მსგავსი ჭურჭელი, ამათი წარმოება ხანგრძლივ დროს მოიცავს, იწყება ძვ. წ. V ს-ში და გრძელდება ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე. ძვ. წ. V-IV საუკუნის ნიმუშები ცოტაა. ძირითადი მასა ელინიზმის ეპოქას განეკუთვნება. მკვლევარი იწყებს ოლბიით და მათ აკუთვნებს საკულტო ნივთს. ოლბიისა ყველა ელინისტური ხანისაა. გამოქვეყნებულია ხუთი თასი (38) ასევე 94 და სხვ.) სიმაღლე არაა დიდი, 6,2 – 8,7 – 10 სმ. ერთ-ერთის სიმაღლე 14 სმ-ია. პირის დიამეტრი 6,3 სმ–დან 10,6 სმ-მდე. ძირის დიამეტრი 5,6 სმ-დან 8,7 – 9 სმ-მდე. ფორმა კონსერვატულია ერთნაირია, მაგრამ დეტალები განსხვავდება. კონუსისებურ ფეხს აქვს უმეტესად რელიეფური რგოლი. ერთ ცალ ვაზის სადგამზე ორი რელიეფური რგოლი შემოუყვება. სქელკედლიანია და გვერდით გრძელ ღარიანი. არსებობს რელიეფურ ფეხზე და მასიურრგოლიანი სადგამით.

მნიშვნელოვანია ბევრი სიახლოვე ნაკეთობებს შორის. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდითა და ღრმა ფიალით. მოღუნულ-მომრგვალებული ან პირდაპირი კედლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მსგავსი ნივთი – საკულტო დანიშნულების ფიალა ჩვენს კუთხეში დღემდე უცნობი იყო. ახლა სწორედ ამ ნივთზე შევჩერდებით, რომელიც აჭარისწყლის ხეობის მორიგი მნიშვნელოვანი მონაპოვარია (ტაბ. XXIX/1,2,3). მისი მოკლე აღწერილობა ასეთია: კონუსისებურ ფეხზე შემდგარი, მკვეთრად გამოყოფილი ყელი, ზომიერად გადაშლილი პირი, დამზადებულია დაუმუშავებელი თიხისაგან, შეინიშნება არასტანდარტულობა, როგორც ძირის, ასევე ყელის გამოყვანაში, აკლია პირის ნაწილი. ფიალა საკულტო დანიშნულებისაა, იგი ახლოს დგას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ საკულტო ჭურჭლებთან. მისი სიმაღლე 6,5 სმ-ია, ქუსლის დიამეტრი 7სმ, პირის – 6,5 სმ. დამზადებისას ძირი შიგნითაა შეწეული, ფიალის სიღრმე 2 სმ-ია.

კვაშტის ფიალა, ოლბია ქერსონურისა და ყუბანის პირეთში აღმოჩენილ ანალოგებისაგან დამუშავების ტექნოლოგიით განსხვავდება. იგი ხელითაა ნაძერწი, საკმაოდ უხეშად, შეინიშნება ცეცხლთან სიახლოვის, წვის კვალი. ფიალაში შემორჩენილია ნამწვავი, შავი ლაქები.

ჭურჭლის აღმოჩენის ადგილი აჭარისწყლის ხეობა ჩვენი ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხეა. აქ აღმოჩენილია ადრებრინჯაოს ხანის მთლიანად დაცული თიხის ჭურჭლები, ასევე შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს

პერიოდის სხვადასხვა სახის სამკაულები თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთები. ნათლად ჩანს, რომ ეს რეგიონი უძველესი დროიდან ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. მნიშვნელოვან აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება აკავრეთას ხეობაში, სიხალიძეებში აღმოჩენილი იშვიათი ტიპის ბრინჯაოს ყუაკვერიანი ცულები. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა აქვე ფერადი ლითონების საბადოების არსებობა.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკულტო ჭურჭლის აღმოჩენის ადგილიც მეტად მნიშვნელოვანია, სოფელი კვაშტა რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი დიდ როლს ასრულებდა ანტიკური და შემდგომ პერიოდებისათვის ქვეყნის დაცვის სამსახურში. კვაშტის გამაგრებული საფორტიფიკაციო სამოსახლო ძვ. წ V საუკუნით თარიღდება. თანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ტერიტორია ფართოდ ყოფილა დასახლებული. ამდენად აქ მცხოვრებნი ასრულებდნენ იმ დროისთვის დამახასიათებელ რწმენა-წარმოდგენებს და ჩვენს ხელთ არსებული ჭურჭელიც ვფიქრობთ კვაშტის „ზეობის“ ხანას ძვ. წ VI საუკუნის ნაკეთობას განეკუთვნება.

კვაშტის საკულტო ნივთის მიხედვით ჩანს, რომ კლასიკური ხანისათვის საქართველოს ზღვისპირეთს მჭიდრო კონტაქტები ქონია პონტოსპირეთის სახელმწიფოებთან, კერძოდ ჩრდილოშავიზღვისპირეთთან. ამ ურთიერთობის კვალმა, როგორც ვხედავთ აჭარისწყლის ხეობამდე შემოადწია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ურთიერთობის შუამავალი უნდა ყოფილიყო ზღვისპირა ქალაქის ტიპის დასახლებები როგორცაა ბათუმის ციხე, ციხისძირი, ფიჭვნარი და სხვა...

კვაშტის ნამოსახლარი. ამჟამად ჩვენ ზოგადად მიმოვიხილავთ სოფელ კვაშტაში აღმოჩენილ და არქეოლოგიურად შესწავლილ საფორტიფიკაციო ნამოსახლარს, რომელიც კვაშტის ნამოსახლარის სახელითაა ცნობილი. იგი თარიღდება ძვ.წ. V საუკუნით. ამ პერიოდის ძველი აჭარისწყლის ხეობიდან ადრე უცნობი იყო [კახიძე, მამულაძე, 1993:58].

სოფელი კვაშტა გამენებულია მდ. აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, ქედის მუნიციპალიტეტი ცენტრიდან დაახლოებით მე-10 კმ-ზე; თვით ძველი კი მდებარეობს კვაშტის ერთერთი უბნის – სირაბიძეების სამხრეთ-დასავლეთით – „საყორნია კლდედ“ წოდებულ ქედზე. იგი აჭარა-შავშეთის მთების განშტოების ე.წ. „ჯვარქედის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს [კახიძე, მამულაძე, 1993:58].

„საყორნია კლდის“ ქედი იწყება მდ. აჭარისწყლის სანაპიროებიდან. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ქედის ორივე კალთა მკვეთრად დაქანებული, ციცაბო კლდოვანი აღმოსავლეთით სირაბიძეების დელემდე. ამ მიუვალ ადგილზე ძვ.წ. V საუკუნისათვის აქაურ მკვიდრთ ტერასული ტიპის გამაგრებული სამოსახლოები მოუწყვიათ [კახიძე, მამულაძე, 1993:59] (ტაბ.XXX). მდინარისაკენ წამოზრდილი სერი კონტროლს უწევდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთს. ბუნებრივია, იგი დაკავშირებული იქნებოდა სხვა გამაგრებულ სამოსახლოებთანაც [კახიძე, მამულაძე, 1993:59].

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ძეგლი ტერასებად არის დაყოფილი. პირველი ტერასა მდებარეობს „საყორნია კლდის“ თავზე არსებული პლატოს ჩრდილო-დასავლეთით და მას ტრაპეციის ფორმა აქვს [კახიძე, მამულაძე, 1993:59]. ძეგლი საერთოდ ერთფეროვანია. გათხრებისას აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებში, როგორც წესი, წამყვანი ადგილი კერამიკულ ნაწარმს უკავია [კახიძე, მამულაძე, 1993:59]. ესენია: ქვევრის, დერგის, ქოთნის, სასმისის, ჯამებისა და სხვა სახის ჭურჭლის ნატეხები; მცირე რაოდენობით აღმოჩნდა იმპორტული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებიც [კახიძე, მამულაძე, 1993:59].

აქვე აღმოჩენილია თიხის საბეჭდავები (ტაბ.XXXVI,5 და XXXVII,1) კვირისტავი და სალესები (ტაბ.XXXIV 9-12). მთელს ფართობზე ჩნდებოდა თიხის ბათქაშის ნატეხები. მათზე შერჩენილია ხის წვრილი ლარტყების ანაბეჭდები. ჩანს მცირე ზომის ტერასული სამოსახლო ხანძრის შედეგადაა განადგურებული [კახიძე, მამულაძე, 1993:60]. ტერასებს შორის გაყვანილია კლდეში ნაკვეთი სადრენჟო არხი, რომელიც მომდევნო ტერასებს იცავენ ჩამდინარე წყლებისაგან.

პირველი ტერასა მეორისაგან 5-6 მ-ის სიმაღლის შვეული კლდის ქანითაა გამოყოფილი. აქაც წამყვანია კერამიკული ნაწარმი; ბევრია ხელსაფქვავი (ტაბ.XXXIV,2), სალესი. სხვა სახის მასალებიდან აღსანიშნავია ბადის საძირავებად გამოყენებული რიყისქვის საწაფები (ტაბ.XXXIV,6-8), შურდულის ქვები (ტაბ.XXXIV,3-5), სარდიონის მძივები და ა. შ. შეინიშნება ძლიერი ხანძრის კვალი [კახიძე, მამულაძე, 1993:60].

III ტერასა მდებარეობს საყორნია კლდის პლატოს სამხრეთ-დასავლეთით. იგი წაგრძელებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. არქეოლოგიური მასალები ანალოგიურია I და II ტერასაზე აღმოჩენილი

ნიმუშებისა. აქვე აღმოჩნდა საქაფები და შედარებით დიდი ზომის საბეჭდავი. ამ ტერასაზე ყოფილა ქვის საძირკვლის მქონე ძეღური ნაგებობა, რომელიც ხანძარს გაუნადგურებია [კახიძე, მამულაძე, 1993:61].

IV ტერასა მდებარეობს კლდის პლატოს სამხრეთ-დასავლეთით. იგი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა. ტერასის ცენტრალურ და სამხრეთ მონაკვეთში დადასტურდა ქვის მშრალი წყობის ნაშთებიც. არაა გამორიცხული ისინი ნაგებობის საძირკვლისათვის ყოფილიყო გამოყენებული [კახიძე, მამულაძე, 1993:61].

როგორც წესი, კვაშტის არქეოლოგიურ მასალებში წამყვან ადგილს კერამიკულ ნაწარმი იკავებს. ისინი თავის მხრივ სხვადასხვა არათანაბარ ჯგუფად იყოფა. ესენია: სამეურნეო, საოჯახო-შინსახმარი, რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული, იმპორტული და სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმი [კახიძე, მამულაძე, 1993:62].

სამეურნეო კერამიკა არსებითად ქვევრებისა და დერგების ნატეხებითაა წარმოდგენილი. ქვევრის პირის გვირგვინების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი განივკვეთის მიხედვით ორ ტიპად იყოფა – სამკუთხა და ოთხკუთხა განივკვეთიანები (ტაბ. XXXI). ქვევრთა ერთი ნაწილის პირები სადაა (ტაბ. XXXI/3). ზოგჯერ პირი წარმოადგენს ყელის უშუალო გაგრძელებას. ნაწილი პირებისა მკვეთრადაა გამოყოფილი ფართო, არც თუ ისე მაღალი ჰორიზონტალური ყელისაგან. კვაშტის ქვევრების დიდი ნაწილის პირის გარეთა კალთა და ყელიც ორნამენტირებულია (ტაბ. XXXI/1.2). სადა ნიმუშები იშვიათობას წარმოადგენს. ხშირად ჰორიზონტალური ღარებით ყელის მთლიანი ზედაპირია დაფარული. ზოგჯერ გამოყენებულია ამ ტიპის სამეურნეო კერამიკისათვის კარგად ცნობილი გრებილი ორნამენტი [კახიძე, მამულაძე, 1993:63] (ტაბ. XXXI/10,11).

ზემოთ ჩამოთვლილი ორნამენტაციის მოტივები ზოგჯერ გამოყენებულია კვაშტაში აღმოჩენილი ქვევრების ტანის ზედაპირის შემკობის დროსაც. კვაშტის ქვევრთა ძირები ძირითადად ბრტყელია და ტანისაგან არ არის გამოყოფილი. თუმცა, არის რამდენიმე ნიმუში, როცა ძირი ტანისაგან გამოყოფილ-გამოზიდულია. ასეთ შემთხვევაში გამოზიდული კიდე მომრგვალებულია, ან სწორხაზოვნადაა ჩამოჭრილი [კახიძე, მამულაძე, 1993:64] (ტაბ. XXXIII).

ქვევრების კვლევისას ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: არსებობს ქვევრებისა და დერგების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ყელის, მხრისა თუ ტანის არეში გაკეთებული ჰქონდათ არც თუ ისე დიდი დიამეტრის მქონე ნახვრეტები (ტაბ.XXXI/2;ტაბ.XXXIII/5). როგორც ჩანს ამ ტიპის ჭურჭელი ძირითადად გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარცვლეულის შესანახად. ეს ნახვრეტები კი ხელს უწყობდა ჰაერის ცირკულაციას. ბუნებრივი, ქვევრების გარკვეული ნაწილი საღვინე ჭურჭლადაც იქნებოდა გამოყენებული. ხოლო ხმარებიდან გამოსულ ქვევრებს, ზოგჯერ უხმარსაც, დასაკრძალავ ურნებად იყენებენ [კახიძე, მამულაძე, 1993:65].

დერგები ადრეანტიკური ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ნაკლებად შესწავლილი სახეობაა. ზოგჯერ არც კი ხერხდება მათი მკვეთრი გამიჯვნა ქვევრებისგან. ამოსავლად აღებულია ფრაგმენტების განზომილებანი. განსხვავებით ქვევრებისაგან, დერგების პირის პროფილები უფრო დახვეწილია. უმეტესად, როგორც წესი, ოთხკუთხა განივკვეთიანია, ზოგიც სამკუთხა. ორნამენტაციის მოტივიც სხვადასხვა გვარია. თუმცა ხშირ შემთხვევაში იმეორებს ქვევრების პირთა შემკობის ზემოთ უკვე აღნიშნულ მოტივს (ტაბ.XXXII/6-10). აქაც წამყვანია პირის გარეთა კალთის დაფარვა დაკბილული იარაღით შესრულებული რომბისებური ბადის ორნამენტით, ურთიერთგადამკვეთი ჯვარედინი ხაზებით და ა.შ. [კახიძე, მამულაძე, 1993:66]

დიდი ნაწილი დერგებისა სადაა, მაგრამ გვხვდება რელიეფური ქედებით შემკული ნიმუშებიც. წრიული ნახვრეტები წელისა და ყელის არეში აქაც საკმაოდ ხშირადაა გაკეთებული ქვევრების მსგავსად [კახიძე, მამულაძე, 66]. (ტაბ.XXXII).

საოჯახო კერამიკა. ზღვისპირა სამოსახლოებისაგან განსხვავებით კვაშტის ნამოსახლარის საოჯახო-შინსახმარი კერამიკა არ ხასიათდება ფორმათა მრავალგვარობითა და სინატიფით. ჭარბობს შედარებით დიდი ზომის ტლანქად ნაკეთები დოქები. ისინი უმეტესად სადანი არიან. სადა სამკუთხედებითა და წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული. ზოგჯერ მხრისა და ტანის არე შემკულია წიწვოვანი ორნამენტის ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ზოლებით, ან მარტო გრეხილი, რომბული ბადის თუ წიწვოვანი ჰორიზონტალური ზოლებით [კახიძე, მამულაძე, 1993: 67].

უფრი ფაქიზადაა ნაკეთები შედარებით პატარა დოქები. ზოგიერთ მათგანზე წრეში ჩასმული წერტილებია ამოტვიფრული [კახიძე, მამულაძე, 1993:67] (ტაბ.XXXII/6).

კვამტაში აღმოჩენილი დოქების ყურები ბრტყელ, სამკუთხა, ოვალურ, მრგვალ და რომბისებურ განივკვეთიანებია. ზოგიერთი მათგანი ერთი ან რამდენიმე მეჭეჭითაა შემკული (ტაბ.XXXV/4). ვხდებით დაკბილული იარაღით დატანილ სამკუთხედებით თუ წიწვოვანი ორნამენტით დაფარულ ყურებსაც (ტაბ.XXXV/5). ცალკე ჯგუფს ქმნის ე.წ. ზოომორფული ყურები, რომელთა ზედაპირი წიწვოვანი ორნამენტითაა დაფარული [კახიძე, მამულაძე, 1993:68] (ტაბ.XXXV/6).

სუფრაზე მოსახმარ ჭურჭელთაგან შეიძლება დავასახელოთ პატარა ზომის ჯამის ნატეხებიც, რომელთა ნაწილს აქვს სწორი, ნაწილს კიდეც – შიგნით ჩაკეცილი პირი. ყველა მათგანი ბრტყელ ძირიანია [კახიძე, მამულაძე, 1993:69] (ტაბ.XXXV/11).

მცირერიცხოვანია სამზარეულო ჭურჭელი. ესენია სადა და ჭდეებით შემკული ქოთნები და ე.წ. ტაფისებური ჭურჭელი. ცალკე ჯგუფს უნდა ქმნიდნენ ლანგრები, მაგრამ მათი მკვეთრი გამიჯვნა შედარებით კარგად დაცული ნიმუშების უქონლობის გამო ჭირს [კახიძე, მამულაძე, 1993:69] (ტაბ.XXXVI/13).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კვამტის გათხრებისას აღმოჩენილია ჭრაქის ფრაგმენტი (ტაბ.XXXVI/1). არაა გამორიცხული, რომ ჭრაქის მოვალეობას ასრულებდა აქ აღმოჩენილი ღია ტიპის შვერილიანი ჭურჭელიც [კახიძე, მამულაძე, 1993:69] (ტაბ.XXXVI/2).

რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია ბრტყელი კვირისტავი. საფიქრალია, რომ ამავე ფუნქციით იყო გამოყენებული გახვრეტილი ქვა [კახიძე, მამულაძე, 1993:70] (ტაბ.XXXVI/3,4).

იმპორტული კერამიკა. კვამტის მასალებში ძალზე მცირერიცხოვან, მაგრამ საყურადღებო ჯგუფს ქმნის იმპორტული კერამიკის ნაწარმი. ეს მონაცემებიც ამტკიცებს ამ სამოსახლოს მიმართ ჩვენს მიერ შემუშავებულ თარიღს. იმპორტული კერამიკული ნაწარმიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ძვ.წ. V ს-ის ე.წ. სასმისისებრ ძირიანი ამფორის პატარა ზომის მრგვალგანივკვეთიანი ყურისა და კედლის ნატეხი. გამოიყოფა აგრეთვე, ე.წ. სადა ზოლებიანი იონური ამფორის ძირისა და ქუსლის ფრაგმენტები (ტაბ.XXXVI/5). ამ ტიპის ჭურჭლები

არაერთგზისაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. კოლხურ და ბერძნულ ნეკროპოლებზე [კახიძე, მამულაძე, 1993:70].

სხვადასხვა დანიშნულების კერამიკიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს თიხის საბეჭდავები (ტაბ.XXXVII/1; ტაბ.XXXVI/5) .

საბეჭდავი კარგადაა დაცული, წრიული ფორმის, ცილინდრულ სახელურიანი, მრგვალი სამუშაო ზედაპირი, წყვილი ჯვარედინი ხაზით ოთხ თანაბარ სექტორადაა გაყოფილი. თითოეულ სექტორში რელიეფურ ქედებიანი 4-4 უფუძო სამკუთხედია წარმოდგენილი, მთლიანობაში გადმოცემულია მზის სიმბოლიკური გამოსახულება [კახიძე, მამულაძე, 1993:70]. სხვა დანიშნულების კერამიკულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია პატარა ზომის სქელკედლიანი ჭურჭელი, რომლის ფსკერზე ოთხი წვრილი ნახვრეტია გაკეთებული. არაა გამორიცხული, რომ მასში გაღობილი ფერადი ლითონის დაწურვა ხდებოდა. კვამტის ნამოსახლარზე აღმოჩენილია წვრილ ნახვრეტის თიხის საბერველი მილის ნატეხიც [კახიძე, მამულაძე, 1993:74].

ლითონის ნაკეთობანი. ამ სახის მასალები წარმოდგენილია ერთეული ეგზემპლარებით. პირველ რიგში აღსანიშნავია რკინის ხელშუბის – მუჯარის ფრაგმენტები (ტაბ.XXXVI/11,12). დაცულია ხელშუბის რკინის წვერი და ხის ტარის ბოლოზე წამოსაგები მასრა. სამეურნეო იარაღთაგან ყურადღებას იქცევს რკინის წალდის ფრაგმენტი (ტაბ.XXXIV/1). დაცულია მოკაუჭებული ღინკი და ტანის ნაწილი [კახიძე, მამულაძე, 1993:74]. ეს მეტად მოსახერხებელი იარაღი იქნებოდა აქაური გარე მოსახლეობისათვის. ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

კვამტის გათხრებისას მოპოვებულ იქნა შესანიშნავად დაცული ბრინჯაოს ორი სამაჯური (ტაბ.XXXVI/14;ტაბ.XXXVII/3) ერთერთი მათგანი დამზადებულია მრგვალ განივკვეთიანი მასიური ღეროსაგან (ტაბ.XXXVI/14); პატინიზებული, სწორზურგისაა. ოთხკუთხა განივკვეთიანი ბოლოები წარმოადგენენ ცხოველის თავის სტილიზებურ გამოსახულებას. ერთერთი თავის ზედაპირზე ღრმა ღარებით გამოყვანილი წიწვისებური სამკაული , მეორეზე – წიწვისებურ სამკაულთან ერთად რომბისებური გამოსახულებაცაა მოცემული. სამაჯურისებს რკალზე ცალკეულ მონაკვეთადაა განლაგებული არაღრმა ღეროს ირგვლივი ღარები. ზომები 5,5 X 5,5 სმ, სისქე 1 სმ. [კახიძე, მამულაძე, 1993: 77].

მეორე სამაჯური დამზადებულია ოთხკუთხაგანიკვეთიანი ღეროსაგან (ტაბ. XXXVII/3). პატინიზებული, ზურგსწორი, რკალი მთელ სიგრძეზე თანაბარი განიკვეთისაა. მისი ბოლოები შემკულია ცხოველის (დრაკონის?) თავების სტილიზებული გამოსახულებებით. შეპირისპირებული დრაკონის თავები მოცემულია სამაჯურის ზურგის არეშიც, დრაკონის თავი ოთხკუთხა მოყვანილობისაა, რომელიც რკალისაგან გამოიყოფა განივი ღარებით. ყურების გადმოცემის მიზნით კეფის არეში ნაჭდევია ღრმა სამკუთხედი, წაწვეტებული სახე ბოლოებში ოდნავ შესქელებულია. ამოღარული წრეებით გადმოცემულია თვალების გამოსახულებანი. სამაჯურის რკალის ცალკეულ მონაკვეთზე მოცემულია ირგვლივი ღარები [კახიძე, მამულაძე, 1993: 77].

სამკაულებიდან აღსანიშნავია ასევე ბრინჯაოს ორმაგი სპირალური ხვია. დაცულია ერთი ნახევარი [კახიძე, მამულაძე, 1993:78] (ტაბ. XXXVI/16).

გათხრებისას I ტერასაზე აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს სიტულის წნული ორნამენტით შემკული ყურის ფრაგმენტი (ტაბ. XXXVI/17). ამ ტიპის ბრინჯაოს ჭურჭელიც ფართოდ ჩანს გავრცელებული კოლხურ კულტურაში გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკურ ხანაში [კახიძე, მამულაძე, 1993:78].

კვაშტის ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალებში გარკვეულ ჯგუფს ქმნის ქვის ნაკეთობანი. პირველ რიგში აღსანიშნავია ხელსაფქველები. სამივე ტერასაზე აღმოჩნდა 20-მდე ხელსაფქვაკვი (ტაბ. XXXIV/2). ემჩნევათ ხანგრძლივი ხმარების კვალი. ყურადღებას იქცევს ზედა ქვა, რომლის ბოლოებზე ხელის მოხერხებულად მორგების მიზნით რელიეფური ჩაღრმავებები აქვს გაკეთებული [კახიძე, მამულაძე, 1993:78].

ასევე მრავალრიცხოვანია სხვადასხვაზომის შურდულის ქვები (ტაბ. XXXIV/3,4,5).

ყურადღებას იქცევს ბადის საძირავებად გამოყენებული რიყის ქვის საწაფები (ტაბ. XXXIV/6,7,8). ამ სახის მასალები პირველად აღმოჩნდა აჭარისწყლის ხეობაში. ზღვისპირეთის საწაფებთან შედარებით ისინი პატარა ზომისაა. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც აღნიშნული ნიმუშები გამოიყენებოდა მდინარეზე სათევზაოდ, ზღვისპირა მოსახლეობის ასპარეზი კი ამ მხრივ, ბუნებრივია, უფრო ფართო იყო [კახიძე, მამულაძე, 1993:79].

განათხარ მასალაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის სალესები (ტაბ. XXXIV/9,10,11,12) . აქაურ მკვიდრთ ისინი გაქვავებული ხისა და რიყის ქვებისაგან დაუმზადებიათ. ზოგიერთ მათგანს აქვს პატარა ზომის ნახვრეტი. უმეტესი ნაწილი ფრაგმენტულია, მაგრამ ფორმაზე წარმოდგენა შეიძლება [კახიძე, მამულაძე, 1993:79].

ნამოსახლარის ტერიტორიაზე მოპოვებულია, აგრეთვე, სარდიონის ორი მძივი (ტაბ. XXXVI/18). ერთი მათგანი მოზრდილია, სფეროსებრი, ფართო ნახვრეტიანი. მეორე კი შედარებით პატარა ზომისაა [კახიძე, მამულაძე, 1993:79].

როგორც ითქვა, ადრე აჭარისწყლის ხეობიდან ანტიკური ხანის ძეგლები საერთოდ უცნობი იყო [კახიძე, მამულაძე, 1993:79]. გარდა ამისა კოლხურ კულტურას შეემატა ახალი ტიპის ძეგლი. იგი წარმოადგენდა საფორტიფიკაციო, სათვალთვალო პუნქტს, რომელიც კონტროლს აწესებდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთზე [კახიძე, მამულაძე, 1993:74]. უნდა ვიფიქროდ, რომ მსგავსი საფორტიფიკაციო სათვალთვალო პუნქტები აჭარისწყლის ხეობის სხვა მონაკვეთებზეც უნდა ყოფილიყო. კვაშტის დასახლება ამ მთლიანი სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა. სწორედ ასეთი ტიპის ძეგლი აღმოჩნდა ქედის ტერიტორიაზე სოფელ კოლოტაურში, რომლის შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი. ამ ტიპის ძეგლებისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით შერჩეულია მეტად მოხერხებული ადგილი. როგორც ითქვა, ერთ-ერთი ასეთი სათვალთვალო პუნქტი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერაძეებსა და კაპნისთავს შორის მოქცეულ ტერიტორიაზეც უნდა ყოფილიყო [კახიძე, მამულაძე, 1993:80]; იგი მდებარეობს აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, საკმაოდ მაღალ მოვაკებულ ადგილას. აქედან შეიძლებოდა კონტროლის დაწესება აჭარისწყალ-ჭოროხის შესართავსა და თვით აჭარისწყლის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილზე. აქ აღმოჩენილი ზედაპირული მასალები კვაშტაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების თანადროული ჩანს ([კახიძე, მამულაძე, 1993:80]. ასეთივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა მახვილაურის ანტიკური ხანის დასახლებასაც.

სოფელ კვაშტის გამაგრებულ სამოსახლოს განსხვავებული ფუნქციაც უნდა ჰქონოდა [კახიძე, მამულაძე, 1993:80]. გათხრებისას აღმოჩენილია დიდი რაოდენობით სამეურნეო კერამიკის ნატეხები, ხელსაფქვავები და ა. შ. როგორც

ჩანს, ახლო მდებარე დასახლების სურსათის, კერძოდ, მარცვლეულის გარკვეული მარაგის გადანახვა სწორედ გამაგრებული სამოსახლოში ხდებოდა [კახიძე, მამულაძე, 1993:80].

ფიჭვნარის არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსის, განსაკუთრებით კი ძვ. წ. V საუკუნის კოლხური სამაროვნების შესწავლის გზით მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძვ.წ. V საუკუნის I მეოთხედისათვის დასრულებულია კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი [კახიძე, მამულაძე, 1993:80]. კვაშტასა და მსგავს სამოსახლოებს ქვეყნის დაცვითი ფუნქცია უნდა ჰქონოდა დაკისრებული. სწორედ ამით აიხსნება ძვ. წ. V საუკუნისათვის მსგავსი საფორტიფიკაციო ტიპის სამოსახლოების გაჩენა [კახიძე, მამულაძე, 1993:80]. კვაშტის სამოსახლო ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი.

შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის საკმაოდ მრავალრიცხოვანი განძების, ფუმრუკაულის წინანტიკური ხანის სამაროვნისა და სხვა შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ აჭარისწყლის ხეობა თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით წარმოადგენდა დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას [კახიძე, მამულაძე, 1993:81]. უახლესი აღმოჩენებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ კულტურის სამხრეთი საზღვრები. აჭარისწყლის სათავეები უშუალოდ ეკვროდა აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებს, ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთს. ზემო აჭარის გადასასვლელებით, კერძოდ, აჭარისწყლის, ღორჯომისა და სხალთისწყლის სათავეებზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით მყარდებოდა კოლხური კულტურის სამხრეთი რაიონების უშუალო კონტაქტები აღმოსავლურ ქართულ-იბერიულ კულტურასთან [კახიძე, მამულაძე, 1993:82]. უახლესი არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ კოლხური კულტურის ნაკადი საკმაოდ ღრმად იჭრებოდა სამხრეთ საქართველოში [კახიძე, მამულაძე, 1993:82].

ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალები მეტყველებენ, რომ ბრინჯაოს ხანაში დაწინაურებული ყოფილა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნადირობა და ხელოსნური წარმოების სხვა დარგი. განძებში შემავალი ლითონის ზოდების მიხედვით ჩანს, რომ ადგილზევე ხდებოდა შრომისა და საბრძოლო იარაღის დამზადება [კახიძე, მამულაძე, 1993:82]. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებს შორის პირველად აქ აღმოჩნდა მხატვრული ხელოსნობის

შესანიშნავი ნიმუშები – გრაფიკული დეკორით შემკული კოლხური ცულები [კახიძე, მამულაძე, 1993:82]. ჭოროხის აუზსა და მის მოსაზღვრე რაიონებში შექმნილი იარაღის უძველესი ფორმების ზოგიერთი ნიმუში დღესაც განაგრძობს არსებობას აქაურ მკვიდრთა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

აჭარისწყლის ხეობის მკვიდრნი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალსაფეხურზე ასულან ანტიკურ ხანაშიც. ამ მიმართებით განსაკუთრებით საყურადღებო მასალებია გამოვლენილი ხიხაძირ-ფუმრუკაულის, ჭვანისა და კვაშტის წინაანტიკური და კლასიკური ხანის ძეგლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად [კახიძე, მამულაძე, 1993:83]. რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მოამზადა პირობები საწარმოო ძალების შემდგომი მკვეთრი პროგრესისათვის. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაღრმავდა საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. ისახება სასაქონლო წარმოება, თავს იჩენს უცხოური, ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული იმპორტული ნაკეთობანიც [კახიძე, მამულაძე, 83]. მასლებში წამყვან ადგილს იკავებს მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მებაღეობასთან დაკავშირებული სამეთუნეო ნაწარმი. მრავლდება რთვა-ქსოვასთან, მეთევზეობასთან და ხელოსნობის სხვა დარგებთან დაკავშირებული მასალები. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თიხის საბეჭდავები [კახიძე, მამულაძე, 1993:83], რომლებიც ხელისუფლების ინსიგნიებს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის მსგავსად, ძვ. წ. V საუკუნისათვის (კვაშტის მოდელის მიხედვით) აქაც დასრულებულა კლასებისა და კლსობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი. ამ მიმართებით როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავისებურ ძეგლს წარმოადგენს კვაშტის ძვ. წ. V ს. გამაგრებული ტიპის ნამოსახლარი [კახიძე, მამულაძე, 83]. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარისწყლის ხეობის სხვა ძეგლების მსგავსად მასაც კოლხეთის სამხრეთის საზღვრებისა და საერთოდ აჭარისწყლის ხეობის ჩაკეტვის ფუნ ცია ეკისრებოდა [კახიძე, მამულაძე, 1993:83]. ასეთივე ტიპის ძეგლი უნდა ყოფილიყო მდ. ჭოროხის ქვემო წელის მარჯვენა სანაპიროზე მახვილაურის გორაზე გაშენებული ანტიკური ხანის სამოსახლო. აჭარისწყლის ხეობის, მისი ცალკეული შენაკადების მსგავსი ფუნქცია კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მომდევნო ეპოქებისათვის. ფეოდალური ხანისათვის შექმნილია საფორტიფიკაციო ნაგებობების რთული სისტემით

დაფარული მთელი ხეობა, რომელიც წარმოადგენდა ერთიანი ძლიერი საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს.

კოლოტაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. სოფელი კოლოტაური მდებარეობს აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე ქ. ბათუმიდან 31 კილომეტრის დაშორებით. იგი გაშენებულია აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილოეთი მონაკვეთის ციცაბო ფერდობებზე, ტერასებსა თუ პატარ-პატარა ტაფობებზე. სოფელი ბუნებრივად საკმაოდ კარგადაა დაცული. სამხრეთით მდინარე აჭარისწყლითაა შემოსაზღვრული, აღმოსავლეთით აჭარისწყლის მარცხენა შენაკადით კოლოტაურისწყლით, რომელსაც ადგილობრივები „ხოხნიხევას“ ეძახიან; ჩრდილოეთით აჭარა-შავშეთის მთებით, ხოლო დასავლეთით აჭარა-შავშეთის ქედიდან აჭარისწყლის ხეობისაკენ დაშვებული ციცაბო კლდოვანი ჯვარქედით. სოფელი წარმოადგენდა ბუნებრივად გამაგრებულ და ყოველმხრივად დაცულ ტერიტორიას, რაც ბუნებრივია ქმნიდა ხელსაყრელ გარემოს აქ უძველესი დროიდან ადამიანის დასახლებისათვის. ამაზე ნათლად მიუთითებს 1971 წელს ადრებრინჯაოს ხანის შემთხვევით აღმოჩენილი თუ 2000 წელს აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპვებული მასალა.

ნამოსახლარი მდებარეობს ჯვარქედის დაბოლოების ყველაზე შემადლებულ მონაკვეთზე. რომელიც ნახევარკუნძულისებრი ფორმისაა და საკმაოდ ღრმადაა შეჭრილი აჭარისწყლის სანაპიროსკენ. მდინარე ბორცვს ირგლივ უვლის და შესაბამისად ნამოსახლარი (აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით) თითქმის მიუვალია. ხოლო ჩრდილოეთი მონაკვეთი ჯვარქედისგან ვიწრო ყელითაა გამოყოფილი. შესაბამისად ჩაკეტვის შემთხვევაში ნამოსახლარი მიუდგომელი ხდებოდა. სამოსახლო სწორედ კლდოვანი ბორცვის პლატოზე იყო გამართული. აქედან ხელისგულივით მოჩანს აჭარა-გურიისა და აჭარა-შავშეთის მთების ფერდობებზე შეფენილი სოფლები და თვით აჭარისწყლის ხეობის საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი. სამოსახლოს ფართობი 1.5 ჰექტარს აღემატება. მისი ტერიტორია ფრიალო კლდეებით აჭარისწყლამდე ეშვება. ზედა ნაწილის რელიეფი, სადაც სათვალთვალო კოშკი იდგა, კლდოვანია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შუასაუკუნეების ხანის ქვის წყობის ნაშთებმა. ძველი კულტურული ფენები დროთა განმავლობაში გადაირეცხა. იმდროინდელი ადამიანის მოღვაწეობის კვალი ძირითადად შემონახულია ძეგლის გარშემო არსებულ ვაკე

ადგილებში. რომლის შესწავლის (სულ გავლებულია 8 სხვადასხვა ზომის საკონტროლო თხრილი) შედეგად მოპოვებულია საინტერესო მასალა.

კოლოტაურის ნამოსახლარზე მოპოვებული კოლხური თიხის ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის [მამულაძე, ხალვაში, 2002:28]. სამეურნეო ჭურჭელში გაერთიანებულია ქვევრები, დერგები და ამფორები; სამზარეულოში ქოთნები; სუფრისაში დოქები, სასმისები და ჯამები. ნამოსახლარზე წარმოდგენილია ისეთი ნივთებიც, რომელთა ატრიბუცია ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება [მამულაძე, ხალვაში, 2002:28].

სამეურნეო კერამიკიდან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქვევრები ქმნიან. ინვენტარიზებულია 30-მდე ნიმუში [მამულაძე, ხალვაში, 2002:28].

კოლოტაურის ქვევრები პირის მოყვანილობისა და ზედაპირის შემკულობის მიხედვით რამდენიმე განსხვავებულ ტიპად შეიძლება დაიყოს [მამულაძე, ხალვაში, 2002:28]. 1. განიკვეთში ოთხკუთხა ფორმის რომელიც, V საუკუნით თარიღდება. 2. განიკვეთში ისრისპირის მოყვანილობის, თარიღდება ძვ.წ. V ს და IV ს პირველი ნახევრით. თითქმის ყველა შემთხვევაში პირი მკვეთრადაა გამოყოფილი ყელისაგან. არის ისეთი ნიმუშებიც რომელთა პირი ყელის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს [მამულაძე, ხალვაში, 2002:28]. ორივე ვარიანტის ქვევრების პირის გარეთა კალთა ორნამენტირებულია. წამყვანია დაკბილული იარაღით შესრულებული რომბისებური ბადის ორნამენტი. იშვიათია პირები, რომლებიც შემკულია ღრმა ირიბი ჭდეებითა და სამკუთხედებით [მამულაძე, ხალვაში, 2002:29].

დერგები ქვევრებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. საერთოდ დერგები ადრეანტიკური კოლხური თიხის ჭურჭლის ნაკლებად შესწავლილი სახეობაა [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. სამეცნიერო ლიტერატურაში არაა შემუშავებული მათი არც ტიპოლოგიური, არც ქრონოლოგიური კლასიფიკაცია [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. ზოგჯერ არც ხერხდება მათი გამოჯნვა ქვევრებისაგან. იდენტურია ფორმა და შემკობის მეთოდიც. განსხვავება ძირითადად განზომილებათა მონაცემების საფუძველზე ხდება [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. დერგები ქვევრებთან შედარებით უფრო მცირე ზომისანი არიან. მაგალითად, 19-28 სმ. დიამეტრის მქონე პირებისა და 1 სმ-ზე ნაკლები

სისქის კედლების ფრაგმენტები დერგისეულადაა განსაზღვრული. კოლოტაურის შემთხვევაშიც ამოსავლად ფრაგმენტების განზომილებებია მიღებული [მამულაძე, ხალვაში, 2002:29].

მოპოვებული დერგების უმრავლესობას აქვს სადა ლილვისებური მოყვანილობის პირი და მაღალი სწორხაზოვანპროფილიანი ყელი, ამათი ზედაპირი დაფარულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღარებით. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს კოლოტაურის ნამოსახლარზე ფართოპირიანი ორყურა დერგები [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. დამახასიათებელია სამკუთხედგანიკვეთიანი გარეთ გადახრილი პირის გვირგვინი, სწორხაზოვანპროფილიანი ყელი და თანაბრად მორკალული ჰორიზონტალური ფართო ქედებით შემკული მრგვალგანიკვეთიანი ყურები, რომლის ზედა ბოლო მიძერწილია ყელის არეში, პირთან ახლოს, ქვედა მხარეზე [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. წყვილყურიანი დერგები საერთოდ იშვიათად გვხვდება. ცნობილია ვანიდან, მკვლევარები აქვე მიუთითებენ, რომ ვანში აღმოჩენილი დერგების ამ ტიპს ანალოგები ჯერჯერობით არ ეძებნება. მოგვიანებით, კერძოდ, 1985 წელს წყვილყურიანი დერგები აღმოჩნდა ციხისძირის სამაროვანზე. ამდენად საქართველოს ტერიტორიაზე წყვილყურიანი დერგების აღმოჩენის მხოლოდ სამი შემთხვევაა ცნობილი [მამულაძე, ხალვაში, 2002:29]. კოლოტაურის მსგავსი დერგები მოპოვებულია ვანის ძვ.წ. V ს-ის დახურულ კომპლექსში. მათგან განსხვავებით კოლოტაურის დერგის ყურები შემკულია ჰორიზონტალური ქედებით [მამულაძე, ხალვაში, 29]. მსგავსად გაფორმებული სხვა სახის ჭურჭლის ყურები ცნობილია კვამტის ნამოსახლარის განათხარ მასალებს შორისაც. ამ ნიშნით როგორც კოლოტაურის, ისე კვამტის ნიმუშებს პარალელები არ ეძებნება. ვფიქრობთ რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ხელოსნური წარმოების ლოკალურ ნიშნებთან [მამულაძე, ხალვაში, 2002:29].

ამფორები კოლოტაურში ყურების და ძირების სახითაა წარმოდგენილი. ყურის ნატეხი მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად დეფორმირებულია, ძირებიდან ერთი მთლიანადაა შემორჩენილი, იგი ღილისებური მოყვანილობისაა და შიდა ზედაპირზე რელიეფური ხვეულები აქ გაკეთებული. მეორე ნაკლულია, შემორჩენილია ტანის ნაწილი რელიეფური ხვით. ფორმის მიხედვით

მიეკუთვნება კოლხური ამფორების ადრეულ ჯგუფს, რომელთა თარიღი ძვ.წ. IV ს. შუა ხანებითა და III ს. დასაწყისით განისაზღვრება [მამულაძე, ხალვაში, 2002:30].

კოლხური ამფორები ფართოდაა გავრცელებული მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზეც, კერძოდ, ფიჭვნარში, ბათუმის ციხეზე. ერთი მთლიანი კოლხური ამფორა ცნობილია აფსაროსიდანაც, მაგრამ აჭარის მთიანეთში კოლხური ამფორები დღემდე ცნობილი არ იყო [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ამდენად მისი მნიშვნელობა დიდია. კერამიკული ნაწარმის ამ სახის გავრცელების უკიდურესი სამხრეთი საზღვარი უკვე ქედამდე აღწევს [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ეჭვგარეშეა რომ ისინი აქ ზღვისპირეთიდანაა შეტანილი. გარდა ამისა, მოპოვებული ნიმუშების მიხედვით ზუსტდება, რომ კოლოტაურის სამოსახლო კვაშტისაგან განსხვავებით არსებობას ძვ.წ. IV ს-იც განაგრძობს [მამულაძე, ხალვაში, 2002:30].

სამზარეულო კერამიკის ძირითად ნაწილს ქოთნები წარმოადგენს. ჭურჭლის ეს ფორმა ჩნდება წინაანტიკურ ხანაში და არსებობას გვიანშუასაუკუნეებამდე აგრძელებს. ამ ხნის განმავლობაში ქოთნის ფორმას მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია [მამულაძე, ხალვაში, 2002:30].

ქოთნები კოლოტაურის მონაპოვარში მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის, თუმცა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სულ ნაპოვნია 40-მდე პირის, ყელის, ყურის და ძირის ფრაგმენტი. გამოიყოფა ორი ტიპი: პირველს - ახასიათებს გარეთ გადახრილი პირი, შეზნექილიპროფილიანი ყელი, მომრგვალებული ძირისაკენ მცირედ დავიწროებული ტანი. მხრები არაა გამოკვეთილი. ძირი ბრტყელი. აქვთ წრიულად მორკალული ოვალურგანიკვეთიანი, ზოგჯერ ოთხკუთხედ განიკვეთიანი თანაბრად მორკალული ყურები. ტანი შავპრიალა და სადაა. ეს ტიპი ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებითაა დათარიღებული [მამულაძე, ხალვაში, 2002:30].

მეორე ტიპის ქოთნების რაოდენობა შედარებით მოკრძალებულია. ნაპოვნია 10-მდე ფრაგმენტი. დამახასიათებელია სწორი პირი და სწორხაზოვანპროფილიანი ყელი. ზედაპირი შემკულია სავარცხლისებრი იარაღით შესრულებული ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღარებით.

ორი ნიმუში მხრის არეში შემკულია ჰორიზონტალური წნეხვით გამოყვანილი ზოლებით, რომელთა შორის ზედაპირი ვერტიკალური ხაზებითაა დაფარული [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ამ სახის ქოთნების არსებობა ძვ.წ. V საუკუნითა და IV ს-ს პირველი ნახევრით განისაზღვრება [მამულაძე, ხალვაში, ქოთნები კოლოტაურის მონაპოვარში მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის, თუმცა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სულ ნაპოვნია 40-მდე პირის, ყელის, ყურის და ძირის ფრაგმენტი. გამოიყოფა ორი ტიპი: პირველს - ახასიათებს გარეთ გადახრილი პირი, შეზნექილიპროფილიანი ყელი, მომრგვალებული ძირისაკენ მცირედ დავიწროებული ტანი. მხრები არაა გამოკვეთილი. ძირი ბრტყელი. აქვთ წრიულად მორკალული ოვალურგანიკვეთიანი, ზოგჯერ ოთხკუთხედ განიკვეთიანი თანაბრად მორკალული ყურები. ტანი შავპრიალა და სადაა. ეს ტიპი ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებითაა დათარიღებული [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. კოლოტაურში აღმოჩენილი ქოთნების თიხა უმთავრესად შავი ან ყავისფერია, ზედაპირი გამურული.

სუფრაზე მოსახმარი კერამიკა შედარებით მცირერიცხოვანია. ფორმისა და ორნამენტის მიხედვით იგი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ჭარბობს ფაქიზად ნაკეთები პატარა ზომის დოქების პირის, ყელისა და ყურის ფრაგმენტები [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ქოთნები კოლოტაურის მონაპოვარში მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის, თუმცა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. სულ ნაპოვნია 40-მდე პირის, ყელის, ყურის და ძირის ფრაგმენტი. გამოიყოფა ორი ტიპი: პირველს - ახასიათებს გარეთ გადახრილი პირი, შეზნექილიპროფილიანი ყელი, მომრგვალებული ძირისაკენ მცირედ დავიწროებული ტანი. მხრები არაა გამოკვეთილი. ძირი ბრტყელი. აქვთ წრიულად მორკალული ოვალურგანიკვეთიანი, ზოგჯერ ოთხკუთხედ განიკვეთიანი თანაბრად მორკალული ყურები. ტანი შავპრიალა და სადაა. ეს ტიპი ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებითაა დათარიღებული [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ოვალურგანიკვეთიანი, მორკალური ყურების ზედაბოლო პირდაპირ პირზეა მიძერწილი და ფიჭვნარული ჭურჭლების მსგავსად წყვილი კოპებითა და წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული [მამულაძე, ხალვაში, 2002:30]. ერთი ეგზემპლარის პირის კიდის ზედაპირი ნაჭდევი ორნამენტითაა შემკული, ხოლო

ყურის ზედა ბოლოზე ფოსოიანი დილაკი აქვს გაკეთებული. ასეთი ორნამენტი ვანში ნაპოვნ ჭურჭლებზეცაა დადასტურებული.

საყურადღებოა ყურმილიანი დოქის ყურის ფრაგმენტი, შემორჩენილია მხოლოდ მილი. კეცის მიხედვით ზოგადად ძვ.წ. V-IV სს-ით შეიძლება დათარიღდეს [მამულაძე, ხალვაში, 31] ცნობილია, რომ ყურმილიანი დოქები ადრე ანტიკური ხანის კოლხური კერამიკული ჭურჭლის წამყვანი სახეობაა. კოლხეთში ძნელად მოიძებნება ძვ.წ. VI-III ს. და უფრო ადრეული პერიოდის ძეგლი სადაც არაა ფიქსირებული ამ ტიპის დოქები [მამულაძე, ხალვაში, 2002:31] მარტო ფიქვნარში ათობით ნიმუშია აღმოჩენილი.

სუფრაზე მოსახმარი ჭურჭლების შემდეგ ჯგუფს ქმნიან ჯამები. სულ სამი ნიმუშია მოპოვებული. ამათგან ორს აქვს შიგნით გადახრილი პირი და სწორხაზოვანი კალთა. აღნიშნულ ჯამებს მრავალრიცხოვანი ანალოგები მოეპოვება კოლხეთის ზღვისპირა ზოლსა თუ შიდა რაიონებიდან [მამულაძე, ხალვაში, 2002:31].

ასეთია მოკლედ კოლოტაურის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული მასალის მოკლე დახასიათება. ჩანს, რომ ჭურჭლების უმრავლესობა ძირითადად პარალელებს თანადროულ დასავლურ-ქართლურ ძეგლებთან პოულობენ. ზოგადად აჭარისწყლის ხეობა ჩართულია ერთიან დასავლურ-ქართლურ კულტურულ წრეში, რადგან აღნიშნული პერიოდოსათვის ხეობა ერთანი, ძლიერი კოლხეთის სამეფოს არეალის შემადგენელი ნაწილია. კერამიკული ნაკეთობების გარკვეული ფორმები ლოკალურ ხასიათს ატარებენ და მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. ერთი ნაწილი ზღვის სანაპირო ზოლის ძეგლებიდან უნდა იყოს შეტანილი, რაც მთისა და ბარის მოსახლეობის ინტენსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს [მამულაძე, ხალვაში, 2002:31].

ჯვარქედის გამოქვაბული მდებარეობს ანტიკური ნასახლარის სამხრეთით საკმაოდ მიუვალ და იმ დროის მცხოვრებთა ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს. გამოქვაბული პირდაპირ გადაჰყურებს აჭარისწყალს და მისგან, დაახლოებით სამას მეტრზე იქნება დაშორებული. არაა გამორიცხული ბუნებრივი ეხი შემდეგ საცხოვრისად გადაეკეთებინათ. შესავლელი დასავლეთის მხარეს აქვს. ჩრდილო-დასავლეთით მაღალ მთაზე მოჩანს ამაყად გადმომდგარი საღორეთის სათვალთვალ კოშკის ნანგრევები. დაბლა კი სოფელი საღორეთია გაშენებული.

არქეოლოგიური გათხრებისას გამოქვაბული გაიწმინდა ეკალ-ბარდისაგან და მოხდა მისი მიწის საფარისაგან გაწმენდა. ზედაპირულადაც და მუშაობის დროსაც ჩნდებოდა კერამიკული ნაწარმის ნატეხები, რომლებიც ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნებოდა, ასევე აქ აღმოჩნდა ორი ცალი კაჟის ნივთი, რომლის მიმართაც ინტერესი დიდია, მაგრამ მისმა რიცხობრივმა სიმცირემ დასკვნების გაკეთების საშუალება არ მისცა მეცნიერებს, თუმცა შესაძლებელია ნეოლითური ხანის ნასახლარი გაწმინდეს, უფრო მოგვიანო ეპოქის (ფეოდალური ხანის) მცხოვრებლებმა და ძველი ნივთები დარჩათ გადასაყრელი, მსგავსი იარაღი კაცობრიობის ისტორიაში დიდი პერიოდის მანძილზე იყო ხმარებაში, ქვის ხანიდან მოყოლებული შუაფეოდალურ პერიოდამდე. არსებობს იმისი საფუძველი და პირობა, რომ აქ ნეოლითელ (ძვ.წ. VII-VI ათასწლეული) ადამიანს ეცხოვრა, ახლოსაა მდინარე, ასევე საცხოვრისი საკმაოდ დაცული და მიუვალია. სწორედ აქვე ახლოსაა აღმოჩენილი, მომდევნო ეპოქის ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლები, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი.

გამოქვაბულის ზომებია: სიგრძე 7 მ. შესასვლელის სიფართე 5 მ. სიმაღლე 3 მ. შიგნით თანდათანობით დაბლდება და ვიწროვდება. ბოლოში სიმაღლე 1 მეტრის ტოლია, ხოლო სიგანე 0,76 მ. შუა წელის სიგანე 3 მ-ს ხოლო სიმაღლე 1,5 მ-ია. შესასვლელი მოედანის ზომებია 5X1,70 მ-ზე.

ზემოაღნიშნული გამოქვაბულიდან სამხრეთით 2 მეტრში არის პატარა სათავსო, როგორც ჩანს ამ ნაწილს იქ მცხოვრებნი სამეურნეო სათავსოთ იყენებდნენ. ამ ნაწილის გაწმენდა დამუშავების დროს აღმოჩნდა ხელის წისქვილის ზედა ქვა და უსახო კერამიკული ნატეხები.

ზომებია: სიგრძე 3 მ. შესასვლელის სიფართე 2,80 მ. ხოლო სიმაღლე 1,30 სმ-ს ტოლია. შიგნითას სიფართე 0,75 სიმაღლე კი 0,30 მ- ტოლია.

ასეთია კოლოტაურის, ჯვარქედის გამოქვაბულის მოკლე აღწერილობა, რა თქმა უნდა ეს ადგილები, ჯერ კიდევ არაა სრულად შესწავლილი და ძირეული კვლევა-ძიება ბევრ მიწისქვეშა საიდუმლოს ახდის ფარდას, რაც მომავლზე მიგვინდია.

ელინისტური ხანის თიხის სასმისი ვაიოდან. როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, სოფელი ვაიო მდიდარია, როგორც გეოლოგიური (ოქრო, სპილენძი,

ტყვია და სხ.), ასევე ისტორიული მონაპოვრებით, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად შევჩერდებით თიხის სასმისზე, რომელიც 2007 წლის გაზაფხულზე, სავენახეს დაპლანტაჟებისას შემთხვევით აღმოაჩინა ვაიოს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა ბადრი შავიშვილიმა. იგი დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეზე იყო დამარხული. მპოვნელის თქმით მასთან სხვა ჭურჭელიც ყოფილა, მაგრამ დაშლილა და ნატეხებიც გაბნეულა, არაა გამორიცხული ძვ. წ. III-I საუკუნეების სამარხებთან გვექონდეს საქმე.

ჭურჭლის მოკლე აღწერილობა ასეთია: თიხა, ყავისფერკეციანი; ზედაპირზე შავი ლაქებია (ცეცხლის კვალი). პირის კიდე სადაა, შიგნით გადახრილი; ძირი გამოყვანილი ბრტყელი. თიხა მინარევებიანი (პიროქსენი, ქარსი, კირქვა). მთლიანად დაცული. სიმაღლე – 4,6 სმ, პირის დიამეტრი – 12,2 სმ, ძირის დიამეტრი 4,3 სმ (ტაბ.XVI/1,2).

მსგავსი ჭურჭელი ვანის სამარხულ ინვენტარში შედის რომელიც ძვ. წ. III საუკუნითაა დათარიღებული [ვანი IV, 1979:79]. ვფიქრობთ, რომ ვაიოს ჭურჭელიც სწორედ ამ პერიოდის ძვ. წ. II საუკუნის ნაკეთობას მიეკუთვნება. ჩანს აჭარისწყლის ხეობაში, ამ პერიოდისათვის მეთუნეობა მაღალ საფეხურზე მდგარა და აქაური ხელოსნებიც კარგად დაუფლებიან მეზობელი რეგიონების კულტურას. იგი ყოველმხრივ ახლოს დგას ვანის ნაკეთობასთან.

ასეთია ვაიოში აღმოჩენილი თიხის სასმისის მოკლე აღწერილობა, დანარჩენს კი არქეოლოგიური სამუშაოები დაგვიდასტურებს. ასევე გადაუდებელ არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს სოფლის თავში ბრინჯაოს სამკაულების თუ სხვა სახის ნივთების აღმოჩენის ადგილებიც მაგრამ, ამჟამად კი მომავლი კარგი დღეების იმედად ვრჩებით მხოლოდ.


თავი V

ქედის მუნიციპალიტეტი ფეოდალურ ხანაში

& 1. საკულტო დანიშნულების ნივთიერი და კულტურული ძეგლები

ეკლესია და სამაროვანი

ნაკვეთიანი ქუჩის მუნიციპალიტეტში



ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ტაბ.XLIII). ეკლესია დარბაზულია (ზომები: სიგრძე 6,9 მ, სიგანე 4,8 მ; კედლების შემორჩენილი სიმაღლე ქვაფენილიანი იატაკის დონიდან 2 მ; აღმოსავლეთი კედლის სიმაღლე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,6 მ; კედლის სისქე 1 მ; ეკლესიის შიდა ფართობი 5x2,85 მ). ნაგებია ბაზალტის დიდი დაუმუშავებელი ლოდებით კირხსნარზე. ზოგიერთი ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა. მაგ. სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ქვის ზომებია: სიმაღლე 1,5 მ, სიგანე 1,75 მ, სისქე 0,45 მ. წყობაში გამოყენებულია საშუალო და მცირე ზომის კლდის ფლეთილი ქვებიც. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. ქვების რიგების ჰორიზონტულობა დაცული არაა. ეკლესიას 1 მ სიგანის შესასვლელი აქვს

სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. XLIII). ზღურბლი შედგენილია ორი გრძელი ქვით. იატაკი მოგებულია ქვის დიდრონი ბრტყელი ფილებით (ტაბ. XLIII). მათგან ყველაზე მოზრდილი ფილის ზომაა: სიგრძე 1,2 მ, სიგანე 1,05 მ, სისქე 0,02 მ. ქვაფენილიანი იატაკი ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში აყრილია და ის მხოლოდ კედლების გასწვრივაა შემორჩენილი. საკურთხეველი იატაკიდან გამოყოფილი არაა (შესაძლოა, თავის დროზე საკურთხეველი საერთო სივრციდან გამოყოფილი იყო ხის კანკელით). აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონიდან 0,9 მ სიმაღლეზე შემორჩენილია კედელში ჩაშენებული ტრაპეზის მოზრდილი, ბრტყელი ქვა, რომელიც კედლიდან თაროსავითაა გამოშვებული 30 სმ-ით, 0,9 მ სიგანეზე (ტაბ. XLIII). მის ზემოთ ნიშია (ნიშის შემორჩენილი სიმაღლე 0,75 მ, სიგანე 0,6 მ, სიღრმე 0,3 მ). ნიშის თავზე სარკმელია, რომლის კონტურები თითქმის აღარ იკითხება. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, სამხრეთ კედელში, ქვაფენილიანი იატაკიდან ოდნავ ზემოთ, მეორე ნიშია (ზომები: სიმაღლე 0,45 მ, სიგანე 0,5 მ, სიღრმე 0,4 მ) (ტაბ. XLIII). ასეთივე ნიშია შემორჩენილი ჩრდილო-დასავლეთი კუთხის დასავლეთ კედელში, იატაკიდან 0,75 მ სიმაღლეზე (ზომები: სიმაღლე 0,4 მ, სიგანე 0,25 მ, სიღრმე 0,45 მ).

ეკლესია თავისი იერთ ადრეული ჩანს და არაა გამორიცხული, რომ ის IX-X სს-ში აეგოთ. რაც შეეხება მისი ფუნქციონირების ხანგრძლივობას, ეკლესიის ეზოში გამოვლენილი ქვევრების, აგრეთვე, საკუთრივ ეკლესიაში და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე დაკრძალული მიცვალებულების სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ის საკმაოდ დიდხანს, კერძოდ, გვიან შუასაუკუნეებშიც ფუნქციონირებდა და მხოლოდ ოსმალთა ექსპანსიის შედეგად შეწყვიტა არსებობა.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან სამხრეთით, 5 მ-ის დაშორებით გამოვლინდა სამი ქვევრი, რომლებიც განლაგებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე (ტაბ. XLIII). მათგან შუა (პირველ) ქვევრს შემოწყობილი ჰქონდა ქვების რიგი. ქვევრის პირი და მხრები მომტვრეულია. მხრების შემორჩენილ ნაწილზე შემოუყვება რელიეფური სარტყლები (ზომები: დიამეტრი მხრების დონეზე 0,83 მ, კეცის სისქე 1,5 სმ). მისგან სამხრეთ-დასავლეთით, 0,55 მ-ის დაშორებით მეორე ქვევრია, რომლის ტანი შემკულია რელიეფური სარტყლებითა და მკრთალი კონცენტრული ღარებით (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 0,85 მ,

მუცლის დიამეტრი 0,7 მ, კეცის სისქე 1 სმ). მესამე ქვევრი პირველი (შუა) ქვევრისაგან დაშორებულია სამხრეთ-აღმოსავლეთით 0,4 მ-ით. ის მეორე ქვევრზე უფრო მოზრდილია. ტანზე შემოუყვება 2-3 სმ სისქის კირხსნარის ფენა. ქვევრი ჩაკირულია. სხვა ქვევრებივით მასაც აკლია ზედა ნაწილი (შემორჩენილი ზომები: სიმაღლე 0,75 მ, მუცლის დიამეტრი 0,8 მ, კეცის სისქე 1,5 სმ). ქვევრი სადაა, უორნამენტო. სამივე ქვევრი წითლადაა გამომწვარი. თიხა მსხვილმარცვლოვანია.

მესამე ქვევრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,9 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა კონუსური მოყვანილობის ქვის მშრალი წყობა. ჩანს, თავის დროზე, პირველი ქვევრის მსგავსად, ეს ქვებიც ქვევრს შემოუყვებოდა. რაღაც მიზეზის (დაზიანების?) გამო ჭურჭელი ამოულიათ, ხოლო ქვები ადგილზე დარჩენილა (ქვის წყობის შიდა დიამეტრი 0,8 მ, სიმაღლე შემორჩენილია 0,5 მ-ზე) (ტაბ. XLIII).

პირველი და მესამე ქვევრი ე. წ. სადულარი ქვევრების ჯგუფს მიეკუთვნება (ასეთივე უნდა ყოფილიყო მეოთხე ქვევრიც, რომელიც აღარ შემორჩენილა). ქვევრებს სიმაგრისათვის ქვები ჰქონდათ შემოწყობილი ან მათი ზედაპირი კირხსნარით იყო მოლესილი, რათა ყურძნის ტკბილის დუდილის დროს ჭურჭელში წარმოშობილი წნევის ძალას ქვევრის კედლები არ დაეზიანებინა. რა თქმა უნდა, ასეთ ქვევრებში არა მარტო ტკბილის დადუღება, არამედ შემდგომში უკვე დადუღებული წვენის (ღვინის) შენახვაც შეიძლებოდა. აღნიშნულის გარდა, ქვის სარტყლები ქვევრებს იცავდა ხის ფესვებისაგან, სხვადასხვა მექანიკური დაზიანებისგან. ხოლო თუ ქვევრებს კირხსნარის ფენაც შემოუყვებოდა, ასეთ შემთხვევაში ღვინო გაცილებით უკეთ ინახებოდა და თანაც ჭურჭელი დაცული იყო წყლის შეჭონვისაგან თუ სხვა მსგავსი ქმედებებისაგან, რაც უარყოფითად მოქმედებდა ღვინის ხარისხზე [ფრუიძე 1974: 56].

ეკლესიის ეზოში აღმოჩენილი ქვევრები საზედაშე ჭურჭელია. მათი გახსნა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს ხდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვება ეკლესია-მონასტრები, რომელთა ახლომახლო ჩადგმული არ იყოს საზედაშე ქვევრები. ასეა აჭარისწყლის ხეობაშიც [მამულაძე 1993: 72-100].

ეკლესიის ეზოს გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, ძირითადად, კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი. ფუნქციონალური თვალსაზრისით მათში გამოიყოფა: სამეურნეო (ქვევრები, დერგები), სამზარეულო (კეცები, ტაფები, ქოთნები, ქილები), სუფრის (ხელაღები, ჯამები) და საყოფაცხოვრებო დანიშნულების (ჭრაქები) ნაწარმი. გათხრებისას აღმოჩნდა ყვითლად მოჭიქული ორი ჯამის ნატეხი. აქვეა ნაპოვნი მინის ჭურჭლის ნატეხი, რკინის ლურსმანი და ზარბაზნის ყუმბარა.

ქვევრის პირის ნატეხები ხასიათდება დაბრტყელებული ბაკოთი და ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირით, რომელზეც გარედან შემოუყვება ერთმანეთისაგან 5-5 სმ-ით დაშორებული ჩაჭდებული წერტილები მეორე ქვევრის პირიც განივკვეთში სწორკუთხაა. მესამე ქვევრის პირი უფრო მომცრო ჭურჭლის ფრაგმენტია. აქვს დაბრტყელებული ბაკო და დაბალი ყელი. ქვევრები წარმოდგენილია ძირ-გვერდის ნატეხებითაც. ზოგჯერ ქვევრის გვერდი შემკულია რელიეფური სარტყლებით. ჩანს, ორნამენტი ჭურჭლის მხოლოდ ზედა ნაწილს (მხრებს) ამკობდა, ქვედა ნაწილი კი სადა იყო. ზოგიერთ ქვევრს ჰქონია ბრტყელი ძირი და რამდენადმე პროფილირებული ქუსლი. ქვევრები გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია.

განვითარებული შუასაუკუნეების ანალოგიური ფორმის ქვევრები ფართოდაა ცნობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან [მამულაძე 1993: 61, 62]. აღწერილი ნატეხებიდან ზოგიერთი, შესაძლოა, ეკლესიის ეზოში აღმოჩენილი საზედაშე ქვევრების ფრაგმენტები იყოს.

დერგები შემორჩენილია პირ-ყურისა და ძირის პატარა ნატეხებით. ამდენად, მათ ფორმებზე მსჯელობა საკმაოდ ჭირს. ჭურჭელს აქვს დაბრტყელებული ბაკო, სწორი პირი და დაბალი ყელი. მასიური, ბრტყელგანივკვეთიანი ყურები შემკულია ნაჭდევებით ან ფართო ღარებით, რომლებიც ყურებს მთელ სიგრძეზე დაუყვებოდა. დერგის ძირები ბრტყელია, ოდნავ პროფილირებული ქუსლით. ჭურჭელი გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმინარევიანია.

სამზარეულო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება კეცები. მათ აქვთ მომრგვალებული პირ-ბაკო, დაბალი გვერდი და ბრტყელი ძირი. ზოგჯერ ძირი ტანისგან პატარა ქუსლითაა გამოყოფილი. ეს სქელკედლიანი, მსხვილმინარევიანი თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი დიდი რაოდენობით

გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს განათხარ კერამიკაში. ისინი მრავლადაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ნამოსახლარებსა თუ ნაციხარებზე [მამულაძე 1993: 63, 64]. ამ ჭურჭელმა თითქმის დღემდე შეინარჩუნა ის ფორმა, რომელიც მათ განვითარებულ თუ გვიან შუასაუკუნეებში ჰქონდათ [მასალევი ... 1979: 108].

განათხარ მასალაში სხვა სახის კერამიკასთან შედარებით ქოთნები უფრო მრავალრიცხოვანია. ისინი ხასიათდება სამკუთხაგანივკვეთიანი გაშლილი პირით, დაბალი ყელით, რომელზეც ზოგჯერ ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი შემოუყვება. ჭურჭლის გვერდის ნატეხების უმრავლესობა სადაა, თუმცა ზოგიერთ მათგანს შემოუყვება რელიეფური თოკისებური ორნამენტი. ზოგიერთი ყურიანი ყოფილა. აღწერილი ქოთნების მსგავსი ნიმუშები ცნობილია აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებიდან (ციხისყელი, ჭვანის, გოგოლაურის ციხეები და ა. შ.), სადაც ისინი განვითარებული შუასაუკუნეებით თარიღდება [მამულაძე 1993: 64, 65].

ქოთნებთან შედარებით ქილები მცირერიცხოვანია. მათ აქვთ დაბრტყელებული ან სამკუთხაგანივკვეთიანი პირი; ვიწრო და მომაღლო ყელი. ერთი მათგანი შემკულია ამოკაწრული ურთიერთგადამკვეთი ხაზებით და წერნაქითაა მოხატული. ჭურჭლის ძირები ვიწრო და ბრტყელია. ზოგჯერ ძირი ოდნავ პროფილირებულია. ქილების ნაწილი მსგავსია აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო თუ საეკლესიო ნაგებობების გათხრებისას აღმოჩენილი განვითარებული შუასაუკუნეებით დათარიღებული ქილებისა [მამულაძე 1993: 65]. თუმცა, ეკლესიის ეზოში აღმოჩენილი ქილების ერთი ნაწილი ფორმებით, თიხის სტრუქტურით და ზედაპირის დამუშავებით ზენდიდის ციხეში მიკვლეული ქილების მსგავსია და შესაბამისად მათი თარიღი XVII-XVIII სს-ით უნდა განისაზღვროს.

სამზრეულო დანიშნულების კერამიკაში ყურადღებას იმსახურებს ერთი სახის ჭურჭელი, რომელთაც პირობითად ტაფისებრი ჭურჭელი შეიძლება ვუწოდოთ. მათ აქვთ მომრგვალებული პირი, დაბალი ოვალური კალთები და ფართო, ბრტყელი, ზოგჯერ ოდნავ პროფილირებული ძირი. ერთ მათგანს პირზე შემოუყვება ირიბი ნაჭდევების სარტყელი. ტაფების სიმაღლე 5 სმ-ია, კეცის სისქე მერყეობს 0,5-1 სმ-ს შორის. აღნიშნული ჯგუფის კერამიკა უფრო ჯამებს

ემსგავსება, მაგრამ ყველა მათგანი გარედან შებოლილია ცეცხლის ზემოქმედების გამო. ამიტომ, ამგვარ კერამიკას ცეცხლზე სადგამ ტაფისებრ ჭურჭლად მივიჩნევთ. ანალოგიური ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან. ისინი აღმოჩენილია: თბილისში, უჯარმაში, ჟინვალში, ახალქალაქში და სხვ. [გძელიშვილი, ტყემელაშვილი 1961: ტაბ. XX_{8,24}, XXX₂₀₉; ლომთათიძე 1989: 231; რჩულიშვილი 1990: 56; ჯანდიერი 1969: 65]. მსგავსი ფორმის თიხის ჭურჭელი ცნობილია აჭარისწყლის ხეობიდანაც [მამულაძე 1993: 136].

სუფრის ჭურჭელს შორის გვხვდება ჯამები (4 ერთეული), რომლებიც ხასიათდება მომრგვალებული, შედარებით სწორი ან მოყრილი პირით, დაბალი კალთებით, დაკუთხული ქუსლითა და ბრტყელი ძირით. მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ჯამებს, რომლებიც დანგრეული სამარხებიდან მომდინარე ჭურჭელი უნდა იყოს, დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

გათხრებისას აღმოჩნდა სამი ჭრაქი. ისინი ერთნაირი ფორმისაა და მიეკუთვნება ე. წ. წელში გამოყვანილი ჭრაქების ტიპს. აქვთ მომრგვალებული, გაშლილი პირი. დაბალი ტანი შუაში მკვეთრადაა შევიწროებული. ძირი ბრტყელია, თიხა - მსხვილმარცვლოვანი. ჭრაქები ხელითაა ნაძერწი, ამდენად, საკმაოდ დაუდევარი ნამუშევრის შთაბეჭდილებას ტოვებს (ზომები: სიმაღლე 5 სმ, პირის დიამეტრი 6,5 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, კეცის სისქე 1 სმ). ანალოგიური ფორმის XI-XIII სს-ით დათარიღებული ჭრაქი აჭარისწყლის ხეობიდან ადრეც იყო ცნობილი [მამულაძე 1993: ტაბ. 654].

ეკლესიის ეზოში მიკვლეულ მასალაში ყურადღებას იქცევს ჯამის ნატეხები, რომელთა თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია ყვითლად. ამოკაწრული ოვალური ხაზებით შემკული ჯამების წითლად გამომწვარი თიხა წმინდადაა განლექილი. ამ ტექნიკით დამზადებული ჯამები დამახასიათებელია გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკული ნაწარმისათვის. ანალოგიურად, მოჭიქული ჯამები, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისა, ცნობილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდანაც, კერძოდ, გონიოდან, სადაც ისინი XVII-XVIII სს-ის კულტურულ ფენებშია მიკვლეული.

აქვეა აღმოჩენილი მომწვანო მინის ჭურჭლის, სასმისის კონუსურად შეზნექილი ძირი.

ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ოთხკუთხაგანიკვეთიანი ღეროს მქონე ლურსმანი. ხოლო აქ მიკვლეული მცირეკალიბრიანი ზარბაზნის ყუმბარა ეკლესიაზე ოსმალთა ძალადობის მანიშნებელი არტეფაქტი უნდა იყოს.

ეკლესიის ინტერიერში და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე გაითხარა სამარხები.

ორმოსამარხი №1 აღმოჩნდა ეკლესიის ინტერიერის ცენტრალურ ნაწილში. სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ზომები: სიგრძე 1,95 მ, სიგანე 0,7 მ, სიღრმე 0,7 მ. მიცვალებული ესვენა ქრისტიანული წესით – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი (ტაბ. XLIII). მიცვალებულის მარჯვენა მკლავის გასწვრივ იდო რკინის ჯვარი (სიგრძე 25 სმ). მიცვალებულის ტერფებთან აღმოჩნდა პირქვე დამხობილი ჭრაქი თუ სასაკმევლე.

ორმოსამარხი №2 გამოვლინდა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე. სამარხი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხის ზომები: სიგრძე 1,4 მ, სიგანე 0,35 მ, სიღრმე 0,9 მ. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. XLIII). ძვლები ცუდად იყო შემონახული. სამარხში აღმოჩნდა თავის ქალის მცირე ფრაგმენტები და ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ბარძაყისა და წვივის ძვლის ნაშთები. სამარხი უინვენტაროა.

ორმოსამარხი №3 გამოვლინდა №2 სამარხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3,6 მ-ის დაშორებით. იმის გამო, რომ სამარხი რამდენადმე დამრეც ფერდზე და ამასთან მიწის ზედაპირიდან არც თუ ისე ღრმად მდებარეობდა, ის გადარეცხილა. ამიტომ სამარხის ზუსტი ზომების დადგენა ჭირს. სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა თავის ქალა, რომელსაც ევარა პირქვე დამხობილი მწვანედ მოჭიქული ჯამი.

ორმოსამარხი №4 მდებარეობს №2 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის ზომები: სიგრძე 1,8 მ,

სიგანე 0,45 მ, სიღრმე 0,95 მ. ძვლების ცუდად დაცულობის მიუხედავად, დაკრძალვის ქრისტიანული პოზა მაინც დგინდება. მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა მცირე ზომის თიხის ჭურჭლის ძირი. წვივის ძვლების სავარაუდო არეში გამოვლინდა პირქვე დამხობილი წითლად მოხატული თხელკეციანი პატარა სასმისი.

ორმოსამარხი №5 აღმოჩნდა №2 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხის ზომები: სიგრძე 1,75 სმ, სიგანე 0,4 მ, სიღრმე 0,6 მ. სამარხში ძვლები არ შემორჩენილა, გარდა დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი თავის ქალისა, რომელსაც ზემოდან ეფარა თიხის ჭურჭლის ძირი და რელიეფური ორნამენტით შემკული ქვევრის გვერდის ნატეხ.

შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებული სამარხთა ტიპებიდან ზენდიდის ეკლესიის სამაროვანზე მხოლოდ ორმოსამარხები გვხვდება. მათი უმრავლესობა გეგმაში სწორკუთხაა. გვხვდება სამარხიც (№1) ოვალურ მოყვანილობის კუთხეებით. ყველა დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ზოგიერთი რამდენადმე გადახრილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთით. გადახრები არაა მკვეთრი. ამგვარი გადახრები ჩვეულებრივია შუასაუკუნეების სამაროვნებზე და დაკავშირებულია მიცვალებულის წელიწადის სხვადასხვა დროს დაკრძალვასთან [აფხაზავა 1988: 7]. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. სამარხები ეკლესიის მახლობლადაა კონცენტრირებული.

ზოგიერთ სამარხში, ცუდად შემორჩენილი ძვლების მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით – ზურგზე გამოტილი, თავით დასავლეთით. ერთ მათგანს ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი (სამარხი №1). №1 სამარხში დაკრძალული მიცვალებული სასულიერო პირი ჩანს, რაზედაც მიუთითებს ამ პიროვნების ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალვა და მისთვის რკინის ჯვრის ჩატანება.

სამაროვანზე გამოვლენილი სამარხებიდან ინვენტარი არ ახლდა მხოლოდ №2 სამარხის მიცვალებულს. თუ განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული სამაროვნებისათვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი სამარხებში

ნივთების მრავლად ჩატანების წესი,¹ აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სამაროვნის (სხალთა, ვერნები, თიკანაური, თხილვანა და სხვ.) მსგავსად, [მამულაძე 1998] ზენდიდის ეკლესიის სამაროვანზეც ჭირისუფლებს მიცვალებულებისთვის ჩაუტანებიათ როგორც სადა, ისე მოჭიქული კერამიკა, რკინის ჯვარი და სხვ.

სამარხეული კერამიკა ფორმების მიხედვით იყოფა ოთხ ჯგუფად: I. ქვევრის ნატეხი, II. ქოთნის ნატეხი, III. თხელკეციანი მინიატურული სასმისები, IV. ჭრაქი (სასაკმეველე?).

I. ქვევრის გვერდის ნატეხი (საინვენტარო №113) აღმოჩნდა №5 სამარხში. ის მიცვალებულს სახეზე ეფარა. ნატეხი გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმინარევიანია. ხაოიანი ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლებით. კეცის სისქე 1,5 სმ. ნატეხს ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი.

ქვევრების რელიეფური სარტყლებით შემკობა მთელი შუასაუკუნეების მანძილზე გავრცელებული ტრადიცია იყო. ანალოგიური ორნამენტით შემკული ქვევრები ცნობილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების თითქმის ყველა ძეგლიდან.

II. ქოთნის ძირი აღმოჩნდა №5 სამარხში. ის მიცვალებულს სახეზე ეფარა ზემოთ აღწერილ ქვევრის ნატეხთან ერთად. გამომწვარია წითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ჭურჭელი გარედან შებოლილია. კეცის სისქე 0,8 სმ, ძირის დიამეტრი 12,5 სმ. ქოთანი საკმაოდ უხეში ნაძერწია. ფრაგმენტულობის გამო მისი ფორმის წარმოდგენა შეუძლებელია.

III. სასმისის ძირის ნატეხი აღმოჩნდა №4 სამარხში, მიცვალებულის თავის ქალასთან. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. სასმისი ბრტყელძირაა, ოდნავ პროფილირებული ქუსლით. ზედაპირი ხაოიანია. კეცი არათანაბარი სისქისაა (0,3-0,5 სმ). ძირის დიამეტრი 5,2 სმ (ტაბ. VI, სურ. 25s). საფიქრებელია, რომ ჭურჭლის ნატეხი ზემოთ აღწერილი სამარხების მსგავსად მიცვალებულს სახეზე ედო.

სასმისის ნატეხი აღმოჩნდა №4 სამარხში, მიცვალებულის წვივის ძვლების სავარაუდო არეში. სასმისი პირგაშლილია, დაბალყელიანი, გამობერილი

მუცლითა და ბრტყელი ძირით. მხარზე შემოუყვება ამოდარული ტალღოვანი სარტყელი. ხაოიანი ზედაპირი მოხატულია წერნაქის საღებავის სწორი და ტალღოვანი ხაზებით. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია (ზომები: სიმაღლე 9,4 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, კეცის სისქე 0,3 სმ) ჭურჭელი ყურიანი უნდა ყოფილიყო. სასმისი სამარხში უნდა მოხვედრილიყო მისი მიწით ამოვსების დროს.

ასეთი სასმისები ჩვენში ჯერ კიდევ XII-XIII სს-ში ჩნდება. ისინი გვხვდება დმანისში, რუსთავში, ივრის სიონში, ჟინვალში, ფშავის არაგვის ხეობაში, უფლისციხეში [ჯაფარიძე 1956: 21, 43; ჩხატარაშვილი 1964: 176; რამიშვილი 1970: 93-96; ჯორბენაძე 1983: 159; რჩელიშვილი 1990: 55; მინდორაშვილი 2008: 42-43]. ამავე პერიოდითაა დათარიღებული აჭარისწყლის ხეობაში აღმოჩენილი თხელკედლიანი სასმისები [მამულაძე 1993: 131-134; მამულაძე 1998: 21-22]. №4 სამარხიდან მომდინარე სასმისი გარკვეულწილად ემსგავსება ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან მომდინარე ნიმუშებს, თუმცა ის შედარებით უფრო მოგვიანო უნდა იყოს და შესაძლოა XIII-XIV სს-ს მიეკუთვნებოდეს.

IV. ჭრაქი (სასაკმევლე?). აღმოჩნდა №1 სამარხში მიცვალებულის ტერფის ძეგლებს შორის, პირქვე დამხოვილი. გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ნაძერწია ხელით. ჭურჭელი პირმოყრილია, ტანი შვეული, არასიმეტრიული ძირი ბრტყელი (ზომები: სიმაღლე 5,5 სმ, ძირის დიამეტრი 7 სმ, ძირის დიამეტრი 7-7,5 სმ, კეცის სისქე 0,8 სმ). ხელით ნაძერწობის გამო ნივთს არა აქვს ჩამოყალიბებული სტანდარტიზებული ფორმა, რის გამოც მისი პარალელების მოძიება საკმაოდ ჭირს. ფორმა-მოყვანილობით ის გარკვეულწილად ემსგავსება კვეტერში აღმოჩენილ XVII-XVIII სს-ით დათარიღებულ ჭრაქებს [მინდორაშვილი 2010: 24-25]. ფორმით ის ახლო დგას ეთნოგრაფიულ ყოფაში გვიანობამდე შემორჩენილ ჭრაქებთანაც [მასალები ... 1979: 117, სურ. 55]. თუმცა, მათგან განსხვავებით, №1 სამარხის ჭრაქს არა აქვს ტუჩი, რაც გარკვეულწილად იმასაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა აღნიშნული ჭურჭელი საეკლესიო დანიშნულების (ვინაიდან ის საეკლესიო პიროვნების სამარხში იყო ჩატანებული) სულაც სხვა ნივთი, მაგ. სასაკმევლეც იყოს.

ხუთი დაურღვეველი სამარხიდან მოჭიქული ჭურჭელი მხოლოდ ერთ მათგანში აღმოჩნდა. ესაა №3 სამარხში გამოვლენილი პატარა ჯამი, რომელიც

მიცვალეზულს სახეზე ეფარა. ჯამი გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი. ჭურჭელი ოდნავ პირმოყრილია. აქვს დაბალი მხრები და ოვალური კალთა. კეცი თხელია. ანგობირებული მწვანე შიდაპირი მოჭიქულია უფერული პრიალა ჭიქურით. ჯამის ზომები: სიმაღლე 6 სმ, პირის დიამეტრი 12,5 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, კეცის სისქე 0,2 სმ.

გვიანი შუასაუკუნეებით, კერძოდ, XVII-XVIII სს-ით დათარიღებული ანალოგიური მწვანედ მოჭიქული ჯამები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს იმდენ ძეგლზე და ისეთი რაოდენობითაა აღმოჩენილი, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს წავიყვანდა. ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია საკუთრივ ზენდიდის ეკლესიის სამაროვნის სხვა დარღვეულ სამარხებში, ზენდიდის ციხეზე (1 ერთეული). განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება გვიანი შუასაუკუნეების მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი გონიოს ციხეზე [კახიძე, მამულაძე, ებრაღიძე 2002: 45].

№1 სამარხში მიცვალეზულის მარჯვენა მკლავის გასწვრივ აღმოჩნდა რკინის ჯვარი, რომელიც შედგენილია რკინის ორი, ერთმანეთთან მანჭვალით დაკავშირებული ბრტყელი და გრძელი ფირფიტისაგან. ჯვრის თავი და მკლავები შუაზეა გაყოფილი. წამახვილებული განაყოფები ერთმანეთის საპირისპირო მხარესაა მომრგვალებული. ჯვრის ფეხი წაწვეტებულია. ჩანს, ის იყო არა საკიდი, არამედ ხის სადგარზე თუ ტარზე ჩასარჭობი ჯვარი (ზომები: სიგრძე 25 სმ, მკვლავების სიგანე 12 სმ, ფირფიტის სიგანე 2 სმ, სისქე 0,2 სმ).

ანალოგიური ფორმის ჯვარი აღმოჩენილია აჭარისწყლის ხეობაში, კერძოდ, სხალთის №5 სამარხში და თხილვანას №1 სამარხში, სადაც ისინი განვითარებული შუასაუკუნეებითაა დათარიღებული [მამულაძე 1993: 140, ტაბ. 70,4; მამულაძე 1998: ტაბ. 574, 582]. ეტყობა ჯვრის ეს ფორმა საკმაოდ გვიანობამდეა შემორჩენილი. №1 სამარხი ზენდიდის ეკლესიის სამაროვანზე ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ჩანს. სამარხის გვიანდლობაზე, მასში აღმოჩენილი ჭრაქისა თუ სასაკმევლის გარდა, მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სამარხის გამართვისას ჭირისუფლებს აუყრიათ ქვის დიდრონი ფილებით მოგებული ეკლესიის იატაკი, მაგრამ მიცვალეზულის დკრძალვის შემდეგ მათ ეს იატაკი რატომღაც აღარ განუახლებიათ. ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის გარემოება, რომ მიცვალეზული ეკლესიაში დაკრძალეს მამინ,

როცა ეკლესია უკვე აღარ ფუნქციონირებდა, რადგან წარმოუდგენელია მოქმედ ეკლესიაში მიცვალებულის დამარხვის შემდეგ ჭირისუფლებს ეკლესიის აყრილი ქვის იატაკი არ გაესწორებინათ და ხელმეორედ არ მოეგოთ. ეკლესიის გაუქმება კი უთუოდ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, აჭარისწყლის ხეობაში თურქთა გაბატონებასთან, მათ მიერ ქრისტიანული სარწმუნოების დევნასთან და ეკლესიების დარბევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ ეკლესიამ ფუნქციონირება XVII ს-ში შეწყვიტა. ამავე ხანებით უნდა დათარიღდეს №1 სამარხიც. მისი თანადროული ჩანს №3, 5 სამარხები. შედარებით ადრეული, XIII-XIV სს-ის უნდა იყოს №4 სამარხი. ვერაფერს ვიტყვით №2 სამარხზე, რომელიც უინვენტაროა.

№3, 4 სამარხებში თიხის ჭურჭლის ნატეხები მიცვალებულს სახეზე ეფარათ. დაკრძალვის წესის ეს თავისებურება ცნობილია აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების სხვა სამაროვნებიდანაც [მამულაძე 1993: 125].

ეკლესიის სამხრეთით და აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე, ზემოთ აღწერილი ხუთი სამარხის გარდა, აღმოჩნდა რამდენიმე დარღვეული ორმოსამარხი, უფრო ზუსტად სამარხებიდან მომდინარე მასალა, რომელიც გაბნეული იყო განათხარი ფართობის მთელ ტერიტორიაზე. ორმოსამარხთა დაზიანება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ერთი მხრით დაფერდებული ნიადაგის გადარეცხვით, მეორე მხრით, ამ ტერიტორიის სამეურნეო მიზნებისათვის სისტემატური დამუშავებით.

დარღვეული ორმოსამარხების ინვენტარი, ძირითადად, კერამიკული ნაწარმია, რომელთა შორის გვხვდება როგორც სადა, ისე მოჭიქული ჭურჭელი. სადა კერამიკული ნაწარმი დანიშნულების მიხედვით იყოფა რამდენიმე ჯგუფად: მინიატურული სასმისები, კოჭობები, ჯამები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია მინიატურული სასმისები (25-მდე ნატეხი). მათში ფორმა-მოყვანილობითა თუ კეცის ფერით ცალკე, I ტიპად გამოიყოფა სასმისები, რომლებიც ხასიათდება მოჩალისფროდ გამომწვარი თხელი კეცით; წმინდად განლექილი თიხით; გამობერილი მუცლით; ბრტყელი ძირით; ზოგჯერ ოდნავ პროფილირებული ქუსლით; ყურები ბრტყელგანივკვეთიანია. ჭურჭლის საშუალო სიმაღლე 5-8 სმ-ია. ძირის დიამეტრი მერყეობს 3,5-5,5 სმ-ს შორის. კეცის სისქე 2-3 მმ-ია. ამგვარი ჭურჭელი განვითარებული შუასაუკუნეების ქართული

კერამიკის ერთ-ერთ დამახასიათებელი და თავისებური ფორმაა [ჯაფარიძე 1956: 21,43; რამიშვილი 1970: 93-96]. ანალოგიური სასმისები გვხვდება: თბილისში, დმანისში, რუსთავში, უჯარმაში, უფლისციხეში, ივრის სიონში, ჟინვალში და სხვ. ამგვარი ჭურჭელი ცნობილია აქარისწყლის ხეობის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებიდან: ნაციხრებიდან, ნასოფლარებიდან, განსაკუთრებით კი სამაროვნებიდან [მამულაძე 1993: 131]. ფრაგმენტულობის გამო არ ხერხდება ზენდიდური ნიმუშების დეტალური კლასიფიკაცია. გაურკვეველია, იყო თუ არა ისინი მოხატული წერნაქით. ერთი შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჭურჭელი, მიუხედავად მათი მინიატურულობისა, ზომებით ერთმანეთისაგან მაინც მკვეთრად განსხვავდება.

უფრო მრავალრიცხოვანია მინიატურული სასმისების II ტიპი. ისინი აშკარად განსხვავდება I ტიპის სასმისებისაგან ფორმა-მოყვანილობით, კეცითა თუ თიხის სტრუქტურით. თავის მხრივ II ტიპის ჭურჭელში რამდენიმე სახეობა შეიძლება გამოიყოს.

II1. სასმისი. წითლად გამომწვარი. თხელკეციანი. ჭურჭელი ოდნავ პირგაშლილია. ყელი დაბალია. გამობერილი და ძირს დაშვებული მუცელი თანდათან გადადის ფართო და ბრტყელ ძირში. ბრტყელგანივკვეთიანი ყური დაპერწილია ყელსა და მუცელზე. სასმისი მოხატულია წერნაქის ზოლებით (სიმაღლე 6,5 სმ, პირის დიამეტრი 5,5 სმ, ძირის დიამეტრი 6 სმ, კეცის სისქე 2 მმ). ტიპოლოგიურად ის ახლოს დგას ზემოთ აღწერილ I ტიპის მინიატურულ სასმისებთან და ზოგიერთი განსხვავებული ნიშნის მიუხედავად მათი თანადროული ჩანს.

II2. ეს მინიატურული ჭურჭელი ხასიათდება რამდენადმე ვიწრო და მომაღლო ტანით. სასმისებს აქვთ გაშლილი პირი, რომელიც უშუალოდ გადადის ფართო ყელზე. ძირი ბრტყელია, უქუსლო. ბრტყელგანივკვეთიანი ერთი ან ორი ყური დაპერწილია პირს ქვემოთ და ძირის დასაწყისთან. ზოგიერთი მოხატულია წერნაქით. სასმისებზე ნაკლებად გაირჩევა მოხატულობის მოტივები. ძირითადად, ესენია გეომეტრიული სახეები, კერძოდ, რომბისებური ბადეები. ზოგზე შეიმჩნევა ყელზე შემოვლებული სწორი და ტლლოვანი სარტყლები და სხვ. ჭურჭლის საშუალო სიმაღლე 8-8,5 სმ-ია, პირის დიამეტრი 5-5,5 სმ, ძირის დიამეტრი 4,5-6 სმ, კეცის სისქე 0,4-0,5 სმ (ტაბ. VI, სურ. 258-9). ეკლესიის ეზოს

განათხარი ტერიტორიიდან მომდინარეობს ამგვარი, მოხატული და მოუხატავი 14 სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტი (საინვენტარო №37, 46-48, 52, 54-57, 62, 64, 88, 108, 119).

II₂ ტიპის მინიატურული სასმისები I ტიპის სასმისებისაგან ზოგიერთი ნიშნით მკვეთრად განსხვავდება. აქვთ შედარებით მაღალი და ვიწრო ტანი; თიხაში შეინიშნება მსხვილი მინარევები; სასმისების კეცი სქელი და უხეშია, ზედაპირი ხაოიანი; კეცი, არათანაბარი გამოწვის გამო, გადანატეხში მუქია. აღსანიშნავია, რომ მათ ერთ ნაწილს შიდა თუ გარეპირზე ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი. არაა გამორიცხული, რომ ამგვარ სასმისებს, უტილიტარული დანიშნულების გარდა, დაკრძალვასთან დაკავშირებულ გარკვეულ რიტუალშიც იყენებდნენ. ანალოგიური სასმისები მრავლადაა აღმოჩენილი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე: სხალთა, ვერნები, თიკანაური, თხილვანა, კალოთა, საციხური, ვანაძეები. ჭვანა, ციხისყელი, დარჩიძეები და სხვ. [მამულაძე 1993: 130,131, ტაბ. 71]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის სასმისები, ძირითადად, აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ნიმუშებად გვევლინებიან და გარკვეულ ლოკალურ თავისებურებებს ამჟღავნებენ [მამულაძე 1993: 131]. აჭარისწყლის ხეობის განათხარი მასალებით I და II ტიპის სასმისები ერთმანეთის თანადროული ჩანან და XII-XIII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ. არაა გამორიცხული, რომ II ტიპის სასმისები შემდგომშიც, კერძოდ, XIV-XV სს-ში განაგრძობენ არსებობას. უფრო მოგვიანებით ამგვარი ჭურჭელი აღარ მზადდება. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ასეთი ჭურჭელი არ აღმოჩენილა ზენდიდის ციხეზე, რომელიც, როგორც არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, მაშინაა აგებული, როცა ეკლესია და სამაროვანი წყვეტს თავის არსებობას.

დარღვეული სამარხიდან უნდა მომდინარეობდეს ორი ჯამი. ერთი მათგანი ხასიათდება ოდნავ გაშლილი პირით, რომელზეც გარედან შემოუყვება ღარი. კალოთა და მხრები გამობერილია. ჯამის ძირი ბრტყელია. დაბალი ქუსლი თხუთმეტკუთხედიანია. ჭურჭლის ზედაპირი მეტნაკლებად გაპრიალებულია. ჯამს ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი (ზომები: სიმაღლე 6,5 სმ, პირის დიამეტრი 12 სმ, ძირის დიამეტრი 7 სმ, ქუსლის სიმაღლე 0,5 სმ). ანალოგიური

დაკუთხულძირიანი ჯამები აჭარისწყლის ხეობიდან ადრეც იყო ცნობილი [მამულაძე 1993: 133]. საფიქრებელია, რომ დაკუთხულძირიანი ჯამები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უფრო ბიზანტიური კერამიკული წარმოების გავლენით მზადდებოდა. მაგ. ამგვარი ფორმის ჯამი აღმოჩენილია კუნძულ კვიპროსზე ღალიას ქართული მონასტრის გათხრებისას [გაგომიძე, მინდორაშვილი, გაგომიძე 2014: ტაბ. LXIII¹⁴].

მეორე ჯამი გამომწვარია წითლად. ხასიათდება მოყრილი პირითა და ოვალური მხრებით. ვიწრო და დაბალი ქუსლი ცენტრში ამოზურცულია. ჭურჭლის ზედაპირი ხაოიანია (ზომები: სიმაღლე 7 სმ, პირის დიამეტრი 12,5 სმ, ძირის დიამეტრი 5,5 სმ, კეცის სისქე 0,4 სმ). ჯამს მრავლად მოეპოვება ანალოგები აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების განვითარებული შუასაუკუნეების მასალებში [მამულაძე 1993: 133-134].

სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს მცირე ზომის ყურიანი ქოთანნი, რომელსაც ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი. ქოთანნი ნაკლულია. აქვს ოდნავ გაშლილი, სამკუთხაგანივკვეთიანი პირი, დაბალი ყელი და დაშვებული მხრები. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მუცელზე (პირის დიამეტრი 8,5 სმ, კეცის სისქე 0,7 სმ). მსგავსი ფორმის ქოთანები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე [მამულაძე 1993: 136].

სრულადაა შემორჩენილი ეკლესიის ეზოდან მომდინარე კოჭობი, რომელიც ცეცხლის ზემოქმედების გამო შეზოლილია. ხასიათდება მომრგვალებული, ოდნავ გაშლილი პირით; დაბალი და ფართო ყელით; დაქანებული მხრებით; ოდნავ პროფილირებული ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყელზე და მუცელზე. ყურის მოპირდაპირე მხარეს, პირს ქვემოთ აქვს რელიეფური დანაძერწი. ჭურჭლის ზედაპირი ხაოიანია. კოჭობი დამზადებულია ხელით, სამეთუნეო ჩარხის გარეშე, რის გამოც ის არაპროპორციულია. აქვს უსწორმასწორო პირი, არასიმეტრიული მუცელი, არათანაბარსისქიანი კეცი (ზომები: სიმაღლე 10-15,5 სმ, პირის დიამეტრი 7-7,5 სმ, ძირის დიამეტრი 6-6,5 სმ, კეცის სისქე 0,3-0,5 სმ). კოჭობი სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს. მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ჭურჭელი აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ძეგლებიდან ადრეც იყო ცნობილი [მამულაძე 1993: ტაბ. 118,10, 214,5,7).

დანგრეულ-გადარეცხილი სამარხებიდან უნდა მომდინარეობდეს მწვანედ მოჭიქული ჯამი, რომელიც გამომწვარია წითლად. თიხა წმინდადაა განლექილი. ჯამს აქვს დაბრტყელებული, სწორი პირი; ოდნავ მომრგვალებული მხრები და ფართოდ გაშლილი კალთა. ქუსლი დაბალია, ვიწრო. ძირი შედარული და ბრტყელია. ანგობირებული შიდაპირი მოჭიქულია ხასხასა მწვანე ჭიქურით (ჯამის ზომები: სიმაღლე 7,5 სმ, პირის დიამეტრი 18 სმ, ძირის დიამეტრი 8 სმ, ქუსლის სიმაღლე 1,2 სმ, კეცის სისქე 0,3-0,5 სმ). ჭიქურის ფერით, ტონალობით, ჭურჭლის ფორმითა თუ კეცის სტრუქტურით აღწერილი ჯამის ანალოგიურია ეკლესიის ეზოში გამოვლენილი, ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ორი ჯამი (საინვენტარო №6, 40). მსგავსი ფორმა-მოყვანილობის, გვიანი შუასაუკუნეების მწვანედ მოჭიქული ჯამები დიდი რაოდენობითაა ცნობილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან. პარალელებისათვის მარტო გონიოს ციხის XVI-XVII სს-ით დათარიღებული მწვანედ მოჭიქული ჯამების დასახელებაც კმარა [ხალვაში 2002: 135, ტაბ. I].

სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს ბრინჯაოს გრებილი სამაჯური, რომელიც გამოვლინდა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე მე-18 კვადრატში.

ამრიგად, ზენდიდის ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესია თავისი იერსახის მიხედვით აგებული ჩანს IX-X სს-ში. განვითარებულ შუასაუკუნეებში მის ირგვლივ გაჩენილა სამაროვანი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროით მოქმედებდა. თურქების ექსპანსიის შედეგად არსებობა შეწყვიტა ჯერ ეკლესიამ, ცოტა მოგვიანებით მის ეზოში არსებულმა ქრისტიანულმა სამაროვანმა.

ბრინჯაოს საცეცხლური. საქართველოს ისტორიაში აჭარის რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისი ისტორიული ხვედრი განსაზღვრავს. ეს მხარე თითქმის სამასი წლის განმავლობაში იყო მოწყვეტილი დედა-სამშობლოს, თავის ქრისტიანულ ფესვებს. ისტორიული ძნელებედობის გამო აქ შუა საუკუნეების ქართული კულტურის მრავალი ძეგლი განადგურდა და დაიკარგა, ამიტომ

ქრისტიანული კულტურის თითოეულ ნიმუშს, წმინდა მიწასთან კულტურული ურთიერთობის ამსახველ თითოეულ ახალ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია, რომ ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული, საუკუნეთა განმავლობაში, ეს ლიტურგიკული ნივთები, ძირითადად, ინარჩუნებდა ფორმას, დეკორატიული მორთულობის ხასიათს. მათ მეტ-ნაკლებად მდგრად იკონოგრაფიაში დროისმიერი ნიშნების ამოკითხვა ცალკეული დეტალებით ხერხდება, უმთავრესად კი, ბრინჯაოს საცეცხლურების დათარიღება იკონოგრაფიული თავისებურებების გამოვლენას ეფუძნება.

ფორმის მიხედვით, ქედის მუზეუმში დაცული საცეცხლური (ტაბ. XVII), რომელიც სოფელ ხარაულაშია აღმოჩენილი, წარმოადგენს ბრინჯაოს ნახევარსფეროსებრ ჯამს, დაბალი, ოდნავ ტრაპეციისებური ფეხითა და ბრტყელი სალტით ზედა ნაწილში. პირის დიამეტრი - 8,5 სმ-ია, სიმაღლე - 6,5 სმ, ფეხის დიამეტრი 4 სმ. დაზიანებულია ჭურჭლის პირი, არ დგინდება მარყუჟების ფორმა. ჭურჭლის ყელზე დატანილია უსისტემო, ღრმა ღრმულები, რაც გვიანი ზემოქმედების შედეგი უნდა იყოს. საცეცხლურის ფსკერიც გვიან უნდა იყოს გახვრეტილი. ფორმისა და ზომის მიხედვით ხარაულას საცეცხლური მსგავსებას იჩენს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული VI-VII საუკუნეების აღმოსავლეთ ქრისტიანული წარმოშობის ნიმუშებთან: მესტია, ლაგურკა და სხვა (საქართველოს ეროვნულ მუზეუმის საგანძურიდან, 2012:53), ასევე ბალტიმორის, ბრიუსელის, ერევნის, ვენის, დეტროიტის, ლუვრის, პრინსტონის უნივერსიტეტის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცულ ნიმუშებთან, რომელთაც შედარებით დაბალი ტრაპეციის ფორმის ფეხი, სფერული მოყვანილობის ჯამი და ყელი აქვთ (Richter-Siebels, 1990: ტაბ. 5, 107, 180; 17; 142; 157, 161; 19; 67; 70). საცეცხლურების მორფოლოგია და კლასიფიკაცია განსხვავებულია, თუმცა საერთოა ის, რომ ჭურჭლის ვიზუალური ეფექტი დამოკიდებულია ყელისა და ფეხის ზომებსა და მოყვანილობაზე, რადგან, უმთავრესად, ჭურჭლის ეს ნაწილები ექვემდებარება ცვლილებას. საცეცხლურების ფორმის გარკვეული ქრონოლოგიური კანონზომიერებების წარმოჩენის მცდელობის მიუხედავად მკვლევარები აღნიშნავენ მათი ზოგადი მორფოლოგიის მდგრადობას საუკუნეების განმავლობაში, რაც რელიგიური ხელოვნების მიმართ აღმოსავლეთ ქრისტიანული ეკლესიის კონსერვატიული დამოკიდებულებით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ ხატმებრძოლეობის შემდეგ შესუსტდა ინტერესი ძველი

ფორმებისადმი, არ გამოირიცხება გვიანდელი მინაბადების არსებობაც (Elbern: 1972:447-462; Richter-Siebels, 1990:186-200).

საცეცხლურის მნიშვნელოვანი დეტალია ყელი, სალტე - ბრტყელი, ცილინდრული ზოლი, რომელიც შემკულია გრაფიკული ორნამენტული ნახატით. მის მთავარ დეკორს წარმოადგენს გლუვი წრეებისა და შემაერთებელი ჰორიზონტალური სარტყელის მოტივი, რომელთა ზემოთ და ქვემოთ - ფონზე რამდენადმე უსისტემოდ დატანილია რკალის ფორმის „წიწვოვანი“ ნაჭდევები. წრეების განთავსებაში დაცულია ერთმაგი და სამმაგი მოტივების განაწილების რიტმი.

საქართველოში შემონახული საცეცხლურების დეკორში სალტე ძირითადად რელიეფური ჰორიზონტალური ლილვებითაა შემოსაზღვრული. თუმცა, ამ ნაწილის დამუშავებაში მთელი რიგი განსხვავებები შეინიშნება. საცეცხლურთა ნაწილში იგი სადად - ორნამენტის გარეშე დატოვებული (ლანჩვალი, ლაგურკა), უმეტესობას კი ეს ნაწილი მსუბუქი გრაფიკული მცენარეული ორნამენტით აქვს შემკული. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული საცეცხლურების, ასევე, ახალციხის ეგზემპლარის გრაფიკული სამკაული - მცენარეული მოტივები - ზუსტ ანალოგიას პოვებს ბერლინის (№969-71), ბრიტანეთის, მაინცის, ნიუნბერგის, ლიუცერნის მუზეუმების საცეცხლურებთან (მაჩაბელი, 1991:50-51). ხარაულას ნიმუშზე წარმოდგენილი დეკორი განსხვავდება მათგან და, ძირითადად, წრეების, დისკოების დამაკავშირებელი ლენტის მოტივით შემოიფარგლება. საქართველოში შემონახულ საცეცხლურებს შორის მსგავსი დეკორატიული სამკაული აქვს იელის მაცხოვრის ეკლესიის VI საუკუნის სირია-პალესტინურ საცეცხლურს, რომლის მცენარეულ დეკორში ჩართულია გლუვი წრეებისა და რომბების შემაერთებელი ზოლი. გადაბმული წრეების მოტივები გვხვდება ბრუკლინის მუზეუმის საცეცხლურზე, წიწვოვანი ნაჭდევები კი პრინსტონის უნივერსიტეტის მუზეუმის ნიმუშზე (Richter-Siebels, 1990: ტაბ. 59, 70). წრეების მოტივი სემანტიკურად უკავშირდება მზეს, მაცხოვრის სიმბოლურ გამოსახულებას. საინტერესოა, რომ ასტრალური სიმბოლოების - დისკოების მოტივი, ასევე, გვხვდება V საუკუნის სირია-პალესტინურ საცეცხლურზე ზემო სვანეთიდან, რომელსაც ექვსწახნაგა ფორმა აქვს და ამ ჯგუფის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს საქართველოში. სამმაგი ოვალური წრეების მოტივი გვხვდება VII საუკუნის სირიული საცეცხლურის ფეხზე საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან (Dshawachischwili, 1986:84,85). ამდენად, ხარაულის

საცეცხლურის სალტეზე გამოსახული ორნამენტური მოტივები მეტ-ნაკლებად ტიპობრივია ადრექრისტიანული ხანის სირია-პალესტინური ტიპის საცეცხლურებისათვის (საინტერესოა ხარაულის საცეცხლურის კიდევ ერთი დეტალი - ორი გამჭოლი ნახვრეტი სალტეზე, რომელიც იშვიათია და, შესაძლოა, შიდა თუნუქის ჭურჭლის დასამაგრებლად გამოიყენებოდა. მსგავსი ფორმის საცეცხლურები ორფეროვანი იყო. ასეთი იყო ბერლინის ადრექრისტიანული კოლექციის ერთ-ერთი ეგზემპლარი, სადაც შემორჩენილია შიდა ჭურჭელი [მაჩაბელი, 1991:51]. არ შემონახულა ხარაულის საცეცხლურის მარყუქები, ჯაჭვის რგოლები, რომლებიც ზოგან ბურთობების, ვერტიკალური მაღალი შვერილების ან ყვავილის ფორმითაა წარმოდგენილი (საცეცხლურზე მესტიიდან და ლაგურკადან მარყუქთა რგოლები მჭიდროდაა შერწყმული პირის ჰორიზონტალურ ხაზთან და მცირედ გამოიყოფა. ახალციხის მუზეუმისა და ლანჩვალის საცეცხლურებზე მარყუქსამაგრები საკმაოდ ამოზიდული და მკაფიოდ გამოკვეთილია). სავარაუდოდ, ჩვენს მუზეუმში დაცულ საცეცხლურის პირს არ ამკობდა მარყუქებს შორის ჭურჭლის პირზე განლაგებული დილისებრი შვერილები, რომლებიც საცეცხლურთა დეკორში არც თუ იშვიათი მოტივია [მაჩაბელი, 1991:51; Richter-Siebels, 1990: 186-189]. ხარაულას საცეცხლურის ფეხისა და ფუძის შემკულობა შეიცავს ამ ტიპის ნაკეთობათა სიმბოლურ დეტალებს - ჯვრებსა და ვარდულს (მაჩაბელი, 1982:84), (სვანეთში შემონახული VII საუკუნის ერთ-ერთი საცეცხლურის ძირზე გამოსახულია ღვთისმშობელი ორანტა, რაც ხაზს უსვამს მის სიმბოლურ მნიშვნელობას). საცეცხლურის ზედაპირზე გამოსახული სახარებისეული სცენები ღვთისმშობლის მისიის, უფლის განკაცების და აღდგომის იდეის წარმოჩენას ემსახურება. ახალი აღთქმის კომპოზიციებით შემკული ბრინჯაოს საცეცხლურები პალესტინაში VI-VII საუკუნეებიდან ჩნდება. საცეცხლურებზე სახარებისეული მოვლენების 15-მდე ეპიზოდი დასტურდება, თუმცა სცენების რაოდენობა თორმეტ კომპოზიციას არ აჭარბებს. სცენების მინიმალურ რაოდენობას ქმნის ოთხი სცენა. შედარებით ფართო ჯგუფს შეადგენს საცეცხლურები, რომლებზეც გამოსახულია ხუთი სიუჟეტი. სცენების რაოდენობა არ არის დაკავშირებული ჭურჭლის ფორმასთან. კომპოზიციები, ძირითადად, განთავსებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ისტორიული თანმიმდევრობით. გამონაკლისს შეადგენს რამდენიმე ნიმუში, რომლებზეც ეპიზოდები განაწილებულია საწინააღმდეგო მიმართულებით [Richter-Siebels,

1990:13-15]. საცეცხლურთა რელიეფური დეკორი მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს ტყვიის ამპულების შემკულობასთან.

საქართველოში შემონახულ ბრინჯაოს საცეცხლურებზე ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდების რაოდენობა ხუთიდან თორმეტამდე მერყეობს. ყველაზე ხშირად გამოისახება პალესტინის წმინდა ადგილებთან დაკავშირებული მთავარი მოვლენები - „ჯვარცმა“ და „მენელსაცხებლე დედები ქრისტეს საფლავთან“ [მაჩაბელი, 1991:43-58].

ხარაულას საცეცხლურის პროგრამა შეიცავს ექვს კომპოზიციას: ხარება, მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა, შობა, ნათლისღება, ჯვარცმა, მენელსაცხებლე დედები მაცხოვრის საფლავთან.

სცენა განაწილებულია ფრიზისებურად, მარჯვნიდან მარცხნივ, ისტორიული თანმიმდევრობით. მცირე ინტერვალით განთავსებული, „ჩაკეტილი“ სტრუქტურის კომპოზიციები ერთმანეთისგან ზურგშექცევით გამოსახული ფიგურებით ან კომპოზიციებს შორის წარმოდგენილი მცირე დეკორატიული დეტალებით იმიჯნება. მაგალითად, მარიამისა და ელისაბედის შეხვედრასა და შობის კომპოზიციას ერთმანეთისგან გამოყოფს უსწორმასწორო ფორმის ხაზებით დადარული რელიეფური მასა, რომელიც შეიძლება ბეთლემის მთის პირობით გამოსახულებად მივიჩნიოთ. შობისა და ნათლისღების კომპოზიციებს შორის, ნათლისმცემლის ფიგურის ზურგს გასდევს მორკალური ზოლი, რომელიც მთის მინიშნებად შეიძლება აღვიქვათ. თუმცა, შევნიშნავთ, რომ კომპოზიციათა ერთმანეთისაგან გამიჯვნის ეს ხერხი ხარაულას საცეცხლურის დეკორში რამდენადმე კერძო ხასიათს ატარებს და აუცილებელ მხატვრულ მეთოდს არ წარმოადგენს. სხვა კომპოზიციები ერთმანეთისაგან მცირე სივრცული ინტერვალითაა განცალკევებული. სცენების გამიჯვნის დეკორატიული ხერხები, უმთავრესად VII საუკუნიდან იჩენს თავს.

ხარაულას საცეცხლურის „ხარების“ კომპოზიციაში ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი გამოსახულია მარჯვენა მხარეს, ანგელოზი მას მარცხნიდან უახლოვდება. ანგელოზის გამოსახულება რეპრეზენტატულია - საცეცხლურის მთელ დეკორში მისი ფიგურა გამოიჩევა მასშტაბით, ზევით აწეული და ფართოდ გაშლილი ფრთებით. მთავარანგელოზ გაბრიელის ასეთი აქცენტირება საცეცხლურის პროგრამაში საღვთისმსახურო ჭურჭლის სიმბოლური მნიშვნელობით განისაზღვრება. ანგელოზის ფიგურის ასეთი აქცენტირება ბრინჯაოს

საცეცხლურების იკონოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია: ლანჩვალის, ბერლინის, ბრიუსელის, ტორონტოს, ჰარვარდის კოლექციების და სხვა საცეცხლურები [მაჩაბელი, 1991:49; Richter-Siebels, 1990:19-31, ტაბ. 10, 17, 76]. ღვთისმშობელი გამოსახული უნდა იყოს მჯდომარე პოზაში, თავს ბურავს მაფორიუმში, რომელიც თითქოს ცალკე მასად გამოიყოფა და შარავანდად ედება სახის ოვალს. საქართველოში შემონახულ და მსოფლიოს სხვადასხვა კოლექციებში დაცულ საცეცხლურებზე „ხარების“ კომპოზიცია, ძირითადად, გვხვდება ორი იკონოგრაფიული რედაქციით. ერთ შემთხვევაში ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი გამოსახულია სცენის მარჯვენა მხარეს, მეორე შემთხვევაში კი - მარცხნივ და მას ანგელოზი მარჯვნიდან უახლოვდება. ერთ-ერთ საცეცხლურზე გვხვდება საინტერესო ვერსია - „ხარება შადრევანთან“ [მაჩაბელი, 1991:53-54; Richter-Siebels, 1990:49-55].

„მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“ - გვხვდება იმ საცეცხლურებზე, რომლებზეც ხუთზე მეტი სცენაა წარმოდგენილი. იგი დადასტურებულია სვანეთის ორ საცეცხლურზე (მესტია, ლანჩვალი). სცენის იკონოგრაფია მისდევს მყარ ტრადიციას და წარმოგვიდგენს სიმეტრიულ წყვილად კომპოზიციას - მარიამისა და ელისაბედის მჭიდროდ მიკრულ ფიგურებს. საცეცხლურებზე გავრცელებული იკონოგრაფიული ვერსიებით გამოსახება მარიამისა და ელისაბედის როგორც მჭიდრო, ასევე ოდნავ დაშორებული ფიგურები, რომლებიც გამოხატავს მათი შეხვედრისა და მიაღწერების მომენტებს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან დამახასიათებელია საცეცხლურების იკონოგრაფიისათვის. მსგავსი გადაწყვეტით ხასიათდება ამ ტიპის რიგ საცეცხლურებზე (ტორონტოს 2, ბერლინი 1970, ბრიუსელი 1 და სხვა) გამოსახული სიუჟეტები (Richter-Siebels, 1990:55-57; ნახ:6b, 7d, 9a; Покровский, 2001: 131). ზოგან ამ კომპოზიციის გადაწყვეტაში ვლინდება გრაფიკული დამუშავება, გარკვეული დეკორატიული გემოვნება. ხარაულას (ქედის) საცეცხლურზე ფიგურათა ზედაპირის ხაზობრივი დამუშავება და რიტმული ნახაზი, ზოგადად, მიანიშნებს სამოსის ფორმებს, ნაკვეციებით და ფიგურათა ზომებით შეიძლება ითქვას, რომ ელისაბედის გამოსახულება ოდნავ მუხლმოყრილია მარიამის წინაშე, ისინი ერთმანეთს ეხებიან სახეებითა და ხელებით. თვალსაჩინოა ფიგურათა დეფორმირებული ფორმები და გაზრდილი თავები.

„ქრისტეს შობა“ - გამოსახულია ლაკონური იკონოგრაფიული რედაქციით. კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია „მღვიმე-საწოლის“ პირობითი გამოსახულება, რომელზეც წევს სახვევებში გახვეული ჩვილი. მარჯნივ, ოდნავ დიაგონალურ მდგომარეობაში, გამოსახულია ღვთისმშობელი, მარცხნივ - ხელზე თავდაყრდნობილი იოსების მჯდომარე ფიგურა. ბაგის თავზე მოჩანს ხარისა და ჩოჩორის თავები. საცეცხლურებზე წარმოდგენილი „შობის“ კომპოზიციებისათვის დამახასიათებელია მარიამისა და იოსების ფიგურების გადაადგილება სცენის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ზოგიერთ სცენაში კი არ გამოისახება ცხოველთა გამოსახულებები. ხარაულას სცენის მსგავსი კომპოზიციური სტრუქტურით ხასიათდება მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიის, ლანჩვალის, ახალციხის მუზეუმის საცეცხლურებზე გამოსახული კომპოზიციები. ცხოველთა ფიგურები დასტურდება საცეცხლურზე სოფელ ბალაანიდან [მაჩაბელი, 1991:54]. საინტერესოა, რომ ხარაულას საცეცხლურზე გამოსახული ჩვილის სამკუთხა მოყვანილობის საწოლი „ძარღვებითა“ და შუაში ღიობით მსგავსებას იჩენს ბრიტანეთის მუზეუმის ერთ-ერთი ნიმუშის ფორმასთან [Richter-Siebels, 1990:64]. „შობის“ კომპოზიცია მეტ-ნაკლებად ტიპურია ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-ქრისტიანული, სირია-პალესტინური ტიპის ბრინჯაოს საცეცხლურების დეკორისათვის.

„ნათლისღება“- წარმოდგენს ერთ-ერთ ძირითად სცენას იმ საცეცხლურთა პროგრამაში, რომლებზეც გამოსახულია ხუთი ან ხუთზე მეტი სიუჟეტური კომპოზიცია. საცეცხლურებზე ნათლისღების კომპოზიცია, ძირითადად, წარმოდგენილია მოკლე იკონოგრაფიული რედაქციებით (მესტია, ახალციხე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცეცხლურები). მსგავსი ვერსიები გვხვდება ადრექრისტიანული პერიოდის (IV-VI სს-ის) სარკოფაგებზე, ამჟღავნებზე [Покровский, 2001:255-256, ნახ. 23,70-71]. ქედის მუზეუმის საცეცხლურზე წარმოდგენილი სცენა ხასიათდება სიმეტრიული გადაწყვეტით - ცენტრში ქრისტეს მცირე ზომის ფიგურით, მარცხნივ ნათლისმცემლისა და მარჯვნივ - ანგელოზის გამოსახულებით. კომპოზიციაში განსაკუთრებულად აქცენტირებულია სულიწმინდის გამოსახულება მტრედის სახით, რომელიც საცეცხლურის იდეის შესაბამისად, უფლის გაცხადებას უსვამს ხაზს. ისეთი იკონოგრაფიული დეტალები, როგორცაა - ნათლისმცემლის მოკლე სამოსი, მაცხოვრისაკენ გადახრილი სხეული, მარჯვენა ხელი, რომელიც მსუბუქად ეხება ქრისტეს თავს, თავად მაცხოვრის

ნათლისმცემლისაკენ გაწვდილი ხელი, ზევიდან ქვევით, ვერტიკალურად დაშვებული მტრედის გამოსახულება ავლენს აღმოსავლეთ ქრისტიანული, სირია-პალესტინური ტიპის საცეცხლურებისათვის დამახასიათებელ იკონოგრაფიულ ნიშნებს [Richter-Siebels, 1990:87-96; Millet, 1916:171].

„ჯვარცმის“ კომპოზიცია წარმოდგენილია სამფიგურიანი რედაქციით, რომელსაც ერთვის მზისა და მთვარის გამოსახულებანი. კომპოზიციის ცენტრში მამტაბითა და მოცულობით აქცენტირებულია ჯვარცმული მაცხოვრის ფიგურა, რომელსაც გრძელი, ტერფამდე დაშვებული კოლობიუმი მოსავს. მაცხოვრის ფიგურის პარალელურად, იგივე მამტაბში გამოსახული ფიგურების ფრონტალური პოზა, დაშვებული და თითქოს უკან შეკრული ხელები მოწმობს, რომ ხარაულას საცეცხლურზე წარმოდგენილი არიან ავაზაკები. ისინი გამოსახული არიან რამდენადმე დიფერენცირებულად - მარჯვენა ავაზაკის სხეული და თავი მიბრუნებულია მაცხოვრისაკენ, ხოლო მარცხენა ფიგურისა კი საპირისპირო მიმართულებით. ძალზე ტლანქი და ზოგადი ფორმების მიუხედავად, მაინც გაირჩევა ავაზაკების შიშველი სხეული, მოკლე სამოსი, ქვედა კიდურები. ქრისტეს სამოსზე უხეშად დადებული განივი, ვერტიკალური და რკალისებური ნაჭდევეები ნაკეცების დინამიკას მიუთითებს, დიაგონალური ღრმა ნაჭდევეები კი ოსტატის დაუდევრობის შედეგია. ამდენად, ქედის მუზეუმში დაცულ საცეცხლურზე დასტურდება „ჯვარცმის“ კომპოზიციის მოკლე იკონოგრაფიული რედაქცია მაცხოვრის, ციური მნათობებისა და ორი ავაზაკის თანხლებით. აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციის თანახმად, კოლობიუმში გამოსახული მაცხოვრის ფიგურა VI საუკუნიდან დასტურდება, საცეცხლურების რელიეფურ დეკორშიც ქრისტე, უმეტესად, გრძელ კოლობიუმშია წარმოდგენილი. ცნობილია, რომ საცეცხლურებზე გვხვდება „ჯვარცმის“ როგორც მოკლე, ასევე შედარებით ვრცელი ისტორიული ვერსიებიც. ქედის მუზეუმის ნიმუშზე გამოსახული „ჯვარცმის“ კომპოზიციის ანალოგიური რედაქცია დასტურდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ჟენევის, ბრიუსელის, ლონდონის, პეტერბურგის, ოდესის კოლექციების ზოგიერთ საცეცხლურზე [Richter-Siebels, 1990:121, ნახ. 6ac, 7ab, 6 ab, 7b, 8b]. პერსონაჟების ანალოგიური განაწილების გვერდით გვხვდება ისეთი კომპოზიციები, რომლებშიც ავაზაკთა ფიგურები თავსდება არა ჯვარცმული ქრისტეს ფიგურის პარალელურად, იგივე მამტაბში, არამედ ჯვრის განივი მკლავის ქვეშ: საქართველოს ეროვნული მუზეუმი/თბილისი 2;

ქენევა 3 (Richter-Siebels, 1990:24, 29, 121-123, ნახ. Bac, 7ab). საქართველოში შემონახულ საცეცხლურთა უმეტესობას „ჯვარცმის“ კომპოზიციის სამფიგურიანი სქემა ამკობს (მაჩაბელი, 1991:54). ამდენად, ქედის მუზეუმში დაცული საცეცხლურის „ჯვარცმის“ კომპოზიცია წარმოგვიდგენს ადრეული იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ რედაქციას.

„მენელსაცხებლე დედანი მაცხოვრის საფლავთან“ დასტურდება ყველა საცეცხლურზე. კომპოზიცია სიმეტრიულია, ცენტრში გამოსახულია მაცხოვრის საფლავი, მის გვერდებზე მარცხნივ წმინდა დედა, ხოლო მარჯვნივ ანგელოზი, რომელსაც მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს, მარჯვენათი საფლავზე მიუთითებს. ქრისტეს საფლავი წარმოადგენს ცალკე მდგომ ნაგებობას სვეტებიანი შესასვლელით და ზედა ნაწილით - სახურავით, რომელსაც აქვს სპეციფიკური, ოდნავ მომრგვალებული ფორმა. ქედის საცეცხლურზე სახურავი თაღისებური ჭრილით გამოიყოფა ქვედა ნაწილისაგან, მისი, თითქოს ტრაპეციის, ფორმა არ შეიცავს ზოგიერთი სხვა ნიმუშისათვის ტიპურ აკროტერიუმის აპრეხილ პალმეტებს, რადგან კიდეები წაკვეთილი აქვს. სახურავის ეს მოხაზულობა უფრო გუმბათის ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს (მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმის საცეცხლური) და იგი განსხვავდება სხვა ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ფრონტონისმაგვარი ან კონუსური (მაგალითად, ჰარვარდის, კოპენჰაგენის ნიმუშები, მონცის ამპულა) ფორმებისაგან. საფლავის გამოსახულების ზედა, ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ჯვარი, ჩაჭრილი რკალებით შექმნილი ოვალური სფეროები, საფლავს ასრულებს სამფურცლა, ზემოთ გაგანიერებული ტრაპეციის ფორმის „გვირგვინი“. მაცხოვრის საფლავის ეს ფორმა ცალკეული ნაწილების პირობითი გადმოცემის მიუხედავად, როტონდის ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს და საცეცხლურების დეკორში ადრექრისტიანული პერიოდიდან გვხვდება. ქრისტეს საფლავის წარმოდგენილი ფორმა მსგავსებას იჩენს ოქსფორდის აშმოლის მუზეუმის (ოქსფორდი 2), პრინსტონის უნივერსიტეტის ხელოვნების მუზეუმის, ლეიდენის სახელმწიფო მუზეუმის ეგზემპლარებთან [Richter-Siebels, 1990:133-152, 144-146; ტაბ. 64, 70, 171]. ქრისტეს საფლავის გამოსახულების უფრო ღრმა კვლევა შესაძლოა ხარაულას საცეცხლურის დათარიღებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც იყოს [Richter-Siebels, 1990:133-152, 144-146].

ამდენად ქედის მუზეუმში დაცული საცეცხლურის სცენების იკონოგრაფია ქრისტიანული აღმოსავლეთის ადრეული პერიოდის - VI-VII საუკუნეების თავისებურებებს ავლენს. მიუხედავად ამისა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საცეცხლურებზე წარმოდგენილი ლაკონური რედაქციების კონსერვატიულობა, სკულპტურული დეკორის ხელოვნური ხასიათი ართულებს მათი, მეტ-ნაკლები სიზუსტით, დათარიღების საკითხს. რთულია ჩამოსხმის ტექნოლოგიის ევოლუციის დადგენა და ამ თვალსაზრისით ნივთების დიფერენცირება. ძნელია სტილისტური განვითარების კანონზომიერებათა წარმოჩენა. ქედის საცეცხლურზე რელიეფური გამოსახულებები დაყვანილია საკმაოდ ზოგად მოცულობამდე ექსპრესიულად გაზვიადებული თავებითა და ხელებით, დარღვეული პროპორციებით. ფიგურების დამუშავება იმდენად ტლანქი და უხეშია, რომ ძნელდება პერსონაჟების იდენტიფიცირება, პოზის, ჟესტიკულაციის, სხეულის ფორმების, სამოსისა და სხვა საგნების დადგენა, რაც, თავის მხრივ, ართულებს ნიმუშის თარიღის გარკვევას პლასტიკური ფორმის ხასიათისა და მხატვრულ-სტილისტური ნიშნების საფუძველზე. (ზოგიერთი საცეცხლურის დამზადების, ფორმის გადმოცემის ხარისხი, უფრო მაღალია. მაგალითად, ჰარვარდის მუზეუმის საცეცხლურზე (VI-IX სს.) გარკვევით იკითხება ფიგურათა პოზები, ჟესტიკულაცია, კარგად აღიქმება ფიგურათა სამოსის ნაკვეთები.

განვითარების ხაზის დასადგენად მნიშვნელოვანია ორნამენტური დეკორი, იკონოგრაფია, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ნივთები, ამჟამინდის და პილიგრიმებისათვის განკუთვნილი სხვა საგნების მსგავსად, წარმოადგენს მასიურ ნაწარმს, რომლებიც მზადდებოდა შემუშავებული ტრადიციისა და დადგენილი იკონოგრაფიის მიხედვით. სტილისტურად გამოარჩევენ სირია-პალესტინურ, კოპტურ ტრადიციებზე დაფუძნებულ ჭურჭლებს, კონსტანტინეპოლის, გვიანანტიკური, დასავლური, ხალხური ხელოვნების ზეგავლენის მქონე ნიმუშებს, სხვადასხვა ერების მიერ გადამუშავებულ ეგზემპლარებს. თუმცა, თარიღის დასადგენად და საცეცხლურების ევოლუციასთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად, საჭიროა თითოეული ნიმუშის ანალიზი [Richter-Siebels, 1990:261]. საქართველოში შემორჩენილი ბრინჯაოს საცეცხლურების ნაწილი წარმოადგენს ადრექრისტიანულ სირიულ ნაკეთობებს, ხოლო ნაწილი - მათ ადგილობრივ გამეორებას (Сакварелидзе, Православная Энциклопедия). კვლევის ამ ეტაპზე

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარის მაღალმთიანეთში, სოფელ ხარაულაში აღმოჩენილი და ქედის მუზეუმში დაცული საცეცხლური ფორმის, იკონოგრაფიული თავისებურებების ორნამენტული დეკორის მიხედვით წარმოადგენს VI-VII საუკუნეებიდან შემოტანილი „სირია-პალესტინური“ ტიპის ჭურჭელს, რომელიც თავის მხრივ, საქართველოსა და წმინდა მიწის რელიგიურ-კულტურულ ცენტრების მჭიდრო ურთიერთობას მოწმობს. აღმოსავლეთ ქრისტიანული ორიგინალებისა და მათი ადგილობრივი მინაბაძეების დიფერენცირების, ადგილობრივი დამზადების საცეცხლურების, სახელოსნოების, ქართული თავისებურებების გამოვლენის პრობლემა კი საკითხის ღრმა კვლევას მოითხოვს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ქართულ კოლექციებში დაცული ნიმუშების კატალოგის შედგენა, ბიზანტიური და ადგილობრივი ნიმუშების ურთიერთმიმართების საკითხების კვლევა.

& 2. საფორტიფიკაციო ნაგებობანი. როგორც ცნობილია სიმაგრეებს აგებდნენ წინაკლასობრივ საზოგადოებაშიც [პ. ზაქარაია, 1973:5] მაგრამ მათი მასშტაბი მცირე იყო და დანიშნულებაც, ვიწრო კონკრეტულ გარემოს არ სცილდებოდა. კლასობრივ საზოგადოებაში კი ციხის როლი იზრდებოდა. მას უკვე სახელმწიფოებრივი დანიშნულება ეკისრებოდა და მოქმედების არეალიც ფართოვდებოდა. ფეოდალიზმის ხანაშიც, როდესაც „ყველა ყველას წინააღმდეგ“ იბრძოდა, თითოეული ფეოდალი სიმაგრეში უნდა მჯდარიყო. სიმაგრის აუცილებლობა ციხე-დარბაზის არსებობას განაპირობებდა. ამრიგად ციხე-დარბაზი ფეოდალთა თავდასაცავიც იყო და მეუფეობის დასაყრდენიც [პ. ზაქარაია, 1973:5].

ფეოდალურ სამყაროში პირველ სიმაგრესა და მთავარ დასაყრდენს ციხე-ქალაქი წარმოადგენდა. შემდეგი იყო სახელმწიფო დანიშნულების ციხე და, ბოლოს, ციხე-დარბაზი. მაგრამ ყველა ამ ობიექტს ესაჭიროებდა დაკავშირება-შეერთება, რომ დაცვის ერთიანი ჯაჭვი შეკრულიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა მცირე ნაგებობა – კოშკი [პ. ზაქარაია, 1973:6].

ციხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილის შერჩევას, რადგან უადგილო ადგილას მდგარი სიმაგრე თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა. ეს განაპირობებდა სტრატეგიულად გამართლებული ადგილის მოძებნას. ციხე მტრის ჯარისთვის გადამლობი, ჩამკეტი უნდა ყოფილიყო. ცხადია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი სიმაგრის გამოყენებას, რაც, ჯერ ერთი,

აადვილებდა მშენებლობას და, მეორეც, ძნელად ასაღები ხდებოდა [პ. ზაქარაია, 1973:6]. მთიან და კლდიან ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში, ძნელად მისადგომი და მიუდგომელი ადგილების მეტი რა იყო?! ასევე კარგად იყენებდნენ მდინარეთა შერთების ადგილებსაც [პ. ზაქარაია, 1973:7].

სიმაგრისათვის ადგილის შერჩევის გარდა ქართველ ოსტატს უნდა გაეთვალისწინებინა მხატვრული მხარეც. მათი შემოქმედების შედეგიც ბრწყინვალეა: ყოველი ნაგებობა შეხამებულია გარემოსთან, ჩასმულია ლანდშაფტში.

სიმაგრეები ერთმანეთისაგან ეპოქის მიხედვით განსხვავდებიან. სხვანაირად ეს წარმოდგენელიცაა, რადგან ყოველ ხანას სხვადასხვა თავისებურება ახასიათებს [პ. ზაქარაია, 1973:7].

ციხე თავდაცვას ემსახურებოდა, ამიტომ მისი დაცვის საშუალებებს იარაღი განსაზღვრავდა. ციხეში მყოფს, კარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ იარაღი უნდა გამოეყენებინა. ადრეულ ხანაში ასეთ იარაღს მშვილდ-ისარი და სხვადასხვა ზომის ქვის სასროლი იარაღი წარმოადგენდა [პ. ზაქარაია, 1973:7]. მათ იყენებდნენ ქონგურებით შემოსაზღვრული ბანიდან და გალავნის საბრძოლო ბილიკებიდან. რაც შეეხება კოშკს, შიგნიდან მის სქელ კედლებში ღრმა და განიერი ნიშა უნდა ყოფილიყო, რომ მეზრძოლს მარჯვედ ემოქმედა. ცეცხლმსროლელი იარაღის შემოღების შემდეგ სურათი მკვეთრად იცვლება. ახალმა იარაღმა რადიკალურად შეცვალა როგორც ნაგებობათა ფორმები, ისე კონსტრუქციები [პ. ზაქარაია, 1973:8].

თოფს საქართველოში უკვე XV საუკუნის ბოლოდან იყენებდნენ. მომდევნო საუკუნეში მათი რიცხვი იზრდება. ამან მშენებლობაზეც იმოქმედა, XVI საუკუნეში ციხეების ყოველ ელემენტში გაჩნდა სათოფე. პირველ ხანებში სათოფეები მცირე რაოდენობით კეთდებოდა, მაგრამ იარაღის გამრავლებასთან ერთად სათოფეთა რაოდენობაც გაიზარდა. მათი ფორმებიც გართულდა [პ. ზაქარაია, 1973:9].

ჩვენში ცეცხლმსროლელი იარაღის წარმოების საკითხი მაღალ დონეზე არ იდგა, ამიტომ მშვილდ-ისარი უცებ ვერ განიდევნა. მათი საბოლოო გამიჯვნა მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში მოხდა .


სათოფეთა წარმოშობას უშუალოდ მოსდევს საზარბაზნეების გაჩენაც. მათი ფორმა განსხვავდებოდა სათოფეთა ფორმებისაგან. საზარბაზნეებს გვერდები ჯერ სწორკუთხა ჰქონდა, მერე – ორფერდა. ასეთი ფორმის საზარბაზნეებში ლულა მარჯვედ ტრიალდებოდა.

სათოფესა და საზარბაზნეს გვერდით არსებობდა კიდევ მესამე ელემენტი, ეს იყო სალოდე (მაშიკული), მაგრამ მაშიკული ამ ორ ელემენტზე გაცილებით ადრე წარმოშობილა [პ. ზაქარაია, 1973:9]. სალოდე ჩვეულებრივ წარმოადგენდა უძირო სწორკუთხა შვერილს, საიდანაც ლოდებს აგდებდნენ. ციხის კედლებთან მოსული მტრისთვის სალოდე საშიში იყო. ამ ღია ადგილიდან შეიძლებოდა ცხელი სითხის გადმოსხმაც. გვიან საუკუნეებში სალოდეს ფორმა შეიცვალა, ფუნქცია კი იგივე დარჩა. სალოდე ახალი ფორმით ნისკარტა იყო, ძველს იშვიათად მიმართავდნენ [პ. ზაქარაია, 1973:9].

როგორც ვახსენეთ ქვეყნის ძლიერებისა და დაცვისათვის საჭიროა სიმაგრეები. სიმაგრეებში იგულისხმება თავდაცვის ყველა სახის ნაგებობა. ასეთებს წარმოადგენს: სახელმწიფო დანიშნულების ციხეები, ფეოდალთა ციხე-დარბაზები, განსაკუთრებულ სიტუაციაში წარმოშობილ ციხე-გალავნებსა და ცალკე მდგარ კოშკებს, თითოეულ მათგანს საკუთარი სახე აქვს და ამავე დროს საერთო თავის ჯგუფთან.

ქვეყნის დაცვას პირველ რიგში ემსახურებოდა ის ციხეები, რომლებიც იდგნენ საზღვრებზე, მაგისტრალებზე, გზაჯვარედინებზე და საერთოდ სტრატეგიულად გამართულ ადგილებში, მტრის შემოსევის დროს პირველ დარტყმებს ეს ციხეები იღებდნენ, ამიტომ მათში გარნიზონი უნდა მდგარიყო, უკიდურეს შემთხვევაში, მობილური ჯგუფი მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეები ვერ შეასრულებდნენ თავის როლს და მტერი წინააღმდეგობის გარეშე აღმოჩნდებოდა ქვეყნის შიგნით.

ქვეყნის დაცვაში მონაწილეობს არა მარტო ციხე, არამედ ყოველი სახის სიმაგრე, აქედან უნდა დავასახელოთ: გამაგრებული ქალაქი, ფეოდალის ციხე-დარბაზი, გამოქვაბული, ეკლესიებისა და მონასტრების გალავნები [პ. ზაქარაია, 1973:9] და ჩვენს შემთხვევაში სათვალთვალ კოშკები.



სიმაგრეები ერთხელ შემუშავებული ფორმისა და კონსტრუქციის არ იგებოდა, იგი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი პასუხობდა თავის ეპოქას. ეპოქების მიხედვით კი ბევრი რამ იცვლებოდა და ყველაფერი ეს თავისებურ ასახვას პოულობდა უშუალოდ ნაგებობის საერთო გადაწყვეტასა თუ დეტალებში. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ არ ტოვებდნენ ძველ სიმაგრეს, თუ იგი დანგრეული არ იყო. ძველ სიმაგრეს ეპოქის შესაბამისად სათანადოდ გადააკეთებდნენ და ჩააყენებდნენ თანამედროვეთა რიგში.

ქვეყნის უსაფრთხოება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყო აწყობილი დაცვის სისტემა. ამ საერთო წესს, რომელიც ფეოდალურ ქვეყნებში იყო მიღებული საქართველოშიც იყენებდნენ. ამ შემთხვევაში საუბარია სიგნალიზაციაზე, რომელიც შემდეგი წესით გადაეცემოდა: ციხესიმაგრეები და მათი მაკავშირებელი კოშკები ისე იყო განლაგებული, რომ ერთმანეთს უცქერდა, იქმნებოდა უწყვეტი ჯაჭვი. ასეთი განლაგების შემთხვევაში საზღვარზე მტრის გამოჩენისას, იქვე სპეციალურად შერჩეულ ადგილას აინთებოდა კოცონი, მომდევნო ობიექტის

მზვერავი ამის დანახვისთანავე თვითონაც დაანთებდა ცეცხლს და ამგვარად სიგნალი ელვისებურად გადაეცემოდა ცენტრს [პ. ზაქარაია, 1973:11].

XVI საუკუნიდან ზემოაღნიშნული სიგნალიზაციის სისტემა გამარტივდა და გაუმჯობესდა. ცეცხლმსროლელი იარაღის შემოღების შემდეგ კოცონის მაგივრად თოფსა და ზარბაზანს ისროდნენ. მიუხედავად ამ ახალი ტექნიკისა, კოცონი მთლიანად მაინც არ განუდევნიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნიტ, რომ ჩვენი ხეობა დაფარული იყო სასიგნალო კომპების ჯაჭვური ქსელით. კერძოდ ქედის ტერიტორიის ზედა პირველი კომპი კავიანის ციხეა, რომელიც ჯაჭვურ რგოლში შედიოდა, ჭვანა (ტაკიძეების) და გულების კომპთან. თავის მხრივ – გულები კავშირში იყო ძენწმანის კომპთან, ძენწმანი კი პირდაპირ კავშირში საღორეთისა და ცივასულას კომპებთან. საღორეთის გაგრძელება ზედა ზუბზუს ტერიტორიაზეა და ა. შ.

აჭარაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა ძირითადად განვითარებულ შუასაუკუნეებზე მოდის. ეს კანონზომიერიც ჩანს, რადგან საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სწორედ ამ ეპოქაში ხდება. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის პირველხარისხოვან პოლიტიკურ ძალად იქცა. ბუნებრივია ქვეყნის დაწინაურებას თან მოჰყვა მისი ცალკეული მხარეების აყვავებაც.

როგორც თითოეულმა კუთხემ, ისე აჭარამ თავისი წვლილი შეიტანა მდიდარი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შექმნაში. ეს შესანიშნავად ჩანს, საეკლესიო, საგზაო თუ განსაკუთრებით საფორტიფიკაციო ნაგებობათა სიმრავლით.

აჭარას (სხვადასხვა დროს არტანუჯს, შავშეთსა და სამცხესაც) მოკიდებული XI საუკუნის 20-იანი წლებიდან XIII ს-ის ბოლო წლებამდე ფლობდნენ და განაგებდნენ სამეფო კარზე დაწინაურებული ერისთავთ-ერისთავები აბუსერისძეები. ამ ცნობილ საგვარეულოთა ციხე-ქალაქი ხიხანი სამოსახლოთი და საკულტო ძეგლებითურთ სწორედ სხალთისწყლის ხეობის სათავეებში იყო განლაგებული.

კავიანის ციხე. კავიანის ციხე მდებარეობს დაბა ხიჭაურის გაღმა, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე [კახიძე, მამულაძე, 2016:91]. კავიანის ქედის შუა მონაკვეთზე, ხეობისაკენ გაზიდული კლდოვანი ბორცვის თავზე (ტაბ. XVIII). ორივე მხრიდან მშრალი ხეები ესაზღვრება. მისი თვალთახედვის არეალში ექცეოდა


აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის, ხერთვისისა და შესაბამისი საგზაო კომუნიკაციები. აქედან შესანიშნავად მოჩანს არსიანის თუ აჭარა-გურიის მთებამდე არსებული სივრცეები, ფერდობებზე შეფენილი სოფლები. იგი პირდაპირ გასცქერის ჭვანის(ოთოლთის) და ჩანჩხალოს ციხეებს. საიმედოდ იყო ჩართული მთლიანი ხეობის ერთიანი თავდაცვის სისტემის ჯაჭვში [კახიძე, მამულაძე, 2016:91]. როგორც წესი, ციხის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. გალავნის კედლების უმეტესობა კლდის კიდეებზეა აღმართული. მათი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებული ოთხკუთხა ფორმის კოშკის აღმოსავლეთი კედელი, დანარჩენი თითქმის საძირკვლების დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე შიგნიდან 12-13 მეტრს აღწევს (ტაბ. XVIII). იატაკის მანიშნებელი ფოსოების მიხედვით იგი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. ამავე კედელში მოჩანს გრძივი ფორმის (16X 70 სმ. 35 X 75სმ.) სარკმლებიც [კახიძე, მამულაძე, 2016:91]. ასევე შედარებით კარგადაა შემონახული ციხის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ოთხკუთხა ფორმის კოშკიც. ესეც სამ სართულიანი უნდა ყოფილიყო. მასაც კედლებში დატანებული აქვს სარკმლები. გადარჩენილია აგრეთვე ციხის ეზოს დასავლეთით 7,5 მ-ის სიგრძისა და 5-6 მ-ის სიმაღლის კედელი მასში დატანილი (50 X 65სმ ; 35X 30 სმ) სარკმლებითურთ. შუა ნაწილშია განგრეული ორ კოშკს შორისი დამაკავშირებელი ჩრდილოეთი კედელიც. სამხრეთით არსებული გალავნის კედლები საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ციხის შიდა ფართობი დაახლოებით 180-200 კვ. მეტრია. იგი ნაშენია ფლეთილი და აქა-იქ რიყის ქვით. ძეგლი დაახლოებით XI-XIII სს თარიღდება [კახიძე, მამულაძე, 2016:91] (ტაბ.XVIII).

ცივასულას ციხე. ცივასულა ეწოდება ადგილს, სადაც საღორეთისა და აგარისწყალი ერთვის ერთმანეთს [კახიძე, მამულაძე, 2016:91](ტაბ.XIX). აქედან სულ რაღაც 1 კმ-ის დინების შემდეგ აგარისწყალი უერთდება აჭარისწყალს. ძეგლი ცენტრალური ტრასიდან 0,5 კმ-თაა დაშორებული. ციხე სასირე გორადან ხეობისაკენ მკვეთრად დახრილი ქედის შუა მონაკვეთში არსებულ კლდოვან ბორცვსა და ქვემოთ ტერასებად დადაბლებულ ქანზეა დაშენებული. იგი მორიგი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ძეგლთაგანია. ციხე აკონტროლებდა აჭარისწყალსა და აგარისწყალზე ზღვისპირეთისაკენ მომავალ გზებს. ციხე პატარა

ზომისაა. მისი ფართობი დაახლოებით 350-400 კვ.მ [კახიძე, მამულაძე, 2016:91], იგი თითქმის მიუვალაია. გალავნის კედლები კლდის გარე კიდეებს მიუყვება (ტაბ. XIX). დაზიანებულია ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კედლები. ჩრდილო-აღმოსავლეთი გალავნის კედლის შემორჩენილი სიმაღლე-4,5-5 მ-ია. სისქე-0,7-0,8 მ. შიდა ციხის ტერიტორიაზე იკვეთება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. სამხრეთ დასავლეთ კუთხეში დაცულია კლდეში ნაკვეთი წყლის რეზერვუარი. გალავნის კედლებში (უმეტესად აღმოსავლეთით) დატანილია სათვალთვალ ნიშები [კახიძე, მამულაძე, 2016:92] (ტაბ.XIX).

კლდის თავზე დაშენებული ნახევარწრიული ფორმის კოშკიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი, სამხრეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი კედლები (სიმაღლე გარედან 6,5-7 მ). კედლებში კოჭებისათვის განკუთვნილი ბუდეების მიხედვით ჩანს, რომ იგი ორსართულიანი ყოფილა. სამხრეთის კედელში დატანილი აქვს ხეობისაკენ მიმართული სამხერებიც. კოშკს შესასვლელი უნდა ჰქონოდა ციხის ეზოდან. შიგ მოხვედრისათვის როგორც ჩანს გამოიყენებოდა ხის კიბე. ძეგლი XI-XIII სს თარიღდება [კახიძე, მამულაძე, 2016:92]

§ 3. გზები და საგზაო ნაგებობები. აჭარის შიდა სამიმოსვლო და გარე ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები ერთ-ერთი უძველესია კავკასიაში. ზღვისპირეთზე მდებარე ტრასით შორეულ წარსულში მრავალი ტომი სარგებლობდა სამხრეთის ქვეყნებიდან ჩრდილოეთისკენ და, პირიქით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მოძრაობისათვის. ეს გზა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ხალხებს შორის ურთიერთ-მიმოსვლის, ისე აღებ-მიცემობის განვითარებაში. ამის ერთ-ერთი უტყუარი მაგალითია 1904 წელს სოფელ ქედაში აღმოჩენილი, ბიზანტიური სპილენძის რამდენიმე მონეტა, მონეტებს აქვს ოთხსტრიქონიანი ზედწერილი, რომელიც XI-XII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს [აბრამიშვილი, 1966:135].



ჯერ კიდევ 1890 წელს გამოცემულ ნაშრომში ალ. ჭყონია მიუთითებდა, რომ ჰეროდოტემ შუა და ზემო აჭარის შესხებ ცნობები შეკრიბა იქ, სადაც სკვითები და სამხრეთ კავკასიის ხალხები ხვდებოდნენ ერთმანეთს სავაჭრო მიზნით. [ჰეროდოტე, 1960:31].

ზღვის სანაპირო გზით მიმოსვლის შესახებ დაცულია ქართლის ცხოვრებაში. მემატეანეს შემოუნახავს ცნობა, რომ ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან გონიოს მოვიდა, საიდანაც „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების“. ვფიქრობთ აქ იკვეთება აჭარისწყლის ხეობის გზის მნიშვნელობაც. ძველი მოწმობანი აჭარა-სამცხეს შორის ამ გზით მიმოსვლის შესახებ ჩვენ თითქმის არ გაგვაჩნია, ამბობს ნ. ბერძენიშვილი, თუ არ დავუკავშირებთ, რომ ანდრია მოციქული დიდაჭარიდან სამცხეში რკინისჯვარ-ოდრხეს გზით კი არა, არამედ გოდერძი-ქვაბლიანით შეიძლება მხოლოდ შესულიყო [ბერძენიშვილი, 1966:89].

ცხადია, რომ ცნობები ანდრიას ქადაგების შესახებ ბათუმის სანახებში, ანუ „მეგაღე პოლისსი“, გონიოს მიდამოებში და შემდგომ მისი დიდაჭარიდან სამცხეში გადასვლა ამ გზის სიძველეზე მეტყველებს.

X-XI საუკუნეებში ეს გზა სამიმოსვლოდ კიდევ უფრო საიმედო ჩანს. 1080 წელს, როცა ქართველი მეფე გიორგი მეორე ყველის ციხესთან ახლოს იდგა, მას

მოულოდნელად თავს დაესხნენ თურქები და მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია. მტერი მრავალრიცხოვანი იყო. მისგან გაცლა მხოლოდ საგანგებო გზებით თუ შეიძლებოდა. სწორედ ასეთ დროს საქართველოს მეფე აჭარის ხეობით, რომელიც ძლიერ საიმედო უნდა ყოფილიყო, თავისი ამალით ბათუმს ხოლო, აქედან კი აფხაზეთს ჩასულა. „გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად“, [ქართლის ცხოვრება I:282] წერს მემატიაწე. ჩანს ყველისციხის მიდამოებიდან მარჯვე გზა გადმოდიოდა, რომელითაც აჭარიდან აფხაზეთში წასვლა შეიძლებოდა. ისიც შესაძლოა, რომ გიორგი მეფე თავისი ამალით აგარა-ჩაქვისთავის გზით, ან წონიარისი-საცხოვრია-ზერაბოსლით გადავიდა ქობულეთს, ხოლო იქედან აფხაზეთს ჩავიდა. საყურადღებოა, რომ ყველის სანახებიდან აჭარაიწყლის ხეობაში ორი გზა შემოდის: ყველის წვერის გადასვლით მარეთის ხეობაში და ურემას გადასვლით სხალთის ხევში.

ამრიგად, აჭარას ჰქონდა გზები, რომლებიც წარსულში სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში ძირითად შესასვლელს წარმოადგენდა. ერთ-ერთი პირველი გზა, როგორც აღვნიშნეთ, ზღვისპირეთზე მდებარე ტრასა იყო, რომელზეც, როგორც ხეობაში გამავალ გზებზე, საკმაოდ ბევრი ქვისთაღოვანი ხიდი იყო. ამ გზით მოგზაური ჯერ ზღვისპირა კლარჯეთში შედიოდა, საიდანაც გზა მცირე აზიის ტერიტორიაზე იშლებოდა, ხოლო ბათუმიდან მეორე გზა კი აჭარის ხეობაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ ბევრ განშტოებას შეიცავდა. კერძოდ, ზღვისპირეთი და ჭოროხის ნაპირების აყოლებით მახოს ტერიტორიაზე მირვეთ-სიმონეთის გზა მაჭახელში და აქედან სამხრეთ ართვინისკენ მიდიოდა, ხოლო აჭარისწყლიდან ხერთვისთან გამოვლილი გზა ჭოროხის მარჯვენა ნაპირით ნიგალს გაივლიდა და სამხრეთისკენ იღებდა კურსს. მახუნცეთის თემიდან არსებობდა გზა ბზუბზუ-მილის-ნამლისევით მაჭახლის ხეობაში გადადიოდა. სწორედ ეს გზა იყო ხშირი მიმოსვლა მახუნცეთისა და მაჭახლის თემებს შორის, ეს ურთიერთობა კი ისე ინტენსიური იყო, რომ მთელი რიგი დღესაც ცნობილი გვარები ამ ორ თემს შუა იყო გაყოფილი, რასაც ტბეთის სულთა მატიაწეც ადასტურებს.

ქედა მერისის გავლით დიდი გზა გადიოდა ასევე სამხრეთისკენ, ხოლო ანალოგიური გზა იდო მარეთის ხეობაში, რომელიც სათავეს დაბა შუახევიდან იღებდა.

როგორც ვხედავთ აჭარისწყლის ხეობა მსოფლიოს მნიშვნელოვან სამიმოსვლო ქსელში აქტიურად იყო ჩართული, რომლის ძირითად მიზეზს და მიზანს წარმოადგენს დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც გაივლიდა საქართველოს ტერიტორიაზე და არათუ აღმოსავლეთ დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა ერთმანეთს, არამედ ის აზია ევროპის ერთერთი საიმედო მაგისტრალის მნიშვნელოვან მონაკვეთსაც წარმოადგენდა.

საგზაო ნაგებობები. საქართველოს მთიანმა რელიეფმა ხიდების მშენებლობის ხერხი განსაზღვრა. მათთვის ირჩევდნენ ვიწრო და ადვილად მისადგომ ადგილებს. თავდაპირველად მცირე ნაკადულებზე გადასასვლელად ხის მორი გამოიყენებოდა, შემდეგ კი მათ ნაცვლად უფრო რთული ხის კოჭოვანი ხიდების აგება დაიწყო [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. დროებითი ხიდები ხიდმშენებლობის განვითარებასთან ერთად ქვის ხიდებით იცვლება [კახიძე, მამულაძე, 106] ქვის ხიდების ძირითად ნაწილებს წარმოადგენს მალის ნაშენები, სანაპირო და შუა ბურჯები; მალის ნაშენი თავის მხრივ მთავარი თალისა და თალზედა ნაშენისაგან შედგება [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. ძველი ქვის თაღოვანი ხიდების უმთავრესი ნაწილი-თალი ძირითადად ამოყვანილია დაუმუშავებელი ქვის ფილებით, ყოველგვარი არქიტექტურული სამკაულის გარეშე. შემაკავშირებელ მასალად გამოიყენებოდა კირის ხსნარი. ხიდების მშენებელ ოსტატებს სწრაფი დინების გამო შუა მდინარეში ბურჯის მოწყობისათვის დიდი სიძნელეები ექმნებოდათ. ამიტომ ისინი ცდილობდნენ გადასასვლელები ერთი მალით აეგოთ [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. საინტერესოა კამარების მოხაზულობა, ისინი ხან ნახევარწრიულია, ხან კოლოფოვანი (პარაბოლური), ხან ისრული ან კიდევ ბრტყელი [კახიძე, მამულაძე, 2016:106].

ამგვარი ხიდებისათვის უმეტესწილად დამახასიათებელია გათლილი ქვის ნაცვლად იაფი ყორე ქვისა და დულაბის გამოყენება [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. ტექნიკური თვალსაზრისით ქვის ხიდების უარყოფით თვისებას წარმოადგენს ის, რომ ქვის წყობა კარგად მუშაობს მხოლოდ კუმშვაზე, ამიტომ ქვის ხიდები მხოლოდ თაღოვანი შეიძლება იყოს [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. რაც შეეხება ამგვარი ხიდების ზომასა და სიგანეს ტრანსპორტის ხასიათზე იყო დამოკიდებული. ზოგჯერ მათი სიგანე ერთი ქართული ურმის გავლის ზოლს უტოლდებოდა. იქ სადაც ურმის

მოდრაობა შეუძლებელი იყო, აშენებდნენ შედარებით ვიწრო ხიდებს - ქვეითათვის და საპალნიანი საქონლისათვის [კახიძე, მამულაძე, 2016:106].

დიდი ხიდების მშენებლობის დამკვეთები ძირითადად მეფეები და ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ [კახიძე, მამულაძე, 2016:106]. ხშირ შემთხვევაში ხიდებს სატრანსპორტოსთან ერთად მშენებელთა შემოსავლის წყაროს დანიშნულებაც ჰქონდათ. დაწესებული იყო სპეციალური „სახიდო გადასახადი“. საქართველოში ყველა დიდი ხიდი იმ ფეოდალთა გამგებლობაში იყო, რომელთა სამფლობელოს ტერიტორიაზეც იყო ისინი აგებული. ხიდების მფლობელები გამვლელებს და განსაკუთრებით ვაჭრებს თავიანთ სასარგებლოდ ახდევინებდნენ გადასახადებს [კახიძე, მამულაძე, 2016:106].

აჭარაში ქვის თაღოვანი ხიდების რაოდენობა ბოლო დრომდე ზუსტად ცნობილი არ იყო. სხვადასხვა ავტორი ხიდების განსხვავებულ რიცხვს ასახელებს (თ.სახოკია, 1985; Лисовский, 1887:14; ახვლედიანი, 1944:148; ვარშანიძე, 1979; სიხარულიძე, 1962; 1958; მამულაძე, 2000). ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით დღეისათვის აჭარაში სულ 35-მდე ხიდია ფიქსირებული. მათი დიდი ნაწილი დანგრეულია, თხუთმეტამდე ხიდი კი შედარებით კარგადაა დაცული. მათ შორის 4 ერთეული ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ორი (მახუნცეთი და დანადლო) მდინარე აჭარისწყალზეა აგებული ორიც კი მის შენაკადებზე წონიარისსა (ჯაიმელა) და საღორეთში (მდინარე ჭანჭახადზე).

თუ დავუკვირდებით ქვის თაღოვანი ხიდების ტოპოგრაფიას, დავინახავთ რომ მათი დიდი ნაწილი სწორედ აჭარის, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და ჭანეთ-ლაზეთის ტერიტორიაზეა კონცენტრირებული. აქ არსებული ხიდების მშენებლობის ხელოვნებაცა და არქიტექტიკაც თითქმის ერთნაირია [კახიძე, მამულაძე, 2016:107].

ისინი ძირითადად სამ ჯგუფად კლასიფიცირდება: [კახიძე, მამულაძე, 2016:107]

1. გეომეტრიულ საფუძველზე (წრეზე) დაფუძნებული ერთცენტრიანი ხიდები;
2. ორმაგ, ჰორიზონტალურ ბაქანზე ამოყვანილი ოთხცენტრიანი ხიდები;
3. წრეზე დაფუძნებული ქვის თაღოვანი მრავალმალიანი ხიდები.

პირველი ჯგუფის ხიდების ძირითადი კონსტრუქციული ელემენტი თაღის წყობაა [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. აქ ყოველი ქვის ტრაპეციულობა განსაზღვრულია მშენებლობისას სამშენებლო ჰორიზონტალური ბაქანის ცენტრიდან განსაზღვრული კუთხით [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. ამდენად ყოველ ფართე ტრაპეციულ

ქვათლილს მოსდევს ვიწრო ქვა. იქმნება ერთგვარი „ფსევდოისოდომი“, რაც ქმნის ყოველი ქვის სიმტკიცისა და მდგრადობის გარანტს [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვიწრო ტრაპეციული ქვები ყოველი ლოკალური მონაკვეთისთვის წარმოადგენენ „აგრაფებს“ [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. ამ ტიპის მრავალრიცხოვან ნაგებობებს შორის გამოვყოფთ მაჭახლის წყლის მარცხენა შენაკად ჩხერის წყალზე არსებულ „ჩხერი ხიდს“. ეს შედარებით მცირე ზომის ხიდი იმით გამოირჩევა, რომ თაღის ქუსლები უშუალოდ კლდეშია შესმული. იგი ქვის ბურჯებს არ შეიცავს. ამასთანავე მისი თაღი აბსოლუტური ნახევარწრეა. წყობა „კლასიკურია“, ანუ ყოველ „დიდ“ ტრაპეციულ ქვათლილს ენაცვლება ასევე ტრაპეციული „ვიწრო“ ქვათლილები [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. მსგავსი ხიდები შავშეთ-იმერხევსა და კლარჯეთში ბევრია (ბერთა, თეთრიწყალი, არტანუჯის წყალზე არსებული ორი ხიდი და ა.შ.) განსაკუთრებით მრავლადაა ისტორიული აღმოსავლეთ ქანეთის ტერიტორიაზე (ვრცლად იხ. შ. მამულაძე, გ. ყიფიანი, მ. მშვილდაძე, 2012:63-90; 2014:82-90).

ოთხცენტრიანი ხიდების საუკეთესო ნიმუში გახლავთ დანდალოს ხიდი [კახიძე, მამულაძე, 2016:107], რომელიც მრავალი ნიშნითაა საყურადღებო. ასევე უზადოა თაღის წყობა და მისი ზედა სარტყელიც. აქ ხიდის სახე და კონსტრუქცია ორ განსხვავებულ რადიუსს ეფუძნება, რომლის დროსაც ორ ჰორიზონტალურ სამშენებლო ბაქანს თხოულობს, რაც დასტურდება კიდეც. მსგავსი კონსტრუქციის ხიდები მცირეა შავშეთ-კლარჯეთში, შედარებით მეტია ზღვისპირა ქანეთ-ლაზეთში. (შ. მამულაძე, გ. ყიფიანი, მ. მშვილდაძე, 2012:63-90; 2014:82-90)

ორთაღოვანი ხიდების ნიმუში აჭარაში არ გვხვდება. სამაგიეროდ დაზიანებული სახით რამოდენიმე ნიმუში დასტურდება ტაო-კლარჯეთსა და ქანეთ-ლაზეთის ტერიტორიაზე (შ.მამულაძე, გ. ყიფიანი, მ. მშვილდაძე, 2012 გვ. 63-90; 2014:82-90)

ქვის თაღოვანი ხიდების მშენებლობა მემკვიდრეობით რომაულ სამყაროს განეკუთვნება და ფაქტიურად, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე აგრძელებენ არსებობას მე-20 საუკუნემდე [კახიძე, მამულაძე, 107].

რომაელებმა ქვის თაღოვანი ხიდების სამშენებლო ტექნოლოგია ორი ათასი წლის წინ გააცნო სამყაროს (ვრცლად იხ. Jean-Pierre Adam, 2008: 173-211, 257-280; Jean-Pierre Adam, 2005 : 401-441; William L. Macdonald 1982 : 122-201; Архитектура античного мира, 1973:458-463;611-617). ქვის თაღოვანი კონსტრუქცია გამოიყენებოდა გრძელი

ხიდებისა და მაღალი აქვედუკების მშენებლობის დროსაც. გარდა ამისა, მათ შეიმუშავეს და განავითარეს ისეთი სამშენებლო ტექნიკა, როგორცაა რამოდენიმე სართულად თაღოვანი კონსტრუქციის დაშენება [კახიძე, მამულაძე, 107]. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ რომაელები ფლობდნენ მაღალი ხიდებისა და აქვედუკების აგების ტექნიკას რამოდენიმე ელემენტის ფორმირების საფუძველზე. ფაქტია, ამ ზომის კონსტრუქციები მაღალი საინჟინრო გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა [კახიძე, მამულაძე, 2016:107].

მთავარი პრინციპი ხიდის აგებისას არის მტკიცე კონსტრუქციის შექმნა, რომელიც გაუძლებს დიდი რაოდენობის სიმძიმის ატანას (როგორც ფეხით მოსიარულეთა, ასევე ტვირთისა და ტრანსპორტის წონის გაძლების მიზნით) პატარა მდინარეებზე გადასასვლელი ხიდები ძირითადად იგებოდა ხის მასალით ან ბრტყელი ქვებისაგან [კახიძე, მამულაძე, 2016:107]. ბრტყელი ქვით ნაგები ხიდი ყოველთვის ეყრდნობოდა ორ ურთიერთსაპირისპირო საყრდენს, იგივე ბურჯებს. ძირითადი პრობლემა, რაც ბურჯებიანი ხიდის აგებისას იქმნებოდა გახლდათ მალის ცენტრალური დატვირთვის საკითხი, რომელსაც უნდა გაეძლო დიდი სიმძიმისა და დაწოლისათვის [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. სწორედ ამიტომ დაიწყო ტრაპეციული, დიდი და მცირე ზომის ქვებით თაღების ამოყვანა, რომლებიც ერთმანეთთან კირხნარით მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი. ამგვარ კონსტრუქციას სრულიად თავისუფლად და უსაფრთხოდ შეეძლო გაეძლო საკმაოდ დიდი დატვირთვისათვისაც კი [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. რომაული ხიდის საფუძველზე განახლდა შუა საუკუნეებსა და თანამედროვე ცხოვრებაშიც რამოდენიმე ხიდი [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. ქვის თაღოვანი ხიდების მშენებლობა მხოლოდ ქვით არ ხორციელდებოდა. ეს მასალა საკმაოდ ძვირი იყო რომაულ პერიოდშიც. რომაელებს საკმაოდ კარგად ჰქონდათ გააზრებული სიმტკიცის თვალსაზრისით რომელი მასალა უფრო ვარგისი იქნებოდა [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. სწორედ ამიტომ მიმართავდნენ მშენებლობისას კომბინაციურ მეთოდს, სადაც ძირითადად დომინირებდა ქვა. საგულდაგულოდ თლილი ქვები გამოიყენებოდა კონსტრუქციის გარე კედლების ფორმირებისას [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. ხრეში, სილა და ხორკლიანი (ზოგჯერ დამუშავებული) ქვა კი სივრცეების ამოსავსებად. თაღის ამოყვანის დროს იქმნებოდა ბურჯებს შორის სპეციალური ხის პლათფორმა. თაღის საბოლოო ფორმირება ხდებოდა ცენტრალურ ნაწილში ჩამკეტი

ქვის ჩასმით [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. ხიდის დასრულების შემდეგ ხის კონსტრუქცია მთლიანად იხსნებოდა (მსგავსი ტექნოლოგიითაა ნაგები ისეთი მნიშვნელობის ძეგლი, როგორცაა რომის კოლიზეუმი) [კახიძე, მამულაძე, 2016:108].

ხიდების მშენებლობა აჭარაში IX-X სს-დან უნდა დაწყებულიყო, როდესაც იგი „ქართველთა სამეფოს“ ერთ-ერთი საერისთავოა [მუსხელიშვილი, 2007:92] და უშუალოდ მონაწილეობს იმ ისტორიულ პროცესებში, რაც დამახასიათებელი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონებთან და, კერძოდ, არტანუჯთან [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. არტანუჯი განსაკუთრებით დაწინაურდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნის დროს [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. მის შესახებ კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959წწ) წერდა: „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც“ და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის ციხის მიწა-წყალი, ე.ი. არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ [გეორგიკა IV, 1952:278-279]. ამ გასაღებს ხიხანის, ციხისჯუარის და აწყურის ციხეების ტერიტორიებთან ერთად საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აჭარის ერისთავთ-ერისთავები იოანე აბუსერისძე და გრიგოლ აბუსერისძე ფლობდნენ [ქართლის ცხოვრება, 1956:293,300,302]. ბუნებრივია, აჭარა, როგორც ტაო-კლარჯეთის შემადგენელი ნაწილი ჩართულია ამ პროცესში და აქ ხდებოდა საკუთარი ნაწარმის რეალიზაცია თუ იმპორტი [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. აჭარაში არსებული ხიდების დიდი უმრავლესობაც სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომელიც ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა და განსაკუთრებით კი შავშეთის, იმერხევისა თუ არტანუჯისაკენ მიემართებოდა [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. ასეთივე სიტუაციაა ლაზეთის ტერიტორიაზეც. აქ არსებული ხიდების უმრავლესობაც სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომლებიც ზღვისპირა ზოლს ფორტუნას, ხოფას თუ სხვა ხეობებით აკავშირებდა არტანუჯთან, ტაოსთან, ისპირთან, ერზრუმთან თუ სხვა რეგიონებთან [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. უფრო მეტიც, IX-X სს-ში თბილისი-ბიზანტიის გზამაც კი შეიცვალა მარშრუტი და გაძლიერდა ის ტრასა, რომელიც გაივლიდა არტანუჯზე და შავიზღვისპირეთს აკავშირებდა თბილისთან [ჭილაშვილი, 1970:83-84]. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ პერიოდში, არამარტო აჭარაში, არამედ საქართველოში გამავალი გზების უმრავლესობაც სამხრეთით, ტაო-

კლარჯეთისაკენ და განსაკუთრებით კი, არტანუჯისაკენ იყურება [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. ვაჭრობის განვითარება კი მოითხოვდა, როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზების მოწესრიგებას. ეს კარგად ესმოდათ „ქართველთა სამეფოს“ მესვეურთ და, როგორც ჩანს, დიდ ხარჯებსაც იღებდნენ გზების შესაკეთებლად, ახლის გასაყვანად, ხიდებისა და ფუნდუკ-ქარვასლების ასაშენებლად [კახიძე, მამულაძე, 2016:108]. თუ გადავხედავთ წერილობით წყაროებს, არქიტექტურულ მონაცემებსა და ეპიგრაფიკულ წარწერებს, დავინახავთ, რომ აქ ინტენსიური მშენებლობის ხანა IX ს-დან იწყება, აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების დროს. ვფიქრობთ, როგორც აჭარაში, ისე ტაო-კლარჯეთსა და სხვა მომიჯნავე რეგიონებში არსებული ხიდების უმრავლესობაც სწორედ ამ პერიოდში IX-X სს-ში უნდა აშენებულიყო. თუმცა ხიდების აგება მოგვიანო პერიოდშიც არ შეჩერებულა [კახიძე, მამულაძე, 2016:108].

მახუნცეთის ხიდი. მახუნცეთის ხიდი საკმაოდ დიდი ზომის (ტაბ. XXII/1,2), ოდნავ შეისრული, ეყრდნობა ბუნებრივი კლდის ბურჯებს, რომელთა სიმაღლეები განსხვავებულია. კლდე (ე.წ. ბურჯები) ალაგ-ალაგ ქვებითაა ამოშენებული. ხიდი ნაშენია ვულკანური წარმოშობის ქვით დულაბზე. თითქმის შუა წელზე ყველაზე მეტად ვიწროვდება. მისი ორივე მხარის საპირე რკალი ფლეთილ ქვებს შორის სიცარიელეში ჩასმულია უსწორო ქვები და კირის ხსნართაა შევსილი. საპირე ქვები ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ხიდის ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს (ტაბ. XXII/1,2). ხიდს არ აქვს ლავგარდანი; ჰორიზონტალური სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 19,5 მ, ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე - 28,7 მ; ხიდის სიგანე-შუაწელზე -2,5 მ, ნაპირებზე ბურჯებთან - 3 მ; თაღის სიმაღლე წყლისდონიდან - 5,6 მ. საუკუნეების მანძილზე ხიდის გამაგრებისა თუ შეკეთების მიზნით მის ზედაპირზე დამატებული აქვს წყობის ერთი და ზოგან ორი რიგი, რომელიც სრულიად განსხვავდება პირვანდელისაგან ზომით, ფორმითა თუ წყობის ხასიათით (ტაბ. XXII/1,2).

საღორეთის (მიწის) ხიდი. საღორეთის მიწის ხიდი მდებარეობს აჭარისწყლის მარჯვენა შენაკად მდინარე ჭანჭახატზე (ტაბ. XXI/1,2) , ცენტრალური საავტომობილო გზიდან 3 კმ-ში. ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე 7 მ-ია, სავალი ზედაპირის სიგრძე - 13 მ-ია. ხიდის სიგანე შუა წელზე 1,9-2 მ-ია. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე - 9,9-10 მ-ია. გაშლილი ნახევარწრიული თაღის

მოხაზულობის ხიდი ეყრდნობა ორივე ნაპირზე კლდოვან ქანზე დაშენებულ ბურჯებს. ნაშენებია ყორე და ფლეთილი ქვითკირით დულაბზე. ხიდის ზედაპირი ქვის ფილებითაა დაფენილი. ხიდის ორივე მხარის საპირე ქვები ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ორივე ნაწილს მთელს სიგრძეზე გასდევს (ტაბ. XXI/1,2).

წონიარისის ხიდი. მდებარეობს ქედის რაიონში, სოფ. წონიარისში, ზერაბოსელ-წონიარისის გზაზე. ხიდი მდინარის თითქმის ყველაზე ვიწრო მონაკვეთშია განთავსებული; იგი 2007 წლის აპრილში ჩამოინგრა (ტაბ. XX/2,3). შემორჩა მხოლოდ ხიდის ბურჯები, შემდეგ კი მალევე აღადგინეს (ტაბ. XX/1). ბურჯები ნაშენია თლილი ბაზალტის ქვით კირ-ხსნარზე. ბურჯებზე შემორჩენილია ქარგილისა და ხარაჩოების ბუდეების ფოსოები; თითოეულ ბურჯზე ფოსოების თითო რიგია ორი სწორკუთხა ბუდით. არეები ბურჯების ზემოთ შევსებულია დიდი ზომის ქვებით, მათ შორის სივრცე კი ამოვსებულია წვრილი ქვითა და კირ-ხსნარით. ჩამონგრევამდე ხიდი ნახევარწრიული მოხაზულობისა იყო, ოდნავ ისრული კეხით; თაღს ორივე ნაპირზე საპირე ქვების ერთი რიგი გასდევს. ხიდის ჰორიზონტალური სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 12,3 მ. (ტაბ. XX).


დანდალოს ხიდი. მდებარეობს ქედის რაიონში, სოფ. დანდალოს ტერიტორიაზე, მდ. აჭარისწყლის ხეობაში, ზემო და ქვემო აჭარის საზღვარზე (ტაბ. XXIII); ცენტრალური ტრასისა და სოფ. დანდალოს შორის, მდინარის ყველაზე ვიწრო ადგილას. დანდალოს ხიდი თხელი თაღით, დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ფართო ხიდი ნაშენია ვულკანური წარმოშობის კლდის თლილი ქვით დულაბზე. ხიდის სავალი ნაწილი დაფარულია უსწორო ქვებით. მარცხენა მხარე თითქოსდა ნაპირისაკენ უხვევს. მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. ბურჯები კლდეზეა აღმართული. მათზე შემორჩენილია ქარგილისა და ხარაჩოების ბუდეების ფოსოები; თითოეულ ბურჯზე ფოსოების ორი რიგია, თითო რიგში - სამი ბუდე. მარცხენა ბურჯზე ზედა სამი ფოსო ამოშენებულია. ფოსოების ორი რიგი ცხადყოფს, რომ ხარაჩოები ორ რიგად ყოფილა დალაგებული. ბურჯები ზემოთკენ ფართოვდება. მარჯვენა ბურჯი კლდეზეა დაშენებული, ხოლო მარცხენა - მალის შემცირების მიზნით წყალშია შეჭრილი. ნაგებობისათვის გამოყენებულია ხიდის ორივე მხარის საპირე რკალის ფლეთილი ქვა, რომელთა შორის უსწორო ქვები და კირის ხსნარია. საპირე ქვები ერთ რიგად ერთმანეთზე ვერტიკალურადაა მიწყობილი და ხიდის

ორივე ნაპირს მთელ სიგრძეზე გასდევს (ტაბ. XXIII). საუკუნეების მანძილზე ხიდის გამაგრებისა, თუ შეკეთების მიზნით ხიდის ზედაპირზე დამატებულია ქვის წყობის ორი რიგი, რომელიც სრულიად განსხვავდება პირვანდელისაგან ზომით, ფორმითა, თუ წყობის ხასიათით. ამგვარი გადაკეთება - შეკეთება ერთგვარად უცვლის ხიდს პირვანდელ სახეს და ამძიმებს კონსტრუქციებს. ხიდი მსუბუქი, ერთგვარად ატყორცნილი თაღით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე (ტაბ. XXIII). გეგმის თავისებურების გამო (ლათინური ასო S-ის ფორმისა), ამგვარი ხიდების აშენება სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უფრო რთულია, რადგან დატვირთვები არათანაბრად ნაწილდება. ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე 35,9 მ, სიგანე შუა წელზე - 2,7 მ, ნაპირებზე ბურჯებთან - 3,6 მ; ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე - 21,7 მ; სიმაღლე წყლის დონიდან თაღის კეხამდე - 8,5 მ. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე -7,6 მ. ქარგილის ბუდეების ზომებია: 0,4 X 0,36 მ და 0,34 X 0,3 მ.

თავი VI

მევენახეობა და მეღვინეობა ქედის ქვეყანაში

& 1. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები (საწნახლები)



მევენახეობა-მეღვინეობას აჭარის შუასაუკუნეების სოფლის მეურნეობაში მეტად საპატო და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. ამაზე მიუთითებს რეგიონის სხვადასხვა სოფლებში შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები [კახიძე, მამულაძე, 2016: 113] .

ხეობასა თუ ზღვისპირეთში არ მოიპოვება სოფელი, სადაც დიდი რაოდენობით საშუალო და დიდი ზომის ქვევრები არ იყოს აღმოჩენილი [კახიძე, მამულაძე, 2016:113] . განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მარნებისა და საწნახლების სიმრავლე, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ძველი ხელსაწყო-იარაღები, კერამიკული ნაკეთობა და ა.შ., რომლებმაც დღევანდელ

ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მეტ-ნაკლებად შემოინახა თავი [კახიძე, მამულაძე, 2016:113].

აჭარაში მევენახეობის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები არსებობდა ბარსა და მთისწინა ზონაში, მაგრამ ამ თვალსაზრისით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაა გამორჩეული, აქაური კლიმატი ხელსაყრელია ყურძნის მოსავლისათვის და სწორედ ყურძნის უხვმოსავლიანობის გამო, აუცილებელი შეიქმნა აჭარის ტერიტორიაზე ღვინის ქარხნის აშენება ქედში.

აჭარაში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს ვაზის ჯიშების სიმრავლეც. აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ აჭარაში 14 შავი და 12 თეთრი ჯიში არსებობდა. ყველა მათგანი მაღლარი ვენახის სახითაა წარმოდგენილი [ჯავახიშვილი, 1934:462-467]. მოგვიანებით კი პროფ. მ. რამიშვილმა რეგიონში სულ ვაზის 40 აბორიგენული ჯიშის არსებობა დააფიქსირა. [რამიშვილი, 1948:2]. აკად. ნ. კეცხოველს კი სულ 52 ძირითადი ჯიში აქვს მოხსენიებული (კეცხოველი, 1960:3). ამჟამად კი 80 ადგილობრივი ვაზის ჯიშია [ბერიძე, 1975:25].

მაღლარი ვაზის ჯიშების დიდი ნაწილი უფრო გავრცელებულია ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებში. მარტო სოფ. ჩაოში (ხულოს რაიონი) ვაზის 15 ჯიშია აღრიცხული და შესწავლილი [რამიშვილი, 1948:32]. ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ მთაგორიანობისა და მცირემიწიანობის პირობებში საუკეთესო მიწები უმთავრესად მინდვრის კულტურებს ეთმობოდა. ამასთან მაღლარი ვენახი სახნავ-სათესად ვარგისი მიწების დაბანდებას არ მოითხოვდა, რადგან ვაზს უშვებდნენ მაღალ ხეებზე, რომლებიც ბუნებრივი სახით იზრდებოდა და მას საგანგებოდაც აშენებდნენ [ნ. კახიძე, 1974:45].

აჭარაში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ამ დარგთან უშუალოდ დაკავშირებული ხის, კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები საწნახლების სიმრავლე.

ყურძნის საწნეხ ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ერთ ხეში ამოკვეთილი საწნახელი, რომელიც ამ ტიპის ჭურჭლის ყველაზე ძველი სახეა და მელვინეობის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა [ბოხოჩაძე, 1963:191]. იგი რამდენადმე

გაუმჯობესებული და დახვეწილი სახით დღემდე მრავლადაა შემორჩენილი აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

კლდეში ნაკვეთი და ქვითკირით ნაშენი საწნახლები, ფიქსირებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფ.ზუნდაგაში, კორომხეთში, ორცვაში სამი ერთეული, ოქტომბერში, კოკოტაურში, აქუცაში. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზენითში და ა.შ. ყველა მათგანი XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, თუმცა ამ სახის ჭურჭელი ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდანაა ცნობილი და განვითარების უმაღლეს საფეხურს შუა ფეოდალური ხანის საქართველოში აღწევს [ბოხოჩაძე, 1963:92-96].

შუა ფეოდალურ ხანაში საქართველოში ჩნდება ქვითკირით ნაშენი საწნახლებიც (ბოხოჩაძე, 1963:92-95). ასეთი აჭარაში შედარებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მაჭახლის ხეობა. [კახიძე, 1971:6; 1974:45]. მარტო ერთ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში (ადგილ ბარში) ორი ამ ტიპის საკმაოდ კარგად დაცული საწნახელია დღემდე შემორჩენილი. სოფ. კირნათის გარეუბან შუშანეთში კი მთელი კომპლექსია შემონახული. ამ სახის ღვინის საწური ჭურჭელი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში ბოხოჩაძე, [1963:97-99].

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებს შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მარანთა სიმრავლეც. ისინი ძირითადად ორი სახისაა: დახურული და ღია. დახურული ტიპის „საღვინე სახლიდან“ ცალკე უნდა გამოიყოს სასიმაგრო ნაგებობების ტერიტორიებზე გათხრილი ნიმუშები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭვანის ხეობის (ოთოლთა) ორი მარანი, ორიც ციხისყელის, ხოლო ერთი-დარჩიძეების ციხის ტერიტორიაზე. მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია ხიხანის ციხე-ქალაქის, ბეგოშვილების, კავიანის, დანდალოს თუ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ტერიტორიებზეც. ამ ტიპის მარნები ცნობილია მაჭახლისწყლის ხეობიდანაც [კახიძე, 1974:44-46].

ღია ტიპის მარნები უმთავრესად შემთხვევითი აღმოჩენების გზითაა ცნობილი პარალელები ეძებნება სამხრეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებულ ბიზანტიური კულტურის ძეგლებს შორის [კახიძე, სურმანიძე, 2013:222-232].

შეიძლება ცალკე გამოიყოს ის მარნები, რომლებიც საეკლესიო კომპლექსშია მოქცეული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თხილვანის ეკლესიის შიგნით, აღმოჩენილი საკმაოდ კარგად დაცული 7 ქვევრი, ასევე ვერნების ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში გათხრილი 3 ქვევრი და სხალთის საეკლესიო კომპლექსში შემავალი „საღვინე სახლი“, რომელიც ცალკე ნაგებობას წარმოადგენს, ასევე საინტერესოა სოფელ ორცვაში ნაეკლესიარის მიმდებარედ ქვაში ამოკვეთილი საწნახელი.

დასავლეთ საქართველოში ცნობილია ისეთი მარნებიც, რომლებიც სახლის კომპლექსში შედის. მაგრამ სწორედ მსგავსი კომპლექსი შეისწავლა ბათუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2015 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაპნისთავში. სარდაფის გარკვეული მონაკვეთი ეკავა ახ.წ. VI-XI სს დათარიღებულ 11 ქვევრს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მათგანი კირხსნარით გამოყოფილი ორმაგ და ერთიც სამმაგ კედლიანი იყო. მსგავსი შემთხვევა ჯერჯერობით სხვაგან არ გვაქვს დადასტურებული. ლიტერატურა

შუა საუკუნეების მარნები დასავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლებიდან ჯერჯერობით ფრიად მცირეა. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოში. ცნობილია აგრეთვე დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიიდან [მუსხელიშვილი, 1954:408-413; ჯაფარიძე, 1974:83], გუდარეხიდან [ჭილაშვილი, 1958:168-179; ლომთათიძე, 1955:186], რუსთავიდან [მუსხელიშვილი, 1954:62-101], მლაშების გორიდან [რამიშვილი, 1974:139-151], ვარძიიდან [მელითაური, 1955:76]. ასევე გვხვდება ბორჯომის რაიონში ნასოფლარ „ნადიკვრების“ ტერიტორიაზე ნასიძე, 1971:109-112], ქვემო ქართლში ისპიანის (ბოლნისის რაიონი) ნამოსახლარიდან [ნასიძე, 1969:80-81], ჟინვალის ნაქალაქარზე თუ მის შემოგარენში [რამიშვილი, 1974:65-74] და ა.შ.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიან რომაულ და ადრემუასაუკუნეთა ხანაში გაბატონებული უნდა ყოფილიყო ღია ტიპის მარნები, ხოლო შემდეგ დახურული მარნები ვრცელდება [ბოხოჩაძე, 1963:175]. ამ მხრივ აჭარაში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, განვითარებულ შუასაუკუნეებში ოდნავ განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ გვხვდება როგორც დახურული, ისე ღია ტიპის მარნები. ვაშნარის ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ადრეული

პერიოდისათვის აქაც ძირითადად ღია ტიპისა უნდა ყოფილიყო გავრცელებული [ზოხოჩაძე, 1963:175]. ასევე ითქმის ციხისძირის გარე ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლის შესახებაც.

შესწავლილი მარნების მიხედვით დასტურდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მათთვის გასამართი ტერიტორიის შერჩევას. მაგ. ქართლ-კახეთში მათ ასაშენებლად რიყიან ქვიშნარ ადგილს ირჩევდნენ, რომელიც უფრო გრილი და მშრალი იყო და ღვინოს კარგად ინახავდა [თოფურია, 1942:56]. სამეგრელოში კი მაღალ ადგილს იყენებდნენ, რადგან წყლიანი მიწა ღვინოს აფუჭებდა. იმერეთშიც მარნისა და ჭურის თავებისათვის გრილი ნიადაგი შეირჩეოდა [თოფურია, 1942:56]. აჭარისწყლის ხეობის სინამდვილეშიც ამ მიზნით გრილი შედარებით მშრალი ნიადაგებია გამოყენებული, ისე რომ წყლის კონცენტრაცია, თავმოყრა შეუძლებელი ხდებოდა, რაც ბუნებრივია, ღვინის ხარისხზე უარყოფით გავლენას ვერ ახდენდა.

რეგიონში ამ ტიპის გათხრილი ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ქვევრების ნაწილი დაკირულია, ნაწილი კი დაუკირავი, რაც ამ ძეგლების დათარიღების თვალსაზრისითაც რამდენადმე საინტერესოა. ცნობილია, რომ ძვ.წ.VI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე XI საუკუნებდე, მარნებში და ცალკე აღმოჩენილი ქვევრები უკიროდაა ჩადგმული. მათი დაკირვა შუაფეოდალური ხანიდან, კერძოდ X ს-ის 80-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და გავრცელებულია მთელ საქართველოში [ზოხოჩაძე, 1963:142-144]. აჭარისწყლის ხეობის ძეგლები, როგორც აღინიშნა წარმოდგენილია დაკირული და დაუკირავი ქვევრებით, ხოლო თვით ძეგლები და განსაკუთრებით საფორტიფიკაციო ნაგებობები შუაფეოდალურ ხანას (XI - XIII საუკუნეები) განეკუთვნება. ამდენად სავარაუდოა, რომ დაუკირავი ქვევრები XI საუკუნის გასულზე ადრეული უნდა იყოს, ხოლო დაკირულები-შემდგომი ხანისა.

აჭარისწყლის ხეობაში მეღვინეობის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული შუა საუკუნეების პერიოდის ისეთი ჭურჭლეულის აღმოჩენა, როგორიცაა: დოქები, ჩაფები, კოკები, სასმისები, ჯამები, ფიალები და სხვა, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ღვინის ამოსაღები ძირითადი ჭურჭელი აქაც უმთავრესად კოპე უნდა ყოფილიყო, რომლის ერთ-

ერთი მეტად საინტერესო ნიმუში ქვევრებთან ერთად აღმოჩნდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ახალშენში.

ახლო წარსულში და თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული ინვენტარის მიხედვით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ყურძნის დაკრეფისა და გადატანის საშუალებებზე, ესენია: გიდელი, კალათი, ხოკერი, გოდორი, ძარი, მარხილი და ა.შ. მარხილი რომ არამართო ყურძნის, არამედ სხვა სათავსოთა გადატანის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო განვითარებული შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში, კარგად ჩანს ტბელ აბუსერისძის თხზულებებიდანაც, სადაც იგი რამდენიმე გზისაა აღნიშნული [მუსხელიშვილი, 1954:59].

მევენახეობა-მელვინეობის ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე მაღალმთიანი აჭარის მაგალითზე. აჭარისწყლის ხეობაში მარნების ნაწილი (თხილვანა, ვერნები, კალოთა-ხიხადირი) აღმოჩენილია მთის ზონაში, სადაც ვენახი ამჟამად არ ხარობს. მთის ზოლში მარნების არსებობა უნდა აიხსნას იმით, რომ ამ ეკლესიათა თუ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მფლობელებს-აჭარის ერისთავ-ერისთავებს, შუა ზოლსა თუ ბარში ჰქონდათ მიწები, მამულები, სადაც ხდებოდა ვაზის მოყვანა და შემდეგ ყურძნისა და მზა წვენი ატანა და მარნებში შენახვა. ამასვე ადასტურებს ვახუშტის ასეთი ცნობა: „ტკბილს მოიტანდნენ ბარიდამ, ჩაასხამდნენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“ [ზაგრატიონი, 1941:42]. მსგავსიგარემოებანი საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, აჭარის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საწნახელები საკმაოდ ბევრია. ამჯერად მათგან მოკლედ შევჩერდებით რამოდენიმეზე.

სოფელ ოქტომბრის საწნახელი. ძველი მდებარეობს მდინარე აკავრეთას ხეობაში, სოფ. ოქტომბერში, აჯამპირის უბანში (ტაბ.XIV/1,2). იგი რაიონული ცენტრიდან დაცილებულია 3 კმ-ით. საწნახელი ქვაში ნაკვეთია. საამისოდ შეურჩევიათ მოზრდილი ბუნებრივი ქვის მასივი, ზომებია: სიგრძე-3,5 მ. სიგანე-2,3 მ. ქვაში ამოკვეთილი საწნახელის ზომებია: სიგრძე-2,3 სმ. სიგანე-1,15 მ. სიმაღლე სხვადასხვაა. აღმოსავლეთ კუთხეში 1 მ-ია. დასავლეთით-0.80 სმ. ჩრდილოეთით-90 სმ. სამხრეთით-70 სმ. საწნახელის ჩრდ. დასავლეთ კუთხეში

დატანილია წვენი სადინარი, რომლის დიამეტრია 20 X 15 სმ. საწნახელს ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ზედა კუთხეში დატანილი აქვს წრიული ფორმის ფოსოები ხის ძელებისათვის .

კორომხეთის საწნახელი. ძეგლი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კორომხეთში, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, 300 მეტრში, ქ. სალაძის სახლის წინ (ტაბ. XXVI). ეს ტერიტორია წარმოადგენს მცირე ზომის მოვაკებას, სადაც უზარმაზარი კლდის ერთიანი მონოლითია. საწნახელი სწორედ ამ კლდოვანი ქანის უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთშია გამართული და დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან- აბაზანისა და ისარნისაგან. აბაზანის შიდა ზომებია: სიგრძე-2,60 მ, სიგანე თავთან- 87 სმ, ბოლოში-სადინარის მხარეს-93 სმ; სიღრმე უკანა კედლიდან ძირამდე- 81 სმ, შუა მონაკვეთში-83 სმ, ბოლოს სადინართან-82 სმ. საწნახელის წინა კედელი დღეისათვის თითქმის მთელ სიგრძეზე მონგრეული. საწური ხვრელი წრიული ფორმისაა. იგი 20 სმ სიგრძისაა. ისარნაც აღმოსავლეთის მხარეს დაზიანებულია. იგი თითქმის წრიული ფორმისაა. მისი დმ-58 სმ-ია, სიღრმე სადინარი ხვრელის მხარეს-56 სმ, აღმოსავლეთით შემორჩენილი სიღრმე- 22 სმ-ია. საწნახელის უკანა კედლის დასავლეთ მონაკვეთში ძირიდან 70 სმ-ზე დატანილია ჭაჭის საწურის ხის ძელის თავისათვის განკუთვნილი ოთხკუთხა ფორმის (სიღრმე 12 სმ) ფოსო. აბაზანის თავში, დასავლეთის მხარეს, საწნახელის კვეთისას დაუტოვებიათ 45 სმ სიფართის ბალიში. იგი საწნახელის ძირიდან 23 სმ-ზეა შემადღებული .(ტაბ. XXVII/1,2,3).


ზუნდაგის საწნახელი. მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ზუნდაგაში. ქ. ბათუმიდანსკოლამდე 28 კმ-ია. ძეგლამდე კი 700 მეტრია. იგი სოფლის გარეუბან ბაბუჩოღლების უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, მდინარე ზუნდაგის წყლის მარჯვენა მხარეს, 150 მეტრითაა დაცილებული (ტაბ. XXV/1,2). საკუთრივ ბაბუჩოღლები კი ძალაურისა და ცივწყაროსთვის ქედების ძირში არსებულ მოვაკებაზეა გაშლილი. საწნახელი ძალაურის ქედის ბოლო მონაკვეთის კლდოვან ქანშია ნაკვეთი. იგი საკმაოდ კარგადაა შემონახული. აბაზანის შიდა ზომებია: სიგრძე-2,07 მ, სიფართე თავთან დასავლეთით-1 მ, საპირისპირო მხარეს აღმოსავლეთით-95 სმ. სიღრმე უკანა კედელთან 95 სმ, წინა კედელთან 45 სმ. საწნახელი ტკბილის სადინარისაკენ

აღმოსავლეთით შედარებით ვიწროა და ეს კანონზომიერიცაა. საწნახელის ძირი ტკბილის სადინარისაკენ 10 სმ-ზეა დახრილი. სადინარი ხვრელი წრიული ფორმისაა და ისარნის შიგნით კედლიდან 5-7 სმ-ით წინაა წაწეული და ღარისებრი შვერილით ბოლოვდება. მისი დმ 10 სმ-ია. ისარნა განთავსებულია საწნახელის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით. მისი ზომებია: სიგრძე-80 სმ, სიგანე მარცხენა მხარეს (დასავლეთით) 35 სმ, შუა ნაწილში-55 სმ და ბოლოს-50 სმ. სიღრმე-90 სმ. საწნახელის უკანა კედლის დასავლეთ მონაკვეთში ძირიდან 70 სმ-ზე დატანილია ოთხკუთხა ფორმის (20X15X25 სმ) ფოსფორი კაჭის საქაჩავი ძელის თავისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. საწნახელში საწვიმარი წყლების ჩადინების თავიდან აცილების მიზნით ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე და ნაწილობრივ აღმოსავლეთით კლდეშივე ამოუკვეთიათ ღარი. საწნახელის ძირში კლდეშივე გაუჭრიათ 95 სმ სიგრძის საფეხური. იგი საწნახელში ყურძნის ჩაყრის გაიოლების მიზნით ჩანს გამოყენებული. საწნახელის დასავლეთ და უკიდურეს სამხრეთ ნაწილში არის ასევე კლდეში ნაკვეთია წრიული ფორმის ფოსოები. ისინი, როგორც ჩანს, სახეხი საშუალებების შენახვისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

თავი VII

გვიან შუასაუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობანი

გვიან შუასაუკუნეების ხანის ციხესიმაგრე



არქეოლოგიური გათხრები ზენდიდში

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მოგზაურ-ისტორიკოსთა ნაშრომებში ზენდიდის ბეჟანიძეთა საგვარეულო ციხის შესახებ დაცული ცნობები მწირი და, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის შემცველია, რაც, ბუნებრივია, ნათელ სურათს ვერ ქმნის ციხის და შესაბამისად კუთხის, სრულყოფილი ისტორიის აღდგენისათვის. საისტორიო წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი ბეჟანიძეთა ციხის აგების თარიღისა და მნიშვნელობის შესახებ. საკითხის გადაჭრის ერთადერთი გამოსავალი ციხისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა იყო. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე 2001 წელს

ჩამოყალიბდა ზენდიდის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ძირითადი მიზანი იყო ციხის აშენების თარიღისა და ფუნქციონირების ხანგრძლივობის დადგენა. ასევე, მისი მნიშვნელობის განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, აჭარის შუასაუკუნეების ისტორიაში.

ციხის აღწერილობა

ზენდიდის ციხე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ.ზენდიდში, აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ციხე ჩრდილოეთიდან თავზე დაჰყურებს ქედის მუნიციპალიტეტს. ადგილს, სადაც ციხეა აღმართული, მოსახლეობა უწოდებს „კონახს“. ციხე აგებულია ძნელადმისადგომ მთაზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქალასკურის ტყით შემოსილი ქედი. აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის პატარა უსახელო მდინარე. ციხის ფართობია 6000 მ². მისი გეგმა მისადაგებულია რელიეფს და რამდენადმე წაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია ზღუდის კედლები, კოშკები, კარიბჭეები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:68] (ტაბ. XLVII/1).

ციხის მთავარი შესასვლელი მდებარეობს ზღუდის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთში. შესასვლელის სიგანე 2,15 მ-ია. მისგან შემორჩენილია სამხრეთი წირთხლი და ზღურბლის ნაწილი (ტაბ. XLVII/1). გადმოცემის მიხედვით, ჭიშკარი თაღოვანი ყოფილა და ის გასული საუკუნის 50-ან წლებში დაუშლიათ. კარიბჭესთან მისასვლელი გზა ორივე მხრიდან შემოსაზღვრული ყოფილა მშრალი წყობით ნაგები ქვის კედლით (ყორით). მათგან მხოლოდ სამხრეთი კედელია შემორჩენილი 8 მ სიგრძეზე. კარიბჭის სამხრეთი წირთხლიდან 2,2 მ-ის დაშორებით, ზღუდის კედელზე გარედან კვადრატული ფორმის მინაშენია (ზომები: სიგრძე 2,55 მ, სიგანე 2,18 მ, შემორჩენილი სიმაღლე იატაკამდე 0,82 მ). მისი ქვის ფილებით შედგენილ იატაკზე ქვათლილებით ამოშენებული ყოფილა გუმბათოვანი მოყვანილობის ფურნე, რომლისგანაც ქვის წყობის მხოლოდ ორი რიგია შემორჩენილი. ფურნის იატაკის (ფსკერის) ერთ-ერთ ქვაზე ამოკვეთილია პატარა სწორკუთხა ჩარჩოში (11x9 სმ) მოქცეული, ამჟამად უკვე ძნელად გასარჩევი, არაბული წარწერა (ტაბ. XLVII/1). ფურნე ნაწილობრივ ფარავს ჭიშკრის სამხრეთით, ზღუდის კედლის ქვედა ნაწილში არსებულ ღიობს,

რომელიც ეზოს მხრიდან ფართოა, გარეთ - რამდენადმე შევიწროებული (ზომები: 0,8x0,7x1,1 მ). ეს მცირეკალიბრიანი ზარბაზნისათვის განკუთვნილი ღიობია, რომელიც ნაწილობრივ დაფარა ზღუდის გარეთ მოგვიანებით აგებულმა ფურნემ [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:69].

ჭიშკრიდან №2 კოშკამდე გალავნის კედლის სიგრძე 20,85 მ-ია. კედლის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლეა 2,25 მ, სისქე – 1,1 მ. ციხის დასავლეთი კედელი ბოლოვდება წრიული გეგმის მქონე №2 კოშკით (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 2,1 მ, დიამეტრი 2,2-2,5 მ, კედლის სისქე 1,1 მ). კოშკი ზღუდის კედელზე გარედან არის მიშენებული (ტაბ. I, სურ. 1). შესასვლელი მოწყობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ზღურბლი შედგენილია სხვადასხვა ზომის ქვებით. შესასვლელის მარცხენა ნაწილი დიდი ზომის ქვებია, მარჯვენა – გალავნის კედლის კუთხე. კოშკის ჩრდილოეთ კედელში სარკმელია. სავარაუდოდ, ასეთივე სარკმელი კოშკს უნდა ჰქონოდა სამხრეთ-დასავლეთითაც [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:69].

№2 კოშკიდან ზღუდის კედელი მიემართება სამხრეთით. ამ ნაწილში კედელი შემორჩენილია 1,5 მ სიგრძეზე. ამის შემდეგ, დაახლოებით 10-12 მ სიგრძეზე, ის იკარგება თანამედროვე სახლის ქვეშ. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ კედლის ერთი ნაწილი მოურღვევიათ ციხეში შესასვლელი საავტომობილო გზის გაყვანისას. ამ გზიდან კედელი უხვევს აღმოსავლეთით და ებჯინება ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე №1 კოშკს, რომელიც გეგმაში არაწესიერი ნახევარწრეა. მისი აღმოსავლეთი კედელი სწორხაზოვანია, სამხრეთი – ოვალური. კოშკში შესასვლელი არის ჩრდილოეთიდან. კოშკში ოთხი სარკმელია (კოშკის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). კოშკის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც ამავე დროს ზღუდის კედელიცაა, სწორხაზოვანია და გრძელდება ჩრდილოეთით 7,2 მ სიგრძეზე. მისი შემორჩენილი სიმაღლეა 1,1 მ, სიგანე – 1,2 მ. ზღუდის კედელში, კოშკში შესასვლელიდან 2,95 მ-ის დაშორებით, ციხეში შესასვლელი 0,95 მ სიგანის კარია. მისგან ჩრდილოეთით (ტაბ. XLVII/1), ზღუდის კედელში მცირე ზომის წყალსაწრეტი ხვრელია. ამის შემდეგ კედელი მიადგება მასიური, კარგად გათლილი კვადრებით კირხსნარზე ნაშენი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს. ნაგებობის დასავლეთი კედელი გრძელდება 4 მ-ზე და ექცევა შეუსწავლელ ფართობში. ნაგებობის სამხრეთი

კედელი, რომელიც ამასთანავე ზღუდის კედელიც უნდა ყოფილიყო, იკარგება თანამედროვე სახლის ქვეშ 20,5 მ სიგრძეზე. კედელი ხელახლა იკითხება სახლის აღმოსავლეთი კედლიდან 3,5 მ-ის დაშორებით. აქ ზღუდის კედელი აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით იხრება, გრძელდება 10,8 მ სიგრძეზე, ქმნის კუთხეს, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით და ებმის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭეს. ზღუდის კედელი აქ კარიბჭის დასავლეთ კედელსაც ქმნის (ტაბ. XLVII/1). ზღუდის სამხრეთ კედელში შემორჩენილია ოთხკუთხა მოყვანილობის სხვადასხვა ზომის წყალსაწრეტები [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:70].

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის სიგანე 2,25 მ-ია (ტაბ. XLVII/1). ნაწილობრივ დაზიანებული ზღურბლი შედგენილია ბაზალტის ბრტყელი ქვებით, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ებმის ცხრასაფეხურიანი 3,2 მ სიგანის ქვის კიბე. ჭიშკართან მისასვლელ გზას ორივე მხრიდან მიუყვება ქვის მშრალი წყობით ნაგები 85 მ სიგრძის კედელი (ყორე). კედლის შემორჩენილი სიმაღლე 1 მ-ია, სისქე 70-75 სმ. (ტაბ. XLVII/1). ციხის აღმოსავლეთი კედელი კარიბჭიდან მიემართება ჩრდილო-დასავლეთით. კარიბჭესთან ახლოს, ზღუდის კედელში ჩაშენებულია ორი პილონი. აღნიშნული კედელი 27 მ-ზე გრძელდება და მიადგება დიდ ნაგებობას. ციხის ამ მონაკვეთში ზღუდის კედლის შემორჩენილი სიმაღლე 3,8 მ-ია. სამხრეთი კედლის ანალოგიურად, აქაც კედელში დატანილია წყლის საწრეტი სამი ხვრელი. ზღუდის აღმოსავლეთი კედელი უშუალოდ ებჯინება №7 ნაგებობას, რომლის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები გალავანზეა დაშენებული (ტაბ. XLVII/1).

დიდი ნაგებობის ფართობია 12x17 მ. შენობა ორსართულიანი ყოფილა. ქვედა სართულზე გამოიყოფა ორი სხვადასხვა ზომის თიხატკეპნილი და ქვის იატაკიანი სათავსი. ნაგებობის კედლებში ჩაშენებულია სარკმლები და საწრეტი არხები (ნაგებობის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ). დიდი ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან ზღუდის კედელი სწორხაზოვნად მიემართება დასავლეთით და ებმის №3 კოშკს, რომელიც დიდი ნაგებობიდან დაშორებულია 46 მ-ით. ციხის ჩრდილოეთ კედელში შემორჩენილია სათოფური, მისგან დასავლეთით კი ზღუდის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში 0,8 მ სიგანის კარია (ტაბ. XLVII/1). ზღუდის ჩრდილოეთ მონაკვეთში კედლის შემორჩენილი

სიმაღლე 3,5 მ-ია. ის თავის მხრივ დგას 1 მ სიმაღლის საძირკველზე, რომელიც კედელთან შედარებით 10-15 სმ-ით ფართოა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:71].

№3 კოშკი მდებარეობს ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. გეგმით ის წრიულია (ფართობი 3,4x2,75 მ). შემორჩენილი სიმაღლე 2,1 მ-ია, კედლის სისქე – 0,9 მ. კედელი დაფუძნებულია 1,2 მ სიმაღლის საძირკველზე. კოშკის იატაკი მიწატკეპნილია. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან (კარის ზომები: სიმაღლე 1,7 მ, სიგანე 0,6 მ). კარის ზედა ნაწილი თაღოვანია (ტაბ. XLVII/1). ზღურბლი შედგენილია დაუმუშავებელი ქვების ორი რიგით. კოშკში შესასვლელიდან ზღუდის კედელი 7,9 მ-ზე გრძელდება და ებმის ციხის დასავლეთ კარიბჭეს.

ციხის კედლები ნაშენია ბაზალტის ფლეთილი ქვებით კირხსნარზე. წყობა თარაზულია. არათანაბარი ზომის ქვებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით ან კრამიტით. კედლის სისქე 1,2 მ-ია. დულაბი ზომიერადაა გამოყენებული. მწკრივების სიმაღლე თითქმის ყველგან ერთნაირია და აღწევს 25 სმ-ს. კედლის პერანგებს შორის არსებული ნაწილი შედარებით მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებითაა შევსებული. სარკმლები, კარიბჭეები, ნაგებობათა კუთხეები და საწრეტები ნაშენია კარგად დამუშავებული, გათლილი ქვებით.

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე დიდი ნაგებობა (სიგანე - 12,40 მ, სიგრძე - 17,40 მ), რომელიც თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული (ტაბ. XLVII/1,2). მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედელი გალავანზეა დაშენებული. სწორედ აქ ფიქსირდება ციხის ზღუდის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე – 5,7 მ. გამოიყოფა ზღუდის საძირკვლის, თვით გალავნისა და გალავანზე დაშენებული საცხოვრებელი ნაგებობის კედლის სტრატეგრაფია. საძირკვლისა და, შესაბამისად, გალავნის კედლის სიმაღლეც რელიეფის თავისებურებასთანაა მისადაგებული. შიდა მხარეს საძირკველი (ე.წ. ბალიში) კედლიდან გამოყოფილი არაა. გალავნის ცენტრალურ მონაკვეთში მოწყობილია აბანოს კოლექტორი (სიმაღლე 70 სმ, სიგანე 60 სმ). მისგან 2,8 მ-ის დაშორებით მიკვლეულია თითქმის ანალოგიური მეორე საწრეტი არხი, რომელიც თავის მხრივ ნაგებობის სარდაფში გამართულ ტუალეტს უერთდება. კედელში ჩაშენებული ყოფილა, აგრეთვე, 7,5 სმ (ტაბ. XLVIV/3,4). დიამეტრის კერამიკული მილები, რომლებიც უშუალოდ აბანოს იატაკს უკავშირდება.

როგორც ჩანს, მისი საშუალებით აბანოს წყალი კედლის გარეთ გადაიდვრებოდა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:71] .

აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაკეთებულია ჭრილში კონუსური ფორმის სარკმელი (სიმაღლე 90 სმ, სიგანე 70 სმ), მისი წირთხლები მასიური, გათლილი ქვებითაა შედგენილი (ტაბ. XLVIV/3).

სამხრეთი კედელი (სიგრძე 12,80 მ, სიგანე 1 მ) ძლიერ დაზიანებულია. მისი ნაწილი გალავანზეა დაშენებული. კედლის თითქმის ცენტრალურ მონაკვეთში გამოჩნდა ნაგებობის თავდაპირველი, ძირითადი შესასვლელი, რომელიც მოგვიანო პერიოდში ახალი იატაკის მომზადების დროს იქნა გაუქმებული (ტაბ. XLVIV/4). შესასვლელი ღიობის სიგანე 1,37 მ-ია, შემორჩენილი სიმაღლე – 80 სმ. ქვის ზღურბლის ორივე კუთხეში ამოკვეთილია კარის ჩარჩოს ჩასასმელი ფოსოები. მთლიანობაში ზღურბლი კედლის სიგანისაა. ის მოპირკეთებულია კარგად გათლილი და ერთმანეთთან დულაბით მჭიდროდ მორგებული ფილებით. ზღურბლის ზედაპირზე აღმოჩნდა ჩიბუხი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ნაგებობის ქვედა ქრონოლოგიური თარიღის განსაზღვრისათვის. ჩიბუხი ყავისფერია და მდიდრული ორნამენტითაა შემკული. პარალელური მასალების მიხედვით ის XVII-XVIII სს-ით თარიღდება [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:72] .

ნაგებობის დასავლეთი კედელიც საპირე მხარეს დამუშავებული ფლეთილი, ზოგჯერ კვადროვანი ქვებითაა ნაგები. შემორჩენილია სამირკვლის, ზემირკვლისა და კედლის ორი რიგი (საერთო სიმაღლე 95 სმ). დასავლეთი კედლის მშენებლობაში, სხვა კედლებისაგან განსხვავებით, ჭარბადაა გამოყენებული კირხსნარი. მისი კვალი კედლის ზედაპირზეც შეიმჩნევა, რაც მიგვანიშნებს, რომ დასავლეთი კედლის ფასადი ბათქაშით ყოფილა შელესილი. კედლის ცენტრალურ ნაწილში (გარეთა მხრიდან) გამოჩნდა 1,50 მ სიმაღლისა და 50 სმ სიგანის ლოდებისაგან შედგენილი მეორე სართულზე ასასვლელი საფეხურების ორი რიგი.

სარდაფში ორი სათავსია. ერთი დიდი ზომისაა და მოიცავს 106,9 მ² ფართობს. იატაკის ნაწილი თიხატკეპნილია, ნახევარი კი ფლეთილი ქვებითაა მოკირწყლული (ტაბ. XLVII/2) . ჩრდილოეთ კედელზე მიდგმულია დამუშავებული ქვით ნაშენი, მართკუთხა ფორმის კონსტრუქცია (სიმაღლე 1,85 მ, სიგანე 2,70 მ)

მისი იატაკი, რომელიც მეორე სართულის იატაკის დონეს უსწორდება, შედგენილია ბრტყელი, არათანაბარი ზომის ქვებით და გაკეთებული აქვს 30 სმ სიგანის ხვრელი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გალავნის კედელში არსებულ კოლექტორს უკავშირდება. იატაკზე დაგროვებული წყლის გარეთ გაღვრის ფუნქციას ასრულებდა, ასევე, აქვე გამოვლენილი თიხის მილებიც. ვფიქრობთ, აღნიშნული მინაშენი მეორე სართულზე გამართული აბანოს საყრდენი უნდა ყოფილიყო.

სათავსის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, აბანოსა და გალავნის აღმოსავლეთ კედელს შორის გამოვლინდა ტუალეტი, იგი საგანგებოდ შედგენილ 45 სმ სიმაღლის ქვის „ბაქანზე“ მოწყობილი. ტუალეტი თავის მხრივ უკავშირდება ზღუდის კედელში ჩაშენებულ მეორე კოლექტორს (ტაბ. XLVII/2).

სარკმელი სათავსს აღმოსავლეთ კედელში ჰქონია გაკეთებული, ხოლო შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ, სათავსებს შორის გამყოფ ტიხარში (ტაბ. XLVII/2). მისი საშუალებით დიდი სათავსი უკავშირდება მცირე სათავსს. შესასვლელი 1 მ სიგანისაა. ზღურბლი და გვერდითი კედლებიც ე. წ. წირთხლები, დამუშავებული ქვებითაა გაკეთებული. გათხრების დროს იატაკზე აღმოჩნდა სამზარეულო დანიშნულების სხვადასხვა სახის თიხის ნაკეთობა: მოჭიქული ქილისებრი ჭურჭლის, კეცისა და ტალღისებური ორნამენტით შემკული დოქის ნატეხები, ღარიანი კრამიტები, თიხის წყალსადენი მილები. ანალოგების, კეცის სტრუქტურისა და ფორმის მიხედვით ამ ტიპის კერამიკა, ძირითადად, გვიან შუასაუკუნეებში, კერძოდ, XVIII-XIX სს-ში იყო ფართოდ გავრცელებული [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:73].

მეორე სათავსი გაცილებით მცირე ზომისაა (ტაბ. XLVII/2). . მოიცავს 38,11 მ² ფართობს. სათავსში გამოიყოფა იატაკის ორი ფენა, რაც ნაგებობის ორი სამშენებლო პერიოდის ამსახველია. პირველი იატაკი თანადროულია დიდი სათავსის იატაკისა, ამასთანავე, ანალოგიურადაა მომზადებული. მის აღმოსავლეთ მონაკვეთში თიხატკეპნილი იატაკია, ხოლო დასავლეთ ნაწილში იატაკი ფლეთილი ქვებითაა შედგენილი (ტაბ. XLVII/2). სათავსის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ზღუდის კედელზე მიდგმული, პატარა ზომის მართკუთხა ფორმის ქვით დულაზე ნაგები კონსტრუქცია (ტაბ. XLVII/2), რომლის ფუნქცია ზუსტად ვერ ისაზღვრება. შესაძლოა, მას პროდუქტების (ძირითადად,

ხორცეულის) შესანახად იყენებდნენ. თიხატკეპნილი, ქვით მოკირწყლული იატაკიც დაზიანებულია მოგვიანო პერიოდში გამართული კოლექტორით (ტაბ. XLVII/2). არქეოლოგიური მასალა ამ დონეზე, მართალია, მცირე რაოდენობითაა მიკვლეული, მაგრამ განსხვავებით დიდი სათავსისა, აქ ნაპოვნი ნივთები დიდ სამსახურს გვიჩვენებს იატაკის დათარიღებაში. საქმე ისაა, რომ მეორე იატაკის გამართვის დროს ძველი კულტურული ფენა თითქმის ხელუხლებლად იქნა შენარჩუნებული. იატაკის დონეზე ნაპოვნი მასალათა შორის (ფაიფურის სასმისი, დოქისა და ქოთნის ფრაგმენტები) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაგებობის შემოსასვლელის ზღურბლზე ნაპოვნი ჩიბუხი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, XVII-XVIII სს-ით თარიღდება. ეს კი მიგვანიშნებს, რომ დიდი საცხოვრებელი შენობა აგებულია არა უგვიანეს XVII ს-ის დასაწყისისა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:73]. მცირე სათავსის იატაკი, ნაგებობის სამხრეთი კედელი და მასში ჩაშენებული ძირითადი შემოსასვლელი მოგვიანო პერიოდში გაუქმებიათ ახალი იატაკის დაგების დროს. იატაკებს შორის არსებული 50 სმ სისქის მიწა და ღორღი მშენებლებს ახალი იატაკის დაგების დროს მოუზიდათ და მასზე ფლეთილი ქვით მოკირწყლული იატაკი გაუმართავთ. ახალი იატაკი 3,35 მ სიგანისაა, ფარავს ნაგებობის, უკვე გაუქმებულ სამხრეთ კედელს, დახრილად ეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ებჯინება დიდი სათავსის კარს. ჩანს, თავდაპირველი შემოსასვლელის (იგულისხმება სამხრეთ კედელში მოცემული ღიობი) გაუქმების შემდეგ, პირველ სართულზე შენობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან ჩადიოდნენ. აქედან იწყება სწორედ ახალი იატაკიც. ამავე პერიოდს ეკუთვნის დიდი სათავსის სამხრეთი კედლის (ტიხრის) დასავლეთ ნაწილში მიშენებული, ქვის კვადრებით დულაბზე ნაგები წყობა (სიგრძე 5 მ, სიგანე 1,35 მ), რომელიც თავის დროზე მეორე სართულის აივანს წარმოადგენდა. ამავე ხანისაა აქვე, დახრილი იატაკის ბოლოს მოწყობილი ქვებით ამოშენებული და ქვისავე ფილებით გადახურული საწრეტი არხი (სიგრძე 2,28 მ, სიგანე 40 სმ), რომელიც ციხის სამხრეთ ზღუდეში დატანილ კოლექტორს უერთდება. მისი საშუალებით ნაგებობის სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყალი ციხის კედლების გარეთ გაედინებოდა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:73].

მცირე სათავსში გამოვლენილი დახრილი იატაკის ზედაპირზე, მსგავსად დიდი სათავსის იატაკისა, ზოგადად XVIII-XIX სს-ის მასალებია ნაპოვნი

(კრამიტი, რკინის ურდულები, ლურსმნები, სპილენძის ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვ.). ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს, სამხრეთი კედლის მოშლის, მცირე სათავსში მეორე იატაკის დაგების, აივნისა და კოლექტორის მოწყობის თარიღად XIX ს მივიჩნიოთ [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:74].

ნაგებობა ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებულა. ადგილობრივთა თქმით, შენობა 1905-1908 წლებში დამწვარა, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. ნაგებობის ინტერიერში აღმოჩნდა: დიდი რაოდენობის გადადულებული ღარიანი კრამიტები; სარკმლის მინის წიდადქმნილი ფრაგმენტები; სხვადასხვა დანიშნულების დეფორმირებული ნივთები. ხანძრის კვალი ემჩნევა იატაკსა და კედლებს.

ამრიგად, ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში არსებული საცხოვრებელი სახლის არქეოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ის, ზღუდის კედლებთან ერთად, აგებულია არა უგვიანეს XVII ს-ის დასაწყისისა, ან შესაძლოა XVI ს-ის მიწურულში. გარკვეული რეკონსტრუქციით ნაგებობა ფუნქციონირებდა სამი საუკუნის მანძილზე. კონკრეტულად კი XX ს-ის ათიანი წლების დასასრულამდე [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:74].

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშიც შესწავლილ იქნა №1 კოშკი, რომელიც ციხის სამხრეთ კედელზე გარედანაა მიშენებული. გეგმაში ის არაწესიერი ნახევარწრეა. მისი აღმოსავლეთი კედელი სწორია. სამხრეთით კედელი თანდათან ქმნის ოვალს და ისე ებმის ზღუდეს (ტაბ. XLVII/1, (ტაბ. XLIV/5). შიდა ფართობია 3x2,4 მ, კედლის სისქე – 1,2 მ. კოშკის შემორჩენილი სიმაღლე საძირკველიდან 4 მ-ია. ნაშენია ბაზალტის მოზრდილი, ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. წყობაში აქა-იქ გამოყენებულია კრამიტის ნატეხები. კედლის პერანგებს შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. ქვების რიგები ჰორიზონტალურია. როგორც კოშკი, ისე ზღუდის კედლები მტკიცედაა ნაგები. კოშკში, მის ჩრდილოეთ ნახევარში, ამოშენებულია 2,2 მ სიგრძის, 40 სმ სისქის და 1 მ სიმაღლის კედელი, რომელიც კოშკის ქვედა ნაწილში ქმნის 2,2x1,3 მ ფართობის ბაქანს. მისი დანიშნულება, ალბათ, კოშკისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა იყო. კოშკში 0,8 მ სიგანის შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. ის შედგენილია მასიური ბრტყელი ქვებით (ტაბ. XLIV/5).

ზღურბლისა და კოშკის მიწატკეპნილი იატაკის დამაკავშირებელ ქვის საფეხურს შორის სხვაობა 60 სმ-ია. საფეხური შედგენილია ერთი მოზრდილი და რამდენიმე მცირე ზომის ქვით (საფეხურის ზომები: სიგრძე 1,1 მ, სიგანე 60 სმ, სიმაღლე 25 სმ). ზღურბლსა და აღწერილ საფეხურს შორის სიმაღლეში სხვაობა იმდენად დიდია, რომ მათ შორის აუცილებლად უნდა არსებულიყო ქვის კიდევ ერთი საფეხური, რომელიც ადარ შემორჩენილა. გარდა კოშკის იატაკზე აღმოჩენილი ღარიანი კრამიტის რამდენიმე უსახური ნატეხისა, ნაგებობაში სხვა დამატარილებელი არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

კოშკის აღმოსავლეთ კედელში იატაკის დონიდან 1 მ სიმაღლეზე სარკმელია (ზომები: სიმაღლე 1,2 მ, სიგანე 60 სმ). სარკმლიდან სამხრეთით, 60 სმ-ის დაშორებით, ქვის წყობის ერთი რიგით მაღლა, იატაკის დონიდან 1,2 მ სიმაღლეზე მეორე სარკმელია (ზომები: სიმაღლე 1,2 მ, სიგანე 40 სმ). მისგან სამხრეთით, 80 სმ-ის დაშორებით კიდევ ერთი სარკმელია, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილი სათაური ქვის მიხედვით, ინტერიერის მხარეს მისი ზედა ნაწილი თაღოვანი ყოფილა (ზომები: სიმაღლე 1,2 მ, სიგანე თავთან 70 სმ). კოშკს კიდევ ერთი (მეოთხე) სარკმელი აქვს დასავლეთ კედელში. ეს სარკმელიც დაზიანებულია (ზომები: სიმაღლე 1,2 მ, სიგანე 70 სმ). განათების ფუნქციის გარდა, სარკმლები სათოფურის მოვალეობასაც ასრულებდა.

კოშკის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის შეერთებასთან, დასავლეთ კედელში, იატაკის დონიდან 1,2 მ სიმაღლეზე სეისმური დანიშნულების ხვრელია (ზომები: სიგრძე 50 სმ, დიამეტრი 8-12 სმ) [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:75] (ტაბ. XLV/5).

კოშკის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით, სწორხაზოვანია და წარმოადგენს ერთი მხრით საკუთრივ კოშკის, მეორე მხრით ციხის აღმოსავლეთ კედელს. კოშკში შესასვლელის მარცხენა წირთხლიდან ზღუდის ეს კედელი 7,2 მ სიგრძეზე გაიწმინდა. მისი შემორჩენილი სიმაღლეა 1,1 მ, სიგანე – 1,2 მ. ნაგებია ისეთივე სამშენებლო წესით, როგორც კოშკისა და ზღუდის სხვა კედლები. ზღუდის ამ კედელში, კოშკში შესასვლელიდან 2,95 მ-ის დაშორებით, მასიური ქვებისაგან შედგენილი 95 სმ სიგანის კარია. მისი ზღურბლი ქვებითაა მოგებული და კირხსნარით მოლესილი. მარჯვენა (თუ კარს დასავლეთიდან შევხედავთ)

წირთხლი კედელში სიმაღლეზე ჩაშენებული ბაზალტის ქვაა (ზომები: სიმაღლე 1,2 მ, სიგანე 65 სმ, სისქე 45 სმ). ასეთივე ქვითაა შედგენილი კარის მარცხენა წირთხლი (ზომები: სიმაღლე 1,4 მ, სიგანე 65 სმ, სისქე 63 სმ). ეს არის ციხეში შესასვლელი ერთ-ერთი პატარა კარი, სწორედ ისეთი, როგორც გვხვდება ზღუდის კედლის ჩრდილოეთ ნაწილში. შესასვლელიდან ჩრდილოეთით, 1,7 მ-ის დაშორებით, ზღუდის კედელზე დასავლეთიდან მიერთებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილი მშრალი წყობით ნაგები ქვის კედელი, რომლითაც კედლის ჩრდილოეთით მიმდებარე ფართობზე შექმნილია ბაქანი (კედლის ზომები: სიგრძე 2,6 მ, სიგანე 30 სმ, სიმაღლე 1,1 მ).

ზღუდის კედელში არსებული კარიდან ჩრდილოეთით, 2,6 მ-ის დაშორებით, კედელში შემორჩენილია 23 სმ სიგანის, 1,2 მ სიგრძისა და 30 სმ სიმაღლის წყალსაწრეტი. ამ ადგილას ზღუდის კედელი ადგება რომელიღაც დიდი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს. შენობის კუთხე ნაშენია დიდი ქვათლილებით კირხსნარზე. ამ ნაგებობის სამხრეთი კედელი მხოლოდ 2,5 მ სიგრძეზე იკითხება. კედლის დანარჩენი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცევა. ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით ისეთივე ხასიათისა და მასშტაბის ნაგებობა, როგორც გაითხარა ციხის I უბანზე. სამწუხაროდ ნაგებობის სამხრეთი კედლის მთლიანად გამოვლენა შეუძლებელია, რადგან მას თანამედროვე სახლი ფარავს.

№1 კოშკში შესასვლელიდან ჩრდილოეთით, 14,4 მ-ის დაშორებით გაითხარა ბაზალტის ქვებით ნაშენი მოგრძო, სწორკუთხა ნაგებობა (ზომები: სიგრძე 4,6 მ, სიგანე 1,65 მ, შემორჩენილი სიმაღლე 50 სმ). სულ შემორჩენილია ქვების ორი რიგი. ნაგებობას შესასვლელი ჰქონია ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც შედგენილია პარალელურად განლაგებული ქვების ორი რიგით. ეს ციხის მშენებლობის თანადროული ტუალეტია (ტაბ.XLVII/1, XLII/5). მას სამხრეთიდან ებმის კოლექტორი, რომელიც შედგენილია სიმაღლეზე პარალელურად ჩალაგებული ქვების ორი რიგით. კოლექტორის ფსკერი მთელ სიგრძეზე მოგებულია ბრტყელი ქვებით. მთელი სისტემა გადახურულია მოგრძო, დაუმუშავებელი ქვებით (კოლექტორის ზომები: სიგრძე 15,8 მ, გადამხურავი ქვების სიგანე 60-70 სმ, სიმაღლე 35-40 სმ, საკუთრივ არხის სიგანე 35-40 სმ). კოლექტორი გრძელდება სამხრეთით, სადაც მას აღმოსავლეთი მხრიდან უერთდება კიდევ ერთი კოლექტორი, შედგენილი სიმაღლეზე ჩალაგებული

ბრტყელი ქვების ორი რიგით (ტაბ. XLIV/5). ეს კოლექტორი არ იყო გადახურული. ჩანს, ის წყალსაწრეტი არხის მოვალეობას ასრულებდა. ძირითადი კოლექტორი მიადგებოდა ციხის სამხრეთ კედელს და მასში არსებული ხვრელით ციხის გარეთ გადიოდა. უეჭველია კოლექტორი ზღუდის კედლის თანადროულია, რადგან მშენებლებს ზღუდის კედლის აგებისთანავე გაუთვალისწინებიათ კოლექტორის გასასვლელი ხვრელი (ტაბ. XLIV/5).

II უბნის გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია დერგებით, დოქებით, ხელადებით, ჯამებით, კეცებით, ჩაფებითა და ორიოდე მოჭიქული ჯამით.

ციხის დასავლეთ ნაწილში თანამედროვე სახლის წინ, ვიზუალურად საკმაოდ მოზრდილი ნაგებობის კონტურები იკითხებოდა. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ შენობა საძირკველამდე ყოფილა მორღვეული. შემორჩენილია მხოლოდ ქვის წყობის ორი რიგი 60 სმ სიმაღლეზე. ნაგებობა სწორკუთხაა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე წაგრძელებული. მისი ჩრდილოეთი კედელი განადგურებულია თანამედროვე სახლის მშენებლობის დროს (ტაბ. XLVII/1). სამხრეთი კედლის მიხედვით, შენობის სიგრძე 15,5 მ-ია. საიდან ჰქონდა ნაგებობას შესასვლელი ან საერთოდ რა დანიშნულების იყო, ძნელი სათქმელია. საფიქრებელია, რომ ისიც საცხოვრებელი შენობა იყო. აღმოსავლეთ კედელს დასავლეთი მხრიდან მიშენებული აქვს 1,6 მ სისქის კედელი, რომლის სიგრძის დადგენა ვერ ხერხდება იქვე აღმართული თანამედროვე შენობის გამო. კედლების პერანგები შედგენილია ბაზალტის ქვებით. კუთხეებში გამოყენებულია ქვათლილები. პერანგებს შორის სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. ნაგებობის გათხრებისას არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:76]. .

ციხის დასავლეთ ნაწილში (უბანი III) შესწავლილ იქნა ციხის ჭიშკარი, აგრეთვე №2 და №3 კოშკები. №2 კოშკი მდებარეობს ციხის დასავლეთი ჭიშკრიდან სამხრეთით 20,85 მ-ის დაშორებით. გეგმაში ის წრიულია და ზღუდის კედელზე გარედანაა მიშენებული (კოშკის ზომები: შიდა ფართობი 2,6x2,8 მ, შემორჩენილი სიმაღლე 2,1 მ, კედლის სისქე 1,1 მ). ნაგებია ბაზალტის სხვადასხვა ზომის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით კირხსნარზე. წყობაში ზოგჯერ კრამიტის ნატეხებიცაა გამოყენებული (ტაბ. XLVII/1). შესასვლელი აქვს

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ზღურბლი შედგენილია მოზრდილი ქვებით. კარის სიმაღლე გაურკვეველია, რადგან კოშკის ზედა ნაწილი მორღვეულია. კოშკის სამხრეთ ნაწილში საძირკველი უფრო დაბლაა, ვიდრე ჩრდილოეთში, რაც უსწორმასწორო რელიეფის თავისებურებითაა გამოწვეული. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კოშკი დაშენებულია ბუნებრივად ამოზიდულ კლდეზე. კოშკის ჩრდილოეთ კედელში სარკმელია, საიდანაც ჩანს ციხის გალავნის დასავლეთი კედელი კარიბჭემდე. სარკმელი შიგნიდან ფართოა, გარეთ შევიწროებული (სარკმლის ზომები: შიგნიდან 41x42x52 სმ, გარედან 34x12x18 სმ). კოშკის გათხრებისას აღმოჩნდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიური მასალა: სამეურნეო, სამზარეულო, სამშენებლო დანიშნულების კერამიკა; საბრძოლო ნივთები. ოსტეოლოგიური მასალა, ძირითადად მსხვილფეხა საქონლისაა.

№2 კოშკიდან ზღუდის კედელი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით №1 კოშკისაკენ. ზღუდის მონაკვეთი ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ძლიერაა დაზიანებული ერთი მხრით თანამედროვე შენობით, მეორე მხრით ციხის ტერიტორიაზე შემოსასვლელი სამანქანო გზის გაყვანით. ამდენად, ზღუდის ეს ნაწილი ცუდად იკითხება (ტაბ. XLVII/1). №2 კოშკიდან ჩრდილოეთით, ჭიშკრამდე ზღუდის კედლის გაყოლებით გაივლო თხრილი. გალავნის ამ ნაწილში კედლების მაქსიმალური სიმაღლე 2,25 მ-ია, კედლის სისქე აქაც ისეთია როგორც სხვა ადგილებში – 1,1 მ. სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისითაც ზღუდის ეს მონაკვეთი არ გამოირჩევა სხვა მონაკვეთებისაგან. კედელი ნაგებია ბაზალტის ნაწილობრივ დამუშავებული ქვებით. წყობა თარაზულია, მწკრივებად დალაგებული. მწკრივებს შორის სივრცე შევსებულია მომცრო ზომის ქვებითა და დუღაბით. მწკრივების სიმაღლე თითქმის ყველგან ერთნაირია – 25 სმ. კოშკების საძირკველთან შედარებით ზღუდის კედლის საძირკველი ღრმა არაა [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:74].

გათხრები წარმოებდა ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე კარიბჭის ტერიტორიაზეც (ჭიშკრის სიგანე 2,15 მ) (ტაბ. XLVII/1). ეს იყო ციხის მთავარი შესასვლელი. დღეისათვის შემორჩენილია ჭიშკრის სამხრეთი ნაწილის მონოლითი და ზღურბლის ნაწილი (მონოლითის ზომები: სიმაღლე 1,1 მ, სიგანე 0,8 მ, სისქე 0,2 მ; ზღურბლის ქვის შემორჩენილი სიგრძე 0,9 მ, სიგანე 0,48 მ). ზღურბლის ქვის კედელში კარის ქუსლის სატრიალებელი 5 სმ სიღრმისა და 7-8

სმ დიამეტრის მქონე ფოსოა. ჭიშკარი თალიანი ყოფილა. გასული საუკუნის 50-ან წლებამდე თალი მთლიანად ყოფილა შემორჩენილი. თვითმხილველთა გადმოცემით, მასში თავისუფლად გაივლიდა ცხენოსანი. 70-იან წლებში კარიბჭის ჩრდილოეთი ნაწილი მოუნგრევიათ, რასაც თალიც შეეწირა. გათხრების შემდეგ კარიბჭის აქეთ-იქით გამოჩნდა ქვით მოგებული ფართობი (ტაბ. XLVII/1).

კარიბჭის სამხრეთი ნაწილიდან იწყება და დასავლეთით 8 მ-ზე გრძელდება ყორე, რომელიც თავდაპირველად 35 მ სიგრძის ყოფილა. მეორე ასეთივე ყორე თავის დროზე, ჭიშკრის ჩრდილოეთი ნაწილიდანაც იწყებოდა და სამხრეთი ყორის პარალელურად დასავლეთით გრძელდებოდა. ის ამჟამად აღარაა შემორჩენილი. ყორეებით შემოსაზღვრული იყო ციხის დასავლეთ ჭიშკართან მისასვლელი გზა (ტაბ. XLVII/1).

კარიბჭიდან ჩრდილოეთით №3 კოშკამდე არსებული 11,15 მ სიგრძის ზღუდის კედელი ძლიერაა დაზიანებული. მისგან შემორჩენილია მხოლოდ სამირკვლის წყობის ერთი რიგი (ტაბ. XLVII/1).

№3 კოშკი წრიული გეგმისაა. მდებარეობს ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ზღუდე მასზე გარედანაა მიშენებული (კოშკის შიდა ფართობი 2,7x2,9 მ; შემორჩენილი სიმაღლე 2,75 მ, კედლის სისქე 1,1 მ). შესასვლელი ეზოდან, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდანაა (ტაბ. XLVII/1). 0,62 მ სიგანისა და 1,7 მ სიმაღლის თაღოვანი კარი დიდი ზომის ქვათლილებითაა გაკეთებული. თაღად ერთი მთლიანი ქვაა გამოყენებული. სხვადასხვა ზომის ქვებით მოგებულ ზღურბლს ებმის სამსაფეხურიანი ქვის კიბე, რომლითაც ქვით მოგებული იატაკის დონეზე ჩავდივართ. კოშკი ისეა დაზიანებული, რომ მის კედლებში აღარაა შემორჩენილი სარკმლები. კოშკი კონტროლს უწევდა ერთი მხრით კარიბჭეს, მეორე მხრით ციხის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიას [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:74].

* * *

ციხის სხვადასხვა უბნის გათხრებისას გამოვლინდა არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კერამიკაა, რომელიც დანიშნულების მიხედვით

იყოფა სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნაწარმად.

სამეურნეო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება ქვევრები (ტაბ. XLV/1-3), რომელთაგან ორი აღმოჩნდა ციხის დასავლეთ ნაწილში. ქვევრების ზედა ნაწილი მომტვრეულია. ისინი გამომწვარია წითლად. ერთს ტანზე შემოუყვება რელიეფური სარტყლები, მეორეს – მხარზე მიჯრით განლაგებული წრიული ნაჭდევები. ანალოგიური ფორმისა და შემკულობის ქვევრები კარგადაა ცნობილი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებიდან. აღნიშნული ქვევრები ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ კერამიკულ ნაწარმს შორის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშებია. მათი თარიღი სავარაუდოდ XIII-XIV სს-ით შეიძლება განისაზღვროს [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:78]. საფიქრებელია, რომ ციხის აგებამდე ამ ტერიტორიაზე რაღაც სხვა ნაგებობები, მათ შორის მარანიც იყო გამართული.

რაც შეეხება დანარჩენ ქვევრებს, განათხარ მასალაში ისინი პირ-გვერდისა და ძირის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ქვევრებს აქვთ განივკვეთში ოთხკუთხა მოყვანილობის პირი (ტაბ. XLV/6). ტანი შემკულია რელიეფური სადა ან ირიბნაჭდევიანი სარტყლებით. გვხვდება მიჯრით განლაგებული წრიულნაჭდევიანი სარტყლებით (ტაბ. XLV/6), შემკული ქვევრის ნატეხებიც (ტაბ. XLV/6). ქვევრის ძირები ბრტყელია. ზოგჯერ ძირები ბოლოვდება რამდენადმე პროფილირებული ქუსლით. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცი გადანატეხში მუქი წითელია. აღწერილი ქვევრები თავისი ფორმებით, კეცით და სხვა ნიშნებით ზოგადად განვითარებულ შუასაუკუნეებს განეკუთვნება. ციხეზე გამოვლენილ სხვა სახის კერამიკულ ნაწარმთან შედარებით, ქვევრები ყველაზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი.

ქვევრებისაგან განსხვავებით, განათხარ მასალაში გაცილებით მრავალრიცხოვანია (20-მდე ერთეული) დერგები, რომელთა შორის გამოირჩევა: I. მასიური დერგები ფართო და ბრტყელი ბაკოთი, ნაჭდევიანი ქობით (ტაბ. XLV/7). ტანი შემკულია მორგვისეული ხაზებით. ზოგჯერ დერგს ამშვენებს ამოღარული მცენარეული ორნამენტი (ტაბ. XLV/7); II. ბრტყელბაკოიანი სადა დერგები, რომელთაც ტანზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები (ტაბ. XLV/7); III. დერგი ხასიათდება ბრტყელი ბაკოთი. ვიწრო, მომაღლო ყელი შემკულია

რელიეფური სარტყელით (ტაბ. XLV/7). დერგები გამომწვარია წითლად. თიხა გამჭლევებულა მსხვილი მინარევებით[ხალვაში, მამულამე, მინდორაშვილი 2017:79].

სამზარეულო დანიშნულების ისეთი სახის კერამიკა, როგორცაა კეცები, ყველა უბანზეა აღმოჩენილი. თიხის კეცების გარდა, აქ ნაპოვნია ქვის კეციც (საინვენტარო №192). კეცები სხვადასხვა ზომისაა. აქვთ მომრგვალებული პირი, დაბალი ოდნავ გაშლილი კალთა და ბრტყელი ძირი. თიხა მსხვილმარცვლოვანია (ტაბ. XLV/8). ზოგიერთი მათგანი ხასიათდება დაბალი და თხელი კედლით. კეცები მოკლებულია ყოველგვარ შემკულობას. ეს ჭურჭელი, შუასაუკუნეებიდან მოყოლებული, თითქმის დღემდე ინარჩუნებს ფორმის მდგრადობას და დიდად არ განსხვავდება დღევანდელ ყოფაში გავრცელებული კეცებისაგან. ამგვარი ჭურჭელი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების ძეგლებზე.

ქოთნები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. პირ-გვერდის მოყვანილობით მათში ორი ტიპი შეიძლება გამოიყოს. I ტიპის ქოთანს აქვს ბრტყელი ბაკო, სწორი პირი, დაბალი ყელი. მხრები შვეულია. მხრის დასაწყისთან ჭურჭელს შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. შიდა და გარეპირი შემკულია მორგვისეული ხაზებით (ტაბ. XLV/9). II ტიპის ქოთნები ხასიათდება დაბრტყელებული ბაკოთი, დაბალი სწორი ყელით. მხრები ყელისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ტანზე შემოუყვება მხრებიდან ძირისაკენ დაშვებული ამოღარული კონცენტრული ხაზები (ტაბ. XLV/9).

ქილები (6 ერთეული) ხასიათდება სამკუთხაგანიკვეთიანი ოდნავ გაშლილი პირითა და მაღალი ყელით. პირზე შემორჩენილი ნაკვალევის მიხედვით, ქილები ყურიანი ყოფილა. ჭურჭელს როგორც ზედაპირზე, ისე შიდაპირზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები (ტაბ. XLV/10).

სუფრის ჭურჭელს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხელადები და დოქებია. დავთარში აღნუსხულია ამ სახის ჭურჭლის პირების 30-მდე, ყურების 40-მდე და ძირების 50-მდე ნატეხი. ხელადებში ორი ტიპის გამოყოფა ხერხდება. I ტიპს მიეკუთვნება მილიანი ხელადები. გვიან შუასაუკუნეებში მილიანი ხელადები ფართოდ გავრცელებული ტიპია. ზენდიდის ციხეზე აღმოჩნდა

წითელკეციანი მილიანი ხელალების 4 ნიმუში. სამი მათგანი სადაა (ტაბ. XLV/11). მეოთხე ხელადის მილის ფუძეს შემოუყვება დამლით დატანილი ორნამენტი, რომელიც წარმოადგენს წრეში რელიეფური ხაზებით გამოყვანილ რომბებს. დამლა დასმულია მილის ფუძესთან არსებულ რელიეფურ დანაპერწზეც (ტაბ. XLV/11). ხელადას ტანზე შემოუყვება მორგვისეული ხაზები. ფრაგმენტულობის გამო, ხელალების ფორმების სრულად აღდგენა არ ხერხდება. როგორც ზემოთ მივუთითეთ, მილიანი ხელალები ფართოდაა გავრცელებული არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებზე [არჩვაძე 1978: 179, 180]. საინტერესოა, რომ მილიანი ჭურჭელი ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩა [მასალები ... 1979: 110]. ზენდიდის ციხის მილიანი ხელალები თავისი ფორმებით, კეცის ფაქტურით, შემკობით და სხვ. XVII-XVIII სს-ით თარიღდება [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:80].

II ტიპის ხელალები ხასიათდება ფართოდ გაშლილი სამტუჩა პირითა და მკვეთრად შევიწროებული მომაღლო ყელით (ტაბ. XLV/11). ბრტყელგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ტუჩის ქვემოთ. ძირები ბრტყელია. იშვიათად გვხვდება ქუსლიანი ეგზემპლარებიც. ყურების უმრავლესობა სადაა, ბრტყელი ან ოვალურგანივკვეთიანი. ზოგიერთი შემკულია ამოღარული ხაზოვანი ორნამენტით(ტაბ. XLV/11). ჭურჭელი გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია.

დოქები, რომლებიც ხელალებს რიცხოვნობად რამდენადმე სჭარობს, გამოირჩევა ფართოდ გაშლილი სამტუჩა პირით. ყური დაპერწილი აქვს პირს ქვემოთ. დოქები წითლადაა გამომწვარი. კეცი გადანატეხში მუქია (ტაბ. XLV/11). როგორც ხელალების, ისე დოქების ზედაპირი და, ხშირ შემთხვევაში, შიდაპირიც დაფარულია მორგვისეული ხაზებით. გარდა ამისა, დოქებისა და ხელალების შემკულობის სახეებია: ამოღარული კონცენტრული სარტყლები; ირიბი ნაჭდევების სარტყლები; ამოღარული ტალღოვანი ორნამენტი; წერტილოვანი ნაჩხვლეტებით გამოყვანილი ორნამენტი; ირიბი ნაჭდევებით შემკული რელიეფური სარტყლები; დამლით აღბეჭდილი ვარდულები (ტაბ. XLV/11-12). ერთ მათგანზე შემორჩენილია არაბული წარწერის ფრაგმენტიც. II ტიპის ხელალები და დოქები გვიანი შუასაუკუნეების მოგვიანო ეტაპის კერამიკის ტიპური ნიმუშებია და ისინი მილიან ხელალებთან ერთად ძირითადად XVII-XVIII სს-ს

უნდა მივაკუთვნოთ [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:80]. მათი ნაწილი შესაძლოა XIX ს-ის იყოს. მსგავსი ფორმის ჭურჭელი გონიოს გვიანი შუასაუკუნეების ფენებშიცაა აღმოჩენილი.

სუფრის ჭურჭლიდან აღსანიშნავია ჯამები, რომლებიც სულ ხუთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ფორმის მიხედვით ისინი სამ ტიპად შეიძლება დაიყოს. I. ჯამს აქვს ბრტყელი ბაკო, მხრები დაბალი კალთისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ჭურჭელი ირიბი ნაჭდევებითაა შემკული (ტაბ. XLV/13). II. ჯამს პირზე შემოუყვება რელიეფური ტალღოვანი ორნამენტი. შიდაპირზე შემორჩენილია მორგვისეული ხაზები. III. ჯამი ხასიათდება მომრგვალებული და ფართოდ გაშლილი პირით. კალთა გადადის ბრტყელ, უქუსლო ძირში. შიდაპირზე შემორჩენილია მორგვისეული ხაზები (ტაბ. XLV/13). ჯამები გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. ფორმა-მოყვანილობით ჯამებიც გვიანი შუასაუკუნეების მოუჭიქვი კერამიკის ძალზე დამახასიათებელი, ტიპური ნიმუშებია.

კერამიკულ ნაკეთობათა შორის საინტერესო ჯგუფს ქმნიან ჩიბუხები (31 ერთეული). ისინი სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. მრავალფეროვანია მათი შემკულობა (ტაბ. XLVI/14). ჩიბუხები შემკულია: რელიეფური ან ამოღარული ხაზებით; სარტყლებით; ჩაჭდეული წერტილების სხვადასხვა კომბინაციით; დამლით აღბეჭდილი სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტით. ორი ნიმუშის გარდა, ყველა წერნაქითაა შეღებილი. ერთი მოოქრულია (ტაბ. XLVI/14). ზოგიერთზე შემორჩენილია დამლით აღბეჭდილი, წრეში გამოყვანილი არაბული ასოები, რომლებიც ხელოსნისა თუ სახელოსნოს ნიშანი უნდა იყოს. ჩიბუხებიდან ერთს ძვლის ტარი ჰქონია (ტაბ. XLVI/14). ჩვენში ჩიბუხები განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება XVII ს-დან და ისინი დიდხანს განაგრძობენ არსებობას. ჩიბუხები მრავლად გვხვდება გვიანი შუასაუკუნეების როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებზე. დიდი რაოდენობით ჩნდება ჩიბუხები სომხეთისა და აზერბაიჯანის გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალაშიც [არჩვაძე 1978: 119-129; ჯანდიერი 1974: 60, 61; ჭილაშვილი 1980: 124; ჩხაიძე 1982: 114-127] [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:81].

სამშენებლო კერამიკიდან ზენდიდის ციხის განათხარ მასალაში მრავლად გვხვდება ღარიანი კრამიტები (ტაბ. XLVI/15).. ჩანს, ნაგებობათა უმრავლესობა კრამიტით ყოფილა გადახურული. შემორჩენილი ნატეხების მიხედვით, კრამიტების საშუალო ზომა 40 სმ აღწევდა. ისინი დამზადებულია წითლად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აღსანიშნავია, რომ გათხრებისას არ აღმოჩენილა ბრტყელი კრამიტის არც ერთი ნატეხი. I უბნის ე. წ. დიდი ნაგებობიდან მომდინარე კრამიტების უმრავლესობა ცეცხლშია მოხვედრილი. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით ეს ნაგებობა XX ს-ის დასაწყისში ხანძარს შეუწირავს. გათხრებისას გამოვლენილი დანახშირებული ფენის გარდა იქ მომხდარ ხანძარზე მეტყველებს გამლღვარი და ერთმანეთზე შედუღებული სარკმლის მინებიც. ასე, რომ კრამიტების უმრავლესობა, განსაკუთრებით დიდი ნაგებობიდან მომდინარე კრამიტები, XVIII-XIX სს-ით თარიღდება[ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:81].

აგური ზენდიდის ციხეზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი და ისიც ფრაგმენტების სახით. აგურები სწორკუთხაა, ვიწრო, მოგრძო და თხელი (ტაბ. XLVI/15). აგურების შემორჩენილი ზომები: სიგრძე 12 სმ, სიგანე 10, 12, 13 სმ, სიმაღლე 2,5-4 სმ. ანალოგიური ფორმა-მოყვანილობის აგურები მრავლადაა აღმოჩენილი გონიოს ციხის გვიანი შუასაუკუნეების ფენებში. დიდ ნაგებობაში აღმოჩნდა თიხის წყალსადენი მილებიც.

ციხის გათხრებისას მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი მოჭიქული ჭურჭელი (8 ერთეული). მწვანედ მოჭიქული სხვადასხვა ჭურჭლიდან გვხვდება სამარილის, ხელადის, ჯამის ნატეხები. ისინი იმდენად ფრაგმენტულია, რომ ფორმების წარმოდგენა ჭირს. ჭურჭელი გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი. ყვითლად მოჭიქული ხელადის ნატეხი ხასიათდება მომრგვალებული, ოდნავ გაშლილი პირით, მაღალი ცილინდრული ყელით. თიხა წვრილმარცვლოვანია. გამომწვარია წითლად. XVII-XVIII სს-ით დათარიღებული ანალოგიური ფორმის მწვანედ და ყვითლად მოჭიქული ჯამები თუ ხელადები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი გონიოს ციხეზე [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:82].

მოჭიქული კერამიკის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია ანგობირებულ ზედაპირზე სოსნისფრად მოჭიქული ქილის ძირ-გვერდის ნატეხი(ტაბ. XLVI/16). .

მეორე ქილა ხასიათდება მომრგვალებული ოდნავ გაშლილი პირით, დაბალი ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის მოკლე და განზიდულ მხრებში. ქილას ჰქონია მაღალი ცილინდრული ტანი. ჭურჭელს ყელსა და მხარზე შემოუყვება ამოღარული სარტყლები(ტაბ. XLVI/16). . ქილის უანგობო ზედაპირი ორმხრივ დაფარულია ყვითელი ხასხასა ჭიქურის სქელი ფენით. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი მონაცრისფროა. აღწერილი ჭურჭელი ახლოს დგას ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო ხანებამდე შემორჩენილ ქილებთან და ისინი შესაძლოა XVIII-XIX სს-ით დათარიღდეს [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:82].

ზენდიდის ციხის განათხარი კერამიკა თავისი ფორმებით, იერით, შემკულობით, დამუშავების ტექნიკით, გამოწვის ხარისხით, თიხის სტრუქტურით და სხვ. იმდენად ერთგვაროვანია, რომ, უეჭველია, ისინი ერთი ეპოქის, კერძოდ გვიანი შუასაუკუნეების გვიანდელი ეტაპის ნაწარმია. მათგან შედარებით ადრეულია ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი ორი ქვევრი, რომელთა თარიღი, შესაძლოა, XIII-XIV სს-ით განისაზღვროს [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:82]. აღნიშნული ქვევრების ირგვლივ არ ჩანდა რაიმე ნაგებობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქვევრები ამ ადგილას ციხის აგებამდე არსებული ღია ტიპის მარნის ნაწილს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდეა შემორჩენილი ღია ტიპის მარნები.

რაც შეეხება დანარჩენ კერამიკულ ნაწარმს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ციხის გათხრებისას არ აღმოჩენილა არც ერთი ნატეხი, რომელიც XVII ს-ზე უფრო ადრეულ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ამრიგად, ზენდიდის ციხის მასობრივი კერამიკული ნაწარმი, ძირითადად, XVII-XVIII სს-ით უნდა დავათარილოთ. მათი ერთი ნაწილი XIX ს-ს განეკუთვნება [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:82].

აღსანიშნავია, რომ თუ ამ პერიოდის ციხე-სიმაგრეების განათხარ მასალაში ფაიანსი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ზენდიდის ციხეზე სრულიად განსხვავებული ვითარებაა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციამ შეისწავლა ციხის ტერიტორიის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, გათხრებისას ფაიანსის მხოლოდ ერთი ნატეხი აღმოჩნდა. ესაა პატარა ფეხიანი სასმისი, რომლის ქუსლის შიდა მხარეს ცისფერი საღებავით გამოყვანილია

ნიშანი, რაც სახელოსნოსა თუ ქარხნის ნიშანი უნდა იყოს. ფაიანსის სასმისი ფორმა-შემკულობით მოგვიანო იერისაა და უფრო XVIII-XIX სს-ის თურქული ნაწარმი ჩანს (ტაბ. XLVI/17).

კერამიკული ნაწარმის გარდა, ციხის სხვადასხვა ნაგებობის გათხრებისას გამოვლინდა რკინისა და ქვის ნივთები. რკინის ნივთებიდან აღსანიშნავია ე. წ. დიდი ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი, ძირითადად, ხის კონსტრუქციებთან დაკავშირებული საკეტები, ანჯამები, სახელურები, ლურსმნები და სხვ. ისინი შენობის ფუნქციონირების ბოლო ეტაპის ამსახველი მასალებია. ლურსმნებს შორის გვხვდება საკმაოდ დიდი (20-21 სმ სიგრძის) ნიმუშები, რომელთა ღერო ოთხკუთხაგანივკვეთიანია. ოთხკუთხა მოყვანილობისაა ლურსმნის თავებიც. გვხვდება ასეთივე ფორმის, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის (5 სმ სიგრძის) ლურსმნებიც.

რკინის ნივთებიდან უნდა აღინიშნოს სფერული ფორმის ღრუ ნაღმები, რომელთაც აქვთ სქელი (5 სმ სისქის) კედლები. ნაღმში დენთი იტენებოდა საპატრუქე ხვრელიდან, რომელიც სფეროდან რამდენადმე ამოწეულია. ამგვარი ნაღმები, ძირითადად, კედლების დასანგრევად უნდა გამოეყენებინათ. მისი ზარბაზნით გასროლა გამორიცხული იყო სფეროზე არსებული რელიეფური საპატრუქე ხვრელის გამო. ნაღმები XIX ს-ით უნდა დათარიღდეს.

ციხის II უბანზე აღმოჩნდა სწორკუთხა ფორმის ნაკლული ქვა, რომელზეც შემორჩენილია ორსტრიქონიანი არაბული წარწერის ფრაგმენტი. ასო-ნიშნები გამოყვანილია დაბალი რელიეფით (ქვის შემორჩენილი ზომები: სიგრძე 25 სმ, სიმაღლე 22 სმ, სიგანე 12 სმ). ძნელი სათქმელია, რას ამკობდა ეს წარწერა - საცხოვრებელ ნაგებობას, ბუხარსა თუ სხვ. წარწერა გვიანდელია და ისიც, წინასწარულად, XVIII-XIX სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

განათხარ მასალაში ქვის ნივთებს შორის გვხვდება ბაზალტისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის შურდულის ქვები (საინვენტარო №180, 255). გარდა ამისა, გათხრებისას გამოვლინდა ბაზალტის ქვის ორნამენტირებული დეტალები, რომლებიც უთუოდ საბუხრე ქვების შემადგენელი ნაწილები უნდა იყოს (ტაბ. XLVI/18). ბუხრების ორნამენტით შემკობა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული ტრადიცია იყო [ნადირაძე 2001: 142-153].

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზენდიდის ციხე გვიანი შუასაუკუნეების ერთფენიანი ძეგლია და, როგორც არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, ის XVII ს-ში უნდა იყოს აგებული [ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი 2017:83].

დასკვნები

ზოგიერთი შემთხვევითი აღმოჩენის გარდა, დიდიხნის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტი არქეოლოგიური თვალსაზრისით „თეთრ ლაქად“ გამოიყურებოდა. როგორც ვნახეთ, სურათი საგრძნობლად შეიცვალა გასული საუკუნის ბოლოსა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანად დღევანდელი მდგომარეობისათვის, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამონაწილეობით, უშუალოდ ჩვენი ძალისხმევითაც სურათი მკვეთრად შეიცვალა. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიკვლეული და შესწავლილი იქნა არაერთი ნივთიერი კულტურის ძეგლი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი უნდა იყოს ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. ჩვენი საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესო გარემოს მომცველია. აქ ყველა პირობა არსებობს ადამიანთა უძველესი განსახლებების ძიებებისათვის. დღევანდელი მონაცემების მიხედვით უნდა დადასტურდეს, რომ ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების ერთად აქაც უნდა მომხდარიყო მითვისებითი, არამწარმოებლური მეურნეობიდან კულტურულ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა.

1. აჭარისწყლის ხეობა (ქედის მუნიციპალიტეტი), ასრულებს მნიშვნელოვან როლს, როგორც ქართულ სამეფო-სამთავროების, ასევე სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა, აქ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები და ბუნებრივი გარემო, კვლავ არსებით როლს თამაშობს ისტორიის ამ მონაკვეთშიც.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები და მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერები საკვლევი ეპოქის ყველა მონაკვეთზე ნაწილდება და არქეოლოგიურ მასალასთან მიმართებაში არაერთი დეტალის დაზუსტების და ქრონოლოგიური ეტაპების გამოყოფის საშუალებას იძლევა.

2. საინტერესო ეპოქებად გამოიყურება ენეოლით-ადრებრინჯაოს ეპოქა ძვ.წ. V-II ათასწლეულები. ამ მიმართულებით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს კოლოტაურის მონაპოვრები, რომელთა მიხედვით ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს საყოველთაოდ ცნობილ შულავერ-შომუთეფეს კულტურის ლოგიკურ ნაირსახეობასთან. კიდევ უფრო საყურადღებო აღმოჩენათა რიცხვს განეკუთვნება კოკტაურის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული კომბინირებული იარაღი, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. მეტად ფართოა ამ ტიპის საბრძოლო სამკერებელი სატყორცნი იარაღის გავრცელების არეალი. უახლოესი პარალელები ეძებნება ჩრდილო კავკასიის ე.წ. დოლმენურ კულტურის სამარხულ კომპლექსებს შორის; ასევე ითქმის მტკვარ-არაქსის კულტურის მიმართაც. შორეული ანალოგებიდან აღსანიშნავია ანატოლიური და მესოპოტამიური ცივილიზაციები, კრეტა-მიკენის კულტურა და ა.შ. ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობა ასე ადრეული ეპოქებიდან მონაწილეა ესოდენ ისტორიული პროცესებისა. ეს განსაკუთრებით ითქმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიციების მიერ აჭარაში 2014-2019 წლებში აღმოჩენილი კულტურის მაგალითებზე, რომელიც უკავშირდება მანამდე უცნობ ნოვაციებს ბრინჯაოს მეტალურგიაში. დადასტურდა, რომ მსოფლიო ბაზრზე ლითონზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით აქ მოსახლე პროფესიონალმა მეტალურგებმა შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით წყლის ენერჯის გამოყენებით თითქმის ინდუტრიულ დონემდე აიყვანეს ე.წ. ფლოტაციისა და ქურაში ლღობის პროცესების დაჩქარების მიზნით მეტალურგიის ისტორიაში დანერგეს სრულიად ახალი მეთოდები. გამოიგონეს საამისოდ მარტივი მექანომიკი. ჩვენ სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ამ საველე სამუშაოებში ჩართული გახლდათ ჩვენი მუზეუმიც. შესაბამისად საკვალიფიკაციო ნაშრომში ამ უახლესმა აღმოჩენებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. თამამად შეიძლება გაკეთდეს მორიგი დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვის ხანიდან ბრინჯაოს საუკუნეზე გარდამავალ ეპოქაში აჭარაში მეტალურგებმაც შეიტანეს

გარკვეული წვლილი წინააზიური ცივილიზაციების შექმნაში. ლითონი წარმოადგენდა ექსპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს სამხრეთის ქვეყნებში.

ქედის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია სამთამადნო კერებით. ამათ რიცხვს განეკუთვნება მერისისა და ვაიოს საბადოები. სწორედ ამ მონაცემებმა შეუწყო ხელი იმ გარემოებებსაც, რომ საერთოდ აჭარისწყლის ხეობა და თვით ქედის ქვეყანაც დიდ როლს თამაშობს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრწყინვალე ტომობრივი კულტურის ფორმირების პროცესებში. საკმარისია იმისი აღნიშვნაც, რომ ყუაკვერიანი ცულების გენეზისი აკავრეთას, მერისის ხეობას უკავშირდება (სიხალიძეების განძი). საკმაოდ გაიზარდა კოლხურ კულტურასთან დაკავშირებული ძირითადი კომპონენტების რიცხვი. ზოგიერთი მათგანი კოლხური კულტურისათვის აგრერიგად დამახასიათებელი დეკორითაა შემკული. ჩანს მჭიდრო კონტაქტები როგორც ზღვის პირა, ასევე მთისწინეთისა და აჭარის მაღალმთიანი ზონის კოლხურ მოსახლეობებთან. როგორც ჩანს, ეს ურთიერთობანი მდინარის სათავე გადასასვლელებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიამდე აღწევდა. აქაც მოპოვებულია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები. ამათი რიცხვი იზრდება ეს კი იმას მოწმობს, რომ კოლხური კულტურის გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მომცველი ჩანს.

3. უახლესი აღმოჩენების მიხედვით, აჭარისწყლის ხეობისა და, კერძოდ, ჩვენი საკვლევ ტერიტორიის როლი განსაკუთრებულია ანტიკური ხანის კოლხეთის, როგორც ეკონომიკური ასევე პოლიტიკურ ცხოვრებასა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში. ეს არცაა გასაკვირი. აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, ეპოქების მიხედვით დაკავშირებული ჩანს სათავეებით უძველეს ანატოლიურ სამყაროსთან და მის შედარებით გვიან წარმონაქმნებთან, ხოლო საზღვაო-სამდინარეო გზებით ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან. როგორც ვხედავთ ხეობაში თანდათან გზას იკვლევს უცხოური იმპორტი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ანტიკური ხანისათვის ეს მხარე ასრულებდა ვეყნის თავდაცვის ფუნქციასაც. კვაშტისა და კოლოტაურის სახით შესწავლილია კლასიკური და ელინისტური ხანის საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა ძირითადი ფუნქცია გამოკვეთილ გორაკ-ბორცვებზე აღმოცენებული დასახლებებისათვის ქვეყნის თავდაცვა იყო. არაა გამორიცხული, რომ ამისი დანიშნულება ყოფილიყო უფრო ადრეული (ძვ.წ. VII-VI

სს). წონიარისში აღმოჩენილ საკულტო ნივთებთან ერთად ყურადღებას იქცევს ზემოთ აღნიშნული არქეოლოგიური გათხრების გზით შესწავლილი ძეგლების მსგავსად მისი სტრუქტურული მდებარეობა. მტლიანობაში ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ხეობის საფორტიფიკაციო სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლს.

4. ნივთიერი კულტურის ძეგლების დათვალიერებითა და მათზე შეგროვილი მასალებით ირკვევა რომ ქედის მუნიციპალიტეტში, ფეოდალურ პერიოდში, უფრო გააქტიურებულა ცხოვრება და აჭარისწყლის ხეობა მთლიანად ჩართულია ქვეყნის თავდაცვით სისტემაში. თითქმის ყოველ შემადღებულ, სტრატეგიულ ადგილას, აშენებულია სათვალთვალ-სასიგნალო კოშკი. ზემოთ უკვე გვაქვს განხილული რამოდენიმე მათგანი. ასევე ფეოდალური პერიოდის ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი მართმადიდებლურ სარწმუნოებას მისდევდა და სოფელ ზენდიდში ქრისტიანული სამლოცველო პატარა ზომის ეკლესიაც კი აუშენებიათ. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს სოფელ ხარაულაში ხარაძეების საკარმიდამოში შემთხვევით აღმოჩენილი საცეცხლური რომრლიც VI-VII საუკუნეებს მიეკუთვნება.

5. იმ დროის სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგად მევენახეობა მეღვინეობა გვევლინება, რასაც ხელს უწყობდა აქაური კლიმატური პირობები. სწორედაც ყურძნის უხვი მოსავალის შედეგად გახდა აუცილებელი ჭურებისა და საწნახელების ესოდენ სიმრავლე. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვაში ამოკვეთილი 8 ერთეული საწნახელია მიკვლეული, რომლებიც განვითარებული შუასაუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ხოლო ჭურები და დერგები ყველა სოფელში მოიპოვება.

ასეთია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ დროისათვის მიკვლეული და შესწავლილი მასალების შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

- ყაზბეგი გ. (1960), აჭარის შესახებ, ბათუმი.
- ბაქრაძე დ. (1987), არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, საბჭოთა აჭარა სვანიძე მ. საქართველო ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან VII-VIII სს, თბილისი.
- ჭიჭინაძე ზ. გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ფოტო ასლები აჭარისა და სამხრეთ საქართველოს შესახებ, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, N196.
- ჭიჭინაძე ზ. (1907), ქართველების გამაჰმადიანება, თბილისი.
- ჭიჭინაძე ზ. (1912), ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათუმი.
- კახიძე ნ. (1974), მაჭახლის ხეობა, ბათუმი.
- ბერძენიშვილი ნ. (1964), საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი.
- ვახუშტი, (1961), აღწერა სამეფო საქართველოსი, თბილისი.
- სურმანიძე რ. (1990), მცირე კარაბადინი 1, ბათუმი.
- „ივერია“ (1983), N 223.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (1963), „ეს“ კოლექცია, ტ.3, თბილისი.
- სურმანიძე რ. (1991), მცირე კარაბადინი 2, ბათუმი.
- ქედის რაიონი ციფრებში 1999. (2000), ბათუმი.
- კახიძე ა., მამულაძე შ. (1993), აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.
- ქ.ს.ე. (1986), ტ. 10, თბილისი.
- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. (2002), შრომები 2, ბათუმი.
- ხახუტაიშვილი დ. (1995), ქობულეთის ქვეყანა 1, აჭარა.
- Бендукидзе О. Г. (1982), Голощеная фауна позвоночных из археологических памятников Грузии. Четверичная система Грузии. Тбилиси.
- სურმანიძე რ. (2007), აბდულ მიქელაძე, ბათუმი.
- გოგიტიძე ს. (1975), ახალი ტიპის ქვის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან, „სდს“, ბათუმი.
- კახიძე ა., მამულაძე შ. (2000), ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი.

დავითაძე ი. (1976), აჭარისწყლის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის მასალები, ჟურნალი ჭოროხი N2, ბათუმი.

ჯავახიშვილი ა., ჩუბინიშვილი ტ. (1959), უდეს განძი, საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

Асланов Г. Ваидов Р. Ионе Б. (1959), Древний Мингечаур, Баку. **Хачатрян Т.С.** (1963), матерьяльная культура Артика, Ереван; **Мартиросян А.А.** (1964), Армения эпоху бронзы и раннего железа, Ереван, . **Есяян С.А.** (1966), оружие и военное дело древней Армении, Ереван.

Куфтин Б.А. (1941), Археологическаие раскопки в Триалети. Тбилиси.

ქორიძე დ. (1957), მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბილისი.

ჩართოლანი შ. (1977), სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. (1957), მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

Куфтин Б.А. (1945-1949), Археологическая маршрутная экспедиция, Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси

ქორიძე დ. (1955), თბილისის არქეოლოგიური ძეგლები 1, თბილისი.

ქორიძე დ. (1969), საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხისათვის - სსმმ, XIII-ბ, თბილისი.

Техов Б.В. (1980-1981-1985) Тлйский могильник, 1,2,3, таб-и. 34\7. 63\7, 8. 90\10,11. 109\2,3. 195\1,2. 217\1,2 и др. Тбилиси.

Техов Б.В. (1980), Тлйский могильник, Тбилиси.

რამიშვილი ა. (1974), კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. (2000), შრომები 1, ბათუმი.

გობეჯიშვილი გ. (1959), გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში - საქართველოს არქეოლოგია, თბილისი.

ჯაფარიძე ო. (1998), ქართველი ტომების ეთნოკულტურის ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში, თბილისი.

კახიძე ა., მამულაძე შ., ფარტენაძე ვ. (2003), საგაზეთო სტატია: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები წონიარისში, გაზეთი იმედი N 26.

- მამულაძე შ., ხალვაში მ. (2002), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. შრომები 2, ბათუმი.
- ზაქარაია პ. (1973), საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი ს. (1948), ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, IV-VII საუკუნეები, 1, თბილისი.
- Бичурин Н. Я. (1950), Собрание сведений о народах обитавших в Средней Азии в древние времена, т. I.
- Киселев С. Б. (1951), Древняя история Южной Сибири, Москва.
- Менандр Византиец. (1961), Византийские историки. Перевод с греческого Сп. Дестуниса, дополненный примечаниями Г. Дестуниса, СПб, Москва.
- Пигулевская Н. В. (1947), Византийская дипломатия и торговля шелком в VI-VII вв., т. I.
- Пигулевская Н. В. (1946), Византия и Иран на рубеже VI и VII веков.
- Пигулевская Н. В. (1951), Византия на путях в Индию.
- Пигулевская Н. В. (1941), Сирийские источники по истории народов СССР, М. Л.
- Плетнева С. А. (1976), Хазары, Москва.
- Подвиг Бахрама Чубины. (1962)б Подбор и перевод источников, вступительная статья и комментарии Л. Н. Гумилева.
- Попов А. И. (1973)б Названия народов СССР.
- ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსი საქართველოსი.
- მიქელაძე ა. (1991), წერილები აჭარიდან, თბილისი.
- პაპუნძე ვ. (2007), ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო - სდსინ, აჭარა, I, ბათუმი.
- სახოკია თ. (1985), მოგზაურობანი, ბათუმი.
- სიხარულიძე ი. (1957), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა, წიგნი I, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.
- ქართლის ცხოვრება. (1955), ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., I, თბილისი.
- ფლავიუს არიანე. (1961), მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი.
- ყაზბეგი გ. (1985), სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ. სურმანიძემ და მ. ხარაზმა თბილისი.
- შაშიკაძე ზ. (2011), აჭარის ლივის გრძელი და მოკლე დავთრები, ბათუმი.

ჭიჭინაძე ზ. (1893), გაზეთი ივერია, № 217.

ჭიჭინაძის ზ. გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ფოტო ასლები აჭარისა და სამხრეთ საქართველოს შესახებ, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 196.

Бендукидзе О. Г. (1982), Голощенная фауна позвоночных из археологических памятников Грузии. Четверичная система Грузии. Тбилиси.

ჩავლეიშვილი ი. (1983), კაჟისა და ბრინჯაოს ისრისპირები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. - სდსმ, XII.

მამულაძე შ., ხალვაში მ., მინდორაშვილი დ., (2017), არქეოლოგიური გათხრები ზენდიდში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრომები 7.

დავითაძე ი. (1976), აჭარისწყლის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ადრებრინჯაოს მასალები, ჟურნალი „ჭოროხი“ N 2.

ა. ინაიშვილი ა. (1975), დიდაჭარის განძი და კოლხური კულტურის ისტორიის საკითხები. - სდსმ, V, თბილისი.

ჯავახიშვილი ა., ჩუბინიშვილი ტ. (1959), უდეს განძი - „საბჭოთა ხელოვნება“, 4.

ჩართოლანი შ. (1968), ლარი-ლარსის სამაროვანი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი.

Уварова П. С. (1900), Могилник северного кавказа. – МАК, VIII, М.

გოგიტიძე ს., მამულაძე შ. (1985), შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, N 43.

ნიორაძე გ. (1944), არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B.

Иессен А. А. (1935), О древнейшей металлургии меди на кавказе, ИГАИМК.

Меликишвили Г. А. (1959), К истории древней Грузии, Тбилиси.

დამბაშიძე ო. (1963), თხომის განძი, თბილისი.

მიქელაძე თ. (1974), ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

ინაიშვილი ა. (1975), დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი. სდსმ. V.

აფაქიძე ჯ. (1987), სახალვაშოს განძი. - სდსმ, XVI.

მაჩაბელი კ. (1991), ბრინჯაოს საცეცხლურები საქართველოსი, „ხელოვნება“, N 6.

- მაჩაბელი კ. (1982), სვანეთის საგანძურებიდან, თბილისი.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურებიდან, (2012), თბილისი.
- Архипова Е. И. (2008), Бронзовое кадило из Судака в Одесском археологическом музее, Византийский Временник, 67 (92)б.
- Залеская В.Н. (1971), К вопросу о датировке некоторых групп сирийских культовых предметов ПС.
- Покровский В. Н. (2001), Евангелие в памятниках иконографии преимущественно византийских и русских.
- Сакварелидзе Т. (1978), Чеканная церковная утварь, Православная Энциклопедия.
- Dalton O.M. (1911), Byzantina art and archaeol. Oxfordod at the Clarendon press.
- Dshawachischwili A. (1986), Abremischwili G., Goldschmiedekunst und Toreutik in den Museen Georgiens, Leningrad.
- Elbern V.H. (1972), Zor Morphologia der bronzenen Weihrauchgerasse aus Palastin. Archivo Espanol de Arquuologia; Periodikals Archive Online.
- Millet G. (1916), Recherhes sur l ikonografie de l Evangile au XIV-e, XV-e siecles d apres des monuments de Mistral de la Macedonie et du Mont-Athos, Paris.
- Piguet-Panayotova Dora (Paris). (1997), Two Hexadgonal Dekorated Silver Censers from tfe Time of Maurikius, Tventy-Third Annual Byzantine Studies Conference, Universitu of Wiskonsin-Madison, ABSTRACTS.
- Richter-Siebels. (1990), Die palastinensischen Weihrauchgefabe mit Reliefzene ausLeben Cristi, Berlin.
- სულხან-საბა ორბელიანი. (1993), ლექსიკონი ქართული. II. თბილისი.
- Ankara Tapu ve Kadastro Genel Mudurlugu Arsivi, Tapu Defteri 272 .
- შენგელია ნ. (1962), გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI საუკუნის ოსმალეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ. 2, გვ.124, თბილისი.
- Ercan Y. Turkiye. (1984), da XV. Ve XVI. Yzyyllarde Gayrimuslimler Hkuki ve likdisadi Durumu, TTK Belleten, cilt XLIX, saiyi 188, Ankara s. 124.
- Akgunduz A. (1994), osmanli Kanunnameleri ve Hukuki Tahlilleri, 1. Kitap, Istanbul, s. 157.
- შენგელია ნ. (1960), ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთვთრის“ მიხედვით, თსუ შრომები ტ. 91, გვ. 290, თბილისი.

- Akgunduz A.** (1994), *Osmanli Kanunnameleri ve Hukuki Tahilleri*, 1, Kitap, Istanbul, s. 170
- ფუთურიძე გ.** (1957), *ოსმალთა დაპყრობითი ომები XVI-XVII საუკუნეებში*, ნმაი, თბილისი.
- ფუთურიძე გ.** (1957), *ოსმალური ფეოდალური მიწისმფლობელობა*, ნმაი, თბილისი.
- ჯიქია ს.** (1941), *გურჯისტანის ვილაეთის დავთარი*, წიგნი II, გვ.1, ქართული თარგამანი, თბილისი.
- ჯიქია ს.** (1960), *XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ*, თსუ შრომები ტ. 91, გვ. 183, თბილისი.
- ტივაძე გ.** (1948), *სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“ მიხედვით*, მნათობი 8, თბილისი.
- ქანანელი.** (1940), *უსწორო კარაბადინი*. გვ. 111 თბილისი.
- Гигиена и санитария** (1960) №4, тбилиси.
- ჭიჭინაძე ზ.** (1917), *ისტორია ქართული მკურნალობის უძველესი დროიდან*, გვ. 3., თბილისი.
- Яшин В.** (1970), *Коллекционер каравадинов, Советская Аджаря*.
- Тугутов И.** (1970), *Народную медицину на службе науке. Медицинская газета*.
- Березнеговская Л. Н.** (1954), *Несторова В. М. Лекарственные растения Томской области*, Томск.
- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები**, ტომი 3, 1958, ბათუმი, გვ. 7-54.
- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები**, ტომი 5, 1961, ბათუმი, გვ. 54-62.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა**. S-კოლექცია, ტომი 3, 1963, გვ. 281.
- ბერიძე კ.** (1957), *მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები აჭარაში*, ბათუმი.
- ბოხოჩაძე ა.** (1963), *მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით*, თბილისი.
- თოფურია ნ.** (1968), *ქართული მარანი – ძეგლის მეგობარი*, კრებული მეთექვსმეტე, თბილისი.
- კახიძე ა., სურმანიძე ნ.** (2013), *სოფელ ჩაისუბნის “შუამთის” გორანამოსახლარის არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები – კრებული “აჭარა წარსული და თანამედროვეობა”I*, ბათუმი.
- მამულაძე შ.** (1993), *აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები*, ბათუმი.

- მინდორაშვილი დ. (2008), უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბილისი.
- მინდორაშვილი დ. (2015), ხისანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში -კრებული “აჭარა წარსული და თანამედროვეობა” II, ბათუმი, 2015, გვ. 132-183.
- რამიშვილი მ. (1948), გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბილისი.
- ჯავახიშვილი ი. (1967), ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი.
- მუსხელიშვილი დ. (1997), აჭარის ისტორიის გეოგრაფიისათვის, ხელნაბეჭდი, გვ.
- ჯავახიშვილი ი. (1930), საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია. I, გვ. 294. ტფილისი.
- გიგაური ც. (1985), კოლხეთი რომაულ მწერლობაში. თბილისი.
- ფренкел А. (1879), очерки чурук-су и Батуми Тифл. . с.61 В. Лисовский. Чорохский край. с. 83.97.98.
- მუსხელიშვილი დ. (1980), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ისტორიული საკითხები, II, თბილისი.
- მუსხელიშვილი დ. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. ხელნაწერი ნაშრომი, გვ. 21; ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა. ტ. I-II ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი. 1984. გვ.231
- სამნიძე ს. (2000-2015), ანარეკლები წარსულიდან, თბილისი გვ. 64-74. მისივე, მოვალეობად გადმოღვრილი მადლი. ბათუმი. გვ. 35-74.
- ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1986) თბილისი, გვ. 226, 385 და ქ.ე.გ.ლ VI გვ. 577
- ვასუშტი ბატონიშვილი. (1973), აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი. გვ. 676.
- რაინგსი ი. (2002), მოგზაურობა საქართველოში. თარგმანი გ. გელაშვილისა. თბილისი, გვ. 141-142.
- გოგიტიძე ს. (2002), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. (ძვ.წ. XII-IV ს.ს) ბათუმი გვ. 104, 155-156.
- გოგიტიძე ს. (2013), დიდაჭარა I-II საუკუნეებში, ბათუმი, გვ. 57-58.
- Шавровъ Н. (1907) Краткое описание маршрутов от Батума до бенари и орджоха, от Артвина до ардануча. Э.К.О.И.Р.Г.О XXVI вип-2. Тифлиси.

- ფლავიუს არიანე.** (1961), მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი ნ. კეჭაყმაძისა, თბილისი. გვ 85. თ.
- ყაუხჩიშვილი ს.** (1985), ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. თბილისი, გვ. 158
- გოგიტიძე ს.** (2013), დიდაჭარა ბერძნულ, რომაულ და ქართულ წყაროებში. ჟურნ. ჭოროხი, №6 გვ. 70-74.
- გოგიტიძე ს.** (2014), დიდაჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობისათვის, ჟურნ. ჭოროხი, №1, გვ. 98-103.
- გოგიტიძე ს.** (2006), დაიაენი-დიაოხი. ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის. ბათუმი, გვ. 3,28,175
- Меликишвили Г.** (1959), К истории древней грузии. Тбилиси. с. 222-223
- ჰეროდოტე ისტორია.** (1982), ტ. I. თარგმანი თ. ყაუხჩიშვილისა. А. Доватур и др. народы нашей страны в истории Геродота, с-83. ს. გოგიტიძე ფარნავაზი და არიან ქართლის ლოკალიზაცია, ბათ. 2011. გვ.73
- ფარნავაზიანი და არიან ქართლის ლოკალიზაცია.** (2011) ბათუმი, გვ.31.
- Страбон.** (1964), География, перевод г. стратановского, Ленинград.
- ვარშანიძე შ.** (1990), ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე. ბათუმი, გვ. 48.
- ყაუხჩიშვილი თ.** (1976), საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, გვ. 100-101.
- Ломоури Н.** (1981), Грузино-Римские Взаимоотношения, част I, тбилиси. с – 221.
- სურმანიძე რ.** (2013), ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწეები. ბათუმი, გვ. 14-16.
- შველიძე დ.** (1998), ეპიზოდები აჭარის ისტორიიდან. ახალი ქართული გაზეთი, ისტორია, №27, 24 აგვისტო.
- კომახიძე თ,** (2001), რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, გვ. 36-37.
- ჟურნ. ლიტერატურული აჭარა.** (1961), №2.
- ბეჭირიშვილი ი.** (2001), აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი ბათუმი, გვ. 319.
- ჟურნ. განათლება.** (1991), №3, გვ.2.

ჭუმბურიძე ზ. (1987), დედაენა ქართული, თბილისი.

აბრამიშვილი თ. (1966) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, გვ. 135.

ტაბულების აღწერილობა

I – 1. კოლოტაურის კოპებით შემკული თიხის ჭურჭელი; 2. კოლოტაურის თიხის ჭურჭელი.

II - კოლოტაურის შუბის პირი.

III – 1. სიხალიძეების სარტყელის ფურცლის ფრაგმენტი; 2. სიხალიძეების ყუაკვერიანი ცულები.

IV - სალორეთის ცულები.

V – 1,2 ზუნდაგის აბზინდა; 3. ზუნდაგის სამაჯურები; 4. ზუნდაგის აღმოსავლურკავკასიური ცული; 5. ზუნდაგის ცული ე.წ. ჩუგლუგი; 6. ზუნდაგის მასრა.

VI- 1,2. ვაიოს სასაფეთქლე რგოლი; 3. ვაიოს მძივი.

VII – 1,2. კოლოტაურის სამაჯურები.

VIII – 1. კოლოტაურის სამაჯური; 2. კოლოტაურის პინცეტი.

IX – 1,2. ზენდიდის ნაეკლესიარი.

X – 1,2. ზენდიდის ციხის გეგმა.

XI წონიარისის აღმოჩენები.

XII- 1. წონიარისის კვირისთავი თიხის; 2. ცხენის ბალთა; 3. რკინის ცული; 4. კვირისთავი მასივური ქვისგან; 5. თიხის მინიატურული პატარა ჭურჭელი; 6. ზოომორფული ფიბულა; 7. რკინის დანა სატევარი; 8. რკინის წალდი; 9. რკინის საჩეხი.

XIII – 1. წონიარისის ბალთა; 2,4 მშვილდსაკინძი; 3. ზოომორფული გამოსახულების ფიბულა; 5. ქამრის შესაკრავი ბალთა; 6. ქვის სალესი; 7. ძვალი სადგისი.

XIV – 1,2. კორომხეთის დერგის ფრაგმენტები.

XV – 1, 2, 3, 4, 5, 6. ზუნდაგის განძის გრაფიკული მასალა.

XVI – 1, 2. კვაშტის ფიალა.

XVII საცეცხლური.

XVIII კავიანი.

- XIX ცივასულა.
- XX – 1. წონიარისის თალოვანი ხიდი აღგენილი; 2, 3. წონიარისის ხიდი დანგრეული.
- XXI – 1, 2. სალორეთის თალოვანი ხიდი.
- XXII – 1, 2. მახუნცეთის ქვისთალოვანი ხიდი.
- XXIII – 1, 2. დანდალოს ქვისთალოვანი ხიდი.
- XXIV – 1,2. ოქტომბრის საწნახელი.
- XXV – 1,2. ზუნდაგის საწნახელი.
- XXVI კორომხეთის საწნახელი.
- XXVII – 1, 2, 3. კორომხეთის საწნახელი.
- XVIII – 1,2. კორომხეთის ქვის გობი.
- XIX – 1, 2, 3. კვამტის საკულტო ფიალა.
- XXX კვამტის ნამოსახლარის გეგმა.
- XXXI – 1-11. კვამტის ქვევრის პირები.
- XXXII კვამტის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.
- XXXIII კვამტის დერგისპირები.
- XXXIV – 1. კვამტის წალდის ფრაგმენტი; 2. ხელსაფეკავი; 3-5 შურდულის ქვები; 6-8 ბადის საწაფები; 9-12 ძვლის მასალა.
- XXXV კვამტის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.
- XXXVI კვამტის სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.
- XXXVII – 1. კვამტის თიხის საბეჭდავი; 2. ცილინდრისებური ჭურჭელი; 3. სამაჯური.
- XXXVIII ბზუბზუს მეტალურგის კერა - 1. არხი; 2. N1 გობი; 3. N2 და N3 გობი.
- XXXIX – 1. სალორეთის გოლი; აგარა პირველი - 2. არხი; 3. ქვის გობი.
- XL აგარა მეორე - 1. მცირე ზომის გობები; 2. ქარაფოვანი ადგილი.
- XLI – 1. ცხემნა, ქვის გობი; 2 - არხი; 3 - გოლი.
- XLII – 1. ორცვა ქვის გოლები; 2 - ქვის გობი.

ტაბულა I




1




2

ტაბულა II



ტაბულა III



1



2

ტაბულა IV



ტაბულა V



1

2



3



4

5

6

ტაბულა VI



1



2



ტაბულა VII



1



2

ტაბულა VIII



1



2




1




2

ტაბულა X



1



2

ტაბულა XI



ტაბულა XII



1

2

3



4

5

6



7

8

9

ტაბულა XIII



1



2



3



4



5



6



7

ტაბულა XIV




1




2


ტაბულა XV




1




2




3



4




5




6

ტაბულა XVI



1



2

ტაბულა XVII



ტაბულა XVIII



ტაბულა XIX



ტაბულა XX



1



2



3



1



2



1



2



1




2

ტაბულა XXIV



1



2

ტაბულა XXV



1



2

ტაბულა XXVI



ტაბულა XXVII



1



2



3

ტაბულა XXVIII



1



2

ტაბულა XXIX



1




2




3


ტაბულა XXX




ტაბულა XXXI




ტაბულა XXXII




ტაბულა XXXIII




ტაბულა XXXIV




ტაბულა XXXV



ტაბულა XXXVI



ტაბულა XXXVII



ტაბულა XXXVIII



1

2



3

ტაბულა XXXIX



1



2




3

ტაბულა XL



1



2


ტაბულა XLI



1



2



3

ტაბულა XLII






1




2


XLIII




□ კვლევისა და სამარუნის გეგმა




სურ. 3. დიდი ნაგებობის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ჭრილები




სურ. 4. დიდი ნაგებობის სამხრეთი კედლის ჭრილი




II უბანი, №1 კოშკი და კოლექტორი (გეგმა, ჭრილი)




სურ. 6. ქვევრის ფრაგმენტები




სურ. 8. კეცები





სურ. 10. ქილები




სურ. 7. დერგები



სურ. 9. ქოთნები




სურ. 11. ხელადები




სურ. 13. ჯამები

ლოქის ფრაგმენტები






სურ. 15. სამშენებლო კერამიკა




სურ. 14. ჩიბუხები



სურ. 16. მოჭიქული ქილევი




სურ. 17. ფაიფურის სასმისი




ბუხრის ორნამენტაინი ქვევი

XLVII



სურ. 1. ციხის გეგმა



ՔՅԵԳՈՒԵՆ



